ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ

2024 წლის 28 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვალი

ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ

2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი

თბილისი
2025

გამოცემის ხელმძღვანელები:

ნონა ქურდოვანიძე

თამარ ონიანი

ავტორები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)

თამაზ კირტავა

მარიამ ოქრუაშვილი

იოსებ ედიშერაშვილი

თამარ ბოჭორიშვილი

ფატიმა ჩაფიჩაძე

სალომე საღარაძე

ნინო ნოზაძე

ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC)

ნინო ჩალაძე

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI)

ანი გახოკიძე

გიორგი წიქარიშვილი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

მარიამ მხატვარი

გიორგი დავითური

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)

სოფიკო მენაბდიშვილი

თამარი კაპანაძე

თამარ გაბოძე

თამარა ზარქუა

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)

თათია ქინქლაძე

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI)

ნინო შელია

გიორგი ტაბატაძე

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC)

თამარ ფაჩულია

გიორგი ფოცხვერიშვილი

თამთა წვერაიძე

ნინო ცაგარეიშვილი

სალომე შუბლაძე

უფლებები საქართველო (RG)

ხატია რეხვიაშვილი

საბა ჩიტიძე

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერთა ჯგუფი (WISG)

ქეთევან ბახტაძე

წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT)

ლელა ცისკარიშვილი

მაია ცირამუა

ინტერვიუერები:

ანა გახოკიძე, ანი ფორჩხიძე, გიორგი ფოცხვერიშვილი, გიორგი წიქარიშვილი, ეკატერინე სუბელიანი, თაია თარიმანიშვილი, თამაზ კირტავა, თამარ გაბოძე, თამარი კაპანაძე, იოსებ ედიშერაშვილი, მანუჩარ ცეცხლაძე, მარიამ ტაგანაშვილი, მარიამ ქვარიანი, ნესტან ლონდარიძე, ნინო შელია, საბა ჩიტიძე, სოფიკო მენაბდიშვილი, ქეთევანი ბახტაძე, ქეთევანი როგავა, ხათუნა კვინცხაძე, ხატია ცეცხლაძე, ხატია რეხვიაშვილი, თათია ქინქლაძე

მადლობას ვუხდით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას“ მედიის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ინციდენტების სიის მოწოდებისთვის. ასევე, მადლობა ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს (TDI) და სამოქალაქო იდეას დოკუმენტირებაში შეტანილი წვლილისთვის.

გარეკანის ფოტოს ავტორი: გიორგი ხელაშვილი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2025, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

აბრევიატურები ... 8

შეჯამება ... 9

A. კონტექსტი ... 9

B. შეკრების თავისუფლება ... 10

C. წამების აკრძალვა ... 11

D. გამოხატვის თავისუფლება ... 13

E. თავისუფლების და სამართლიანი სასამართლოს უფლება ... 13

F. რეპრესიის სხვა სახეები ... 14

G. სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობა ... 15

I. მეთოდოლოგია და მტკიცების სტანდარტი ... 17

II. ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები ... 18

1. შეკრების უფლება ... 18

1.1. პროტესტის ქრონოლოგია და დარბევის ძირითადი მეთოდები ... 19

1.1.1. აქციების დარბევაში ჩართული საპოლიციო ძალები ... 21

1.1.2. საპოლიციო ძალების ქცევის ძირითადი ტენდენციები ... 23

1.1.3. ნოემბერ-დეკემბრის აქციების დარბევის ძირითადი ქრონოლოგია ... 26

1.2. აქციების დაშლა საფუძვლის გარეშე ... 29

1.2.1. მანიფესტაციის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგება ... 29

1.2.2. ნოემბერ-დეკემბრის მანიფესტაციების შეწყვეტის კანონიერება ... 29

1.3. სპეციალური საშუალებების გამოყენება ... 32

1.3.1. გამოყენებული სპეციალური საშუალებების აღწერა ... 32

1.3.2. სპეციალური საშუალებების გამოყენების კანონიერება ... 34

1.3.3. სპეციალური საშუალებების გამოყენების წესების დარღვევა ... 35

i. სპეციალური საშუალებების გამოყენება წინასწარი გაფრთხილების გარეშე ... 36

ii. აქციის დარბევა გაფრთხილებიდან მყისიერად ... 37

iii. გაფრთხილების არაჯეროვანი ფორმა ... 37

iv. სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს მოქალაქეების ალყაში მოქცევა ... 38

v. სპეციალური საშუალებების დამიზნებითი გამოყენება ... 39

vi. სპეციალური საშუალებების თანადროული გამოყენება ... 41

vii. სპეციალური საშუალებების პროპორციული გამოყენების პრინციპის დარღვევა ... 42

1.3.4. ქიმიური აგენტების შედეგად, ჯანმრთელობისთვის პოტენციურად შეუქცევადი ზიანის გამოწვევის რეალური საფრთხე ... 43

1.3.5. გრძელვადიანი ჯანმრთელობის გართულებები პირველადი, მეორეული ან მრავალჯერადი ექსპოზიციის გამო ... 44

2. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა ... 46

2.1. ძირითადი ქცევის მოდელების მიმოხილვა ... 48

2.2. საპოლიციო ძალადობა ... 48

2.2.1. დაკავების ადგილზე ... 48

2.2.2. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის უშუალო მონაწილეობა ძალადობაში ... 49

2.2.3. სატრანსპორტო საშუალებაში ... 50

2.2.4. ჩხრეკა და ნივთების წართმევა ... 54

2.2.5. ძალადობა სამართალდამცავი უწყების შენობაში ... 55

2.2.6. გაშიშვლება ... 55

2.3. დამცირება და ფსიქოლოგიური ძალადობა ... 56

2.4. დისკრიმინაციული ძალადობა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არასათანადო მოპყრობა ... 57

2.4.1. ანტიევროპული ნარატივებით და ჰომოფობიით მოტივირებული ძალადობა ... 57

2.4.2. ქალების მიმართ არასათანადო მოპყრობა ... 58

2.4.3. ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობა ... 58

2.4.4. ეთნიკური ნიშნით მოტივირებული არასათანადო მოპყრობა ... 59

2.4.5. ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობა ... 59

2.4.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არასათანადო მოპყრობა ... 60
2.5. სამედიცინო დახმარებაზე უარი ... 61
2.6. ძალადობის კვალის/მტკიცებულებების წაშლა ... 61
2.7. სასამართლოს არაეფექტიანი კონტროლი არასათანადო მოპყრობაზე ... 62
2.8. დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული პირობები ... 62
2.9. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი ... 62
2.10. აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული არასათანადო მოპყრობა ... 63
ა) ცრემლსადენი გაზი ... 63
ბ) წყლის ჭავლი ... 65
3. გამოხატვის თავისუფლება ... 66
3.1. ინციდენტები ... 67
3.2. ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა ... 78
3.2.1. სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენება
და ჟურნალისტთა დაზიანების ზოგადი შემთხვევები ... 78
3.2.2. მიზანმიმართული ძალადობის შემთხვევები მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ... 78
3.2.3. თავდასხმა და საკუთრების ჩამორთმევა ან დაზიანება ... 79
3.2.4. გადაადგილებისა და თავისუფლად გაშუქების შეზღუდვის შემთხვევები ... 80
3.2.5. ჟურნალისტების დაკავება და დევნა ... 80
3.2.6. სხვა რეპრესიები მედიის წინააღმდეგ ... 80
3.2.7. მედიის წარმომადგენლებზე მიზანმიმართული ძალადობის ფაქტები
არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან ... 81
4. თავისუფლების და სამართლიანი სასამართლოს უფლება ... 82
4.1. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ... 82
4.1.1. ადმინისტრაციული დაკავება, როგორც პროტესტის დაშლისა და მონაწილეთა დასჯის მექანიზმი ... 82
4.1.2. ადმინისტრაციული დაკავებების ძირითადი ტენდენციები ... 84
i. დაკავებები პროტესტის ადგილზე ... 85
ii. დაკავებები პროტესტის მიმდებარე ქუჩებზე ... 87
iii. დაკავებები საპროტესტო არეალის დატოვებისას ... 88
iv. დაკავებები საპროტესტო ადგილისგან მოშორებით ... 89
4.1.3. ბავშვთა ადმინისტრაციული წესით დაკავება ... 90
i. დოკუმენტირებული შემთხვევები ... 90
ii. გამოვლენილი ტენდენციები ... 91
4.1.4. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადმინისტრაციული წესით დაკავება ... 91
i. დოკუმენტირებული შემთხვევები ... 91
ii. გამოვლენილი ტენდენციები ... 92
4.1.5. საკანონმდებლო მოწესრიგება და ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შეფასება ... 92
4.1.6. დაკავებულების საპროცესო უფლებები ... 94
4.1.7. უკანონო დაკავებები და სამართლიანი სასამართლოს უფლება ... 98
i. დაკავებულ დემონსტრანტთა საპროცესო უფლებები
და სამართლიანი სასამართლოს პროცედურული სტანდარტების დარღვევა ... 98
a. დაჩქარებული მართლმსაჯულება და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა ... 98
b. დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დარღვევა ... 99
c. სანქციების განსაზღვრის ხარვეზები და არათანმიმდევრული პრაქტიკა ... 100
d. მტკიცების ტვირთის არასათანადო გადანაწილება და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა ... 101
4.1.8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება როგორც შეკრების თავისუფლების
შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმი ... 102
i. წვრილმანი ხულიგნობა და გამოხატვის თავისუფლება საპროტესტო აქციებზე ... 102
ii. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა ... 103
iii. გზის გადაკეტვა და შეკრების თავისუფლება ... 104
4.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ... 105
4.2.1. 2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია ... 105
4.2.2. 2025 წლის თებერვლის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია ... 111

4.2.3. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც ბრალდებული პირების მიმართ პირველი წარდგენის სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შეიცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით 112
4.2.4. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილია 113
4.2.5. უმეტესად ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის უაპელაციო გამოყენება 115
4.2.6. საქმეთა გაჭიანურება - შეწყალების შესაძლებლობის მოსპობა 116
4.2.7. განაჩენები 116
4.2.8. სისხლის სამართლის საქმეებზე არასათანადო მოპყრობის შემთხვევები 117
5. რეპრესიის სხვა სახეები 118
5.1. საჯარო სამსახურში მიმდინარე რეპრესიები 118
5.1.1. საკანონმდებლო ცვლილებები 119
5.1.2. ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საფუძველზე საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება 121
5.1.3. საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო 123
5.2. საპროტესტო აქციების დროს იძულებითი გაუჩინარებები 124
5.3. საცხოვრებელი/სამუშაო სივრცეების ჩხრეკა 125
5.4. პირადი ჩხრეკა და ნივთების უკანონო ჩამორთმევის პრაქტიკა 125
5.5. არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებები 126
III. სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობა 129
6. ოლიგარქიული გავლენა: მიტაცებული სახელმწიფო ინსტიტუტები 129
7. შინაგან საქმეთა სამინისტრო: მანიფესტაციის მონაწილეების წამება, დევნა და ძალადობა 130
7.1. საპოლიციო ძალების ოფიციალური და ჩრდილოვანი სამოქმედო გეგმა 131
7.2. მანიფესტაციებისას, სპეციალური საშუალებების არაპროპორციულ და სადამსჯელო გამოყენებაზე პასუხისმგებელი უწყებები 131
7.2.1. პასუხისმგებლობა აქტიური სპეციალური საშუალებების აშკარად არაპროპორციულ და უკანონო გამოყენებაზე 132
7.2.2. პასუხისმგებლობა დაკავების მომენტში მანიფესტანტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე, ცემაზე, არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე 132
i. პასუხისმგებლობა დაკავებული/თავისუფლებაშეზღუდული ინდივიდებზე ძალადობასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მანიფესტაციების მიმდინარეობისას 132
ii. პასუხისმგებლობა ადამიანთა იძულებით გაუჩინარებაზე მანიფესტაციების პერიოდში 133
iii. დაკავებული მანიფესტანტების ყაჩაღობა/ძარცვა საპოლიციო ძალების მიერ 134
iv. პასუხისმგებლობა ძალადობის კვალის წაშლა/მტკიცებულებების განადგურებასა და ცრუ ოქმების შედგენაზე 134
7.3. არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა მანიფესტაციების მონაწილეებზე ძალადობაში 134
7.4. მანიფესტაციის შემდგომი დაჯარიმებისა და მანიფესტანტების სახის ამომცნობი სისტემებით იდენტიფიცირების პრაქტიკა 135
8. სპეციალური საგამოძიებო სამსახური 135
8.1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი 136
8.2. სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ასობით დანაშაული და ერთი საქმე 136
8.3. დანაშაულის არასწორი და არასრული კვალიფიკაცია 137
8.4. დიდი რაოდენობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების ილუზიის შექმნა 138
8.5. საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების ან განადგურების შესაძლო შემთხვევებზე უმოქმედობა 140
8.6. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ არასათანადოდ შესრულებული/შეუსრულებელი ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედება 141
8.6.1. მტკიცებულებათა განადგურება დანაშაულის ადგილზე 141
8.6.2. უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა და პასუხისმგებელი პირები 141
8.6.3. არანაირი საგამოძიებო მოქმედება მანიფესტაციების მართვაში ჩართული პირადი შემადგენლობის იდენტიფიცირებისთვის 142
8.6.4. საჯაროდ იდენტიფიცირებული სავარაუდო დამნაშავე და ამ ფაქტების სრული იგნორირება 143
8.6.5. პირადი აღჭურვილობისა და ტექნიკაზე საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობა 143
8.7. საქართველოს პროკურატურის არასათანადო საგამოძიებო ზედამხედველობა 143
9. საქართველოს პროკურატურის პასიური და აქტიური მხარდაჭერა სისტემურ დანაშაულს 144
9.1. პროკურატურის საგამოძიებო კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულები 145
9.2. პროკურატურის არასათანადო რეაგირება 145

9.3. საქართველოს პროკურატურის აქტიური თანამონაწილეობა რეპრესიებში ... 145
10. სასამართლო კონტროლი: მართლმსაჯულება სისტემის სამსახურში ... 146
10.1. სასამართლოს სისტემის მდგომარეობა და არაფორმალური გავლენები ... 146
10.2. სასამართლოს როლი ადმინისტრაციული სამართლებრივ რეპრესიებში
და მოსამართლეთა პასუხისმგებლობა ... 147
11. სახელმწიფო ტერორის საკანონმდებლო/პოლიტიკური მხარდაჭერა:
რეპრესიული კანონმდებლობის კიდევ უფრო გაუარესება ... 148
11.1. სამართალდამცავ ორგანოთა ძალადობის საჯარო წახალისება
და საკონტროლო უფლებამოსილებების გამოუყენებლობა ... 148
11.2. რეპრესიული საკანონმდებლო პაკეტები ... 149
11.2.1. საკანონმდებლო პროცესი ... 150
11.2.2. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ... 151
v. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები ... 151
11.3. გაზრდილი სანქციები და ახალი დამამძიმებელი გარემოებები ... 151
11.4. ახალი დანაშაული ... 152
11.5. მაგისტრალების ბლოკირების კრიმინალიზება ... 152
vi. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები ... 152
a. სანქციების ზრდა ... 153
b. ახალი სამართალდარღვევები ... 154
c. პრევენციული დაკავება ... 154
d. დამამძიმებელი გარემოებები ... 155
e. ვადები ... 155
f. პირადი გასინჯვის წესის გაუარესება ... 155
g. მტკიცების ტვირთი და განსჯადობა ... 156
vii. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებები ... 156
a. ნიღბის გამოყენება და სახის დაფარვა ... 156
b. შეკრება/მანიფესტაციების ორგანიზატორის ცნება ... 157
c. გაფრთხილება სპონტანური შეკრება/მანიფესტაციის შემთხვევაში ... 157
d. ობიექტების ბლოკირების აკრძალვა ... 157
e. შეკრების ან მანიფესტაციის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ჩატარება ... 158
f. გადაადგილების დაბრკოლება ... 158
g. დროებითი კონსტრუქციის მოწყობის აკრძალვა ... 158
h. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით შეწყვეტილ პროტესტში მონაწილეობის აკრძალვა ... 158
i. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებების გაზრდა ... 158
viii. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ცვლილებები ... 159
12. შეჯამება ... 159

დანართი 1: დაზარალებულების ინტერვიუები ... 160

დანართი 2: საჯარო ინფორმაცია ... 163

აბრევიატურები

გდდ	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი
ეუთო	ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
კრიმპოლი	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიცია
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
LLW	ნაკლებად ლეტალური იარაღი (less lethal weapon)
OECD/ACN	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელი
OSCE/ODIHR	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

შეჯამება

A. კონტექსტი

1. 2023 წლიდან საქართველო ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმის დამყარების გზაზე დგას,[1] რომელსაც მართავს „ქართული ოცნება“. 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები[2] არის ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო პოლიტიკისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ხელში ჩაგდების კულმინაცია. ფართომასშტაბიანი, მათ შორის, პროცედურული დარღვევები,[3] დამკვირვებელთათვის ხელის შეშლა, კენჭისყრის ფარულობის დარღვევა და ამომრჩევლებზე არასათანადო ზემოქმედება მიუთითებს მმართველი პარტიის მიერ არჩევნებზე სისტემური მანიპულირების პრაქტიკაზე.

2. **„ქართული ოცნების“ არაკონსტიტუციური მთავრობა ახლა (2025 წლის მარტის მდგომარეობით), თავისი ქმედებებითა და კანონშემოქმედებითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გზით, ცდილობს, სწრაფად შეამციროს დარჩენილი სივრცე განსხვავებული აზრისთვის და გააგრძელოს თავისი მმართველობა განუსაზღვრელი ვადით, რითაც სრულად უგულებელყოფს საქართველოს კონსტიტუციურად განმტკიცებულ ევროატლანტიკურ საგარეო კურსს.**

3. 2025 წლის მარტის მდგომარეობით, „ქართული ოცნების“ რეჟიმი სრულად უგულებელყოფს ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, შეკრების თავისუფლებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ქართველი ხალხის მიერ 2024 წლის 28 ნოემბრიდან, მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნების“ მთავრობამ ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერების შესახებ გამოაცხადა. რეჟიმმა ფიზიკურად იძალადა და **<u>სისტემურად აწამა</u>** ასობით დემონსტრანტი ძალის და/ან უცნობი ქიმიური გამღიზიანებლების გამოყენებით, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის გაუარესების გრძელვადიანი ეფექტები. ეს დასაბუთებულია დოკუმენტირებული მტკიცებულებებით, მათ შორის, ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორებიც არიან IRCT და OMCT[4] (რომელსაც მოგვიანებით მხარი დაუჭირა გაეროს 6-მა სპეციალურმა მომხსენებელმა).[5] „ქართული ოცნების“ ხელისუფლება განსხვავებულ აზრს ახშობს რეპრესიული კანონების მიღებით (ბოლო პერიოდში ინიციირებული კანონპროექტებიდან 86%[6] დაჩქარებული წესით მიიღეს),[7] ასევე, წამოიწყო განსხვავებული[8] პოზიციის მქონე საჯარო მოხელეების წმენდა[9] საჯარო სექტორში. 2024 წლის 19 ნოემბერი - 2025 წლის 28 თებერვლის პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის[10] ინფორმაციით, 1084 პირის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება, ხოლო 486 პირი იყო ადმინისტრაციული წესით დაკავებული.[11] ამასთანავე, 2024 წლის აპრილი-მაისის აქციებიდან მოყოლებული, მიმდინარე პროტესტის კონტექსტში, სისხლის სამართის წესით 60-ზე მეტი პირი დააკავეს, რომლებმაც ვერ ისარგებლეს/ვერ სარგებლობენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

4. მებრძოლი სამოქალაქო საზოგადოება (მათ შორის, არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები, არამედ აქტივისტები და დემონსტრანტები), მედიააქტორები და გარკვეული პოლიტიკური კონკურენციის ხარისხი განასხვავებს საქართველოს სრული ავტოკრატიებისგან. თუმცა, ეს სამი მოქმედი რგოლი სულ უფრო და უფრო ხდება ავტოკრატიის მთავარი სამიზნე. ამას მოწმობს შემდეგი მოვლენები:

---

[1] Freedom House, Nations in Transit 2024: A Region Reordered by Autocracy and Democracy, 2024; იხ. https://freedomhouse.org/report/nations-transit/2024/region-reordered-autocracy-and-democracy?fbclid=IwAR2rtp4ohN20Fo9e1pYTE4XxflD3NZ9G6laqjknBpkudq0YJLaGjCtq-lRA_aem_AWeGwQproGnC8iijVlbsdENQ6N9LfwDnhJQKwn8DshQ0ignXiZ4z26e1W1xq1zf5SsH1n8wXTJmFH0HAd2qjzRp9 [11.02.2025].

[2] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Parliamentary Elections, 26.11.2024; იხ. https://www.osce.org/odihr/571813 [11.02.2025].

[3] საია, „2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების კენჭისყრის დღის შეფასება“, 27.11.24; იხ. https://gyla.ge/post/gancxadeba-27octomberi-11saati [11.02.2025].

[4] OMST, Statements Georgia: Preliminary Findings on the Investigation of Torture and Ill-Treatment Against Protesters from 28 November to 20 December 2024, 24.12.2024; იხ. https://www.omct.org/en/resources/statements/georgia-preliminary-findings-on-the-investigation-of-torture-and-ill-treatment-against-protesters-from-28-november-to-20-december-2024-2 [11.02.2025].

[5] Ohchr, Experts, Georgia must investigate use of force by police during demonstrations, 28.01.2025; იხ. https://www.ohchr.org/en/press-releases/2025/01/georgia-must-investigate-use-force-police-during-demonstrations-experts?fbclid=IwY2xjawIQs7hleHRuA2FlbQIxMAABHWCrQUtUFvHK_gwgYzOZN8-WErCE6r8R90KCGHB6og31p1x8As0JjZZupg_aem_N9gOHGcCY0UdGFxevnakdw [11.02.2025].

[6] საია, „არალეგიტიმური პარლამენტი რეპრესიულ კანონებს დაჩქარებული წესით ამტკიცებს“, 20.02.2025; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=1052645706907451&set=a.485094683662559 [11.02.2025].

[7] საია, „ქართული ოცნება“ კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს“, 12.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla [11.02.2025].

[8] საია, „საია დიპლომატიური სამსახურის გავლის წესებში უკანონო და რეპრესიულ ცვლილებებს ეხმიანება“, 31.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/diplomatiuri-samsaxuri-represiebi [11.02.2025].

[9] საია, „საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა“, 05.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/sajarosamsaxurisbiuro-likvidacia [11.02.2025].

[10] სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იურიდიული დახმარების ქსელი შემდეგ ორგანიზაციებს აერთიანებს: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „სამოქალაქო იდეა“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი“, „უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი“, „უფლებები საქართველო“, „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“, „წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“.

[11] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის საქმიანობის შედეგები“, 19 ნოემბერი, 2024 – 28 თებერვალი 2025, 18.03,2025; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=1073257938179561&set=pcb.1073257994846222 [24.03.2025].

- საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე საქმის მიუხედავად, ახალი წევრების ცნობით, საქართველოს პარლამენტმა დაარღვია კონსტიტუცია და საკუთარი რეგლამენტი, რამაც მისი უფლებამოსილება არალეგიტიმური გახადა.[12] შედეგად, არალეგიტიმურია „ქართული ოცნების" პარლამენტის ნებისმიერი გადაწყვეტილება, მათ შორის, ახალი პრეზიდენტის, მიხეილ ყაველაშვილის დანიშვნა 2024 წლის 29 დეკემბერს.
- საქართველოში ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი სრულად არის მიტაცებული და არცერთი დამოუკიდებელი ორგანო აღარ დარჩა, რომელიც წინ აღუდგება „ქართული ოცნების" ავტორიტარულ მმართველობას. სასამართლო სისტემა, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ფუნქციონირებს სრულად გაუმჭვირვალედ და, კანონის დარღვევით, რეგულარულად უგულებელყოფს[13] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ანტიკორუფციული ბიურო[14] და ცენტრალური საარჩევნო კომისია მოქმედებენ, როგორც პარტიული ინსტრუმენტები, რომლებიც ემსახურებიან მმართველი პარტიის ინტერესებს და არა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. პროკურატურა და სპეციალური საგამოძიებო სამსახური რეჟიმის წარმომადგენლების დაუსჯელობას აგრძელებენ.
- ევროკავშირთან მოლაპარაკებების შეჩერების გარდა, „ქართული ოცნების" მთავრობამ გააუარესა ურთიერთობები მთავარ საერთაშორისო პარტნიორებთან. 2023 წელს საქართველო გამოვიდა[15] OECD/ACN-ის მონიტორინგის ციკლიდან და გახდა ერთადერთი მონაწილე ქვეყანა, რომელიც მას მხარს არ უჭერს, რაც მიუთითებს ანტიკორუფციული რეფორმებისადმი მის არაკეთილსინდისიერებაზე და ზიანს აყენებს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივებს. 2024 წელს ღია მმართველობის პარტნიორობის სამეთვალყურეო კომიტეტმა შეაჩერა[16] საქართველოს წევრობა სამოქალაქო თავისუფლებებისა და ძირითადი უფლებების შემლახველი საკანონმდებლო გადაწყვეტილებების გამო. ანალოგიურად, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) ქართულმა დელეგაციამ შეწყვიტა ოპერირება „ქართული ოცნების" გადაწყვეტილებით.[17] ეს ყოველივე მიუთითებს, რომ საქართველო სულ უფრო მეტად რჩება იზოლირებული კრიტიკული საერთაშორისო პლატფორმებისგან, რაც თანდათან ამცირებს მის სანდოობას და პოზიციებს დასავლელ მოკავშირეებთან.

B. შეკრების თავისუფლება

5. საჯარო დემონსტრაციების არაპროპორციული დარბევა განხორციელდა უკანონო და გადაჭარბებული ძალის გამოყენებით სამ ძირითად შემთხვევაში (2023 წლის მარტი,[18] 2024 წლის აპრილი-მაისი[19] და 2024 წლის

---

[12] საია, „საქართველოს პარლამენტის მიერ პარლამენტის ახალი წევრების უფლებამოსილების ცნობა არაკონსტიტუციურია", 25.11.2025; იხ. https://www.gyla.ge/post/sakartvelos-parlamntis-axali-wervebis-uflebamoislebis-cnoba-arakonstituciuria [11.02.2025].

[13] INTERPRESSNEWS, GYLA files lawsuits against High Council of Justice and High School of Justice due to failure to provide public information, 18.12.2025; იხ. https://www.interpressnews.ge/en/article/128763-gyla-files-lawsuits-against-high-council-of-justice-and-high-school-of-justice-due-to-failure-to-provide-public-information/ [11.02.2025].

[14] საია, „საია და „სამართლიანი არჩევნები" მიიჩნევენ, რომ ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილება უკანონოა", 24.10.2024; იხ. https://www.gyla.ge/post/saia-da-samartliani-archevnebi-miichneven-rom-antikorufciuli-biuros-gadatsyvetileba-ukanonoa [11.02.2025].

[15] საია, „საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც OECD/ACN-ის ანტიკორუფციული გარემოს შეფასებაზე უარი თქვა", 27.06.2023; იხ. https://gyla.ge/post/georgia-is-the-sole-country-to-decline-participation-in-the-oecdacns-5th-monitoring-round [11.02.2025].

[16] OGP, Georgia Temporarily Suspended from the Open Government Partnership, 16.11.2024; იხ. https://www.opengovpartnership.org/news/georgia-temporarily-suspended-from-the-open-government-partnership/ [11.02.2025].

[17] „ქართული ოცნების" ეს გადაწყვეტილება მოჰყვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციას, რომლის თანახმად, ასამბლეა ქართული დელეგაციის მანდატებს 2025 წლის აპრილის სესიაზე ხელახლა განიხილავს, იმ პროგრესის გათვალისწინებით, რომელიც შემდეგ საკითხებზე იქნება მიღწეული:

- „ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნების" ორგანიზება, საერთაშორისო ზედამხედველობისა და სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მკაცრი დაცვით;
- საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის აღსადგენად დაუყოვნებელი და ეფექტიანი ნაბიჯების გადადგმა;
- პოლიციის ძალადობისა და ადამიანის უფლებათა დარღვევების დაუყოვნებლივ შეწყვეტა;
- ყველა პოლიტიკური პატიმრის გათავისუფლება 2025 წლის აპრილის სესიამდე.

ხელმისაწვდომია: PACE President regrets decision of Georgian delegation to withdraw from the Assembly, 29.01.2024; იხ. https://www.coe.int/en/web/tbilisi/-/pace-president-regrets-decision-of-georgian-delegation-to-withdraw-from-the-assembly [11.02.2025].

[18] საია, „ხალხი რუსული კანონის წინააღმდეგ", 2023; იხ. https://www.gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/untitled%20folder/%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%AE%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92-2.pdf [11.02.2025].

[19] საია, „საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ", 2024; იხ. https://gyla.ge/files/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf [11.02.2025].

ნოემბერი-დეკემბერი[20]), რაც მიუთითებს „ქართული ოცნების“ მიერ საზოგადოებრივი განსხვავებული აზრის სრულ უგულებელყოფაზე.

6. ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეკრების უფლებასთან მიმართებით შემდეგი მიგნებები გამოიკვეთა:

- 2024 წლის 28 ნოემბრიდან, 10-დღიან ინტერვალში, საპოლიციო ძალებმა მანიფესტაცია 7-ჯერ დაარბიეს: 28-29 ნოემბრის, 29-30 ნოემბრის, 30 ნოემბრის-1-ლი დეკემბრის, 1-2 დეკემბრის, 2-3 დეკემბრის, 3-4 დეკემბრისა და 6-7 დეკემბრის ღამეს.
- შეუძლებელი იყო აქციების დარბევაში მონაწილე სამართალდამცავთა (განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები) ამოცნობა, რადგან არცერთ მათგანს არ ჰქონდა რაიმე ტიპის საიდენტიფიკაციო ნომერი. სამართალდამცავების ნაწილი იყენებდა სამედიცინო პირბადეს ან შავ ნიღაბს.
- დარბევას, როგორც წესი, წინ უსწრებდა საპოლიციო ძალების დიდი კონცენტრაცია პარლამენტის მიმდებარე ქუჩების დასაწყისში, რა დროსაც მოქალაქეები სამართალდამცავების პირისპირ იყვნენ განლაგებულები. კომუნიკაციისას საპოლიციო ძალების წარმომადგენლები სიტყვიერად უპირისპირდებოდნენ მოქალაქეებს და ახდენდნენ მათ პროვოცირებას.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ასაჯაროებს ინფორმაციას პროტესტის კონკრეტულ დღეებში გამოყენებული სპეციალური საშუალებებისა და გამოყვანილი საპოლიციო დანაყოფების შესახებ.
- პროტესტის დარბევის შვიდი დღიდან ოთხი დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო რუსთაველის გამზირზე იყენებდა სამ ან მეტ აქტიურ სპეციალურ საშუალებას (წყალსატყორცნი, წიწაკის სპრეი, ცრემლსადენი გაზი და, ზოგიერთ შემთხვევაში, რეზინის ტყვია).
- პროტესტის დარბევის შვიდი დღიდან ექვს შემთხვევაში რუსთაველის გამზირზე აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე პროტესტის ადგილზე წინასწარი გაფრთხილება არ გამოცხადებულა. ერთადერთი გამონაკლისი იყო 6-7 დეკემბრის ღამე, როდესაც გაფრთხილება წინ უძღოდა დარბევას. ამ შემთხვევაში, არ იყო დაცული გაფრთხილების შემდეგ აქციის მონაწილეებისთვის გონივრული ვადის (მინიმუმ 30 წუთი) განსაზღვრის მოთხოვნა.
- რუსთაველის გამზირზე ტექნიკური საშუალებით გამოცხადებული გაფრთხილების სტანდარტული ტექსტი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან არ განმარტავს, რა გახდა აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ასევე, არ შეიცავს ინფორმაციას ტერიტორიის დასატოვებლად გონივრული დროის განსაზღვრისა და მარშრუტის თაობაზე.
- 2024 წლის 28 ნოემბერი - 8 დეკემბრის პერიოდში რამდენჯერმე (მათ შორის, 1-2 დეკემბრის ღამით) გამოვლინდა აქციის დარბევის დროს სპეცრაზმის მიერ მოქალაქეების ალყაში მოქცევის შემთხვევა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს.
- სამართალდამცავები აქციის მონაწილეების მისამართით დამიზნებით იყენებდნენ აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, მათ შორის, წიწაკის სპრეის. გარდა ამისა, 2024 წლის 2-3 და 3-4 დეკემბრის საპროტესტო აქციებზე გამოვლინდა ცრემლსადენი გაზის გამოყენების წესების დარღვევა.
- პროტესტის მონაწილეებს სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ გამოუვლინდათ ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემები. დაზარალებულები უჩიოდნენ სუნთქვის მწვავე უკმარისობას, ფილტვების ანთებას, ძლიერ ხველას და ხახის გაღიზიანებას. ზოგიერთ მათგანს ჰქონდა ძლიერი თავბრუსხვევა და კოორდინაციის დარღვევები.

C. წამების აკრძალვა

7. 2024 წლის 28 ნოემბრიდან თბილისის საპროტესტო აქციების ჩასახშობად სახელმწიფო სისტემურად მიმართავდა არასათანადო მოპყრობას და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში სახალხო დამცველის აპარატს, ჯამში, იდენტიფიცირებული აქვს 282 სავარაუდო

[20] საია, „სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ“, 2024; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%20(3).pdf [11.02.2025].

არასათანადო მოპყრობის ფაქტი.[21] აქედან 81 შემთხვევა აპარატმა მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე აღრიცხა.[22]

8. დოკუმენტირების ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან. მათი 77.7% (91 რესპონდენტი 117-იდან) მიუთითებს, რომ ისინი დაექვემდებარნენ ძალადობას და არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან, 19 ნოემბერი - 28 იანვრის პერიოდში მიმდინარე პროტესტის კონტექსტში.

9. არსებული მტკიცებულებები და ძალადობის მსხვერპლთა ჩვენებები მიანიშნებს სისტემურ წამებაზე - სასტიკ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე აქციის მონაწილეთა დასაშინებლად და დასასჯელად. ძალადობის მასშტაბი, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის კოორდინირებული ქცევა, წამების მსხვერპლთა ჩვენებების თანხვედრა, სხვადასხვა თარიღში განხორციელებული იდენტური ქმედებები, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობაზე რეაგირების არარსებობა და, ზოგ შემთხვევაში, მისი წახალისება მიუთითებს წამების სისტემურობასა და ამ დანაშაულის ორგანიზებულ ხასიათზე.

10. ანგარიშზე მუშაობის პროცესში წამებასთან მიმართებით შემდეგი ქცევის მოდელები გამოიკვეთა:

    - აქციების დარბევის პარალელურად, როგორც წესი, სპეციალური დანიშნულების რაზმი აქციის მონაწილეებს უსაფუძვლოდ აკავებდა, სცემდა, ხშირად ჯგუფურად, შემდეგ კი გადაჰყავდა პოლიციის კორდონის მიღმა, მედიის კამერებისგან მოშორებით, სადაც ძალადობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდებოდა.

    - ძალადობა, როგორც წესი, გრძელდებოდა სადამსჯელო მიკროავტობუსებში. სპეცრაზმის წევრები, სპეციალური ხელთათმანების საშუალებით, ფეხით, ზოგ შემთხვევაში, კეტით ან სხვა ხელსაწყოს გამოყენებით, ჯგუფურად სცემდნენ მსხვერპლებს.

    - ფიზიკურ ძალადობას, როგორც დაკავების შემდეგ, ისე მიკროავტობუსში, თან ახლდა ნივთების წართმევა, შეურაცხყოფა, დამცირება და მუქარა, მათ შორის, გაუპატიურებით დამუქრება. როგორც წესი, სპეცრაზმელები მსხვერპლებს მიზანმიმართულად ურტყამდნენ თავისა და სახის არეში.

    - მიკროავტობუსში ცემის შემდეგ, რაც, ხშირად, რამდენიმე ეპიზოდად მიმდინარეობდა, მსხვერპლებს გადასცემდნენ საპატრულო ან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც ისინი პოლიციის განყოფილებებში მიჰყავდათ და დაკავების შესახებ ყალბ ოქმებს აფორმებდნენ.

    - ხშირად, ფსიქოლოგიური ძალადობა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობა გრძელდებოდა როგორც ტრანსპორტირების დროს, ასევე პოლიციის განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას თან ახლდა სამთავრობო ნარატივისთვის დამახასიათებელი ანტიევროპული და ჰომოფობიური რიტორიკა.

    - ამასთანავე, ხშირად, უშუალოდ ფიზიკური ძალის გამოყენების გარდა, არასათანადო მოპყრობა ეფუძნებოდა საპოლიციო ძალების მიერ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების პრაქტიკას, რომელიც, მართლწესრიგის აღდგენის ნაცვლად, აქციის მონაწილეთა დასჯის ან დაზიანებისკენ იყო მიმართული.

    - ძალადობის მსხვერპლებს, როგორც წესი, ჩხრეკდნენ და პირად ნივთებს ართმევდნენ, რომელთა დიდი ნაწილი მათთვის არ დაუბრუნებიათ. ***რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საპოლიციო ძალების მიერ ნივთების მოპარვით/წართმევით გამოწვეული ზიანის საერთო ოდენობა, ჯამში, სულ მცირე, 253 470 ლარია.***[23]

11. მსხვერპლთა მიმართ, ფიზიკური ძალადობის პარალელურად, აქტიურად გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგი ფორმები:

    მუქარა - სიცოცხლის მოსპობის, გაუპატიურების, ოჯახის წევრის გაუპატიურების, სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარა;

    დამცირება - გინება, ჰომოფობიური და ანტიევროპული სიძულვილის ენის გამოყენება, დაცინვა, შეფურთხება;

    დაშინება/ტერორიზება - ბნელ მიკროავტობუსში გამოკეტვა და შუქის ჩაქრობა/ანთება, გარედან ბრახუნი; მიკროავტობუსში მოთავსებამდე პირების დაშინება, რომ ახლა ჩასვამდნენ „ჯადოსნურ ავტობუსში“; მსხვერპლებს მიკროავტობუსში ხშირად უწევდათ სხვათა მიმართ ძალადობის ყურება;

[21] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 15 თებერვლის №25/1280 წერილი.
[22] იქვე.
[23] აქედან, გამოკითხული რესპონდენტებისთვის საპოლიციო ძალების მიერ მოპარული/წართმეული ნივთების საერთო ღირებულება, სულ მცირე, 64 800 ლარია. ამასთანავე, ერთ-ერთ რესპონდენტს ტელეფონის წართმევის შემდეგ, icloud-ის გადაყენების გამო, დაახლოებით 68 000 აშშ დოლარის (დაახლოებით 188 670 ლარის) ეკვივალენტის ზიანი მიადგა, რაც კრიპტოვალუტაში არსებული აქტივების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული.

დაბრალება - ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებს შორის საყურადღებოა ისეთი ქმედების დაბრალება, რომელიც აქციის მონაწილეს არ ჩაუდენია, მაგალითად, რესპონდენტთა ნაწილს ცემისას ან ტრანსპორტირებისას აბრალებდნენ, რომ ის პოლიციელებს აგინებდა და ნივთებს ესროდა.

- ცემის, ტრანსპორტირების ან სამართალდამცავი უწყების შენობაში ყოფნის დროს **აქციის მონაწილეებს ხშირად ემუქრებოდნენ გაუპატიურებით, ან სხვაგვარად ახორციელებდნენ მათ მიმართ სექსუალურ შევიწროებას,** რასაც, გარკვეულ შემთხვევებში, თან ახლდა **ჰომოფობიური და ანტიევროპული ნარატივები**.

D. გამოხატვის თავისუფლება

12. მედიის მიმართ ძალადობა სისტემატურად იყო წაქეზებული „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ, რამაც გამოიწვია მტრული და პოლარიზებული გარემო, ასევე, მედიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის სრული დაუსჯელობა.[24] **ანგარიშში დოკუმენტირებულია 108 შემთხვევა.**

13. სამართალდამცავები[25] არა მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ჟურნალისტებს, არამედ მიზანმიმართულად, სასტიკად, ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ მათ. სწორედ მედია და მათი აღჭურვილობა იქცა აგრესიის სამიზნედ, ვინაიდან ისინი იღებდნენ და აშუქებდნენ აქციის მონაწილეების მიმართ განხორციელებული ძალადობის ამსახველ მტკიცებულებებს. გამოვლინდა ჟურნალისტების ცემის, გინების, მუქარის, შევიწროების, სპეციალური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენების,[26] აღჭურვილობის დაზიანების და ჩამორთმევის,[27] დაკავების, პატიმრობის შეფარდების, ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შემთხვევები.[28] სისხლის სამართლის საქმე მიმდინარეობს კრიტიკული ონლაინ მედიის ჟურნალისტის, მზია ამაღლობელის წინააღმდეგ.[29]

14. „ტიტუშკები“,[30] ანუ „ქართული ოცნების“ მთავრობასთან დაკავშირებული პირები გამოიყენებიან ოპოზიციის აქტივისტების, ჟურნალისტების და მომიტინგეების დასაშინებლად და თავდასხმისთვის, ასევე, დაუსჯელად ძალადობრივი ქმედებების განსახორციელებლად, რაც ძირს უთხრის თავისუფალი გამოხატვისა და შეკრების უფლებას.

15. გამკაცრდა კონტროლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე, რომელსაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იყენებს, როგორც სახელმწიფო მედიას სიძულვილის ენისა და დეზინფორმაციის გასავრცელებლად. „იმედი“, „რუსთავი 2“ და „პოს ტვ“, რომლებიც მმართველი პარტიის გავლენის ქვეშ არიან, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ „ქართული ოცნების“ ნარატივების პოპულარიზაციაში, კრიტიკული ხმის გვერდის ავლით და, პირიქით - მათ მიმართ ცრუ, დამაზიანებელი კამპანიის წარმოებით.[31]

16. ამასთანავე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებმა ჟურნალისტებს შეუზღუდეს საქართველოს პარლამენტში მუშაობის შესაძლებლობა. ამ ქმედების მიზანია კრიტიკული მედიის დადუმება და „მსუსხავი ეფექტის“ გავრცელება.

E. თავისუფლების და სამართლიანი სასამართლოს უფლება

17. აქციის მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავება და დევნა 2023 წლიდან ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკად იქცა. 2025 წლის 7 თებერვლის მდგომარეობით, ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო 1600-ზე მეტი პირის წინააღმდეგ.

18. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იურიდიული დახმარების ქსელმა 2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, მიმდინარე პროტესტის კონტექსტში, 1 084 პირის შესახებ მიიღო

---

[24] საია, „საია მოუწოდებს შსს-სა და პროკურატურის უფლებამოსილ ყველა პირს, დაიცვან შეკრების თავისუფლება, ნაცვლად მასში უკანონო ჩარევისა“, 02.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/GYLA%20-calls-%20to%20-protect-%20freedom%20-of%20-assembly [11.02.2025].

[25] BBC, Moment Georgian press attacked by masked men, 08.12.2024; იხ. https://www.bbc.com/news/videos/c07ggrnxx45o [11.02.2025].

[26] „პუბლიკა“, „ანტირუსული აქციის გაშუქების დროს პოლიცია ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდა“, 29.11.2024; იხ. https://publika.ge/aqciis-gashuqebis-dros-policia-djurnalistebs-fizikurad-gausworda/?fbclid=IwY2xjawG2avpleHRuA2FlbQIxMQABHe3I029xY5_m9FQwo7D3HUZm2Cr2y5xufBe9VsDZTHR-YQ-HfwF6dWhyuA_aem_1jmOrB1IWYM0ROT-Lbo05w [11.02.2025].

[27] MFRR, Intimidated, attacked and barred from entering the country: press freedom organizations urge for protection of journalists' rights in Georgia; იხ. https://www.mfrr.eu/intimidated-attacked-and-barred-from-entering-the-country-press-freedom-organizations-urge-for-protection-of-journalists-rights-in-georgia/ [11.02.2025].

[28] Civil Georgia, Georgian Charter of Journalistic Ethics Calls on MIA to Stop Fining Journalists on Duty, 21.02.2025; იხ. https://civil.ge/archives/664671 [11.02.2025].

[29] CPJ, CPJ calls for release, investigation, after two Georgian journalists detained during protests, 17.01.2025; იხ. https://cpj.org/2025/01/cpj-calls-for-release-investigation-of-two-georgian-journalists-detained-during-protests/ [11.02.2025].

[30] საია, „არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის მქონე პირების ხელშეწყობით/მათი თანხმობით მოქმედებენ“, 08.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/araformaluri-sadamsjelo-jgufebi-gyla-ganckhadeba [11.02.2025].

[31] საია, „საია სოლიდარობას უცხადებს ჟურნალისტ ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს და მიიჩნევს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მას საჯარო პოზიციების გამო დევნის“, 05.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/saia-solidarobas-ucxadebs-vasil-ivanov-chikovans [11.02.2025].

ინფორმაცია, რომელთა წინააღმდეგაც ადმინისტრაციული სამართალწარმოება დაიწყო. აქედან 486 პირი იყო დაკავებული.

19. სასამართლოები, როგორც წესი, უსჯიან მათ ადმინისტრაციულ პატიმრობას ან ჯარიმას. დეკემბერსა და თებერვალში დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, გაიზარდა სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად გამოყენებულ ნორმათა სანქციები. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა გაოთხმაგდა და, 15-ის ნაცვლად, 60 დღე დადგინდა, საგრძნობლად გაიზარდა ჯარიმებიც - ზოგიერთი ათჯერაც. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, დაკისრებული ჯარიმების ოდენობა 2 000 000 ლარს (დაახლოებით, 720 835 აშშ დოლარს) აღწევს.[32]

20. ადმინისტრაციული დაკავებები თითქმის ყოველთვის თვითნებურ ხასიათს ატარებდა და დაშინების ერთ-ერთი მექანიზმი იყო. დაკავებულ პირთა შორის მოხვდნენ არასრულწლოვანები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც.

21. სასამართლო პროცესების დაჩქარებულად წარმართვა, დადგენილებების შაბლონური ხასიათი და მტკიცებულებათა არასათანადო შესწავლა სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ სისტემის ინსტრუმენტალიზაციაზე მიუთითებს.

22. აშკარაა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საპროცესო უფლებების უხეში დარღვევა, მათ შორის, დაკავების ვადის თვითნებური გაგრძელება და დაცვის უფლებით სარგებლობისთვის ხელის შეშლა გამოწვეული იყო არა ინსტიტუციური ხარვეზებით, სისტემის გადატვირთულობით ან არაკომპეტენტურობით, არამედ მიზანმიმართულად გამოიყენებოდა, როგორც აქტივისტებზე ზემოქმედების იარაღი და ემსახურება ქვეყანაში პოლიტიკური აზრის შეზღუდვას.

23. რეპრესიების ერთ-ერთი სახეა დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება. სასამართლოში აქტიურად განიხილება/განიხილებოდა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომლებიც უკავშირდება 2024 წლის აპრილ-მაისისა და, შემდგომ, ნოემბერ-დეკემბრის აქციების დროს დაკავებულ აქტივისტებს.

24. საპროტესტო აქტივობებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წესით დაკავებების გამოყენებამ, ფაქტობრივად, მოახდინა მშვიდობიანი პროტესტის კრიმინალიზაცია და შეზღუდა თავისუფალი შეკრება.

25. 2025 წლის თებერვლის მდგომარეობით, 60-ზე მეტ ადამიანს ემუქრება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა. მათგან, 10 პირს[33] ბრალი ედება 2024 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, ხოლო 52 ადამიანს[34] - 2024-2025 წლების ნოემბერ-თებერვლის აქციებთან მიმართებით.

26. მათთვის წაყენებული ბრალდებები, მათ მიმართ გატარებული ღონისძიებები და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა მიანიშნებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანების პოლიტიკურ დევნაზე, რაც საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობას ემსახურება.

F. რეპრესიის სხვა სახეები

27. 2024 წლის დეკემბრის ბოლოდან საჯარო დაწესებულებებში დაიწყო დასაქმებულთა გათავისუფლების მასშტაბური პროცესი. საკადრო გადაწყვეტილებები, მეტწილად, მიიღეს იმ საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ, რომლებმაც 28 ნოემბრის შემდეგ ღიად გამოხატეს თავიანთი სამოქალაქო პოზიცია ქვეყნის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ამ პირთა სამსახურიდან გათავისუფლება ცალსახად შეიცავს პოლიტიკური ნიშნით დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნებს.

28. გათავისუფლების ტალღა ასობით საჯარო მოსამსახურეს შეეხო, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ შემდეგ უწყებებში:

- საქართველოს პარლამენტი
- თბილისის მერია
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- ცენტრალური საარჩევნო კომისია
- სხვა ცენტრალური და ადგილობრივი საბიუჯეტო დაწესებულებები

[32] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის მონაცემები“, 19.03.2025; იხ. https://www.facebook.com/photo?fbid=1073876964784325&set=a.485094683662559 [24.03.2025].

[33] საია, „სასამართლომ რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებული ყველა პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა“, 04.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/gala-rusuli-kanonis-protestis-dros-dakavebulebs-patimroba-miesaja [11.02.2025].

[34] საია, „აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეები“, 09.01.2025; იხ. https://gyla.ge/post/aqciebis-konteqtshi-siskhlis-samartlis-wesit-dakavebulebi [11.02.2025].

29. საჯარო მოსამსახურეებს ათავისუფლებენ ყოველგვარი დასაბუთებისა და გამჭვირვალე პროცედურების გარეშე. საჯარო დაწესებულებები იყენებენ ფორმალურ საფუძვლებს, როგორებიცაა, მაგალითად, რეორგანიზაცია, დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხელშეკრულების ვადის გასვლა, თუმცა რეალური მიზეზი, აშკარად, პოლიტიკური ან განსხვავებული შეხედულებების გავრცელების გამო მათი დევნაა. ზოგ შემთხვევაში, გათავისუფლება საჯარო მოსამსახურეების ოჯახის წევრების პოლიტიკურ საქმიანობასაც უკავშირდებოდა.

30. საჯარო უწყებებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება კიდევ უფრო გამარტივდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებით, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ” დაჩქარებული წესით, 2024 წლის 13 დეკემბერს მიიღო. ცვლილებებით გაუარესდა საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სულისკვეთებას და ნეგატიურად აისახება საჯარო მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობაზე. კვალიფიციური და გამოცდილი მოხელეების უკანონო გათავისუფლება, საჯარო სამსახურში პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერებასთან ერთად, მნიშვნელოვნად დააზიანებს ამ დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას.[35]

31. 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საპროტესტო აქციების დროს, გამოვლინდა იძულებითი გაუჩინარების შემთხვევები. მოქალაქეები უჩინარდებოდნენ აქციებიდან, საცხოვრებელი სახლებიდან ან ავტომობილებიდან. მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახის წევრებისა და ადვოკატებისთვის. მოგვიანებით ირკვეოდა, რომ ისინი კრიმინალურმა პოლიციამ თვითნებურად დააკავა. დაკავების მომენტში მათ არ განემარტებოდათ უფლებები და არ ეძლეოდათ ადვოკატთან დაკავშირების საშუალება.

32. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საპროტესტო მობილიზაციის წინ სამართალდამცავი ორგანოები მიმართავდნენ სამიზნე ჯგუფების - პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო აქტივისტების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეების ჩხრეკას.[36] ჩხრეკები, როგორც წესი, მიმდინარეობდა სასამართლოს ნებართვის გარეშე ან, გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით, კანონით განსაზღვრული დადგენილების წარდგენის გარეშე.

33. საპროტესტო აქციების მიღმა გამოიკვეთა არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებების, ე.წ. „ტიტუშკების” ჟურნალისტებზე, პროტესტის მონაწილეებსა და ოპოზიციურად განწყობილ პირებზე თავდასხმის შემთხვევები, რაც სახელმწიფო ტერორის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

G. სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობა

34. ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების მასშტაბი, მათზე ეფექტიანი რეაგირების ნაკლებობა, მიკერძოებული სასამართლო ხელისუფლება, მაღალჩინოსნების მიერ ძალადობის აშკარა და ღია მხარდაჭერა/წაქეზება, ისევე, როგორც ახალი რეპრესიული საკანონმდებლო ინიციატივები, მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებების შეზღუდვის და პროტესტის ძალადობრივად ჩახშობის მეთოდები სისტემურია და მასში „ქართული ოცნების“ მიერ მიტაცებული ხელისუფლების სამივე შტო მონაწილეობს.

35. დარღვევების გამოძიებები, ძირითადად, არაეფექტიანია,[37] რაც აღვივებს ინსტიტუციურ და ინდივიდუალურ დონეზე დაუსჯელობას და სრულად ანადგურებს ნდობას საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. „ქართული ოცნების“ პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინ ღირსების ორდენებით დააჯილდოვა სპეციალური დანიშნულების რაზმის უფროსი ზვიად ხარაზიშვილი, შსს-ს სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად, რაც აშკარად მიუთითებს სახელმწიფოს მიერ წამებისა და ძალადობრივი მეთოდების მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსმა სოციალურ ქსელში საჯაროდ დაუჭირა მხარი ამ დაჯილდოების ცერემონიას, რაც პირდაპირ გულისხმობს დარღვევების არაეფექტიანი გამოძიების ალბათობას.

36. პოლიტიკური ელიტების მიერ სასამართლო ხელისუფლების მითვისებამ გამოიწვია მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ნაკლებობა. სასამართლოები სულ უფრო მეტად ემსახურებიან „ქართული ოცნების“ ინტერესებს. ამან განაპირობა მიკერძოებული გადაწყვეტილებები, განსაკუთრებით, სამოქალაქო აქტივისტების საქმეებში.

---

[35] სამართლიანი არჩევნები, არალეგიტიმური პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები მკვეთრად აუარესებს საჯარო მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას, 16.12.2024; იხ. https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/aralegitimuri-parlamentis-mier-sadjaro-samsakhuris-shesakheb-saqartvelos-kanonshi-gankhortsielebuli-tsvlilebebi-mkvetrad-auaresebs-sadjaro-mosamsakhureta-uflebriv-mdgomareobas [11.02.2025].

[36] „რადიო თავისუფლება“, „სამოქალაქო აქტივისტებთან ჩხრეკა მიმდინარეობს - სავარაუდოდ, დაკავებულია რამდენიმე პირი“, 01.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33299587.html; [11.02.2025]. „ტაბულა“, „მითხრეს, რომ გაზის შესამოწმებლად იყვნენ, შემოვარდნენ და დაიწყეს ჩხრეკა - ბუზიაშვილი“, 24.10.2025; იხ. https://tabula.ge/ge/news/724711-mitkhres-rom-gazis-shesamocmeblad-iqvnen?redir [11.02.2025]. ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივისტების სახლებში ჩხრეკა „ქართული ოცნების" მხრიდან დაშინების და რეპრესიის პოლიტიკის გაგრძელებაა, 01.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/aktivistebis-sakhlebshi-chkhreka-quot-kartuli-otsnebis-quot-mkhridan-dashinebis-da-represiis-politikis-gagrdzelebaa [11.02.2025]. „ტაბულა“, „სად ჩატარდა ჩხრეკები და ვინ არიან დაკავებულები“, 04.12.2025; იხ. https://tabula.ge/ge/news/726873-sad-chaatarda-chkhrekebi-vin-arian-dakavebulebi [11.02.2025].

[37] საია, „საიამ ეუთოს ვენის მექანიზმის ფარგლებში წერილობითი ინფორმაცია წარადგინა“, 23.01.2025; იხ. https://gyla.ge/post/%20GYLA-OSCE-Vienna [11.02.2025].

37. 2023 წელს შემოღებულ უცხოური გავლენის კანონებს, რომლებიც ფართო პროტესტის შემდეგ გაუქმდა, 2024 წელს მსგავსი კანონის მიღება მოჰყვა. ვენეციის კომისიის მოსაზრებით,[38] ის საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ თავისუფლებებს და სამოქალაქო საზოგადოებას, შესაბამისად, მისი გაუქმება მოითხოვა. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მუდმივი თავდასხმის[39] ქვეშ არიან ამ კანონის რისკების გათვალისწინებით. ეს გულისხმობს მათთვის მაღალი ჯარიმებისა და მძიმე მოთხოვნების დაწესებას, რაც კიდევ უფრო შეზღუდავს მათ საქმიანობასა და დამოუკიდებლობას.

38. მიმდინარეობს განსხვავებული მოსაზრებების მქონე საჯარო მოხელეების წმენდა,[40] რაც განაპირობებს ძალაუფლების ცენტრალიზებას „ქართული ოცნების“ შიგნით და ძირს უთხრის საჯარო სექტორის დამოუკიდებლობას.

39. ზემოაღნიშნული საკითხები დასტურდება სხვადასხვა საერთაშორისო დაინტერესებული მხარის, მათ შორის, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრისა[41] და გაეროს სპეციალური მომხსენებლების დასკვნებით,[42] ასევე, Human Rights Watch-ისა[43] და Amnesty International-ის[44] მიერ.

40. **ვინაიდან საქართველო მზარდი ავტორიტარული ტენდენციების წინაშე დგას, საერთაშორისო აქტორებისთვის აუცილებელია ამ გამოწვევების სწრაფად გადაჭრა, რათა დაიცვან საქართველოს დემოკრატიის მომავალი და ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ ოფიციალური პირები ყოველდღიურად წარადგენენ ახალ კანონპროექტებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ზღუდავს თავისუფლებებს.**

[38] European Commission for Democracy through Law, Urgent Opinion on the Law on Transparency of Foreign Influence, CDL-PI(2024)013, 2024; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-e [11.02.2025].

[39] Civil Georgia, International Reactions to Intimidation, Violence Campaign Against Civil Activists, Opposition Politicians over Foreign Agents Law, 11.05.2025; იხ. https://civil.ge/archives/605261 [11.02.2025].

[40] საია, „საჯარო სამსახურის ბიუროს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში რეპრესიების გაგრძელებაა“, 05.02,2025; იხ. https://gyla.ge/post/sajarosamsaxurisbiuro-likvidacia [11.02.2025].

[41] CoE, Georgia: Protect freedom of assembly and expression, ensure accountability for human rights violations and end stigmatisation of NGOs and LGBTI people, 24.01.2025; იხ. https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgia-protect-freedom-of-assembly-and-expression-ensure-accountability-for-human-rights-violations-and-end-stigmatisation-of-ngos-and-lgbti-people?fbclid=IwY2xjawIQxpRleHRuA2FlbQIxMQABHfnS_gO_o3R39civ-niNgGufJw7wR-FhlW_dtflUKiCiWoRgK9Eu-JyaJQ_aem_IH0DA1DMaIAAgNn5iWUQHQ [11.02.2025].

[42] Ohchr, Georgia must investigate use of force by police during demonstrations: Experts, 28.01.2025; იხ. https://www.ohchr.org/en/press-releases/2025/01/georgia-must-investigate-use-force-police-during-demonstrations-experts?fbclid=IwY2xjawIQs7hleHRuA2FlbQIxMAABHWCrQUtUFvHK_gwgYzOZN8-WErCE6r8R90KCGHB6og31p1x8As0JjZZupg_aem_N9gOHGcCY0UdGFxevnakdw [11.02.2025].

[43] Human Rights Watch, Georgia; იხ. https://www.hrw.org/europe/central-asia/georgia [11.02.2025].

[44] Amnesty International, Georgia; იხ. https://www.amnesty.org/en/location/europe-and-central-asia/eastern-europe-and-central-asia/georgia/ [11.02.2025].

I. მეთოდოლოგია და მტკიცების სტანდარტი

წარმოდგენილი ანგარიში მომზადებულია ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. დოკუმენტი ეფუძნება ინფორმაციასა და მტკიცებულებებს, რომლებიც ავტორებმა მოიპოვეს საჯარო წყაროებიდან, ინტერვიუებიდან და საქმის მასალებიდან.

IRCT-ის, IFEG-ის, Berekely Public health-ისა და Omega Research Foundation-ის მიერ შემუშავებულ კითხვარზე - „პროტესტისა და დაკავების დროს ძალის გადამეტებული გამოყენების, არასათანადო მოპყრობის, წამების დოკუმენტირებისა და შეტყობინების ფორმა“ - დაყრდნობით, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, მომზადდა ნახევრად სტრუქტურირებული, სიღრმისეული კითხვარი. ამ კითხვარის მიხედვით, ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან, რომლებიც 19 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში ან მიმდინარე პროტესტის კონტექსტში დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას ან ძალადობას. ინტერვიუებიდან მიღებული მიგნებები, მტკიცებულების სახით, გამყარებულია, მათ შორის, ფოტო/ვიდეო მასალით და სამედიცინო დოკუმენტაციით. ანგარიშის დანართში (იხ. დანართი 1) აღრიცხულია რესპონდენტების სქესი და თითოეული მათგანის მიერ მოწოდებული მტკიცებულებების ტიპები (ვიდეომასალა, ფოტომასალა, სამედიცინო და სასამართლო დოკუმენტაცია).

ასევე, ჩატარდა ფოკუსჯგუფი ადვოკატებთან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით. 21 წერილი გაიგზავნა 10 უწყებაში, ესენია: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმის საქალაქო სასამართლოები, ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (გაგზავნილი წერილები და უწყებებიდან მიღებული პასუხები იხილეთ დანართ 2-ში).

ანგარიში ემყარება გადამოწმებულ ინფორმაციას, რომელიც მოპოვებულია სანდო და საიმედო წყაროებიდან. დოკუმენტში მონაცემები აისახა მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ არსებობდა მათი დამაჯერებლობის გონივრული საფუძველი.

II. ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევები

1. შეკრების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით განსაზღვრულ იმ ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა საფუძველზეც, შესაძლოა, შეიზღუდოს მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, არ უნდა მიეცეს ფართო ინტერპრეტაცია.[45] ამ რისკებს სასამართლო განსაკუთრებით „მართლწესრიგის დარღვევის აღკვეთის" მიზანთან მიმართებით ხედავს, რომელიც, მისი შეფასებით, ხელისუფლების ორგანოების მიერ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მითითებული საფუძველია მშვიდობიანი შეკრების უფლების შეზღუდვისას.[46]

საჯარო შეკრება პროტესტის გამოხატვის გავრცელებული ფორმაა, შესაბამისად, საპროტესტო აქციაზე სახელმწიფოს ნებისმიერი მოქმედება, პირველ ყოვლისა, შეკრების უფლებაში ჩარევად განიხილება. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება აღიარებულია, როგორც დემოკრატიული, ტოლერანტული და პლურალისტური საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველი და განიხილება ფუნდამენტურ უფლებად ადამიანის უფლებათა რამდენიმე ძირითადი დოკუმენტით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, ბავშვის უფლებათა კონვენციითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციით.[47]

წინამდებარე თავი აღწერს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში 2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროტესტის ქრონოლოგიას, დარბევის მეთოდებსა და ტენდენციებს, აფასებს მშვიდობიანი მანიფესტაციის შეწყვეტის კანონიერებას, აგრეთვე, აჯამებს აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებისას საკანონმდებლო მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის კონკრეტულ მაგალითებს და ამ საშუალებების გამოყენების თანმდევ ეფექტებს.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში შეკრების უფლებასთან მიმართებით შემდეგი მიგნებები გამოიკვეთა:

- 2024 წლის 28 ნოემბრიდან, 10-დღიან ინტერვალში, საპოლიციო ძალებმა მანიფესტაცია 7-ჯერ დაარბიეს: 28-29 ნოემბრის, 29-30 ნოემბრის, 30 ნოემბრის-1-ლი დეკემბრის, 1-2 დეკემბრის, 2-3 დეკემბრის, 3-4 დეკემბრისა და 6-7 დეკემბრის ღამეს.
- შეუძლებელი იყო აქციების დარბევაში მონაწილე სამართალდამცავთა (განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები) ამოცნობა, ვინაიდან არცერთ მათგანს არ ჰქონდა რაიმე ტიპის საიდენტიფიკაციო ნომერი. სამართალდამცავების ნაწილი იყენებდა სამედიცინო პირბადეს ან შავ ნიღაბს.
- დარბევას, როგორც წესი, წინ უსწრებდა საპოლიციო ძალების დიდი კონცენტრაცია პარლამენტის მიმდებარე ქუჩების დასაწყისში, რა დროსაც მოქალაქეები სამართალდამცავების პირისპირ იყვნენ განლაგებულნი. კომუნიკაციისას, საპოლიციო ძალების წარმომადგენლები სიტყვიერად უპირისპირდებოდნენ მოქალაქეებს და იწვევდნენ მათ პროვოცირებას.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ასაჯაროებს ინფორმაციას პროტესტის კონკრეტულ დღეებში გამოყენებული სპეციალური საშუალებებისა და გამოყვანილი საპოლიციო დანაყოფების შესახებ.
- პროტესტის დარბევის შვიდი დღიდან ოთხი დღის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრო რუსთაველის გამზირზე იყენებდა სამ ან მეტ აქტიურ სპეციალურ საშუალებას (წყალსატყორცნი, წიწაკის სპრეი, ცრემლსადენი გაზი და, ზოგიერთ შემთხვევაში, რეზინის ტყვია).
- პროტესტის დარბევის შვიდი დღიდან ექვს შემთხვევაში რუსთაველის გამზირზე აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე პროტესტის ადგილზე წინასწარი გაფრთხილება არ გაჟღერებულა. ერთადერთ გამონაკლისი იყო 6-7 დეკემბრის ღამე, როდესაც გაფრთხილება წინ უძღოდა დარბევას. ამ შემთხვევაში, დაცული არ იყო გაფრთხილების შემდეგ აქციის მონაწილეებისთვის გონივრული ვადის (მინიმუმ 30 წუთი) განსაზღვრის მოთხოვნა.
- რუსთაველის გამზირზე ტექნიკური საშუალებით გამოცხადებული გაფრთხილების სტანდარტული ტექსტი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან არ განმარტავს, რა გახდა აქციის დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, ასევე, არ შეიცავს ინფორმაციას ტერიტორიის დასატოვებლად გონივრული დროის განსაზღვრისა და მარშრუტის თაობაზე.

[45] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Navalnyy v. Russia, პარ. 137.

[46] European Court of Human Rights, Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights, 2024, პარ. 61; იხ. https://ks.echr.coe.int/documents/d/echr-ks/guide_art_11_eng [11.02.2025].

[47] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, დაჩქარებული დასკვნა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონში და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატანი ცვლილებების შესახებ, 2023, 10.

- 2024 წლის 28 ნოემბერი - 8 დეკემბრის პერიოდში რამდენჯერმე (მათ შორის, 1-2 დეკემბრის ღამით) გამოვლინდა აქციის დარბევის დროს სპეცრაზმის მიერ მოქალაქეების ალყაში მოქცევის შემთხვევა, რაც ეწინააღმდეგება კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს.
- სამართალდამცავები აქციის მონაწილეთა მისამართით დამიზნებით იყენებდნენ აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, მათ შორის, წიწაკის სპრეის. გარდა ამისა, 2024 წლის 2-3 და 3-4 დეკემბრის საპროტესტო აქციებზე გამოვლინდა ცრემლსადენი გაზის გამოყენების წესების დარღვევა.
- პროტესტის მონაწილეებს სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ გამოუვლინდათ ჯანმრთელობის გრძელვადიანი პრობლემები. დაზარალებულები უჩიოდნენ სუნთქვის მწვავე უკმარისობას, ფილტვების ანთებას, ძლიერ ხველას და ხახის გაღიზიანებას, ზოგიერთ მათგანს ჰქონდა ძლიერი თავბრუსხვევა და კოორდინაციის დარღვევები.

1.1. პროტესტის ქრონოლოგია და დარბევის ძირითადი მეთოდები

საქართველოში უწყვეტი პროტესტი 2024 წლის 28 ნოემბერს დაიწყო. მოქალაქეები იკრიბებოდნენ როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში. მოვლენათა ეპიცენტრი რუსთაველის გამზირი და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია იყო.

ყოველდღიურად, დემონსტრანტები რუსთაველის გამზირზე დაახლოებით 19:00 საათიდან იკრიბებოდნენ (ანგარიშის მომზადების დროისთვის, უწყვეტი ყოველდღიური პროტესტი ისევ მიმდინარეობს). ტერიტორია, რომელსაც დემონსტრანტები იკავებდნენ, იცვლებოდა მათი რაოდენობის შესაბამისად: მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან (ეროვნული სასახლე)[48] ეროვნულ გალერეამდე,[49] რუსთაველის[50] ან ოპერისა და ბალეტის თეატრებამდე[51] *(იხ. საილუსტრაციო ფოტო 1).* გარდა რუსთაველის გამზირისა, აქციის მონაწილეები იკავებდნენ პარლამენტის გვერდითა შესასვლელების ტერიტორიას, 9 აპრილისა[52] და ზაქარია ჭიჭინაძის ქუჩებს,[53] ზოგიერთ დღეს, ასევე, ზურაბ ჟვანიას (ძმები ზუბალაშვილების)[54] ქუჩის ნაწილს, პარლამენტის უკანა შესასვლელის მიმდებარედ *(იხ. საილუსტრაციო ფოტო 2).*

[48] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/National+Youth+Palace/@41.6990064,44.7919887,16z/data=!4m6!3m5!1s0x40440ce61faf45f1:0x9c6243cac0e19327!8m2!3d41.696148!4d44.7990757!16s%2Fg%2F11cnc9xfbw?entry=ttu&g_ep=EgoyMDI1MDQyMi4wIKXMDSoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[49] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/National+Gallery/@41.6990064,44.7919887,16.04z/data=!4m6!3m5!1s0x40440ce7caba82b3:0xb9dddbb2bac3b0b3!8m2!3d41.698326!4d44.7987444!16s%2Fg%2F11hzhvzvdd?entry=tts&g_ep=EgoyMDI1MDIwNS4xIPu8ASoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[50] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/Rustaveli+National+Theater/@41.6995399,44.7967583,19z/data=!3m1!4b1!4m6!3m5!1s0x40440ce604b3aa73:0xcf37da10aa05e5d7!8m2!3d41.6995399!4d44.797402!16s%2Fm%2F02vs3kw?entry=tts&g_ep=EgoyMDI1MDIwNS4xIPu8ASoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[51] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/Opera+and+Ballet+Theater+of+Tbilisi/@41.7009135,44.7952532,19z/data=!4m6!3m5!1s0x40440cdda1d2d4d7:0xe30fd49502a2dd79!8m2!3d41.7008441!4d44.7959037!16s%2Fm%2F03ycnny?entry=ttu&g_ep=EgoyMDI1MDQyMi4wIKXMDSoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[52] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/9+Aprili+St,+T'bilisi/@41.6961237,44.797949,17z/data=!3m1!4b1!4m6!3m5!1s0x40440ce8c7432c83:0xb74576428ff9e74b!8m2!3d41.6961237!4d44.797949!16s%2Fg%2F11gz69006?entry=ttu&g_ep=EgoyMDI1MDQyMi4wIKXMDSoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[53] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/Zakaria+Chichinadze+St,+T'bilisi/@41.6971234,44.7978209,17z/data=!3m1!4b1!4m6!3m5!1s0x40440ce89cb21d15:0x839599ed1cc87c86!8m2!3d41.6971234!4d44.7978209!16s%2Fg%2F11gz6dl8s?entry=ttu&g_ep=EgoyMDI1MDQyMi4wIKXMDSoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].
[54] ადგილმდებარეობა იხ.
https://www.google.com/maps/place/Dzmebi+Zubalashvilebi+St,+T'bilisi/@41.6995713,44.793927,19.25z/data=!4m6!3m5!1s0x40440cdd36c6d533:0xcaa43c58e04472fd!8m2!3d41.6992185!4d44.7945089!16s%2Fg%2F11h2g23s97?entry=ttu&g_ep=EgoyMDI1MDQyMi4wIKXMDSoASAFQAw%3D%3D [11.02.2025].

საილუსტრაციო ფოტო 1: მოქალაქეების შეკრების ადგილი რუსთაველის გამზირზე



(რუსთაველის გამზირი, „ინტერპრესნიუსი“, 29.11.24-ის აქცია, 22:00 საათისთვის)[55]

საილუსტრაციო ფოტო 2: მოქალაქეების შეკრების ადგილი ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქუჩებზე

პროტესტის საპასუხოდ, სხვადასხვა ტერიტორიას იკავებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) საპოლიციო ძალებიც. საჯარო წყაროების მიხედვით, მათი მობილიზაციისთვის რამდენიმე ლოკაცია გამოიყენებოდა:

1. **თავისუფლების მოედანი, სადაც, როგორც წესი, ტერიტორიას სრულად იკავებდა შსს-ის სპეციალური ტექნიკა, სატრანსპორტო საშუალებები და სამართალდამცავთა დიდი ნაკადი;**[56]

---

[55] INTERPRESSNEWS, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=966743835485613&set=pb.100064500168110.-2207520000 [11.02.2025].

[56] მაგალითისთვის, იხ. 2025 წლის 30 ნოემბრის ვიდეო.
„ფორმულა“, „თავისუფლების მოედანზე საპოლიციო ძალების მობილიზებაა“, 30.11.2024; იხ. https://formulanews.ge/all_videos/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%90/120809 [11.02.2025].

2. **საქართველოს პარლამენტის შენობა და მისი შიდა ეზო, სადაც ხშირად განლაგებული იყო შსს-ს სხვადასხვა დეპარტამენტის ძალები და სპეციალური ტექნიკა;**[57]

3. **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობა და მისი ეზო, სადაც, როგორც წესი, ასევე მობილიზებული იყო სამართალდამცავების ნაწილი.**[58]

1.1.1. აქციების დარბევაში ჩართული საპოლიციო ძალები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის (გდდ) ამოცანაა.[59] მისი უფლებამოსილებაა, საჭიროებისამებრ, სპეციალური საშუალებების გამოყენებით, მართლწესრიგის აღდგენაც.[60] დებულების თანახმად, მსგავს ღონისძიებაში შემდეგი სტრუქტურული ერთეულები არიან ჩართულნი:

1. მართლწესრიგისა და მასობრივი ღონისძიებების უსაფრთხოების დაცვის მთავარი სამმართველო;[61]
2. სპეციალური ოპერაციების მთავარი სამმართველო;[62]
3. I, II, III და IV სამმართველოები და მათში შემავალი სპეციალური დანიშნულების დანაყოფები.[63]

აღსანიშნავია, რომ **<u>შსს არ გასცემს ინფორმაციას</u>** იმის შესახებ, კონკრეტულად რომელი დანაყოფები მონაწილეობდნენ დემონსტრანტთა დარბევაში.[64] უცნობია როგორც მათი რაოდენობა, ისე რეგიონული თუ შიდასტრუქტურული წარმომადგენლობა. თუმცა, საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან შესაძლებელია გარკვეული ძალების იდენტიფიცირება.

აქციების დარბევაში, სავარაუდოდ, მონაწილეობდა შსს-ს მინიმუმ სამი სტრუქტურული ერთეული:

1. საპატრულო პოლიცია;
2. ცენტრალური კრიმინალური პოლიცია (კრიმპოლი);
3. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი (გდდ).

მედიაში გავრცელებული კადრებითა და სამართალდამცავების აღჭურვილობით, შესაძლებელია ზოგიერთი მათგანის ერთმანეთისგან ვიზუალურად გამიჯვნა:

- საპატრულო[65] და კრიმინალური პოლიციის[66] თანამშრომლები, როგორც წესი, ატარებდნენ კანონმდებლობით მათთვის განკუთვნილ სამსახურებრივ ფორმებს.

---

[57] მაგალითისთვის, იხ. 2025 წლის 2 დეკემბრის ვიდეო.
„ფორმულა“, „პარლამენტის შიდა ტერიტორიიდან შსს-მ წყლის ჭავლი გამოიყენა“, 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=2598820266967877 [11.02.2025].
[58] მაგალითისთვის, იხ. 2025 წლის 29 ნოემბრის ვიდეო.
„ტვ პირველი“, „სამართალდამცველების საგანგებო მობილიზება“, 29.11.2025; იხ. https://www.youtube.com/watch?v=3brghwWzvbw [11.02.2025].
[59] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1-ლი აპრილის №30 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულება“, მე-4 მუხლის „დ“ პუნქტი.
[60] იქვე, მე-5 მუხლის „ბ“ პუნქტი.
[61] იქვე, მე-14[1] მუხლის „ბ“ პუნქტი.
[62] იქვე, მე-15[1] მუხლის „თ“ პუნქტი.
[63] იქვე, მე-16 და მე-17 მუხლების „ბ“ პუნქტები.
[64] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 17 დეკემბრის №MIA 7 24 03825693 წერილი.
[65] მაგალითისთვის, იხ. ფოტო. INTERPRESSNEWS, 06.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=971652821661381&set=pb.100064500168110.-2207520000&type=3 [11.02.2025].
[66] მაგალითისთვის, იხ. ფოტო. „პუბლიკა“, 04.02.2025; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=1363729858359894&set=pb.100041686795244.-2207520000&type=3, [11.02.2025].

საილუსტრაციო ფოტოები 3 და 4:

- გდდ-ის შემთხვევაში, შესაძლებელია თანამშრომელთა ორ პირობით ჯგუფად დაყოფა: ე.წ. რობოკოპები[67] და ე.წ. „მორბენალი/დამკავებელი ჯგუფები“.[68] ისინი წარმოადგენდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმს (სპეცრაზმი) და აღჭურვილნი იყვნენ პასიური სპეციალური ეკიპირებით, მათ შორის, ჩაფხუტებით, ფარებით, აირწინაღებითა და თავდაცვის სხვა საშუალებებით.

საილუსტრაციო ფოტოები 5 და 6:

უნდა აღინიშნოს, რომ აქციების დარბევაში მონაწილე არცერთი სამართალდამცავი არ იყო იდენტიფიცირებადი. გდდ-ის შემთხვევაში, თანამშრომლებს არ ჰქონდათ რაიმე ტიპის საიდენტიფიკაციო ნომერი, ხოლო საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტები იყენებდნენ სამედიცინო პირბადეს ან შავ ნიღაბს

[67] მაგალითისთვის, იხ. ფოტო. INTERPRESSNEWS, 04.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=969642281862435&set=pb.100064500168110.-2207520000&type=3 [11.02.2025].
[68] მაგალითისთვის, იხ. ფოტო. INTERPRESSNEWS, 07.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=971808758312454&set=pb.100064500168110.-2207520000&type=3 [11.02.2025].

(ე.წ. ბალაკლავას). სხვა ამომცნობი ნიშანი არც მათ ჰქონდათ. შესაბამისად, მათი იდენტიფიცირება შესაძლებელი არცერთ ეტაპზე არ ყოფილა.

1.1.2. საპოლიციო ძალების ქცევის ძირითადი ტენდენციები

სამართალდამცავები პროტესტის ეპიცენტრში ეტაპობრივად გამოჰყავდათ. ძირითადი ტერიტორიები, რომლებსაც ისინი ფიზიკურად იკავებდნენ, შემდეგია:

- ზურაბ ჟვანიას ქუჩა - საქართველოს პარლამენტის უკანა შესასვლელი;[69]
- 9 აპრილის ქუჩა - საქართველოს პარლამენტის გვერდითა შესასვლელი;[70]
- ზაქარია ჭიჭინაძის ქუჩა - პარლამენტის კიდევ ერთი გვერდითა შესასვლელი.
- დამატებითი საპოლიციო ძალები მობილიზებულნი იყვნენ თავისუფლების მოედანზე.[71]

ისინი პარლამენტის გარშემო განლაგდებოდნენ იმგვარად, რომ შეუძლებელი იყო საკანონმდებლო ორგანოსთან მიახლოება (გარდა მისი წინა ნაწილისა). პარლამენტის წინა შესასვლელი შემოღობილი იყო რკინის დროებითი კონსტრუქციით.[72]

საილუსტრაციო ფოტო 7:

[69] მაგალითისთვის, იხ. 2024 წლის 29 ნოემბრის ფოტო.
INTERPRESSNEWS, პარლამენტის შენობის უკანა პერიმეტრზე ვითარება დაიძაბა - სპეცრაზმი აქციის მონაწილეებს აფრთხილებს, დაიცვან წესრიგი, 29.11.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/822371-parlamentis-shenobis-ukana-perimetrze-vitareba-daizaba-specrazmi-akciis-monacileebs-aprtxilebs-daicvan-cesrigi/ [11.02.2025].

[70] მაგალითისთვის, იხ. 2024 წლის 29 ნოემბრის ვიდეო.
„პუბლიკა“, „სიტუაცია 9 აპრილის ქუჩაზე. სპეცრაზმი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლს იყენებს“, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=548931407991845 [11.02.2025].

[71] მაგალითისთვის, იხ. 2024 წლის 30 ნოემბრის ვიდეო.
„ფორმულა“, „თავისუფლების მოედანზე საპოლიციო ძალების მობილიზებაა“, 30.11.2024; იხ.
https://formulanews.ge/all_videos/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%90/120809 [11.02.2025].

[72] მაგალითისთვის, იხ. 2024 წლის 28 ნოემბრის ფოტო.
EURONEWS GEORGIA, 28 ნოემბერი. გვიანი ღამე. საპროტესტო აქცია რუსთაველის გამზირზე, 28.11.2024; იხ.
https://www.facebook.com/photo/?fbid=971879614961176&set=a.383632900452520&locale=nn_NO [11.02.2025].

საილუსტრაციო ფოტო 8:

(9 აპრილის ქუჩა, „მაუწყებელი“, 29.11.24-ის აქცია)[73]

საილუსტრაციო ფოტო 9:

(ზაქარია ჭიჭინაძის ქუჩა, „მაუწყებელი“, 28.11.24-ის აქცია)[74]

[73] „მაუწყებელი“, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=1159242616201190&set=pb.100063463873729.-2207520000&type=3 [11.02.2025].
[74] „მაუწყებელი“, 28.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=1158413816284070&set=pb.100063463873729.-2207520000&type=3 [11.02.2025].

საილუსტრაციო ფოტო 10:

(ჟვანიას ქუჩა (პარლამენტის უკანა შესასვლელი), „აპრილი“, 30.11.24-ის აქცია)[75]

საილუსტრაციო ფოტო 12:

(თავისუფლების მოედანი, „ინტერპრესნიუსი“, 29.11.24-ის აქცია)[76]

[75] „აპრილი“, 30.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=461470093628739&set=pb.100092972560741.-2207520000&type=3 [11.02.2025].
[76] INTERPRESSNEWS, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=966754015484595&set=pb.100064500168110.-2207520000 [11.02.2025].

სამართალდამცავთა მობილიზება არ იყო დამოკიდებული საპროტესტო აქციის მიმდინარეობაზე. შეკრების მომენტიდანვე შსს-ის საპოლიციო ძალები იკავებდნენ დასახელებულ ტერიტორიებს და დემონსტრანტებს პარლამენტის შენობასთან მიახლოებას უზღუდავდნენ. როგორც წესი, მზადყოფნაში იყო სპეცრაზმი, ასევე სპეციალური ტექნიკა - წყლის ჭავლის რამდენიმე მანქანა და ხმის გამაძლიერებელი მოწყობილობები.

თავდაპირველად, ქუჩებს იკავებდა საპატრულო და კრიმინალური პოლიცია, ხოლო დარბევის დაწყებისას წინა ხაზზე ინაცვლებდა გდდ-ის სპეცრაზმი. „რობოკოპები“, მეტწილად, სტატიკურ ფუნქციას ითავსებდნენ - განლაგდებოდნენ მწკრივში, კორდონის პირველ ხაზში.

„მორბენალი/დამკავებელი ჯგუფები“, როგორც წესი, **აღჭურვილნი იყვნენ ცრემლსადენი გაზის კაფსულის სატყორცნი იარაღით, წიწაკის გაზით (სპრეით)** და განლაგდებოდნენ „რობოკოპების“ მწკრივების ფლანგებზე. მათი ძირითადი დანიშნულება იყო ცრემლსადენი გაზის, წიწაკის სპრეის გამოყენება და, ამის პარალელურად, მოქალაქეთა დევნა მათი დაკავების მიზნით.[77] ეს ჯგუფები ფიგურირებენ დაკავებული მოქალაქეების სავარაუდო ცემის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში *(იხ. თავი 2, არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით).* „რობოკოპების“ კორდონის უკან გადაადგილდებოდა ხმის გამაძლიერებელი, ასევე წყალსატყორცნი (ე.წ. წყლის ჭავლის მანქანა) და სახანძრო მანქანა.

საილუსტრაციო ფოტო 13:

(რუსთაველის გამზირი (ეროვნული გალერეა), „მაუწყებელი“, 02.12.24-ის აქცია)[78]

1.1.3. ნოემბერ-დეკემბრის აქციების დარბევის ძირითადი ქრონოლოგია

აქციების დარბევის ქრონოლოგიის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ ღიად ხელმისაწვდომი წყაროებით, როგორებიცაა, სხვადასხვა მედიის პირდაპირი ეთერი პროტესტის სხვადასხვა ლოკაციიდან.[79] მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლების აღსაწერად ასევე გამოყენებულია შსს-სა და სახალხო დამცველის განცხადებები,

[77] მაგალითისთვის, იხ. 2024 წლის 2 დეკემბრის ვიდეო. „მაუწყებელი“, 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/reel/1817776162328880 [11.02.2025].

[78] „მაუწყებელი“, 03.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=1162099559248829&set=pb.100063463873729.-2207520000&type=3 [11.02.2025].

[79] შენიშვნა: ანგარიშის მიზნებისთვის, გაანალიზებულია ტელეკომპანიების - „პირველი“, „ფორმულა“ და „მთავარი არხი“ - უწყვეტი პირდაპირი ეთერის კადრები. ასევე, ონლაინ გამოცემების - „პუბლიკა“, „მაუწყებელი“, „ინტერპრესნიუსი“, „აპრილი“, „რადიო თავისუფლება“, „ნეტგაზეთი“, „ევრონიუსი“ - ფოტო/ვიდეო მასალა. აღსანიშნავია, რომ ტელეკომპანიების - „იმედი“, „რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“, „პოს ტვ“ - კადრების მეშვეობით, შეუძლებელია მოვლენათა ქრონოლოგიის ზუსტი აღდგენა, რადგან გადაღება ფრაგმენტულია, მოვლენათა ეპიცენტრში, ხშირად არ მიმდინარეობს და სრულად არ ასახავს საპოლიციო ძალების მიერ ჩატარებულ ღონისძიებას.

აქტივისტებისა და ჟურნალისტების ინტერვიუები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მყისიერი შეფასებები.

28 ნოემბრიდან 7 თებერვლის ჩათვლით პერიოდში შსს-მ დემონსტრაციები, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებით, 10-დღიან ინტერვალში, 7-ჯერ დაარბია (28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე):[80]

1. 2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამე;
2. 2024 წლის 29-30 ნოემბრის ღამე;
3. 2024 წლის 30 ნოემბრის-1-ლი დეკემბრის ღამე;
4. 2024 წლის 1-2 დეკემბრის ღამე;
5. 2024 წლის 2-3 დეკემბრის ღამე;
6. 2024 წლის 3-4 დეკემბრის ღამე;
7. 2024 წლის 6-7 დეკემბრის ღამე.

აქციის დარბევის თითოეული დღის ანალიზით შესაძლებელია იმ მეთოდების იდენტიფიცირება, რომლებსაც შსს დემონსტრანტების წინააღმდეგ იყენებდა. აღსანიშნავია, რომ მეთოდები დარბევის თითქმის ყველა ეპიზოდში ქცევის ერთ მოდელს იმეორებდა, ზოგ შემთხვევაში - სიმძიმეებს შორის სხვაობით. კონკრეტულად:

- დარბევას, ხშირად, წინ უსწრებდა საპოლიციო ძალების დიდი კონცენტრაცია პარლამენტის მიმდებარედ - ზაქარია ჭიჭინაძისა და 9 აპრილის ქუჩების დასაწყისში, რა დროსაც, მოქალაქეები სამართალდამცავების პირისპირ იყვნენ. კომუნიკაციისას, საპოლიციო ძალების წარმომადგენლები, ხშირად, სიტყვიერად უპირისპირდებოდნენ მოქალაქეებს და იწვევდნენ მათ პროვოცირებას.
- ზოგიერთ შემთხვევაში, ამორჩევით, უკანონოდ აკავებდნენ დემონსტრანტებს, ან მათ წინააღმდეგ უსაფუძვლოდ და წესების დარღვევით იყენებდნენ ისეთ აქტიურ სპეციალურ საშუალებებს, როგორიცაა წიწაკის სპრეი.[81]
- ზოგ შემთხვევაში, პოლიციის კორდონი საფუძვლის გარეშე აწვებოდა აქციის მონაწილეებს და ცდილობდა რუსთაველის გამზირის მიმართულებით მათ გადაწევას, რაც, ხშირად, მოქალაქეთა დიდი რაოდენობის გამო, აქციის უკანა რიგებში ჭყლეტას იწვევდა.
- ეს დაძაბულობა კონკრეტულ ტერიტორიაზე რამდენიმე საათის განმავლობაში გრძელდებოდა, რასაც თან ახლდა მოქალაქეთა ძალისმიერი და მიზნობრივი დაკავება, ასევე, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების გამო, როგორც აქციის მონაწილეების, ისე მედიის წარმომადგენელთა დაშავება.
- დაახლოებით, 23:00 საათის შემდეგ შსს იღებდა გადაწყვეტილებას აქციის დაშლის შესახებ, რასაც პროტესტის ძალადობრივი ხასიათით ხსნიდა.
- ამის შემდეგ იწყებოდა აქციის დარბევა. როგორც წესი, სპეციალური საშუალებების გამოყენებას ხმის გამაძლიერებლით **დემონსტრანტთა გაფრთხილებამდე** 1 ან 2 საათით ადრე იწყებდნენ, შსს კი, მოგვიანებით, განცხადებას ავრცელებდა და ამგვარ ქცევას „მონაწილეთა ნაწილის ძალადობრივი ქმედებებით“ ხსნიდა.[82]
- ადგილზე დემონსტრანტებს უშუალოდ მაშინ აფრთხილებდნენ, როდესაც სპეცრაზმი - წყლის ჭავლის გამოყენებას, ხოლო „რობოკოპები“ აქციის მონაწილეთა მიმართულებით გადაადგილებას იწყებდნენ.
- **მიუხედავად ამ ტენდენციისა, ზოგიერთ დღეს, მაგალითად, 1-ელ და 2 დეკემბერს წყლის ჭავლი, ფაქტობრივად, მანიფესტაციის დაწყებისთანავე, ყოველგვარი საფუძვლისა და გაფრთხილების გარეშე გამოიყენებოდა.**
- აღსანიშნავია, რომ აქციის დარბევა გაფრთხილებიდან დაახლოებით 2-5 წუთის ინტერვალში იწყებოდა, რაც უკიდურესად პრობლემურია. პირველ ყოვლისა, დარბევის შესახებ ინფორმაცია ვერ აღწევდა

[80] საპოლიციო ძალებმა აქციები დაარბიეს 2024 წლის 28, 29, 30 ნოემბერს, 1, 2, 3 და 6 დეკემბერს.
[81] მაგალითისთვის, იხ. ონლაინ მედია „მაუწყებლის“ დრონის კადრები 2024 წლის 28-29 ნოემბრის აქციიდან. „მაუწყებელი“; იხ. https://www.facebook.com/reel/926549158958720 [11.02.2025].
[82] მაგალითისთვის, იხ. შსს-ს 2024 წლის 29 ნოემბრის განცხადება.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 29.11.2025; იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16474 [11.02.2025].

პროტესტის ძირითად მასამდე, რომელიც რუსთაველის გამზირს იკავებდა, ხოლო სამართალდამცავების პირისპირ მყოფი მოქალაქეები ვერ ასწრებდნენ უკან დახევას, რის გამოც, სპეციალური საშუალებების პირდაპირი სამიზნეები ხდებოდნენ.

საპოლიციო ღონისძიება, როგორც წესი, იწყებოდა ჭიჭინაძის ქუჩაზე (პარლამენტის უკანა ან გვერდითა შესასვლელთან) ან 9 აპრილის ქუჩაზე. თავდაპირველად, გამოიყენებოდა წყლის ჭავლი. პარალელურად, მობილიზაციას იწყებდა საპოლიციო ძალების ის ჯგუფი, რომელიც თავისუფლების მოედანზე იყო განლაგებული. მას შემდეგ, რაც, აქტიური საშუალებების გამოყენების შედეგად, მოქალაქეებისგან პარლამენტის წინ არსებული ტერიტორია გათავისუფლდებოდა, სხვადასხვა ჯგუფი ერთიანდებოდა და პროტესტის მონაწილეთა მიმართულებით ტერიტორიას სრულად იკავებდნენ „რობოკოპები“, „მორბენალი ჯგუფები“ და სპეციალური ტექნიკა.

საპოლიციო ღონისძიება, საშუალოდ, 4-7 საათის განმავლობაში გრძელდებოდა. დაახლოებით 45-70 წუთში ერთხელ, შსს-ს თანამშრომლები ერთდროულად იყენებდნენ მინიმუმ ორ აქტიურ სპეციალურ საშუალებას - წყალსატყორცნსა და ცრემლსადენ გაზს.

ამის პარალელურად, ძირითად კორდონს გამოეყოფოდნენ „დამკავებელი ჯგუფები“, რომლებიც დემონსტრანტებს დაკავების მიზნით დაედევნებოდნენ, ასევე, ხშირ შემთხვევაში, ფიზიკურად ძალადობდნენ მათზე *(იხ. თავი 2).* მოქალაქეების დევნა გრძელდებოდა მანამ, სანამ რუსთაველის გამზირი[83] სრულად არ გათავისუფლდებოდა აქციის მონაწილეებისგან. ამ პროცესში „მორბენალი ჯგუფები“ მოქალაქეებს მისდევდნენ და აკავებდნენ, მათ შორის, აფთიაქში, მეტროსადგურსა თუ სხვა მიმდებარე ადგილებში. საპოლიციო ღონისძიება, დაახლოებით, დილის 06:00-იდან 08:00 საათამდე გრძელდებოდა, რის შემდეგაც სამართალდამცავები და სპეციალური ტექნიკა ტერიტორიას ეტაპობრივად ტოვებდა.

საპოლიციო ძალების მიერ მანიფესტაციის დარბევის ქრონოლოგია							
თარიღი	**28.11**	**29.11**	**30.11**	**01.12**	**02.12**	**03.12**	**07.12**
დაპირისპირების ძირითადი კერა	ჭიჭინაძის ქ.	ჟვანიას ქ.	ჟვანიას ქ.	ჭიჭინაძის ქ. (პარლამენტის თაღები)	ჭიჭინაძის ქ.	9 აპრილის ქ.	ჭიჭინაძის ქ.
პირველი გაფრთხილება[84]	01:51	22:21	00:47	01:40[85]	21:13	23:21	00:34
სპეციალური საშუალებების გამოყენების ადგილი	ჭიჭინაძის ქუჩის დასაწყისი	ჟვანიას ქ. (პარლამენტის უკან)	ჟვანიას ქ. (პარლამენტის უკან)	ჭიჭინაძის ქ. (პარლამენტის თაღები)	ჭიჭინაძის ქ.	9 აპრილის ქ.	ჭიჭინაძის ქ.

[83] იგულისხმება ტერიტორია თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის მეტრომდე. ერთ შემთხვევაში, დარბევა და დევნა გრძელდებოდა მელიქიშვილის გამზირამდე. მეორე შემთხვევაში - ჭავჭავაძის გამზირამდე. კიდევ ერთ განცალკევებულ დღეს - თამარაშვილის გამზირამდე.

[84] მიუხედავად გაფრთხილების დროისა, პერიოდულად აქტიურ სპეციალურ საშუალებებს (ძირითადად, წიწაკის სპრეისა და ცრემლსადენ გაზს, თუმცა ზოგჯერ წყლის ჭავლს) საპოლიციო ძალები გაფრთხილებამდეც იყენებდნენ.

[85] 2023 წლის 1 დეკემბრის აქციის დარბევისას, მართალია პირველი გაფრთხილება 01:40 საათზე გაისმა, თუმცა ჭიჭინაძის ქუჩაზე, ასევე, პარლამენტის შიდა ტერიტორიიდან 23:00 საათიდან აქტიურად გამოიყენებოდა წყლის ჭავლი.

აქციის დარბევის დასრულების დრო	07:00	06:21	07:30[86]	07:42[87]	07:39	04:12[88]	02:53[89]
აქციის დარბევის ხანგრძლივობა	5 სთ 49 წთ	8 სთ	6 სთ 43 წთ	6 სთ 2 წთ	10 სთ 26 წთ	5 სთ 1 წთ	2 სთ 19 წთ

1.2. აქციების დაშლა საფუძვლის გარეშე

1.2.1. მანიფესტაციის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგება

შეკრების თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით.[90] მისი შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეკრება მიიღებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.[91] ასეთ დროს, მანიფესტაციის არშეწყვეტის შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოები მანიფესტაციის მონაწილეთა დასაშლელად გამოიყენებენ საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.[92] თუ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს მასობრივი ხასიათი აქვს, უფლებამოსილი წარმომადგენლის მოთხოვნისთანავე, მანიფესტაცია უნდა შეწყდეს.[93] თუ დარღვევები არამასობრივია, მონაწილეებს ეძლევათ 15 წუთი დარღვევის აღმოსაფხვრელად, სხვა შემთხვევაში, უფლებამოსილ პირებს უფლება აქვთ, გამოიყენონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები მანიფესტაციის შესაწყვეტად.[94]

ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების თანახმად, პოლიციის მიერ შეკრების მასობრივი დაშლა ყოველთვის უკანასკნელი ზომა უნდა იყოს და მხოლოდ ძალადობასა ან ძალადობის გარდაუვალ საშიშროებაზე რეაგირების ფორმით უნდა გამოვლინდეს. სამართალდამცავებმა, პირველ ყოვლისა, უნდა განიხილონ შეკრების დეესკალაციის შესაძლებლობა. დეესკალაცია არა უმოქმედობას ან პასიურობას, არამედ კომუნიკაციის დამყარებით და დიფერენცირებული ქმედებებით დაძაბულობის განმუხტვას გულისხმობს. დეესკალაცია პოზიტიურ და პროაქტიულ საპოლიციო ტაქტიკად განიხილება. ის შეიძლება ასევე გულისხმობდეს არასიტყვიერ კომუნიკაციასაც, რომლის მეშვეობით, ხდება პოლიციის განზრახვის დემონსტრირება ადამიანთა ფართო ჯგუფისთვის, მაგალითად, წყლის ჭავლის ან საპოლიციო მანქანების გაყვანა პროტესტის ადგილიდან მას შემდეგ, რაც მათი საჭიროება აღარ არსებობს. თუ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, პოლიცია მაინც გადაწყვეტს იძულების ღონისძიებების გამოყენებას, აუცილებელია, ჩარევა იყოს რაც შეიძლება მინიმალური და აუცილებელი ძალადობის შესაჩერებლად და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად.[95]

ადამიანის უფლებათა აღიარებული სტანდარტების შესაბამისად, დაუშვებელია მთლიანი მანიფესტაციის დაშლა მაშინ, როდესაც სახეზეა ცალკეული, ლოკალური ძალადობრივი ინციდენტები და არ არსებობს მასობრივი ძალადობის მყისიერი საფრთხე.[96]

1.2.2. ნოემბერ-დეკემბრის მანიფესტაციების შეწყვეტის კანონიერება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ *(როგორც ზემოთ, 1.1. ქვეთავშია მოცემული)* ნოემბერ-დეკემბრის განმავლობაში მანიფესტაცია 7-ჯერ შეწყვიტა. ამ დღეების განმავლობაში უწყება მიმართავდა საზოგადოებასთან კომუნიკაციის

[86] 2024 წლის 30 ნოემბერს, შსს-მ ვერ შეძლო აქციის სრულად დაშლა. მონაწილეებმა, დემონსტრაცია 07:30 საათიდან ჭავჭავაძის გამზირზე გააგრძელეს.
[87] 2024 წლის 1 დეკემბერს, სპეციალური საშუალებების გამოყენება, თუმცა კრიმპოლმა (კრიმინალურმა პოლიციამ) დაკავებები განაგრძო თამარაშვილის გამზირზე, სადაც აქციის მონაწილეებმა გადაინაცვლეს.
[88] აქციამ მსვლელობით გადაინაცვლა თბილისის სხვა უბნების მიმართულებით.
[89] აქციამ მსვლელობით გადაინაცვლა თბილისის სხვა უბნების მიმართულებით.
[90] საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[91] იქვე, მე-3 პუნქტი.
[92] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი.
[93] იქვე.
[94] იქვე, მე-2 ნაწილი.
[95] ევროპა, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 134; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].
[96] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, Frumkin v. Russia, პარ. 133-134.

ორ მეთოდს: ერთი მხრივ, შსს-ს „ფეისბუქსა“ და უწყების ვებგვერდებზე აქვეყნებდა განცხადებას, ხოლო, მეორე მხრივ, ადგილზე, ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით, აცხადებდა შესაბამის გაფრთხილებას. როგორც წესი, ეს უკანასკნელი გამოიყენებოდა უშუალოდ აქციის დარბევის დაწყების წინ. საპოლიციო ღონისძიება მიმდინარეობდა მანამ, სანამ რუსთაველის გამზირი სრულად არ გათავისუფლდებოდა დემონსტრანტებისგან. ამის შემდეგ კი, სამართალდამცავები მისდევდნენ აქციის მონაწილეებს და მათ ძალისმიერი მეთოდებით აკავებდნენ.

შსს ორი ტიპის განცხადებას ავრცელებდა:

1. ერთში ის დემონსტრანტებს მოუწოდებდა, ***„თავი შეეკავებინათ ძალადობრივი ქმედებებისგან და პროტესტი გამოეხატათ კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად“,*** ან ***„არ გასცდენოდნენ შეკრების და გამოხატვის თავისუფლების კანონით დასაშვებ ფარგლებს“.***
2. მეორე განცხადებაში მითითებული იყო, რომ ***„აქცია არაერთხელ გასცდა შეკრებისა და მანიფესტაციის კანონით დადგენილ ნორმებს“,*** ხოლო შსს-მ ***„მართლწესრიგის აღდგენის მიზნით, გამოიყენა კანონით დადგენილი სპეციალური საშუალებები“.*** უწყების განცხადებებში ასევე ხაზგასმული იყო დემონსტრანტების მხრიდან გამოვლენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები: სამართალდამცავების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ინფრასტრუქტურის დაზიანება, ბარიკადების აღმართვა და სხვა.

ხშირად, შსს-ს განცხადებებში აღინიშნებოდა, რომ სამართალდარღვევები ჩადენილი იყო ***„აქციის მონაწილეთა ნაწილის“*** მიერ.

არცერთ შემთხვევაში, შსს-ს დაკონკრეტებული არ აქვს ძალადობრივი ქმედებების მასშტაბი ან კონკრეტული ლოკაცია. ამასთანავე, ქმედებათა ნაწილი, მათ შორის, ბარიკადების აგება, პიროტექნიკის გამოყენება, სხვადასხვა ნივთის დაზიანება, რომლებსაც შსს განცხადებაში მიუთითებდა, როგორც სპეციალური საშუალებების გამოყენების საფუძველს, განხორციელებული იყო საპოლიციო ღონისძიების მიმდინარეობისას. შესაბამისად, ის ვერ გახდებოდა მთელი აქციის დაშლის თავდაპირველი საფუძველი.

როგორც წესი, შსს აქციის დარბევის ფორმალური საფუძვლის შექმნას ცდილობდა მოქალაქეებთან ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირებით და მათი პროვოცირებით.

თითოეულ დღეს შსს-ს გამოჰყავდა დიდი რაოდენობით საპოლიციო ძალა, რომელიც დემონსტრაციულად იკავებდა პროტესტის ადგილს - საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიას. სპეციალური დანიშნულების რაზმი და ტექნიკა იყო მობილიზებული თავისუფლების მოედანზეც, სადაც ისინი აქციის დაწყების მომენტიდანვე იწყებდნენ მზადებას. სახალხო დამცველმა პროტესტის პირველივე დღეს განაცხადა, რომ საპოლიციო ძალების დიდი კონცენტრაცია პროტესტის ობიექტთან - საქართველოს პარლამენტთან - პრობლემურია.[97] კონკრეტულ ადგილზე შეხედულებების გამოხატვა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა აზრისა თუ პროტესტის ადრესატამდე მისაღწევად, შესაბამისად, თუ შეზღუდვის დაწესების მიზეზი არ არსებობს, პროტესტის მონაწილეებს ამის საშუალება უნდა მიეცეთ.[98] ამ სტანდარტის დარღვევა იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც იწვევდა დაძაბულობას სამართალდამცავებსა და პროტესტის მონაწილეებს შორის გარკვეულ ტერიტორიებზე. შსს-ს მიერ მსგავსი სიტუაციების კანონსაწინააღმდეგოდ გამოცხადება და აქციის დაშლის გასამართლებლად გამოყენება უკიდურესად პრობლემურია. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირ შემთხვევაში, პროტესტის მონაწილეები რეაგირებდნენ თავად სამართალდამცავების ქმედებებზე, რომლებიც აგრესიულად იყვნენ განწყობილნი დემონსტრანტების მიმართ. *მაგალითად, 2024 წლის 29 ნოემბრისა და 7 დეკემბრის[99] დილით, როდესაც საპოლიციო ძალებმა დემონსტრანტების დარბევა დაიწყეს, აქცია ატარებდა სრულად მშვიდობიან ხასიათს და მისი შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა.[100] მიუხედავად ამისა, შსს-ს განმარტებით, დემონსტრაცია ძალადობრივი გახდა, რის გამოც, მათ ის სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაშალეს.*

მთლიანი აქციის დაშლის საფუძვლები, როგორც აღინიშნა, რამდენიმე კრიტერიუმით უნდა შეფასდეს. პირველ ყოვლისა, აქტიური სპეციალური საშუალებებით მანიფესტაციის შეწყვეტა უნდა იყოს აუცილებელი და უკიდურესი საშუალება მართლწესრიგის აღსადგენად. მსგავსი შეფასებისას, სამართალდამცავმა უწყებებმა არ უნდა

[97] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 28.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=1118271709667401&set=pb.100044537465147.-2207520000 [11.02.2025].
[98] იქვე.
[99] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 07.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=1123643635796875&set=pb.100044537465147.-2207520000 [11.02.2025].
[100] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=1118362969658275&set=pb.100044537465147.-2207520000 [11.02.2025].

იხელმძღვანელონ აბსტრაქტული განმარტებებით, არამედ კონკრეტულად უნდა დაასაბუთონ ის რისკები, რომლებიც ქმნის მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლებს.

თავის განცხადებებში შსს ხშირად იყენებდა ისეთ ფრაზებს, როგორებიცაა: „აქცია გასცდა",[101] „აქცია არაერთხელ გასცდა"[102] ან „პროტესტის გამოხატვა სრულად გასცდა"[103] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილ ფარგლებს. მართალია, ხშირად, შსს განმარტავდა სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ხასიათს, თუმცა არ მიუთითებდა მის მასშტაბსა და ლოკაციაზე. თითოეული დღის ქრონოლოგია აჩვენებს, რომ დარღვევები, რომლებსაც შსს საფუძვლად უდებს მთლიანი მანიფესტაციის დაშლის ლეგიტიმაციას, ლოკალური ხასიათისაა. აქციების მრავალრიცხოვან მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა დარბევის დაწყების მომენტში პროტესტს მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდა. ამ სხვაობას კარგად აჩვენებს თავად აქციებისა და მათი დარბევის გეოგრაფიაც. სამართალდამცავები სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ პარლამენტის გარშემო ან უკან არსებულ ვიწრო ქუჩებზე, სადაც მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ჯგუფები იყვნენ შეკრებილნი. დემონსტრანტთა ძირითადი ნაწილი კი რუსთაველის გამზირის გრძელ ტერიტორიას იკავებდა (მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლიდან „თბილისი მარიოტის" მიმდებარე ტერიტორიამდე).

ხშირ შემთხვევაში, აქ შეკრებილი მოქალაქეებისთვის უცნობი იყო, რა ხდებოდა ზედა ქუჩებზე, რადგან, მათი გადმოცემით, ადგილზე შეფერხებით მუშაობდა ინტერნეტ კავშირი. საპოლიციო ძალების მიერ აქციის დაშლის გადაწყვეტილების შესახებ ისინი მხოლოდ მას შემდეგ იგებდნენ, რაც პარლამენტის მიმდებარე ქუჩებიდან დემონსტრანტები უკან ბრუნდებოდნენ, ან სპეციალური ტექნიკა, შესაბამისი ხმის გამაძლიერებლით, რუსთაველის გამზირამდე ჩამოვიდოდა.

შესაბამისად, ლოკალურად გაჩენილი დაძაბულობის კერები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, გამოწვეული იყო დიდი რაოდენობით საპოლიციო ძალების წინასწარი კონცენტრაციით, ვერ გახდებოდა მთლიანი აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი, რადგან მსგავსი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები არ ქმნიდა ფართომასშტაბიანი ძალადობის მყისიერ რისკებს. გაუმართლებელია მთლიანი აქციის დაშლა ინდივიდუალური მოქალაქეების მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების საფუძველზე. როგორც ითქვა, ძირითადი საპროტესტო მასისგან მათი გარიდება უნდა მოხდეს საპოლიციო ღონისძიებების ინდივიდუალური, შერჩევითი გამოყენებით, რათა არ დაირღვეს იმ მოქალაქეთა მანიფესტაციის უფლება, რომლებიც მშვიდობიანად აგრძელებენ პროტესტს.

მოცემულ შემთხვევებში, სამართალდამცავმა ორგანოებმა აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს კანონდარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებზე რეაგირების მიზნით.[104] დამკვიდრებული სტანდარტების საწინააღმდეგოდ, კანონდარღვევის ინდივიდუალურ შემთხვევებს სამართალდამცავი ორგანოები პასუხობდნენ გენერალიზებული მეთოდებით - აქციის მთლიანად დაშლის მიზნით აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებით მაშინ, როდესაც მათ ინდივიდუალურად უნდა აღმოეფხვრათ სავარაუდო სამართალდარღვევები.[105] კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ჰქონდა ინდივიდუალური და გეოგრაფიულად კონკრეტული, ლოკალური ხასიათი. აქციის ძირითად ტერიტორიაზე კი, სადაც არ იმყოფებოდა სამართალდამცავთა დიდი რაოდენობა, დემონსტრაცია მშვიდობიანად გრძელდებოდა. მსგავს სიტუაციაში არ არსებობდა მყისიერი და რეალური საფრთხე, რომ ეს ინციდენტები მასობრივ ძალადობასა ან არეულობაში გადაიზრდებოდა. ამიტომ, **7-ვე დღეს, შსს-მ უკანონოდ შეწყვიტა მანიფესტაცია, რითაც მოქალაქეებს კონსტიტუციური უფლებით სარგებლობა შეუზღუდა, ხოლო ამ დარღვევათა განგრძობადი ხასიათი მიუთითებდა საპოლიციო ღონისძიებების მიზანზე, დაეთრგუნათ ადამიანების ნება, გამოეხატათ პროტესტი. შესაბამისად, თავისი არსით, ასეთი მასშტაბური უკანონო დარბევა ატარებდა შეკრების თავისუფლებაზე „მსუსხავ ეფექტსაც".**

---

[101] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 29.11.2024; იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16474 [11.02.2025].

[102] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 30.11.2024; იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16480 [11.02.2025].

[103] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 01.12.2024; იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16485 [11.02.2025].

[104] საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის ბრიფინგი მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, 10.12.2024; იხ. https://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-brifingi-mimdinare-movlenebtan-dakavshirebit [11.02.2025].

[105] UN, United Nations Human Rights Guidance on Less-Lethal Weapons in Law Enforcement, 2020, 6.3.3.; იხ. https://www.un-ilibrary.org/content/books/9789210050692/read [11.02.2025]. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, Frumkin v. Russia, პარ. 133.

1.3. სპეციალური საშუალებების გამოყენება

1.3.1. გამოყენებული სპეციალური საშუალებების აღწერა

პოლიციის ხელთ არსებული აქტიური სპეციალური საშუალებები (ცრემლსადენი და წიწაკის გაზი, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა, ხელბორკილი/შებორკვის სხვა საშუალება და სხვ.) გამოიყენება ხალხის დიდი მასის წინააღმდეგ, იძულების ღონისძიებების სახით. შეკრების და გამოხატვის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის გარდა, ისინი პირდაპირ გავლენას ახდენს ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე. ეს საშუალებები, როგორც წესი, არა მხოლოდ ცალკეულ ინდივიდებს უზღუდავს შეკრებაში მონაწილეობას, არამედ ზემოქმედებს პროტესტის ადგილზე მყოფ სხვა დემონსტრანტებზე და, ცალკეულ შემთხვევებში, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ამ ტერიტორიაზე მყოფ/გამვლელ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც შეკრებაში არ მონაწილეობენ. ჩარევის ინტენსივობისა და მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ აქტიური საპოლიციო საშუალებები უკიდურეს შემთხვევებში, კანონმდებლობით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოიყენებოდეს.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებით, შეკრების უფლების მასობრივი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სხვა საშუალება ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის/ჯანმრთელობის, მორალის ან სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ასეთი საფრთხეები უნდა იყოს რეალური და არა ჰიპოთეზური, აგრეთვე, უნდა აღწევდეს სიმძიმის საკმაოდ მაღალ ზღვარს, რათა სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და შეკრების დაშლის გადაწყვეტილება მიზანშეწონილად შეფასდეს.[106]

სპეციალური საშუალებების გამოყენების პრინციპებს, პროცედურასა და საფუძვლებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს. კანონმდებლობა არ ადგენს იძულების ღონისძიების (ფიზიკური ძალა, ცეცხლსასროლი იარაღი, სპეციალური საშუალებები) სახეების კლასიფიკაციას სიმძიმის ხარისხის მიხედვით, თუმცა ითვალისწინებს პოლიციელის ვალდებულებას ამგვარი ღონისძიებების გამოყენებისას ზიანის თანაზომიერებისა და მინიმიზაციის უზრუნველყოფის შესახებ.[107] სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ვადები და უფლებამოსილი პირები შედარებით დეტალურად გაწერილია „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციებში“, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით (შემდგომში: ინსტრუქცია) არის დამტკიცებული.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით საპროტესტო აქციებზე გამოყენებული სპეციალური საშუალებების შესახებ დეტალური ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოითხოვეს.[108] განცხადებით მოთხოვნილი იყო მონაცემები თბილისსა და სხვა ქალაქებში გამოყენებული სპეციალური საშუალებების, მათი თანმიმდევრობისა და ამოქმედების დროის შესახებ. განცხადება აგრეთვე მოიცავდა შეკითხვებს საპროტესტო აქციებზე გამოყვანილი საპოლიციო დანაყოფებისა და სამართალდამცავებისთვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ინფორმაციის მოწოდებაზე დაუსაბუთებლად გვითხრა უარი.[109] შსს-ის წერილის თანახმად, შეკრების დროს შემუშავებულ უსაფრთხოების სამოქმედო გეგმაზე ხელმისაწვდომობა შეზღუდულია საიდუმლოებაზე დაშვების არმქონე პირთათვის. ამ ინფორმაციის გასაიდუმლოების საფუძველი, სავარაუდოდ, შსს-ის 1002-ე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი გახდა, რომელიც ადგენს, რომ სამოქმედო გეგმას შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ამტკიცებს სახელმწიფო საიდუმლოების მოთხოვნათა დაცვით. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების თანახმად, ქიმიური ნივთიერებების გამოყენების დროს სავალდებულო უნდა იყოს დეტალური ანგარიშის მომზადება, სადაც სამართალდამცავი ორგანო განმარტავს გამოყენების საფუძველს, შედეგს, პროპორციულობას და ა.შ.[110]

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი ადგენს იმ ინფორმაციის კატეგორიას, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას. კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

---

[106] Just Security, International Standards Regarding the Handling of Demonstrations, 10.01.2020; იხ. https://www.justsecurity.org/70683/international-standards-regarding-the-handling-of-demonstrations/ [11.02.2025].

[107] „პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[108] *სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აგრეთვე მოითხოვა მსს-სგან საპროტესტო აქციების დაშლის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. განცხადების საპასუხოდ მსს-ს არ გამოუცია ინდ. აქტი, მხოლოდ შაბლონურად მიუთითა, რომ შეკრების შეწყვეტის საფუძველი გახდა მასობრივი დარღვევები რუსთაველის გაშზირზე.*
შინაგან საქმეთა სამინისტროს 2025 წლის 17 იანვრის MIA №4 25 00118291 წერილი.

[109] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 17 დეკემბრის NMIA №7 24 03825693 წერილი.

[110] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 105; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

აკრძალულია სახელმწიფო საიდუმლოებისთვის იმ ინფორმაციის მიკუთვნება, რომლითაც შეიძლება შეილახოს ან შეიზღუდოს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მისი კანონიერი ინტერესები, აგრეთვე, ზიანი მიადგეს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას. შეკრების დაშლა და სპეციალური საშუალებების გამოყენება უშუალოდ უკავშირდება კონსტიტუციური უფლებების, ადამიანის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას. საპროტესტო აქციის სამოქმედო გეგმა, შესაძლოა, სრულად არ იყოს საჯარო დოკუმენტი, თუმცა არ არსებობს ისეთი ინფორმაციის გასაიდუმლოების საფუძველი, როგორიცაა სპეციალური ღონისძიების მიზანი, საფუძველი და გადაადგილების მარშრუტი,[111] რადგან ის არ მიეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.[112] გარდა ამისა, მისი გავრცელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ზიანის პრევენციის, მეორე მხრივ კი, შეკრების მონაწილეების მიერ პოლიციის მოთხოვნის ოპერატიულად შესრულებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუსაბუთებლად ამბობს უარს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, მედიასაშუალებებში გავრცელებული ვიდეოჩანაწერებისა და საჯარო განცხადებების საფუძველზე, ნაწილობრივ მაინც იკვეთება მონაცემები გამოყენებული სპეციალური საშუალებების შესახებ, თუმცა, ცხადია, არ დგინდება სპეციფიკაციები.

ცალკეულ დღეებში გამოყენებული სპეციალური საშუალებების სახეები და მათი რიგითობა ასახულია ცხრილში. მონაცემები ეფუძნება მედიასაშუალებების პირდაპირი ეთერის ჩანაწერებს.

ცხრილი N2: სპეციალური საშუალებების ფორმა და გამოყენების დრო

თარიღი (2024)	**სპეციალური საშუალებების ფორმა და გამოყენების დრო**				**გაფრთხილების დრო**
28-29 ნოემბერი	ცრემლსადენი გაზი	წიწაკის სპრეი	წყალსატყორცნი	რეზინის ტყვია	01:57 სთ; 02:02 სთ.
	00:15 სთ; 01:00 სთ; 02:08 სთ; 02:36 სთ; 03:13 სთ; 03:40 სთ.	00:18 სთ; 01:00 სთ; 01:32 სთ; 01:47 სთ; 02:08 სთ.	02:11 სთ; 02:28 სთ; 02:53 სთ; 05:10 სთ.	06:51 სთ	
29-30 ნოემბერი	ცრემლსადენი გაზი	წიწაკის სპრეი	წყალსატყორცნი		22:27 სთ; 22:38 სთ; 00:05 სთ; 00:11 სთ: 00:38 სთ 00:41 სთ; 00:43 სთ.
	22:24 სთ; 00:53 სთ:	23:00 სთ; 23:48 სთ;	23:06 სთ; 23:24 სთ; 23:32 სთ; 23:39 სთ; 23:45სთ; 23:48 სთ; 23: 54 სთ; 23: 57 სთ; 00:43 სთ; 00:47 სთ.		
30 ნოემბერი - 1 დეკემბერი	ცრემლსადენი გაზი	წყალსატყორცნი	რეზინის ტყვია		00:47-00:50 სთ; 00:56 სთ.
	00:32 სთ, 00:36 სთ; 01:46 სთ; 01:51 სთ; 02:02 სთ; 02:44 სთ; 02:56 სთ; 03:03 სთ; 03:48 სთ; 04:02 სთ;	00:42 სთ; 00:52 სთ; 00:57 სთ; 00:59 სთ; 01:10 სთ; 01:18 სთ.	05:48 სთ.		

[111] შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.
[112] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლი.

	04: 38 სთ; 05:18 სთ; 05:38 სთ; 06:12 სთ.				
1-2 დეკემბერი	წყალსატყორცნი	ცრემლსადენი გაზი			01:40 სთ; 06:30 სთ.
	21:07 სთ; 22:25 სთ, 01:41 სთ.	01:40 სთ, 03:42 სთ; 06: 24 სთ.			
2-3 დეკემბერი	ცრემლსადენი გაზი	წყლის ჭავლი			21:13 სთ; 21:58 სთ, 22:09 სთ; 07:21სთ.
	19:10 სთ; 21:48 სთ; 22:11 სთ; 22:19 სთ; 22:24 სთ: 22:40 სთ; 22:56 სთ; 23:33 სთ; 23:44 სთ, 00:34 სთ; 01:39 სთ: 02:23; 03:09 სთ; 04:09 სთ; 04: 26 სთ.	19:20 სთ; 20:18 სთ; 21:04 სთ; 21:48 სთ; 22:19 სთ; 23:05 სთ; 02:47 სთ; 07:21 სთ.			
3-4 დეკემბერი	წყალსატყორცნი	ცრემლსადენი გაზი			23:20 სთ; 00:11სთ; 03:28 სთ.
	22:22 სთ; 23:07 სთ; 23:32 სთ; 03:31 სთ.	23:33 სთ: 01:11 სთ: 01:33 სთ; 02:44სთ; 03:28 სთ; 03:43 სთ.			
6-7 დეკემბერი	წიწაკის სპრეი	წყალსატყორცნი	ცრემლსადენი გაზი		00:34 სთ; 00:43 სთ; 00:45 სთ; 01:10 სთ; 01:50 სთ; 02:24 სთ.
	00:43 სთ.	01:10 სთ. 01:50 სთ.	01:50 სთ; 01:58 სთ.		

1.3.2. სპეციალური საშუალებების გამოყენების კანონიერება

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა სხვადასხვა მექანიზმის, მათ შორის, ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი დაკავებისა *(იხ. ქვემოთ, თავი 4)* და პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში (პოლიციელის მიერ შეკრების ადგილის დატოვების მოთხოვნა ან ტერიტორიაზე არშეშვება) ხორციელდება. ჩამოთვლილ ღონისძიებებთან შედარებით, შეკრება უფრო მასობრივად და მყისიერად აქტიური სპეციალური საშუალებების (ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, წყალსატყორცნი და სხვ.) გამოყენების დროს იშლება.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საპროტესტო აქციაზე ნაკლებ ლეტალური საშუალებების (LLWs: როგორებიცაა ცრემლსადენი გაზი, წიწაკის სპრეი, რეზინის ტყვიები, წყლის ჭავლი, სხვა მექანიკური და ზემოქმედებითი საშუალებები) გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და ყოველთვის უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის, აუცილებლობის, კანონიერებისა და ანგარიშვალდებულების კრიტერიუმებს. საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების თანახმად, ის ფაქტი, რომ სამართალდამცავებმა გამოავლინეს ცალკეული ძალადობრივი ქმედებები და შეკრება შეიძლება მიიჩნიეს უკანონოდ, არ ამართლებს მის დასაშლელად LLWs-ის გამოყენებას. მით უფრო, გაუმართლებელია ამ საშუალებების გამოყენება მშვიდობიანი შეკრების დროს.[113]

[113] Amnesty International and Omega Research Foundation, THE HUMAN RIGHTS IMPACT OF LESS LETHAL WEAPONS AND OTHER LAW ENFORCEMENT EQUIPMENT, 2015, 5; იხ. https://www.amnesty.org/en/documents/act30/1305/2015/en/ [11.02.2025].

„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს სპეციალური საშუალებების გამოყენების მიზნებს: აქტიური ღონისძიებები საპოლიციო ფუნქციების შესრულებასა და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის აღკვეთას უნდა ემსახურებოდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ შეკრების დაშლას, როგორც წესი, არა პასიური, არამედ აქტიური საშუალებები უზრუნველყოფს, ყურადღება ამ ღონისძიებების გამოყენების კანონიერებაზე უნდა გამახვილდეს. იმისთვის, რომ სპეციალური საშუალებებით საპროტესტო აქციის დაშლა კანონიერად შეფასდეს, უნდა იყოს გამოკვეთილი კანონით გათვალისწინებული მიზნები - საპოლიციო ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფა ან/და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის აღკვეთა.

შეკრების დარბევის თითოეულ ეპიზოდში წყალსატყორცნი და ცრემლსადენი გაზი არა კონკრეტული პირების, არამედ ხალხის ფართო მასების მისამართით გამოიყენებოდა. აქტიური სპეციალური საშუალებებით დაზარალებულებს შორის, უმეტესად, ხვდებოდნენ აქციის ის მონაწილეები, რომლებსაც არ ჰქონდათ სამართალდამცავებთან წინარე კომუნიკაცია და შემხებლობა. სპეციალური საშუალებების გამოყენების მასშტაბი და მათ გამოყენებამდე შეკრების ადგილზე არსებული მშვიდი ვითარება იმთავითვე გამორიცხავს სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის საფრთხის განეიტრალების მიზანს.[114]

რაც შეეხება საპოლიციო ფუნქციების შესრულების მიზანს, როგორც უკვე აღინიშნა, სპეციალური საშუალებების გამოყენება დარბევის თითქმის ყველა ეპიზოდში წინ უსწრებდა აქციის დაშლის შესახებ ტექნიკური საშუალებებით გაფრთხილებას. მოქალაქეების შეკრება საპოლიციო ფუნქციების შესრულებისთვის დამაბრკოლებელი გარემოება რომ ყოფილიყო, მის გამოყენებამდე შსს სიტყვიერი გაფრთხილების მექანიზმს მიმართავდა, რაც ჩაითვლებოდა ნაკლებად ინტენსიური საშუალებით საპოლიციო ამოცანების შესრულების მცდელობად. მშვიდობიანი შეკრების დაშლა პირდაპირ ინტენსიური ფორმით, მაშინ, როდესაც გამოკვეთილი არ არის გადაუდებელი საპოლიციო მოქმედების საჭიროება, აშკარად მიუთითებს, რომ მისი მიზანი პროტესტის ჩახშობაა და არა საპოლიციო საქმიანობის უზრუნველყოფა.

სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს, როგორც წესი, საპროტესტო აქცია მასობრივად იშლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტების თანახმად, მთლიანი შეკრების დაშლა დასაშვებია მასობრივი არეულობის ან ფართომასშტაბიანი ძალადობის წარმოქმნის რეალური და მყისიერი რისკების არსებობის შემთხვევაში, რაც გამყარებული უნდა იყოს კონკრეტული, რელევანტური და დასაბუთებული საფუძვლებით. ისეთ ვითარებაში, როცა აქციის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანია და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ვლინდება ინციდენტები/ძალადობრივი ქმედებები, სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა გამიჯნონ კანონდამრღვევი პირები მშვიდობიანი დემონსტრანტებისგან და ინდივიდუალურად უპასუხონ მათ ქცევას, ცალკეული და პროპორციული ზომების გამოყენებით, რათა შეკრება არ შეწყდეს მშვიდობიანი დემონსტრანტებისთვის.[115]

28 ნოემბრიდან მოყოლებული, თითოეული საპროტესტო აქცია იყო არსებითად მშვიდობიანი და აქციის მონაწილეთა აბსოლუტური უმრავლესობა კანონის ფარგლებში გამოხატავდა პროტესტს. ცალკეული ძალადობრივი ინციდენტები არ იყო გენერალიზებული, რაც, ასევე, სპეციალური საშუალებების გამოყენებისა და აქციის მასობრივი დარბევის უკანონობასა და არაპროპორციულობას ადასტურებს. სპეციალური ღონისძიებების უსაფუძვლოდ გამოყენების გარდა, დარბევის ყველა ეპიზოდში გამოვლინდა ამ ღონისძიებებთან დაკავშირებული პროცედურული მოთხოვნების დარღვევის ფაქტებიც, რაც დეტალურად შემდეგ ქვეთავში იქნება გაანალიზებული.

1.3.3. სპეციალური საშუალებების გამოყენების წესების დარღვევა

საბაზისო საერთაშორისო სტანდარტებით, აღიარებულია ნებისმიერი საპოლიციო მოქმედების, მათ შორის, ნაკლებად ლეტალური საშუალებების (რაშიც მოიაზრება აქტიური სპეციალური საშუალებები) გამოყენების ფუნდამენტური პრინციპები: კანონიერება, პროპორციულობა, დისკრიმინაციის აკრძალვა, ზიანის მინიმუმამდე დაყვანა და ანგარიშვალდებულება. ამ პრინციპების დაცვის ვალდებულება მხოლოდ ინდივიდუალურ პოლიციელს არ ეკისრება. პასუხისმგებლობის სისტემა ბევრად უფრო ფართოა და, პირველ ყოვლისა, მოიცავს ამ პროცესში სახელმწიფოს როლს, ასევე იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საჯარო უწყებების წარმომადგენლებმა სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე მიიღეს.[116]

კანონმდებლობით, იძულების ღონისძიებები უნდა გატარდეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას.[117] ზიანის პრევენციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, „პოლიციის შესახებ" კანონი ადგენს პირის წინასწარ

[114] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, Frumkin v. Russia, პარ. 133.
[116] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) - GUIDANCE ON LESS-LETHAL WEAPONS IN LAW ENFORCEMENT, 2020, 1; იხ. https://www.ohchr.org/en/publications/policy-and-methodological-publications/united-nations-human-rights-guidance-less [11.02.2025].
[117] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი.

გაფრთხილების ვალდებულებას და კრძალავს ისეთი სპეციალური საშუალების გამოყენებას, რომელიც იწვევს ადამიანის მძიმე დასახიჩრებას ან/და დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან.[118]

„პოლიციის შესახებ" კანონის გარდა, შეკრებისა და მანიფესტაციის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების განსაკუთრებულ მოთხოვნებს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება[119] განსაზღვრავს. ინსტრუქციის მე-9 მუხლით ცალკეულ ღონისძიებებთან მიმართებით განსხვავებული მოთხოვნებია დადგენილი.

2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის საპროტესტო აქციებზე სპეციალური საშუალებების გამოყენებისას განმეორებადი ხასიათი ჰქონდა შემდეგი სახის დარღვევებს:

i. სპეციალური საშუალებების გამოყენება წინასწარი გაფრთხილების გარეშე

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების თანახმად, აქტიური სპეციალური საშუალებები, როგორც მოქალაქეების დიდ ჯგუფზე მოქმედი ღონისძიება, მათი ინტენსივობის გათვალისწინებით, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მის დაყოვნებას შეიძლება მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა/სხვა მძიმე შედეგი, ან, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, გაფრთხილება ცალსახად უშედეგო იქნება.[120] გაფრთხილების გარეშე პოლიციის მოქმედებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს აქციის მონაწილეების აგრესიული ქმედებები და კონფლიქტის ესკალაცია.[121]

2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, 10-დღიან პერიოდში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, შსს აქტიურ სპეციალურ საშუალებებს იყენებდა 7 დღის განმავლობაში. სხვადასხვა დღეს აქციის დარბევის სტრატეგია და სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა განსხვავდებოდა, თუმცა შვიდიდან ექვს დღეს იძულების ღონისძიების დაწყებამდე პროტესტის ადგილას წინასწარი გაფრთხილება არ გამოცხადებულა.

„პოლიციის შესახებ" კანონისა და შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად, იძულების ღონისძიების დაწყებამდე, პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეები. წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებისგან პოლიცია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში თავისუფლდება, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი.[122]

შინაგან საქმეთა სამინისტრო, ყოველ ჯერზე, სოციალურ ქსელში შაბლონურად და შესაბამის მტკიცებულებებზე მითითების გარეშე ავრცელებდა ინფორმაციას საპროტესტო აქციაზე ვითარების დაძაბვის შესახებ. განცხადებაში, როგორც წესი, საუბარი იყო აქციის მონაწილეების მხრიდან ინფრასტრუქტურის დაზიანებისა და პოლიციელების მისამართით გაურკვეველი საგნების სროლის ფაქტებზე.[123] **მასშტაბურ საპროტესტო აქციებზე, სადაც კანონსაწინააღმდეგო ინციდენტებს ლოკალური ხასიათი აქვს, არ არსებობს სპეციალური საშუალებების გამოყენების, მით უფრო, წინასწარი გაფრთხილების გარეშე აქციის დაშლის საფუძველი, რადგან სამართალდამცავებს აქვთ ლოკალურ ინციდენტებსა და კანონდარღვევებზე რეაგირების შესაძლებლობა ნაკლებად ინტენსიური ზომებით, რომლებიც გავლენას არ იქონიებს აქციის მშვიდობიანი მონაწილეების შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე.**

სპეციალური საშუალებების გამოყენების შემდეგ ტექნიკური საშუალებებით გაფრთხილებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და არ ემსახურება ზიანის შემცირებას ან აქციის მონაწილეების ინტერესების დაცვას. **გაფრთხილების ფორმალურობა განსაკუთრებით აშკარა იყო 1-2 დეკემბრის ღამით.** წყალსატყორცნი (წყლის ჭავლი) პირველად 21:07 საათზე გამოიყენეს, ხოლო გაფრთხილება აქციის დაშლისა და საპოლიციო ღონისძიებების დაწყების შესახებ 3 საათისა და 33 წუთის შემდეგ, 00:40 საათზე გამოცხადდა.[124] ამგვარი დარღვევები სხვა დღეებშიც გამოვლინდა. მაგალითად, 2-3 დეკემბერს პირველი სპეციალური საშუალება (ცრემლსადენი გაზი) 19:10 საათზე გამოიყენეს, გაფრთხილება კი პირველად 2 საათის შემდეგ, 21:13 საათზე ჩაირთო.[125]

---

[118] იქვე, მე-6 პუნქტი.

[119] იგულისხმება შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქცია".

[120] Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) - GUIDANCE ON LESS-LETHAL WEAPONS IN LAW ENFORCEMENT, 2020, 24; იხ. https://www.ohchr.org/en/publications/policy-and-methodological-publications/united-nations-human-rights-guidance-less [11.02.2025].

[121] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 105; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

[122] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი და შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

[123] მაგალითად, შსს-ის განცხადება სოციალურ ქსელში 28-29 ნოემბრის აქციის შესახებ.
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 29.11.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=872578945050940&set=a.230631755912332 [11.02.2025].

[124] „მთავარი არხის" პირდაპირი ჩანაწერი, 01.12.2024.

[125] „მთავარი არხის" საგანგებო ეთერი, 02.12.2024.

ii. აქციის დარბევა გაფრთხილებიდან მყისიერად

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრების მონაწილეებს გაფრთხილების შემდეგ პოლიციის მოთხოვნის შესასრულებლად ადეკვატური დრო უნდა ჰქონდეთ. ეს წესი ვრცელდება არა მხოლოდ პირველად გაფრთხილებაზე, არამედ ყოველ ჯერზე მისი გამეორების დროს. პირველი გაფრთხილებიდან მეორე და მესამე გაფრთხილებამდე აგრეთვე უნდა იყოს დაცული გონივრული ინტერვალები, რათა აქციის მონაწილეებმა შეძლონ ნებაყოფლობით დაშლა და პროტესტის ტერიტორიის დატოვება.[126]

„პოლიციის შესახებ" კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი, წინასწარ გაფრთხილებასთან ერთად, ადგენს პოლიციელის ვალდებულებას, კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად პირს მისცეს გონივრული ვადა. ვადის გონივრულობა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, გარემოებებზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, თუმცა **შს მინისტრის ბრძანებით დაკონკრეტებულია, რომ ეს ვადა მინიმუმ 30 წუთით უნდა განისაზღვროს.**[127]

2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის აქციებზე სპეციალური საშუალებები გამოიყენებოდა არა ერთჯერადად, არამედ გარკვეული პერიოდულობით. შესაბამისად, აქციის დარბევა, თითოეულ დღეს, რამდენიმე ეპიზოდით ხასიათდებოდა. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სპეციალური საშუალებების რამდენიმე ეპიზოდად გამოყენების დროს აუცილებელია გონივრული ვადის დაცვა არა მხოლოდ პირველი ეპიზოდის შემთხვევაში, არამედ ყოველ ჯერზე ამ საშუალებების გამოყენებამდე. გაფრთხილების მთავარი მიზანი აქციის მონაწილეების ინფორმირება და ზიანის შემცირებაა, აქედან გამომდინარე, მოწოდებამ, მათ შორის, უნდა მიაღწიოს იმ მონაწილეებამდე, რომლებიც საპროტესტო აქციას შემოუერთდნენ ცალკეული საპოლიციო ღონისძიებების გამოყენების შემდეგ.

როგორც უკვე აღინიშნა, სპეციალური საშუალებების პირველად გამოყენებას, უმეტეს შემთხვევაში, წინ საერთოდ არ უსწრებდა გაფრთხილება, რაც იმთავითვე გამორიცხავს სამართალდამცავის მოთხოვნის შესასრულებლად გონივრული ვადის სტანდარტის დაცვას. **წინასწარი გაფრთხილების ერთადერთი საგამონაკლისო შემთხვევა (როდესაც გაფრთხილება წინ უძღოდა დარბევას) 6-7 დეკემბრის ღამით, რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე გამოვლინდა, თუმცა დრო არც ამჯერად იყო გონივრული.** ამ დღეს გაფრთხილება ჩაირთო 00:34 სთ-ზე, ხოლო სპეციალური საპოლიციო საშუალება (წიწაკის სპრეი) 00:43 წუთზე გამოიყენეს მოქალაქის მიმართ,[128] რაც ცალსახად ვერ აკმაყოფილებს გონივრული ვადის შესახებ შს მინისტრის ბრძანებით დადგენილ სტანდარტსაც კი. რაც შეეხება სპეციალური საშუალებების განმეორებით გამოყენებას, უმეტეს შემთხვევაში, არც ამ დროს ყოფილა დაცული გონივრული ვადის მოთხოვნა. მაგალითად, საპროტესტო აქციების პირველივე დღეს (28-29 ნოემბრის ღამე) თბილისში საპოლიციო საშუალება (რეზინის ტყვია) ბოლოს 06:51 სთ-ზე გამოიყენეს, მაშინ, როდესაც რუსთაველის გამზირზე გაფრთხილება აქციის დაშლის შესახებ აღარ ისმოდა 02:02 საათის შემდეგ.[129]

iii. გაფრთხილების არაჯეროვანი ფორმა

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) რეკომენდაციების თანახმად, სპეციალური საშუალებების გამოყენებით აქციის დაშლამდე გაფრთხილება ხმის გამაძლიერებელი აპარატურის მეშვეობით რამდენჯერმე უნდა ჩაირთოს. მისი შინაარსი უნდა იყოს მკაფიო და არ უნდა გადაიფაროს სხვა ბგერებით. პროტესტის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, შესაძლოა, საჭირო იყოს გაფრთხილების რამდენიმე სხვადასხვა ადგილზე გამოცხადება, რათა ის ყველა მონაწილემ გაიგოს. თუ შეკრებაში სხვა ენებზე მოსაუბრე ადამიანებიც იღებენ მონაწილეობას, მისი ტექსტი ყველა შესაბამის ენაზე უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ამ შემთხვევაში, პოლიციას წერილობითი აბრების ან ელექტრონული რესურსების გამოყენებაც შეუძლია.[130]

შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს იძულების ღონისძიების გამოყენებამდე გაფრთხილების აუცილებელ კომპონენტებს: გაფრთხილება უნდა შეიცავდეს აქციის მონაწილეთა მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევის მოკლე აღწერას, ასევე, დაკავებული ტერიტორიის დატოვებისთვის გონივრულ დროს და მარშრუტს, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში – ინფორმაციას ფიზიკური ძალის ან/და სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე.

საჯარო წყაროებით დგინდება, რომ საპროტესტო აქციებზე ტექნიკური საშუალებებით ირთვებოდა გაფრთხილება შემდეგი ტექსტით: *„მოქალაქენო, გთხოვთ, დაიშალოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მიმართ გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები მართლწესრიგის აღსადგენად და სამოქალაქო სიმშვიდის*

---

[126] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 134; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

[127] შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის" მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.

[128] „ტვ პირველის" პირდაპირი ეთერი, 08.12.2024.

[129] „მთავარი არხის" პირდაპირი ეთერი, 29.11.2024.

[130] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 133-134; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

დასამყარებლად! გთხოვთ, მოარიდოთ წესრიგის დამყარების ადგილს ბავშვები, ქალები და მოხუცები!" გაფრთხილების ტექსტი ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქართულ ენაზე.

გაფრთხილების ეს ფორმა ვერ აკმაყოფილებს შს მინისტრის ბრძანებით დადგენილ მოთხოვნებს, რადგან არ განმარტავს, რაში გამოიხატებოდა აქციის მონაწილეების მხრიდან კანონდარღვევა, შესაბამისად, რა გახდა შეკრების დაშლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. გაფრთხილების სტანდარტული ტექსტი აგრეთვე არ შეიცავს ინფორმაციას ტერიტორიის დასატოვებლად გონივრული დროისა და მარშრუტის შესახებ, რაც შეიძლება არსებითი იყოს მოქალაქეების მიერ სამართალდამცავთა კანონიერი მოთხოვნის დროულად შესრულებისთვის.

მიუხედავად გაფრთხილების არაჯეროვანი ფორმისა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი მოსამართლეები, ყველა შემთხვევაში, ავტომატურად, სამართალდამცავის კანონიერ მოთხოვნად მიიჩნევენ საპროტესტო აქციაზე ტექნიკური საშუალებით გამოცხადებულ გაფრთხილებას. შესაბამისად, ყველა პირს, რომლებიც ამ გაფრთხილების შემდეგ საპროტესტო აქციაზე იმყოფებიან, იმთავითვე სამართალდამრღვევად მოიაზრებენ, რაც კანონის მცდარი ინტერპრეტაცია და იძულების ღონისძიებების გამოყენების საბაზისო პრინციპების უგულებელყოფაა.[131]

iv. სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს მოქალაქეების ალყაში მოქცევა

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, შეკრების დაშლისას პროტესტის მონაწილეებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უსაფრთხო გასასვლელი აქციის ტერიტორიიდან.[132] დემონსტრანტების ალყაში მოქცევამ, სუნთქვის გართულებასთან ერთად, შეიძლება გამოიწვიოს, მათ შორის, პანიკა. გარდა ამისა, როდესაც პოლიციას მიღებული აქვს საპროტესტო აქციის დაშლის გადაწყვეტილება, პროტესტის მონაწილეების ჯგუფის ალყაში მოქცევა და მათთვის გასასვლელი გზების ჩაკეტვა, ამ მიზნის საწინააღმდეგოდ, მოქალაქეების დასჯისა და დაშინების განზრახვებზე მიანიშნებს.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, თუ პოლიცია აქციის აქტიურად დაშლის ფორმებს მიმართავს, აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- უნდა მოხდეს აქციის დასატოვებლად შესაბამისი გასასვლელებისა ან საევაკუაციო გზების უზრუნველყოფა, რათა ადამიანებს ტერიტორიიდან გასვლის შესაძლებლობა ჰქონდეთ;
- აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლის შემდეგ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, პროტესტის ადგილი პოლიციის ჩარევის გარეშე დატოვონ;
- პროტესტის ადგილზე დიდი რაოდენობით პოლიციელის უბრალოდ ყოფნამაც კი შეიძლება ხელი შეუშალოს შეკრების ბუნებრივად დაშლას, ამიტომ, საჭიროა აქციის მონაწილეთა თვალთახედვის არეალიდან მათი მოშორება, თუმცა ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საფრთხეებზე რეაგირება შეეძლოთ;
- პოლიციამ ასევე უნდა გაითვალისწინოს ძალისმიერ დაშლასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები, რათა ამ პროცესში ქალებზე, ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე არაპროპორციული ზეგავლენა არ მოახდინონ.[133]

შს მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეკრძალება შეკრების დაშლის დროს მონაწილეთა ალყაში მოქცევა. ამ მოთხოვნის მიუხედავად, თბილისში, რუსთაველის გამზირზე რამდენჯერმე გამოვლინდა აქციის დაშლის ფაქტები, როდესაც, სპეცრაზმის განლაგების გამო, აქციის მონაწილეებს შეზღუდული ჰქონდათ გადაადგილება ორივე მხრიდან. ეს განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, როდესაც ტექნიკური საშუალებებით გამოცხადებული გაფრთხილების ტექსტი ყველა საპროტესტო აქციაზე სტანდარტულია და არ შეიცავს ინფორმაციას ტერიტორიის დასატოვებლად გონივრული დროისა და მარშრუტის შესახებ.

მოქალაქეები სპეცრაზმის აშკარა ალყაში აღმოჩნდნენ რამდენჯერმე. მათგან ყველაზე ცხადად ეს გამოვლინდა 1-ელ დეკემბერს, 06:40 საათზე, როდესაც სპეცრაზმი მობილიზებული იყო როგორც რესპუბლიკის, ისე თავისუფლების მოედნებზე და აქციის მონაწილეებს არ ჰქონდათ პროტესტის ადგილის უსაფრთხოდ დატოვების შესაძლებლობა.[134] მედიასაშუალებების პირდაპირი ჩართვების მიხედვით, აქციის მონაწილეების ალყაში მოქცევის ფაქტი გამოვლინდა ასევე 2 დეკემბერს, 21:48 საათზე, როდესაც მოქალაქეებისგან

---

[131] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 09 დეკემბრის დადგენილება, საქმე №4/8789-24 (მოსამართლე ლელა ცაგარეიშვილი).

[132] UN, United Nations Human Rights Guidance on Less-Lethal Weapons in Law Enforcement, 2020, 6.3.3.; იხ. https://www.un-ilibrary.org/content/books/9789210050692/read [11.02.2025].

[133] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 126; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

[134] „მთავარი არხი", „მოქალაქეები სპეცრაზმის ალყაში", 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=540054358902960 [11.02.2025].

ტერიტორიის გასაწმენდად შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები სამი მიმართულებით გადაადგილდებოდნენ.[135]

v. სპეციალური საშუალებების დამიზნებითი გამოყენება

მძიმე შედეგების გათვალისწინებით, საერთაშორისო სტანდარტებით, დაუშვებლად არის მიჩნეული ქიმიური სპეციალური საშუალებების დამიზნებით სროლა, ვინაიდან ადამიანისთვის პირდაპირ მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს გამჭოლი ჭრილობები, ტვინის შერყევა, სხვა დაზიანებები და სიკვდილიც კი.[136] შესაბამისად, ამ იარაღის გასროლა დასაშვებია გარკვეული კუთხით, ადამიანების ზემოთ.[137] გარდა ამისა, ცრემლსადენი გაზის ჭურვების სროლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თავის ან სახის არეში, რადგან ამას, შესაძლოა, შედეგად მოჰყვეს სიკვდილი ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება.[138]

უნდა აღინიშნოს, რომ ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ იდენტიფიცირებული ცრემლსადენი გაზის კაფსულის, **GL 202-ის** მწარმოებლის ინსტრუქციებშიც მსგავსი მითითებაა მოცემული: ეს საშუალება გასროლილი უნდა იყოს 45-გრადუსიანი დახრით, რადგან ადამიანის მიმართ ამ იარაღის პირდაპირ სროლამ შეიძლება გამოიწვიოს მძიმე დაზიანება ან სიკვდილი.[139]

საილუსტრაციო ფოტო 14:

(„დროებას“ სიუჟეტი - 9 დეკემბერი, 2024 წელი)[140]

შსს-ს მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ეკრძალება ცრემლსადენი გაზის, წიწაკის გაზის ჭურვებისა და ხელყუმბარების გამოყენება უშუალოდ სამართალდამრღვევი პირის მიმართ ან ადამიანების ჯგუფში, ან მათი განმეორებითი გამოყენება გაზგაშვებულ ადგილზე, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც განმეორებითი გამოყენება აუცილებელია პირის ან პირთა ჯგუფის ძალადობისგან დასაცავად ან სხვა მძიმე შედეგის თავიდან ასაცილებლად.

ამ მოთხოვნის მიუხედავად, გამოკვეთილი საჭიროების გარეშე, სამართალდამცავები დამიზნებით იყენებდნენ წიწაკის სპრეის კონკრეტული ადამიანების მიმართ, ხშირ შემთხვევაში, იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებსაც არ აკავებდნენ, რადგან მათი ქმედება კანონის ფარგლებს არ სცდებოდა. მაგალითად, 29 დეკემბერს, 23:00 საათზე სპეცრაზმმა წიწაკის სპრეი ახლო მანძილიდან, დამიზნებით გამოიყენა მოქალაქის მიმართ.[141] ასეთივე შემთხვევა გამოვლინდა 7 დეკემბერს, 00:43 საათზე, როდესაც სპეცრაზმმა წიწაკის სპრეი დამიზნებით გამოიყენა მშვიდობიანი მოქალაქის წინააღმდეგ, სახის მიმართულებით.[142]

წიწაკის სპრეის გარდა, ნოემბერ-დეკემბრის აქციებზე არაერთხელ გამოვლინდა ცრემლსადენი გაზის გამოყენების წესების დარღვევა. ვიდეოჩანაწერებში ჩანს, რომ სამართალდამცავი პირები დამიზნებით ისროდნენ დიდი

---

[135] „მთავარი არხის“ პირდაპირი ჩანაწერი, 02.12.2024, 21:48.
[136] Amnesty International, Chemical Irritants in Law Enforcement, 2021, 7; იხ. https://www.amnesty.nl/content/uploads/2021/07/Amnesty-position-paper-chemical-irritants.pdf [11.02.2025].
[137] Amnesty International, Chemical Irritants in Law Enforcement, 2021, 13; იხ. https://www.amnesty.nl/content/uploads/2021/07/Amnesty-position-paper-chemical-irritants.pdf [11.02.2025].
[138] UN, United Nations Human Rights Guidance on Less-Lethal Weapons in Law Enforcement, 2020, 7.3.6.; იხ. https://www.un-ilibrary.org/content/books/9789210050692/read [11.02.2025].
[139] „ფორმულა“, „რით გვარბევს და გვწამლავს ივანიშვილის რეჟიმი?!“, 09.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=889481786601585 [11.02.2025].
[140] „დროება“, ივანიშვილი rаз-ი — რატი მუჯირის სიუჟეტი, 09.12.2025; იხ. https://www.youtube.com/watch?v=zvxxIvkSb5E&t=428s [11.02.2025].
[141] „მთავარი არხის“ პირდაპირი ეთერი, 29.12.2024.
[142] „ტვ პირველის“ პირდაპირი ეთერი, 07.12.2024.

რაოდენობით ცრემლსადენი გაზის კაფსულებს მოქალაქეების მისამართით. 2024 წლის 2-3 და 3-4 დეკემბრის საპროტესტო აქციებზე, რუსთაველის გამზირზე, სპეცრაზმი გაზის კაფსულებს შენობების სახურავებიდანაც ისროდა,[143] რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი პრაქტიკაა.[144]

საილუსტრაციო ფოტო 15:

(„რადიო თავისუფლება“ - ცრემლსადენი გაზის ღრუბელი. ფოტო გადაღებულია 2024 წლის 2 დეკემბერს)[145]

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილიზებული ჯგუფების მხრიდან ცრემლსადენი გაზის კაფსულების სროლის განურჩეველ და არაპროპორციულ პრაქტიკაზე საუბრობენ თავად დემონსტრანტებიც. ის მიზანმიმართულად გამოიყენებოდა ხალხმრავალ ადგილებში არა როგორც უკიდურესი საშუალება, არამედ როგორც დემონსტრანტთა დაშინებისა და პროტესტის ჩახშობის იარაღი. მაგალითად:

დაზარალებული V98 (27 წლის ქალი): *„სამართალდამცავებმა განსაკუთრებული რაოდენობით გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი, სავარაუდოდ, ქიმიური დანამატებით, რამაც გამოიწვია კანის დამწვრობა, სასუნთქი გზების და ფილტვების დაზიანება. სუნთქვა მიჭირდა."*

დაზარალებული V97 (25 წლის მამაკაცი): *„30 ნოემბრის ღამეს ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარედ მოულოდნელად მასობრივად გაუშვეს ცრემლსადენი გაზი. დემონსტრანტებმა იგრძნეს ძლიერი, გაუსაძლისი წვა ცხვირსა და ყელში. შედეგად, ზოგიერთმა მათგანმა გონება დაკარგა."*

დაზარალებული V91 (36 წლის მამაკაცი): *„30 ნოემბრის ღამეს ცრემლსადენი გაზის გამოყენებამ გამოიწვია სასუნთქი გზების მძიმე დაზიანებები, ძლიერი ხველა და ცრემლდენა."*

დაზარალებული V95 (26 წლის ქალი): *„პირველი დეკემბრის ღამეს დიდი რაოდენობით გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და სხვა უცნობი ნივთიერებები. ვგრძნობდით ძლიერ წვას ცხვირ-ხახაში, ვახველებდით და ვკარგავდით სუნთქვის კონტროლს."*

დაზარალებული V94 (36 წლის მამაკაცი): *„ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარედ სპეცრაზმის მხრიდან დემონსტრანტების თავზე ნასროლმა გაზის კაფსულებმა სუნთქვის მწვავე უკმარისობა გამოიწვია."*

დაზარალებული V93 (35 წლის ქალი): *„ბილტმორის“ მიმდებარედ პოლიციამ და სპეცდანიშნულების რაზმმა ცრემლსადენი გაზი უშუალოდ ხალხის თავზე გაუშვა, რამაც მათ გადაადგილების საშუალება მოუსპო."*

---

[143] „ტვ პირველის“ პირდაპირი ეთერი, 03.12.2024, 02:19. ტელეკომპანია „ფორმულას“ პირდაპირი ეთერი, 04.12.2024, 02:44.

[144] საია, „შსს 2-3 დეკემბრის ღამის განმავლობაშიც აგრძელებდა 28 ნოემბერს დაწყებული საპროტესტო აქციების ძალადობრივი და უკანონო მეთოდებით ჩახშობას“, 03.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo.php?fbid=995404205964935&id=100064860933385&set=a.485094683662559 [11.02.2025].

[145] „რადიო თავისუფლება“, 06.01.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C/33265361.html [11.02.2025].

დაზარალებული V92 (34 წლის მამაკაცი): *„ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარედ, სახურავებიდან უშვებდნენ ცრემლსადენ გაზს, რამაც დემონსტრანტებს გამოუვალი მდგომარეობა შეუქმნა და ალყაში მოაქცია."*

დაზარალებული V90 (24 წლის ქალი): *„ქაშვეთის ეკლესიასა და „ბილტმორთან" სპეცრაზმმა ერთდროულად გამოიყენა წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი, რამაც გაზის ღრუბელი გაამკვრივა და დემონსტრანტების მდგომარეობა დაამძიმა."*

დაზარალებული V88 (34 წლის ქალი): *„31 ნოემბერს (1-ელ დეკემბერს) სპეცრაზმმა აქციის მონაწილეების თავზე გადმოყარა ცრემლსადენი გაზის კაფსულები, რის გამოც, დემონსტრანტები მოექცნენ ერთგვარ ალყაში, მოხდა ჭყლეტის პროვოცირება და მათ დაკარგეს გადაადგილების შესაძლებლობა."*

დაზარალებული V48 (51 წლის ქალი): *„რუსთაველის გამზირზე, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარედ, არაერთი მოწმე ხედავდა, როგორ ისროდნენ ცრემლსადენი გაზის კაფსულებს სახურავებიდან, რაც მიზანმიმართული, ალყაში მოქცევის ტაქტიკა იყო."*

ასევე, გამოვლინდა პოლიციელების მიერ დაზარალებულების ე.წ. კორდონში გატარებისას წიწაკის სპრეის მიზანმიმართულად შესხმის ფაქტები. მაგალითად:

დაზარალებული V117 (23 წლის მამაკაცი): *„ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც „დაეკავეს" და სცემეს. არაფერი არ ხდებოდა. არც გაფრთხილება იყო, არც ჭავლი. მთელი ჭიჭინაძე გამატარეს პოლიციელების კორიდორში. ყველა მირტყამდა. ხელები მქონდა აფარებული. კორიდორში, ძირითადად, მირტყამდნენ თავის არეში ხელებს და ფეხებს. რადგან სახე დაფარული მქონდა, ბრაზდებოდნენ, სახეში როგორ ვერ მოვარტყითო და ხელებზე შემასხეს სპრეი (რომელმაც ხელებზე კანი ძალიან დამიწვა. ეს დამწვრობა თვალით იყო ხილული და 4 დღის განმავლობაში პერიოდულად მაწუხებდა). დამწვრობის ტკივილის გამო, ხელები ჩამოვწიე და სახეში დამარტყეს რამდენჯერმე. მქონდა მცირე დაზიანება მარცხენა თვალბუდის, ასევე, თავზე, კეფის არეში. ძირს დამაგდეს. სპეცრაზმელების მიერ ფეხებით ცემის შედეგად, მივიღე ნახეთქი ჭრილობა, საიდანაც სისხლდენა არ ჩერდებოდა. სისხლით სრულად დამესვარა ქურთუკი, შარვალი და ფეხსაცმელი."*

vi. სპეციალური საშუალებების თანადროული გამოყენება

სპეციალური საშუალებების თანადროული გამოყენება, როგორც წესი, ვლინდებოდა წყლის ჭავლში სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების შერევით (თუმცა, ასევე, ერთდროულად იყენებდნენ ცრემლსადენ გაზს, წყლის ჭავლსა და წიწაკის სპრეის).[146] აღნიშნულის ეფექტებზე მიუთითებენ დემონსტრანტებიც, რომლებსაც, ამის შედეგად, შეექმნათ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები, მათ შორის, კანის დამწვრობა, თვალების გაღიზიანება და სუნთქვის უკმარისობა. დემონსტრანტების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ წყლის ჭავლის გამოყენების შემდეგ მათ იგრძნეს ქიმიური წვა კანზე და თვალებში, რაც ცალსახად არ არის მხოლოდ წყლის მექანიკური ეფექტი.[147] მაგალითად:

დაზარალებული V88 (34 წლის ქალი): *„წყლის ჭავლმა გამოიწვია კანის ძლიერი წვა, ქავილი და ალერგიული რეაქცია, რაც მიუთითებდა ქიმიური აგენტების არსებობაზე."*

დაზარალებული V21 (36 წლის ქალი): *„წყლის ჭავლის გაშვების მომენტში, როგორც წესი, არ იყო გამოყენებული ცრემლსადენი გაზი, თუმცა დემონსტრანტებს უკვე აღენიშნებოდათ თვალების წვა და სუნთქვის გაძნელება, რაც ამტკიცებს, რომ წყალში, სავარაუდოდ, წიწაკის სპრეი იყო შერეული."*

დაზარალებული V94 (36 წლის მამაკაცი): *„წყლის ჭავლი იწვევდა თვალების წვას და სუნთქვის გაძნელებას, რაც, შესაძლოა, წყალში შერეული ქიმიური ნივთიერებების შემცველობას უკავშირდებოდეს."*

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, წყლის ჭავლში ქიმიური გამღიზიანებლების შერევა უკიდურესად პრობლემურია რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ ყოვლისა, უცნობია, რა არის წყალში ქიმიური ნივთიერების კონცენტრაციის დასაშვები დონე, რაც წარმოშობს მნიშვნელოვან რისკებს ადამიანების ჯანმრთელობისთვის. როდესაც ადამიანის ტანსაცმელი იჭღინთება ქიმიური გამღიზიანებლით, შეუძლებელია მისი ზემოქმედებისგან გაქცევა. ასევე, ამ დროს შეუძლებელია ქიმიური ნივთიერების ზემოქმედების ხარისხისა და ხანგრძლივობის კონტროლი.[148] თუ წლის ჭავლში ცრემლსადენი გაზი ერევა და შემდეგ ის მოქალაქეთა მისამართით წყალსატყორცნით გაისროლება, სპეციალური საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი

[146] საია, „სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ", 2024, 15; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/ევროპული%20სასამართლოს%20მიერ%20საქართველოსთან%20მიმართებით%20მიღებული%20გადაწყვეტილებები%20(003).pdf [11.02.2025].

[147] Civil Georgia, CSOs: MIA Pre-planned Brutal Methods for Crackdown on Protesters, 18.12.2024; იხ. https://civil.ge/archives/646132 [11.02.2025].

[148] Amnesty International, Chemical Irritants in Law Enforcement, 2021, 20; იხ. https://www.amnesty.nl/content/uploads/2021/07/Amnesty-position-paper-chemical-irritants.pdf [11.02.2025].

ადამიანები უფრო დიდხანს განიცდიან ცრემლსადენი გაზით გამოწვეულ სიმპტომებს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, ნაწილაკები მათ ტანსაცმელში რჩება.[149]

თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს გამოვლინდა სპეციალური საშუალებების ერთდროულად გამოყენების შემთხვევები, რაც გამოიხატებოდა წყლის ჭავლში ქიმიური გამღიზიანებლების შერევაში. ჭავლის ქიმიურ ნივთიერებებთან კონცენტრაციამ და დემონსტრანტებზე წნევით მიმართვამ ადამიანების ჯანმრთელობის დაზიანების რეალური რისკები შექმნა. ამ ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში კი, უცნობია, როგორი ეფექტი ექნება მათი ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანების ჯანმრთელობაზე სამომავლოდ.

30 ნოემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ დაადასტურა, რომ წყლის ჭავლში, რომლითაც დემონსტრანტებს არბევდნენ, გარეული იყო სხვა ნივთიერებაც, მათ შორის, ცრემლსადენი გაზი, თუმცა სხვა ნივთიერებები არ დაუზუსტებია.[150]

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა 2021 წლიდან პირდაპირ არ კრძალავს ერთდროულად ორი ან მეტი აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებას, თუმცა ამ ფორმით აქციის დაშლა ეწინააღმდეგება პროპორციულობისა და თანაზომიერების საბაზისო პრინციპს, რომელიც საპოლიციო ამოცანების შესრულებას მხოლოდ ზიანის მინიმიზაციის პირობებში ცნობს დასაშვებად.

აღწერილი გარემოებები ნათლად მიუთითებს, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მოყოლებული, მოქალაქეების თითოეული შეკრება იყო მშვიდობიანი და აქციის მონაწილეების აბსოლუტური უმრავლესობა პროტესტს გამოხატავდა კანონის ფარგლებში. სამართალდამცავების მიერ დარბევის ყველა შემთხვევაში, უსაფუძვლოდ მოხდა სპეციალური საშუალებების გამოყენება, რადგან გამოკვეთილი არ იყო აქციის დაშლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლები. გარდა ამისა, საპროტესტო აქციებზე შსს-ის დანაყოფებმა დაარღვიეს მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული განსაკუთრებული მოთხოვნები სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ. დარღვევების მასშტაბი ნათლად მიუთითებს, რომ სამართალდამცავების მიზანი მოქალაქეების შეკრებისა და გამოხატვის უფლების შეზღუდვა და პროტესტის ჩახშობა იყო. შესაბამისად, სპეციალური საშუალებების გამოყენება არ ემსახურებოდა მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას.

vii. სპეციალური საშუალებების პროპორციული გამოყენების პრინციპის დარღვევა

საერთაშორისო სტანდარტებით, ნებისმიერი სპეციალური საშუალების გამოყენება, როგორც შეკრების უფლებაში ჩარევის ფორმა, უნდა იყოს პროპორციული და აუცილებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვისთვის. პროპორციულობის და აუცილებლობის ტესტი, კონკრეტულ გარემოებებში, შეკრების თავისუფლების შეზღუდვის „გადაუდებელი სოციალური საჭიროების“ არსებობის დადასტურებასა და ზიანის რისკების შეფასებას მოითხოვს.[151]

კანონმდებლობა ადგენს სპეციალური საშუალებების პროპორციული გამოყენების ვალდებულებას ნებისმიერ ვითარებაში. ინსტრუქციის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ფიზიკური ძალა ან/და სპეციალური საშუალებები უნდა გამოიყენონ თანაზომიერების პრინციპის დაცვით, მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტული გარემოებისთვის საჭირო მინიმალური ოდენობით.[152] თანაზომიერება და პროპორციულობა იძულების ღონისძიებების გამოყენების საბაზისო პრინციპია, რომელიც ყველა სახის სპეციალურ საშუალებაზე ვრცელდება და უზრუნველყოფს მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვას.

ზიანის თანაზომიერებისა და მინიმიზაციის შესახებ საკანონმდებლო მოთხოვნის მიუხედავად, აქციის მონაწილეები ყოველდღიურად ხვდებოდნენ კლინიკებში სპეციალური საშუალებების შედეგად მიყენებული მძიმე დაზიანებებით. საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებში ასახულია არაერთი შემთხვევა, როდესაც აქციის მშვიდობიანმა მონაწილეებმა სხვადასხვა სახის მძიმე დაზიანება მიიღეს, მათ შორის, თავის არეში და საჭირო გახდა კლინიკაში მათი გადაყვანა. მაგალითად, 3 დეკემბერს, 03:30 წუთზე, მედიის პირდაპირი ეთერის ჩანაწერების მიხედვით, მოქალაქეებმა სასწრაფო დახმარების მანქანასთან მიიყვანეს ცრემლსადენი გაზის შედეგად დაშავებული მოქალაქე, რომელსაც სახე ჰქონდა დასისხლიანებული, რადგან გაზის ყუმბარა მოხვდა ახლო დისტანციიდან.[153]

---

[149] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 102; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

[150] „რადიო თავისუფლება“, „შსს ამბობს, რომ „წყლის ჭავლში, შესაძლოა, რაღაც იყო გარეული“, 30.11.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33221645.html [11.02.2025].

[151] ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო შეკრებების დროს პოლიციის მიერ წესრიგის დაცვის შესახებ, 2019, 23; იხ. https://www.osce.org/ka/odihr/429062 [11.02.2025].

[152] შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებით დამტკიცებული „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის“ მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

[153] „მთავარი არხის“ პირდაპირი ჩანაწერი, 02.12.2024, 03:30.

ასევე, აღსანიშნავია, რომ **ქიმიური აგენტების გამოყენება ხდებოდა ხალხმრავალ და დახურულ სივრცეებში**. 30 ნოემბრის ღამეს და 1-ლი დეკემბრის გამთენიისას განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ქაშვეთის ეკლესიისა და „ბილტმორის“ მიმდებარედ სამართალდამცავებმა განზრახ შექმნეს დემონსტრანტების სიცოცხლისთვის საშიში გარემო. გამოკითხული პირების ჩვენებების მიხედვით, ჭიჭინაძის ქუჩაზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოულოდნელად დაიწყო აქციის დარბევა, რისთვისაც გამოიყენა ცოცხალი ძალა და წყლის ჭავლი. ხელკეტებითა და ფარებით აღჭურვილი სამართალდამცავები სწრაფად გადაადგილდნენ ჭიჭინაძის ქუჩიდან პარლამენტის წინ, რუსთაველის გამზირისკენ, დემონსტრანტების მიმართულებით, რის გამოც, აქციის მონაწილეთა ნაწილმა ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლა, რათა დაპირისპირების ეპიცენტრს გასცლოდა.

ამ დროს გაურკვეველმა პირებმა, რომლებიც აღჭურვილნი იყვნენ გაზისგან დამცავი საშუალებებით, ცრემლსადენი გაზის კაფსულები გადმოყარეს ვიწრო ქუჩაში, დემონსტრანტების თავზე და მათ წინ, რითაც აქციის მონაწილეებს უსაფრთხო გასასვლელი მოუჭრეს. შედეგად, მოქალაქეები აღმოჩნდნენ ცრემლსადენი გაზით გაჟღენთილ გარემოში, სპეცრაზმის პირისპირ. ამ ქმედებამ ჭყლეტის პროვოცირება მოახდინა, რამაც მშვიდობიან დემონსტრანტებს აქციის დატოვების შესაძლებლობა მოუსპო. მათ მოუწიათ ვიწრო ქუჩაში, ჭყლეტაში, ცრემლსადენი გაზით გაჯერებულ სივრცეში გადაადგილება, რაც დამატებით საფრთხეს უქმნიდა მათ ჯანმრთელობას და ფიზიკურ უსაფრთხოებას.[154]

1.3.4. ქიმიური აგენტების შედეგად, ჯანმრთელობისთვის პოტენციურად შეუქცევადი ზიანის გამოწვევის რეალური საფრთხე

ცრემლსადენი გაზის, წიწაკის სპრეის, წყლის ჭავლისა და სხვა, ამ ეტაპზე დაუდგენელი, საშუალებების ინტენსიურმა გამოყენებამ დემონსტრანტებს ჯანმრთელობის მწვავე პრობლემები შეუქმნა. იმწუთიერი ზიანის გარდა, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები მიუთითებენ მოსალოდნელ გრძელვადიან შედეგებზეც.

5 დეკემბერს ჯანდაცვის მუშაკებმა და ექიმებმა, დემონსტრანტების მიმართ ქიმიური ნივთიერებების შემცველი საშუალებების გამოყენების შეწყვეტის მოთხოვნით, პეტიცია გაავრცელეს. პეტიციის თანახმად, 28 ნოემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით შსს-ის მიერ მომწამლავი ნივთიერებების გამოყენების შემდეგ კლინიკებს ყოველდღიურად აკითხავდნენ ადამიანები, რომლებსაც, ამის შედეგად, მწვავე სიმპტომები განუვითარდათ. ჯანდაცვის მუშაკების განცხადებით, შემაშფოთებელია ქიმიური ნივთიერებების ხანგრძლივი და მასობრივი გამოყენება. მათ ჯანდაცვის სამინისტროს მოუწოდეს, გაევრცელებინა ინფორმაცია, რომელი ნივთიერებები იყო გამოყენებული, რათა ექიმებს დაზარალებული ადამიანებისთვის შესაბამისი მკურნალობის გაწევის შესაძლებლობა ჰქონოდათ.[155]

ცრემლსადენ გაზთან ხანგრძლივი ექსპოზიციის შემაშფოთებელ საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ყოფილმა უფროსმაც და ჯანდაცვის სამინისტროს ცრემლსადენი გაზის გამოყენების რისკების თაობაზე ინფორმაციის დროულად გავრცელებისკენ მოუწოდა.[156] იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო უწყებები უარს ამბობენ ქიმიური ნივთიერებების შესახებ მონაცემების გასაჯაროებაზე და ადამიანებისთვის უცნობია, რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მათი ჯანმრთელობა, იმთავითვე შეუძლებელი ხდება გამოყენებული სპეციალური საშუალებების თანაზომიერებისა და პროპორციულობის შეფასება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც, ამის შედეგად, აქციის მონაწილეებს მყისიერად მიადგათ ზიანი.

---

[154] დაზარალებულთა ჩვენებების ანალიზი (V90 - 24 წლის ქალი, V92 - 35 წლის მამაკაცი, V94 - 37 წლის მამაკაცი, V97 - 25 წლის მამაკაცი) ასევე V88 (35 წლის ქალი) და V48 (51 წლის ქალი).

[155] manifest.ge, ექიმების და ჯანდაცვის მუშაკების მოთხოვნა დემონსტრანტების მიმართ ქიმიური ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 05.12.2024; იხ. https://manifest.ge/petitions/609169/%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97-%E1%83%A5%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%95%E1%83%97%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97?fbclid=IwY2xjawG-8hxleHRuA2FlbQIxMQABHe3GFuelgPW63iNq4EG9q48EW_XiwvMSZTkVm3yg3oieU3Lnmuzj46Kbzg_aem_tEafK8gm7EgzW3zJ-TzfCQ [11.02.2025].

[156] On.ge, ამირან გამყრელიძე აქციის მონაწილეებზე ძალადობის, ჰოსპიტალიზაციისა და გაზით მოწამვლის ფაქტებს ეხმაურება“, 07.12.2024; იხ. https://on.ge/story/137908-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A7%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%B0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%98%E1%83%97-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%AE%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90 [11.02.2025].

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმპტომი იყო სასუნთქის სისტემის დაზიანება. დაზარალებულები უჩიოდნენ სუნთქვის მწვავე უკმარისობას, ფილტვების ანთებას, ძლიერ ხველას და ხახის გაღიზიანებას. ზოგიერთმა მათგანმა ჰაერის უკმარისობისგან გონება დაკარგა, ხოლო ზოგს აღენიშნებოდა ძლიერი თავბრუსხვევა და კოორდინაციის პრობლემები.

გარდა ამისა, წყლის ჭავლში შერეულმა ქიმიურმა გამღიზიანებლებმა სავარაუდოდ კანის მწვავე დამწვრობა და ალერგიული რეაქციები გამოიწვია. დაზარალებულები მიუთითებდნენ კანის წვასა და სიწითლეზე წყლის შეხების შემდეგ, რაც რამდენიმე დღე გრძელდებოდა, ხოლო დაბანისას ტკივილი უფრო მძაფრდებოდა. ზოგიერთ დემონსტრანტს ალერგიული გამონაყარი და კანის სიმშრალე განუვითარდა, რაც, მათი თქმით, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებასთან იყო დაკავშირებული. მათივე განმარტებით, ცრემლსადენმა გაზმა ასევე გამოიწვია მხედველობის პრობლემები, თვალების ძლიერი წვა, გაღიზიანება, მხედველობის დაბინდვა და დროებითი დაკარგვა. ზოგიერთი მათგანი რამდენიმე დღის განმავლობაში სრულად ვერ ახელდა თვალებს, ზოგს კი კონიუნქტივიტი და ქუთუთოების შეშუპება განუვითარდა.[157] მაგალითად:

დაზარალებული V95 (26 წლის ქალი): აღენიშნებოდა თვალების გაღიზიანება, ძლიერი ქავილი, მხედველობის დროებითი დაკარგვა და ქუთუთოების შეშუპება.

დაზარალებული V90 (24 წლის ქალი): აღენიშნებოდა თვალების წვა, გაღიზიანება და მხედველობის დაბინდვა, ასევე, განუვითარდა კონიუნქტივიტი და ქუთუთოების შეშუპება.

დაზარალებული V91 (36 წლის მამაკაცი): სუნთქვის პრობლემებთან ერთად, განუვითარდა თვალების ძლიერი წვა, სიწითლე და მხედველობის დაბინდვა.

დაზარალებულები V25 (49 წლის ქალი), V28 (21 წლის ქალი) და **V29 (54 წლის მამაკაცი):** ნოემბრის საპროტესტო აქციებში მონაწილეობისას, წყლის ჭავლთან, მხუთავ აირთან და ცრემლსადენი გაზთან ექსპოზიციის შედეგად, განუვითარდათ მწვავე სასუნთქი და ალერგიული რეაქციები, რომლებიც მკვეთრად პროგრესირებდა და გამოიწვია ფილტვების მნიშვნელოვანი დაზიანება.

დაზარალებული V25 (49 წლის ქალი): 29 ნოემბრის საპროტესტო აქციის დროს, მათ შორის, ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ქუჩაზე, დაზარალებულს მოუწია ცრემლსადენი გაზის კვამლში, ჭყლეტაში გავლა.

აქციის შემდეგ, დაზარალებულს განუვითარდა მწვავე სასუნთქი პრობლემები, რომლებიც პროგრესირებდა და მნიშვნელოვანი სამედიცინო გართულებები გამოიწვია. 2 დეკემბერს დაზარალებულმა მიმართა ჟორდანიას კლინიკას, სადაც დაუდგინდა მწვავე ბრონქიტი, რაც გამოიხატებოდა შეტევითი ხასიათის სპაზმური ხველით, ღებინებით, ხმის ცვლილებით და სურდოთი. ფილტვების რენტგენოლოგიური კვლევით გამოვლინდა ემფიზემატოზური ცვლილებები, რაც მიუთითებდა ფილტვის ქსოვილის დაზიანებაზე. 5 დეკემბერს ჩატარებული კომპიუტერული ტომოგრაფიის (CAT scan) შედეგად, დაზარალებულს დაუდასტურდა ფილტვების ორმხრივი შეშუპება, ქიმიური ნივთიერებების, გაზებისა და ორთქლის ინჰალაციით გამოწვეული პნევმონიტი.

მდგომარეობის გაუარესების გამო, 6 დეკემბერს საჭირო გახდა მისთვის კომპლექსური სტეროიდული და ანთების საწინააღმდეგო მკურნალობის დანიშვნა. მომდევნო თვეების გამავლობაში დაზარალებულს ინტენსიური მკურნალობის გავლა მოუწია. ქიმიური საშუალებების ზემოქმედებით გამოწვეული ჯანმრთელობის პრობლემები, ამ დროის განმავლობაში, მნიშვნელოვნად უზღუდავდა მას გადაადგილების, ყოველდღიური აქტივობების და პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას.

1.3.5. გრძელვადიანი ჯანმრთელობის გართულებები პირველადი, მეორეული ან მრავალჯერადი ექსპოზიციის გამო

დაზარალებულ V25-ის მიერ აღწერილი სიმპტომები არ არის ცალკეული შემთხვევა. მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში დემონსტრანტები მიუთითებდნენ, რომ, როგორც უშუალოდ ესკალაციის პროცესში, ასევე მომდევნო დღეებში, აქციაზე მყოფ დემონსტრანტებს განუვითარდათ მწვავე და ქრონიკული ჯანმრთელობის პრობლემები: მხედველობის დაქვეითება და დროებით დაკარგვა, ჰემორაგია, ნერვული სისტემის დაზიანებები, კატარაქტა, სასუნთქი და კუჭ-ნაწლავის სისტემის დისფუნქცია. მრავალი დაზარალებული უჩიოდა ქრონიკულ ხველას, სუნთქვის გაძნელებას, თავბრუსხვევას, კანის დამწვრობებსა და დერმატიტს.

დაახლოებით 307-მა ადამიანმა მონაწილეობა მიიღო კვლევაში, რომელიც ექიმთა 8-წევრიანმა ჯგუფმა (ალერგოლოგი, კარდიოლოგი, რევმატოლოგი, ინფექციონისტი, ნევროლოგი და ოფთალმოლოგი) ჩაატარა ქიმიური აგენტების გრძელვადიანი ზემოქმედების დოკუმენტირების მიზნით. კვლევა ფოკუსირებული იყო იმ პაციენტებზე, რომლებიც **საპროტესტო აქციის ძალის გამოყენებით დარბევის ერთ ან რამდენიმე ეპიზოდში მონაწილეობდნენ.** მიღებული მონაცემები ასევე მოიცავდა ისეთი დემონსტრანტების საქმეებს, რომლებიც

[157] სხვა ინტერვიუებთან ერთად დაზარალებულებმა V90, V91, V94, V95 და V98 აღწერეს ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლთან კონტაქტის დამყარების შემდეგ თვალების ძლიერი წვა, გაღიზიანება, ქუთუთოების შეშუპება, კონიუნქტივიტი და მხედველობის დროებითი დაბინდვა. დაზარალებულებმა ასევე აღნიშნეს სასუნთქი სისტემის დაზიანება, ხველა, სუნთქვის უკმარისობა და ფილტვების გაღიზიანება, რაც მათივე თქმით, ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის ქიმიური ზემოქმედებით იყო გამოწვეული.

შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით მივიდნენ, არ ჰქონიათ პირდაპირი კონტაქტი ქიმიურ აგენტებთან მათი აქტიური გამოყენების დროს, თუმცა, მოგვიანებით, განუვითარდათ გარემოში დარჩენილ ტოქსიკურ ნარჩენებთან და მეორადი ექსპოზიციით გამოწვეულ ზემოქმედებასთან ასოცირებული სიმპტომები.

კვლევის ერთ-ერთი ავტორი, პედიატრი კონსტანტინე ჩახუნაშვილი ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავების მიერ წიწაკის სპრეისა და წყლის ჭავლის ერთდროულ გამოყენებაზე. მისი განმარტებით, წიწაკის სპრეის წყალთან კომბინირებულად გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან წყალი დაახლოებით 30-ჯერ ზრდის ქიმიური აგენტის შეღწევადობას. შედეგად, ტოქსიკური ნივთიერებები უფრო ღრმად აღწევს კანსა და ლორწოვან გარსებში, რაც, შესაძლოა, მძიმე დამწვრობისა და ლორწოვანის დაზიანების მიზეზი გახდეს. ავტორის თქმით, ამ სიმპტომებზე, დაახლოებით, 112-მა მონაწილემ შეავსო დოკუმენტირების ფორმა. მათ შორის, ყველაზე გავრცელებული იყო თვალების მწვავე გაღიზიანება, სუნთქვის პრობლემები და კანის ქიმიური დამწვრობა.

კვლევის ავტორის განმარტებით, განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ 113 დაზარალებულს ერთი თვის შემდეგაც აღენიშნებოდა ხველა და სასუნთქი სისტემის გაღიზიანება, რაც, ჩვეულებრივ, ასეთი შემთხვევებისთვის არაბუნებრივად ხანგრძლივი სიმპტომია. გარდა ამისა, მათ ექვსი კვირის შემდეგაც ჰქონდათ სასუნთქი გზების პრობლემები და ლორწოვანი გარსის ანთება, რაც, შესაძლოა, ცრემლსადენი გაზის მაღალი კონცენტრაციისა და მისი ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგი ყოფილიყო.

ბევრ დაზარალებულს აღენიშნებოდა კანის ანთება, წყლულები და შეხორცების პრობლემები, რაც, შესაძლებელია, ქიმიური ნივთიერებების ღრმა შეღწევის შედეგად განვითარდა. ასევე, საყურადღებოა ერთთვიანი სპონტანური სისხლდენები ცხვირიდან, რაც ზოგიერთ პაციენტს გამოუვლინდა. შეიძლება ეს სისხლის შედედების მექანიზმის დარღვევაზე მიანიშნებდეს.

ექიმის თქმით, ასეთი სისხლდენების მიზეზი უცნობია და საჭიროებს დამატებით გამოკვლევას. შესაძლოა, ეს დაკავშირებული იყოს ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის მავნე ეფექტებთან. ასევე, ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს გრძელვადიანი ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც დროთა განმავლობაში გამოვლინდება. პოტენციურ გართულებებს შორისაა:

- ფილტვების დაზიანება და ქრონიკული ანთება – ქიმიური ნივთიერებების ნაწილაკები, შესაძლოა, ფილტვებში დარჩეს და გამოიწვიოს ქრონიკული ანთებითი პროცესები, მათ შორის, პნევმონია და ბრონქიტი.
- მტვრისა და ქიმიური ნაწილაკების დაგროვება ფილტვებში – სპეციალური საშუალებებით დაბინძურებულ გარემოში ჰაერის ჩასუნთქვა იწვევს მავნე ნაწილაკების ქსოვილებში დაგროვებას, რაც გრძელვადიან პერიოდში ფილტვის დაავადებების განვითარებას განაპირობებს.
- კიბოს რისკი – ქიმიური ნივთიერებების ინჰალაციის შედეგად ფილტვის ქსოვილში მათი დაგროვება შეიძლება ზრდიდეს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ - კიბოს რისკს.
- გრძელვადიანი ალერგიული რეაქციები – დაზარალებულებს, რომლებსაც აღენიშნებოდათ კანის მძიმე ალერგიული რეაქციები, შესაძლოა, მომავალში განუვითარდეთ ალერგიის ქრონიკული ფორმები, მათ შორის, ასთმა და კონტაქტური დერმატიტი.
- ქიმიური ნივთიერებების განმეორებითი ზემოქმედება – ამ საშუალებების აქტიური კომპონენტები, შესაძლოა, გარემოში შენარჩუნდეს დღეების ან კვირების განმავლობაში, განსაკუთრებით კი, ჰაერის ნაკადის შეზღუდვის პირობებში, როგორიცაა ურბანული საცხოვრებელი ზონები, ვიწრო ქუჩები და ჩაკეტილი სივრცეები. ეს ნიშნავს, რომ საფრთხე ემუქრებათ არა მხოლოდ დემონსტრანტებს, არამედ შემთხვევით გამვლელებსა და იმ პირებსაც, რომლებიც ამ ტერიტორიებზე მოგვიანებით გადაადგილდებიან.

სამართალდამცავთა მიერ დამოუკიდებლად და კომბინირებულად გამოყენებული სპეციალური საშუალებები (წყლის ჭავლი, წიწაკის სპრეი და ცრემლსადენი გაზი) **პოტენციურ გრძელვადიან რისკებსაც შეიცავს დემონსტრანტთა ჯანმრთელობისთვის**. ეს შეიძლება მოიცავდეს **ქრონიკულ რესპირატორულ, ნეიროლოგიურ და დერმატოლოგიურ გართულებებს.** ამჟამინდელი სამედიცინო მონაცემების გათვალისწინებით, **აუცილებელია დამატებითი კლინიკური და ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება,** რათა დადგინდეს ამ საშუალებების ზემოქმედება **გრძელვადიან პერსპექტივაში და დიფერენცირებული გავლენა კონკრეტულ რისკჯგუფებზე, მათ შორის, ალერგიული და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებზე.**

2. წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა

2024 წლის 28 ნოემბრიდან თბილისის საპროტესტო აქციების ჩასახშობად სახელმწიფო სისტემურად იყენებდა არასათანადო მოპყრობასა და საპოლიციო ძალადობის სხვა ფორმებს. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატიდან მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით სახალხო დამცველის აპარატს, ჯამში, იდენტიფიცირებული აქვს **282 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი**.[158] აქედან 81 შემთხვევა აპარატმა მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე აღრიცხა.[159]

დოკუმენტირების ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 117 რესპონდენტთან. მათი 77.7% (91 რესპონდენტი 117-იდან) მიუთითებს, რომ ისინი დაექვემდებარნენ ძალადობას და არასათანადო მოპყრობას პოლიციის მხრიდან 19 ნოემბრიდან 28 იანვრის პერიოდში მიმდინარე პროტესტის კონტექსტში.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშის მიხედვით, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 3-4 დეკემბრის ღამის ჩათვლით და 6-7 დეკემბრის ღამეს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების უკანონო დაშლისას, ასევე, 2025 წლის 2 თებერვალს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრების მხრიდან სავარაუდო წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას დაექვემდებარა თითქმის ყველა დაკავებული.[160] ანგარიშის მიხედვით, ამ თარიღებში **სახალხო დამცველის აპარატის მიერ მონახულებული 343 ადამიანიდან 242 (70.5%) იყო სავარაუდო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.**[161] სახალხო დამცველის შეფასებით, სავარაუდო არასათანადო მოპყრობა, მათ შორის, წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა როგორც გაზაფხულის, ისე ზამთრის აქციების მონაწილეთა მიმართ იყო სისტემური. რამდენიმე ათეული მსხვერპლი სპეცრაზმის მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის მსგავს ხერხებსა და მეთოდებზე მიუთითებს.[162]

არსებული მტკიცებულებები და ძალადობის მსხვერპლთა ჩვენებები ცხადყოფს, რომ სახეზეა სისტემური წამება - სასტიკი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა აქციის მონაწილეთა დასაშინებლად და დასასჯელად. **ძალადობის მასშტაბი, შსს-ს სხვადასხვა დანაყოფების კოორდინირებული მონაწილეობა, წამების მსხვერპლთა ჩვენებების თანხვედრა, სხვადასხვა თარიღში განხორციელებული იდენტური ქმედებები, სახელმწიფოს მხრიდან ძალადობაზე რეაგირების არარსებობა და, ზოგ შემთხვევაში, მისი წახალისება მიუთითებს წამების სისტემურობასა და ამ დანაშაულის ორგანიზებულ ხასიათზე.**

წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები განსაკუთრებით ინტენსიური იყო 2024 წლის ნოემბრის ბოლოს და დეკემბრის დასაწყისში, თბილისში მიმდინარე მასშტაბური საპროტესტო აქციების დარბევის პარალელურად, კონკრეტულად, შემდეგ თარიღებში:

1. 2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამე
2. 2024 წლის 29-30 ნოემბრის ღამე
3. 2024 წლის 30 ნოემბრის - 1-ლი დეკემბრის ღამე
4. 2024 წლის 1-2 დეკემბრის ღამე
5. 2024 წლის 2-3 დეკემბრის ღამე
6. 2024 წლის 3-4 დეკემბრის ღამე
7. 2024 წლის 6-7 დეკემბრის ღამე

ამასთანავე, 2025 წლის 2 თებერვლის მშვიდობიან აქციაზე საპოლიციო ძალების ძალადობრივმა პასუხმა ცხადყო, რომ სახელმწიფო კვლავ აქტიურად იყენებს იმავე რეპრესიულ მექანიზმებს, რომლებსაც 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმართავდა.

ამ თავში მიმოხილულია წამებასა და არაადამიანურ, დამამცირებელ მოპყრობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ის ძირითადი პრაქტიკა და ქცევის მოდელები, რომლებიც დოკუმენტირების ფარგლებში გამოიკვეთა და ძალადობის სისტემურობაზე მიუთითებს. ეს თავი ეყრდნობა დოკუმენტირების ფარგლებში ჩატარებულ გამოკითხვებს, არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთაგან მიღებულ მასალებსა და ღია წყაროებში ხელმისაწვდომ ინფორმაციას.

---

[158] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2025 წლის 15 თებერვლის №25/1280 წერილი.
[159] იქვე.
[160] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2025, 89; იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2025040114382036221.pdf [03.04.2025].
[161] იქვე.
[162] იქვე, 78.

რესპონდენტთა 77.7% პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა



ჩვენების მიხედვით, ძალადობაგამოვლილი რესპონდენტების 87.9%-ის შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან ძალადობას თან ახლდა მსხვერპლის დაკავება

(80 რეპონდენტი 91-იდან)



2.1. ძირითადი ქცევის მოდელების მიმოხილვა



- როგორც წესი, აქციების დარბევის პარალელურად, სპეციალური დანიშნულების რაზმი აქციის მონაწილეებს უსაფუძვლოდ აკავებდა, სცემდა მათ ადგილზევე, ხშირად ჯგუფურად, შემდეგ კი გადაჰყავდა ისინი პოლიციის კორდონს მიღმა, მედიის კამერებისაგან მოშორებით, სადაც ძალადობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდებოდა.
- ძალადობა გრძელდებოდა სპეციალურ სადამსჯელო მიკროავტობუსებში, რომლებსაც არ ჰქონდა სავარძლები და ფანჯრები. სპეცრაზმის წევრები სპეციალური ხელთათმანებით, ფეხით, ასევე, ზოგ შემთხვევაში, კეტით ან სხვა ხელსაწყოს გამოყენებით, ჯგუფურად სცემდნენ მსხვერპლებს.
- ფიზიკურ ძალადობას, როგორც დაკავების შემდეგ, ისე მიკროავტობუსში, თან ახლდა ნივთების წართმევა, შეურაცხყოფა, დამცირება და მუქარა, მათ შორის, გაუპატიურების მუქარა. როგორც წესი, სპეცრაზმელები მიზანმიმართულად ურტყამდნენ თავისა და სახის არეში.
- მიკროავტობუსში ცემის შემდეგ, რაც, ხშირად, რამდენიმე ეპიზოდად ხდებოდა, მსხვერპლებს გადასცემდნენ საპატრულო ან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც ისინი პოლიციის განყოფილებებში მიჰყავდათ და დაკავების შესახებ ყალბ ოქმებს აფორმებდნენ.
- ხშირად ფსიქოლოგიური და, ზოგიერთ შემთხვევაში, ფიზიკური ძალადობა გრძელდებოდა როგორც ტრანსპორტირების დროს, ასევე პოლიციის განყოფილებაში. აღსანიშნავია, რომ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას თან ახლდა სამთავრობო ნარატივისთვის დამახასიათებელი ანტიევროპული და ჰომოფობიური რიტორიკა.
- ხშირად, გარდა ფიზიკური ძალის გამოყენებისა, არასათანადო მოპყრობა ეფუძნებოდა საპოლიციო ძალების მიერ აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების პრაქტიკას, რომელიც, მართლწესრიგის აღდგენის ნაცვლად, აქციის მონაწილეთა დასჯის ან დაზიანებისკენ იყო მიმართული.

2.2. საპოლიციო ძალადობა

2.2.1. დაკავების ადგილზე

ინტერვიუების მიხედვით, ძალადობაგამოვლილი რესპონდენტების 87.9%-ის შემთხვევაში, პოლიციის მხრიდან ძალადობას თან ახლდა მსხვერპლის დაკავება (80 რესპონდენტი 91-იდან).

პროტესტის მონაწილეებს, როგორც წესი, სპეცრაზმელები აქციის დარბევის პროცესში სცემდნენ, შემდეგ ფეხზე აყენებდნენ და მიჰყავდათ პოლიციის კორდონისკენ. გარკვეულ შემთხვევებში, დაკავებულებს რამდენიმე პოლიციელი მიათრევდა. პოლიციის კორდონის მიღმა გრძელდებოდა აქციის მონაწილეთა ცემა და დამცირება.

როგორც რესპონდენტები იხსენებენ, ჯგუფური ცემა იწყებოდა დაკავების მომენტიდან და უფრო ხანგრძლივად და ინტენსიურად გრძელდებოდა ჟურნალისტებისა და კამერებისგან მოფარებულ ადგილებში - პოლიციის კორდონსა ან შსს-ს ავტობუსებში.

დაზარალებული V110 (20 წლის მამაკაცი), რომელიც 2 დეკემბერს რესპუბლიკის მოედნის მიმდებარედ დააკავეს და სცემეს, იხსენებს: *„სპეციალურად აქვთ ველოსიპედის [ველოსიპედის მონუმენტი რესპუბლიკის მოედანზე] მიმდებარედ სივრცე მოწყობილი, რომელიც მედიისგან მოფარებულია ისე, რომ კადრებში არ მოხვდეს. გარშემო მთლიანად შემოსაზღვრულია ტერიტორია დიდი ზომის მანქანებით და სპეცრაზმელებით/რობოკოპებით. შედეგად, გარედან არ ჩანს, ამ მანქანებისა და სპეცების ალყაში როგორ გექცევიან.“*

გარკვეულ შემთხვევაში, აქციის დარბევამდე ხდებოდა პოლიციასთან ახლოს მდგომი აქციის მონაწილის „შეთრევა“ კორდონში, რის შემდეგაც იწყებოდა მასზე ძალადობა.

დაზარალებული V63 (34 წლის მამაკაცი) 29 ნოემბრის ინციდენტის შესახებ იხსენებს, რომ დარბევა დაწყებული არ იყო, როცა ჭიჭინაძის ქუჩის კუთხეში პოლიციის კორდონთან ახლოს იდგა და პოლიციელებს მშვიდობიანად ესაუბრებოდა პოლიტიკურ თემებზე. ამ დროს ის შეითრიეს კორდონში, სცემეს და დააკავეს: *„აქციის მონაწილეები ჩვეულებრივად ვიყავით, მშვიდობიანად. რაღაც მომენტში ამ ადამიანს უკან სხვა ნიღბიანები ამოუდგნენ, რამდენს ალაპარაკებო, არ არის ამდენი პასუხის გაცემა საჭიროო და მოიტა, დავითრიოთო. მომკიდეს ხელი, გადმოყო ხელი სხვა ნიღბიანმა უკნიდან, ჰუდში ჩამავლო ხელი და შემითრია. არც სირენა, არც წყლის ჭავლი არ იყო, დაშლის შესახებ გაფრთხილებაც არ გამოუცხადებიათ. შემდეგ გვერდიდან ვიღაცამ წიწაკის სპრეი გაასხა, რომ სხვები ვერ დამხმარებოდნენ და გამატარეს გდდ-ს კორიდორი.“*

აქციის ერთ-ერთი მონაწილე[163] იხსენებს, რომ დარბევის დროს ჟურნალისტებთან ახლოს, პირველი სკოლის მიმდებარედ აღმოჩნდა. მას და მის მეგობარს ორი სპეცრაზმელი მიუახლოვდა, ტერიტორიის დატოვებაში დახმარება შესთავაზა და წინ გაუძღვა. მას შემდეგ, რაც ჟურნალისტებს გასცდნენ, ერთ-ერთი სპეცრაზმელი შემოტრიალდა და მათი ცემა დაიწყო.

აქციის მონაწილეები იხსენებენ, რომ პოლიციის კორდონთან ახლოს მყოფი ყველა სპეცრაზმელი ცდილობდა დაკავებულისთვის დარტყმას. სცემდნენ მათ ჯგუფურად, ან უწყობდნენ ე.წ. კორიდორს.

სპეცრაზმელები მიზანმიმართულად ცდილობდნენ, აქციის მონაწილეებისთვის სახის არეში მიეყენებინათ დაზიანება. როდესაც მსხვერპლი სახეს ხელებით იფარავდა, ცდილობდნენ, მისთვის სახიდან ხელები მოეშორებინათ. ამ მიზნით, ერთ-ერთ შემთხვევაში, მსხვერპლს ხელებზე წიწაკის სპრეი შეასხეს.

დაზარალებული V117 (23 წლის მამაკაცი) 28 ნოემბერს მომხდარს იხსენებს: *„[პოლიციის] კორიდორში, ძირითადად, მირტყამდნენ თავის არეში ხელებს და ფეხებს. რადგან სახე დაფარული მქონდა [ხელებით], ბრაზდებოდნენ. ხელებზე შემასხეს [წიწაკის] სპრეი, რომელმაც კანი ძალიან დამიწვა. ეს დამწვრობა თვალით იყო ხილული და 4 დღის განმავლობაში პერიოდულად მაწუხებდა. დამწვრობის ტკივილის გამო, ხელები ჩამოვწიე და სახეში დამარტყეს.“*

V11, 36 წლის კაცი, იხსენებს, რომ 28-29 ნოემბრის ღამეს 4-5 სპეცრაზმელი ძირს დაგდებულს სახეში და სხეულის სხვა ნაწილებში წიხლებს ურტყამდა, ის კი სახეს ხელებით იფარავდა და ჰუდის და ქურთუკის ქუდებს ებღაუჭებოდა. მას შემდეგ, რაც სპეცრაზმელებმა ქუდებისთვის ხელი ვერ გააშვებინეს, აწიეს და ძირს დაანარცხეს.

დაზარალებული V5 (21 წლის მამაკაცი) 29 ნოემბერს სპეცრაზმის მხრიდან ძალადობის ფაქტს იხსენებს: *„პოლიციელებს ვყავდი გაკავებული და სახეს ვერაფრით ვერ ვიცავდი. ვინც შემხვდებოდა, ყველა მირტყამდა. გარდა ამისა, 4-5 ადამიანი მომყვებოდა და ისინიც გამუდმებით მირტყამდნენ. შემხვედრმა რობოკოპმა სახეში წიხლი ამომარტყა. ცხვირი უკვე გატეხილი მქონდა. მთლიანად სისხლში ვიყავი ამოსვრილი. რამდენიმე წამში მარჯვენა მხრიდანაც მომხვდა წიხლი და გონება დავკარგე. ცოტა ხანში მსგავსმა დარტყმამ გამომაღვიძა.“*

2.2.2. განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის უშუალო მონაწილეობა ძალადობაში

სამი რესპონდენტი იხსენებს, რომ დაკავების შემდეგ, მიკროავტობუსში მოთავსებამდე, ისინი **გდდ-ს ხელმძღვანელ ზვიად ხარაზიშვილთან** მიიყვანეს. აქედან ერთი რესპონდენტი (V62, 2 დეკემბერი) იხსენებს, რომ ზვიად ხარაზიშვილის ჯიპთან დროებით შეაჩერეს. ერთ-ერთი რესპონდენტის (V52, 5 დეკემბერი) თქმით კი, ის ზვიად ხარაზიშვილის ჯიპთან მიიყვანეს და ტელეფონი წაართვეს. ასევე, შეესწრო სხვა პირებისთვის

[163] დაზარალებული V5.

ხარაზიშვილის მიერ ნივთების წართმევას. დაზარალებული იხსენებს, რომ ხარაზიშვილი აქციის მონაწილეთა მიმართ იყენებდა ჰომოფობიურ ლექსიკას.

აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, 2025 წლის 2 თებერვალს, „თბილისი მოლთან“ გამართულ აქციას ზვიად ხარაზიშვილი ასევე თავისი მანქანიდან მეთვალყურეობდა. გავრცელებულ კადრებში ისმის, ხმის გამაძლიერებლის მეშვეობით როგორ აძლევს ის მითითებას პოლიციელებს (რომლებიც ძირს დაგდებულ დემონსტრანტს კამერების წინ სცემენ), რომ „მანდ“ არ სცემონ („მანდ არა, ბიჭო“).[164]

ასევე, კადრებში ჩანს, როგორ მიჰყავთ პოლიციელებს დემონსტრანტი ზვიად ხარაზიშვილის მანქანასთან, ის კი მანქანიდან გადმოდის და პოლიციელების მიერ გაკავებულ მსხვერპლს ფეხს ურტყამს.[165]

კიდევ ერთი რესპონდენტი (V112, 5 დეკემბერი) იხსენებს, რომ მიიყვანეს ზვიად ხარაზიშვილთან, რომელიც მანქანიდან ვიდეოს უღებდა და ეკითხებოდა, აქციაზე რატომ იყო.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილის თქმით, ძალადობის პროცესში ან შემდეგ მათ გადაუღეს ფოტო, სავარაუდოდ, ზემდგომისთვის გაგზავნის მიზნით.[166]

ამასთანავე, ერთ-ერთი რესპონდენტი ჰყვება, რომ ზვიად ხარაზიშვილი უშუალოდ მონაწილეობდა დაკავებულებისთვის ნივთების წართმევაში (იხ. ქვეთავი „ჩხრეკა და ნივთების წართმევა“.

2.2.3. სატრანსპორტო საშუალებაში

უმეტესად, ძალადობა გრძელდებოდა პოლიციის სატრანსპორტო საშუალებაში. ცალკეულ შემთხვევებში, ნაცემ ადამიანს საპატრულო ან კრიმინალურ პოლიციას გადასცემდნენ მიკროავტობუსში მისი დაყოვნების გარეშე. ზოგიერთი რესპონდენტი კი სპეცრაზმის მხრიდან ძალადობის შემდეგ არ დაუკავებიათ.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, დაკავებულები თავდაპირველი ცემის შემდეგ მიჰყავდათ მიკროავტობუსებში, სადაც მათზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა გრძელდებოდა. რესპონდენტები აღწერენ, რომ მიკროავტობუსებს არ ჰქონდა სავარძლები და ფანჯრები. მის კიდეებზე, შიდა მხარეს, დამაგრებული იყო გრძელი სკამი, ხოლო მძღოლის ადგილი გამოყოფილი იყო ტიხრით, რომელსაც გისოსებიანი ფანჯარა ჰქონდა. რესპონდენტთა უმეტესობის თქმით, მიკროავტობუსი იყო შავი ფერის. ერთ-ერთი მათგანი კი, რომელიც 29-30 ნოემბრის ღამის აქციაზე მომხდარ ინციდენტს იხსენებს, აღნიშნავს, რომ მიკროავტობუსი, რომელშიც მოათავსეს, სავარაუდოდ, თეთრი იყო.

ფოტოზე ჩანს შსს-ს მიერ 2 თებერვლის საპროტესტო აქციაზე გამოყენებული მიკროავტობუსი. ფოტო: Mzia Saganelidze (RFE/RL)

[164] მთის ამბები, „მანდ არა ბიჭო“ - „ხარება“ სპეცრაზმელებს მიმართავს დაკავებულს კამერების თვალწინ არ სცემონ“, 03.02.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?mibextid=wwXIfr&v=955007776607583&rdid=WwdImhEGVvbSNwbx [12.02.2025].

[165] „ტვ პირველი“, „ექსკლუზიური კადრები - „ხარება" აქციის მონაწილეს პირადად უსწორდება“, 02.02.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=2087621514992420 [12.02.2025].

[166] დაზარალებული V5, დაზარალებული V34, დაზარალებული V52, დაზარალებული V54, დაზარალებული V73, დაზარალებული V83, დაზარალებული V96.

რესპონდენტები აღწერენ, რომ მიკროავტობუსში სისხლის გუბეები იდგა, სისხლით იყო მოსვრილი ან/და სისხლის სუნი იგრძნობოდა. აქ გრძელდებოდა ჯგუფური ცემა, ძირითადად მუშტით, სპეციალური ხელთათმანით, ფეხით. ცემის პარალელურად, მათ აყენებდნენ შეურაცხყოფას, აგინებდნენ და ეკითხებოდნენ, კიდევ მოვიდოდნენ თუ არა აქციაზე.

დაზარალებული V73 (39 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს შსს-ს მიკროავტობუსში ცემას იხსენებს: *„[მიკროავტობუსში] რიგრიგობით შემოდიოდნენ ადამიანები, გვცემდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, ფოტოს გვიღებდნენ სახეზე, სახელს და გვარს გვეკითხებოდნენ და სადღაც გზავნიდნენ ჩვენზე ინფორმაციას. მუშტებს მირტყამდნენ თავში, განსაკუთრებით, სახის არეში და ფერდებში. ძალიან გაბრაზდნენ მას შემდეგ, რაც ლოცვა დავიწყე და უკვე ფეხებით დამიწყეს ცემა. ფეხი თავშიც მხვდებოდა, ტანზეც. მეკითხებოდნენ, კიდევ მოხვალ აქციაზე? მირტყამდნენ, შეურაცხყოფას მაყენებდნენ, მომინდომეს ევროპა და „გაპიდარასტებაო“ - ამბობდნენ.“*

აქციის ზოგიერთი მონაწილე, რომელიც მიკროავტობუსში მოათავსეს, თავად არ უცემიათ, თუმცა შეესწრო სხვა ადამიანების მიმართ ძალადობას.

დაზარალებული V104 (52 წლის მამაკაცი), რომელიც 1-ელ დეკემბერს აქციაზე დააკავეს, სცემეს და, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანამდე, მცირე დროით მიკროავტობუსში მოათავსეს, იქ არსებულ სიტუაციას იხსენებს: *„იქ [მიკროავტობუსში] უკვე ორი ადამიანი იყო. ორივე სრულიად დასისხლიანებული და კვნესოდნენ. ეს ძალიან კარგად მახსოვს. ვცდილობდი, ხელებით დამეფარა სახე და თავი. ამ დროს, ჩემ გვერდით, ის ორი კვნესოდა. იდგა საშინელი სუნი - ალბათ, სისხლის - და გუბეები. ამ ორიდან ერთი იყო ჩემზე ახალგაზრდა და მეორე ჩემზე ხნიერი. ორივე მთლიანად სისხლით იყო მოსვრილი.“*

მისი აზრით, მიკროავტობუსში იმიტომ არ სცემეს, რომ საქართველოს მოქალაქე არ არის.

დაზარალებული V107 (26 წლის მამაკაცი), ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქე, 7 დეკემბერს მის მიმართ ძალადობას იხსენებს: *„[მიკროავტობუსში] როდესაც ჩამსვეს, მეორე ბიჭს დასაშინებლად აჩვენებდნენ, რას მიშვრებოდნენ. თავი დამიჭირეს და ეუბნებოდნენ:* ***„შეხედე ამ ბიჭს, შეხედე“.*** *შემდეგ ეს ბიჭიც ჩასვეს მანქანაში. მომდევნო 15 წუთი მიკროავტობუსში ვიყავით სამივე და, დარწმუნებული ვარ, ყველაზე ძალადობდნენ. ყველაფერს ვერ ვხედავდი. ჯამში, 5 ადამიანი მცემდა. ერთი, განსაკუთრებით, უკან თავში მირტყამდა და ვეცადე ხელების აფარებით დამეცვა თავი. სხვა სპეცრაზმელები კი ცდილობდნენ, ჩემთვის ხელები ჩამოეწიათ“.*

მიკროავტობუსებშიც ცემის მთავარი სამიზნე, ძირითადად, მსხვერპლის სახე და თავი იყო, თუმცა მათ ასევე სცემდნენ სხეულის სხვა ნაწილებშიც, უმეტესად, ფეხით და მუშტით. რესპონდენტები ასევე იხსენებენ, რომ სპეცრაზმელებს სპეციალური ხელთათმანი ეკეთათ, რომელსაც მყარი ზედაპირი ჰქონდა.

რესპონდენტები, რომლებიც შსს-ს კუთვნილ ტრანსპორტში ძალადობისთვის გამოყენებულ საშუალებებს ასახელებენ

(ერთ ადამიანს, როგორც წესი, დაზიანებებს აყენებდნენ სხეულის სხვადასხვა არეში, ერთზე მეტი საშუალებით):



დაზარალებული V35 (45 წლის მამაკაცი), რომელმაც, ცემის შედეგად, ნეკნის მოტეხილობა მიიღო, იხსენებს: *„[მიკროავტობუსში] მირტყამდნენ თავში. როცა მიხვდნენ, რომ, ხელის აფარების გამო, სახეში ძალიან არ მხვდებოდა, როგორც ბურთს ურტყამენ, ისე გამოიქნია ფეხი გვერდიდან ერთმა და მომარტყა შუბლში, საიდანაც მთელ სიგრძეზე სისხლი წამომივიდა. მერე ნეკნში დამარტყეს, რომელიც, სავარაუდოდ, მაშინვე გამიტყდა, რადგან სპეცრაზმელებმა თავიანთი მძიმე და ძლიერი სამხედრო ფეხსაცმელებით მცემეს. ნეკნი რომ გამიტყდა, ისეთ ძლიერ ტკივილს ვგრძნობდი, მერე რომ მეუბნებოდნენ, ადექიო, ვერ ვდგებოდი და, ამის გამო, კიდევ უფრო ძლიერად მირტყამდნენ. კი მინდოდა ადგომა, მაგრამ ფიზიკურად არ შემეძლო. მომაძახეს - იყოს, ამის დედაცო.“*

დაზარალებული ასევე შეესწრო სხვა ადამიანების ცემას: *„ამასობაში, ვეცადე, „მარშუტკის“ ბოლოში გადავხოხებულიყავი, თან მირტყამდნენ. ბოლოში რომ მივხოხდი, ემბრიონის პოზაში ვეგდე და მარჯვენა მხარეს ვიწექი. ისევ თავზე მქონდა ხელი აფარებული. ავტობუსში იყვნენ აქციის სხვა მონაწილეები, რომლებიც ასევე ნაცემი და დასისხლიანებული ჰყავდათ მიგდებული. ავტობუსის ბოლოში რომ ვეგდე, აფარებულ ხელებს შორის დავინახე ერთ-ერთი მათგანი და სახეც მახსოვს და ისიც, როგორ გამეტებით ურტყამდნენ.“*

მოგვიანებით, როგორც თავად იხსენებს, სასწრაფო დახმარება ითხოვა. ავტობუსში მამაკაცი ამოვიდა, რომელმაც უთხრა, რომ ექიმი იყო. ნახა მისი მდგომარეობა და სასწრაფო დახმარების მოსაყვანად წავიდა. *„სანამ სასწრაფო მოვიდოდა, ვიღაც შემოვიდა. დამხედა და, რომ ვერ ვპასუხობდი, წყალი დამასხა სახეზე. ეს უფრო დამცირების მიზნით იყო გაკეთებული, ვიდრე ჩემი გონზე მოყვანისთვის, თან, როგორც მივხვდი, ექიმის ნათქვამს არ ენდობოდა და თვითონაც გადაამოწმა, რამდენად ნაცემი ვიყავი. ამის მერე მითხრა, ნეკნი რომ გაგიტყდა, მაგან გიშველა, შე დედამო****ნულოო და ერთი ფეხი ჩამარტყა.“*

ორი რესპონდენტი იხსენებს, რომ სპეცრაზმმა ხალხით სავსე მიკროავტობუსში წიწაკის სპრეი გაუშვა და კარი ჩაკეტა. აქედან ერთ-ერთი ცემისგან უკვე გონწასული იყო, როდესაც მიკროავტობუსში მოათავსეს. მიუხედავად ამისა, ხამუთებით შეუკრეს ხელები, რაც ძლიერ ტკივილს იწვევდა, ხოლო გონზე მოსვლის შემდეგ სპეცრაზმელმა მისი ცემა გააგრძელა და ხამუთებით შეკრულ ხელებზე ხტუნაობდა. ხამუთების გამოყენებაზე მიუთითებს მიკროავტობუსში ძალადობის მსხვერპლთა ნაწილი.[167]

დაზარალებული V61 (37 წლის მამაკაცი) 1-ელ დეკემბერს, დაახლოებით 02:00 საათზე მომხდარს აღწერს: *„გონება რომ დამიბრუნდა, იყო სრულიად სიბნელე, მესმოდა ვიღაცების განწირული ხროტინი, ვერ სუნთქავდნენ. მე თვითონაც უჰაერობამ მომიყვანა აზრზე. იგუდებოდნენ, რამდენიმე ადამიანის ხმა ისმოდა, ვერ ვხედავდი ამ ადამიანებს. შემდეგ გაირკვა, რომ დაჭერილი ადამიანები ერთად მოგვათავსეს მიკროავტობუსში, შემოასხეს წიწაკის სპრეი და დაკეტეს კარი, ფანჯრები კი საერთოდ არ ჰქონდა. დაახლოებით 1 საათი ვიყავით მიკროავტობუსში. ხელები ხამუთებით ზურგს უკან მქონდა შეკრული საკმაოდ მჭიდროდ, ახლაც კი დაბუჟებული მაქვს მაჯები. მიკროავტობუსში ერთ-ერთი ამოსვლის დროს, ერთ-ერთმა სპეცრაზმელმა გადმომაბრუნა, ჩემს შეკრულ ხელებზე ხტუნაობდა და მეუბნებოდა: „კიდევ მოხვალ აქციაზე?“ მაგ დროს, თავში ჩამარტყა და არ ვიცი, მგონი გავითიშე, ან სისხლი წამომივიდა ცხვირიდან, თავი დამანება და სხვა დაკავებულის ცემა დაიწყო.“*

დაზარალებული V62 (33 წლის მამაკაცი), რომელიც, შესაძლოა, იმავე სატრანსპორტო საშუალებაში იყო მოთავსებული, რომელშიც წინა ციტატის ავტორი, მომხდარს იხსენებს: *„მიკროავტობუსში სცემდნენ ხალხს. მე იქ ძალიან აღარ ვუცემივარ, რადგან ვიზუალურადაც განსაკუთრებით მეტყობოდა, რომ ნაცემი და სისხლიანი ვიყავი. კართან ახლოს ვიჯექი, თავი ქვემოთ მქონდა დახრილი, სისხლი მდიოდა, ვიღაცა ქვემოთ იდგა და ისე დამარტყა სახეში, რომ არ დამენახა. აგვიყვანეს თუ არა, მალევე წიწაკის სპრეი გაასხეს სპეციალურად. „მარშუტკაში“ თავიდან ვიყავით ალბათ 4 ადამიანი, შემდეგ ამოიყვანეს კიდევ 2 ან 3. ორ ეტაპად შემოიყვანეს, როგორც მახსოვს. ბოლოს, ჯამში, ალბათ ათნი ვიყავით.“*

6-7 დეკემბრის ღამეს, რესპუბლიკის მოედანთან დაკავებულები იხსენებდნენ, რომ მათ ემუქრებოდნენ სადამსჯელო მიკროავტობუსში მოთავსებით, თუმცა, იმის გამო, რომ მიკროავტობუსები სავსე იყო, მათი ცემა გარეთ გაგრძელდა.[168]

დაზარალებული V74 (27 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს მიკროავტობუსში ძალადობას იხსენებს: *„როცა მისი [მიკროავტობუსში მოთავსებული სხვა დაკავებულის] ცემა შეწყვიტეს, იმ სპეცრაზმელს, რომელიც ჩემ გვერდით იდგა, იმ სამიდან [მოძალადე სპეცრაზმელებიდან] ერთ-ერთმა ჩემზე ჰკითხა, მიხედილია თუ არაო. „მიხედილიაში“ გულისხმობდა, საკმარისად ნაცემი ვიყავი თუ არა, რაზეც ამ სპეცრაზმელმა უთხრა - კიო. იმ სპეცრაზმელებმა კიდევ ერთხელ აგრესიულად ჰკითხა, მიხედილიაო? ამ სპეცრაზმელმა ხელთათმანიანი მუშტი ჩამარტყა შუბლის არეში, რომ დაკმაყოფილებულიყო ის სპეცრაზმელი და ჩემთვის თავი დაენებებინა. ხელის მოქნევის დროს მომხვდა მისი იარაღიც.“*

მიკროავტობუსში ცემის შემდეგ ადამიანებს გადასცემდნენ საპატრულო ან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს, რომლებსაც პოლიციის მსუბუქი ავტომობილით ან „მინივენით“ პირი სამართალდამცავი უწყების შენობაში გადაჰყავდათ, სადაც ივსებოდა დაკავების ოქმი, რომელშიც დამკავებლებად, როგორც წესი, სწორედ ეს პოლიციელები იყვნენ მითითებულნი.

[167] დაზარალებული V22, დაზარალებული V63.
[168] დაზარალებული V26, დაზარალებული V76.

დაკავებულის გადაცემის პროცესში სპეცრაზმელები კვლავ ცდილობდნენ, დაკავებულისთვის კორიდორი მოეწყოთ. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ კორიდორის მოწყობას „დაბალი, ჩასკვნილი კაცი ხელმძღვანელობდა“, რომელსაც ნიღაბი და ჩაფხუტი ეკეთა. რესპონდენტის თქმით, მოგვიანებით პოლიციელებმა უთხრეს, რომ ეს კაცი „მასების ხელმძღვანელი“ იყო (1-ლი დეკემბრის მოვლენები, V37).

რამდენიმე რესპონდენტი მიუთითებს, რომ, ზოგ შემთხვევაში, გადაცემის პროცესში პოლიცია ცდილობდა, სპეცრაზმის მხრიდან განხორციელებული ძალადობისგან დაეცვა დაკავებული, თუმცა რესპონდენტთა ნაწილის თქმით, ძალადობა ტრანსპორტირების პროცესში და სამართალდამცავი უწყების შენობაშიც გაგრძელდა.

დაზარალებული V73 (39 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს პოლიციის „მინივენში“ ძალადობას იხსენებს: *„ეს მანქანა [პოლიციის ვერცხლისფერი „მინივენი“, რომელშიც სამ მწკრივად იყო სავარძლები განლაგებული და გარედან „პოლიცია“ ეწერა] დაიძრა კახეთის გზატკეცილისკენ. გვაგინებდნენ, შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, წყლის ბოთლით მცემდნენ, სახეში მუშტიც ჩამარტყეს, თუმცა წყლის ბოთლს უფრო ხშირად მირტყამდნენ. პოლიციელმა კითხვა რომ დამისვა, ვერ ვუპასუხე, სპაზმი მქონდა, რადგან ფერდში ჩამარტყეს. შეგრძნება მქონდა, რომ ყელში მქონდა რაღაც ბურთი და მიჭირდა სუნთქვა. რომ მიხვდა, ვერ ვსუნთქავდი, პირველმა პოლიციელმა გასცა ბრძანება, რომ წყალი დამელია. რადგან ხელები შეკრული მქონდა, თვითონვე დამალევინა, მაგრამ ტუჩი მქონდა გახეთქილი, ამიტომ ვერ ვსვამდი. ამაზე გაღიზიანდა, ეს ვერც სვამსო, თქვა და წყალი სახეში შემასხა. ნახევრად დაცლილი ბოთლით მერე მირტყამდა სახეში. მეორე ადამიანს ვერ მისწვდა, რის გამოც, ჩემ გვერდით მჯდომმა პოლიციელმა გამოართვა ბოთლი და ის ურტყამდა. დაახლოებით, 10-15 წუთი მივდიოდით, რა დროსაც უწყვეტად მცემდნენ და შეურაცხყოფას მაყენებდნენ.“*

დაზარალებული V82 (28 წლის მამაკაცი) 1-ელ დეკემბერს მომხდარს იხსენებს: *„პოლიციის მანქანაში აქეთ-იქიდან თითო პოლიციელი მომიჯდა და წამიყვანეს სამმართველოში. გზაში ერთ-ერთი მეუბნებოდა, ახლა ნახე, ტ*ვნაში გაგაძრობენ სულსო.“*

2.2.4. ჩხრეკა და ნივთების წართმევა

დაკავებულებს, როგორც წესი, სამარშრუტო ტაქსიში მოთავსებამდე და მის შემდეგაც ჩხრეკდნენ და პირად ნივთებს ართმევდნენ, რომელთა დიდი ნაწილი მათთვის არ დაუბრუნებიათ. წართმეულ ნივთებს შორისაა: პირადი ტექნიკა, ტანსაცმელი, ფული.

რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, საპოლიციო ძალების მიერ ნივთების მოპარვით/წართმევით გამოწვეული ზიანის საერთო ოდენობა, ჯამში, სულ მცირე, 253 470 ლარია.[169]

როგორც წესი, დაკავებულებს რამდენჯერმე, სხვადასხვა სპეცრაზმელი ჩხრეკდა და ნივთებს ართმევდა.

დაზარალებული V43 (32 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს მომხდარს იხსენებს: *„მარშუტკასთან“ ჩამომართვეს ყველაფერი: ჩანთა, ყელიდან ხის ჯვარი მომხსნეს, ჯიბეში ხურდები მქონდა. საქორწინო ბეჭედსაც მართმევდნენ, ვეუბნებოდი, არ არის ძვირფასი, ვერცხლია-მეთქი. მერე ვიღაცამ გარედან უთხრა, შეეშვითო და ბეჭედი დამიტოვეს. ჩემ ირგვლივ ვინც იყო, ყველას ყველაფერი ჩამოართვეს. ერთ ბიჭს სამოცი ლარი ჰქონდა, პირველი ჩხრეკიდან შემორჩენილი. მეორე ჯერზე უკვე ამოაცალეს და თავად ჩაიდეს ჯიბეში. საწყის ეტაპზე დიდ ნივთებს იღებდნენ და შემდეგ უფრო დეტალურად ჩხრეკდნენ“.*

ცალკეულ შემთხვევებში, ნივთების წასართმევად ფიზიკურად ძალადობდნენ.

დაზარალებული V82 (28 წლის მამაკაცი) 1-ლი დეკემბრის მოვლენებს იხსენებს: *„[სპეცრაზმელები] შეეცადნენ ტელეფონის წართმევას, მაგრამ ტელეფონს ხელს არ ვუშვებდი. ამ დროს, იმ სპეცრაზმელმა, რომელსაც ქურთუკით ვეჭირე შემაგინა და კეფაში ხელი ჩამარტყა, რის შედეგადაც ტელეფონზე ხელი გამეშვა.”*

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ დაკავების შემდეგ, მიკროავტობუსში მოთავსებამდე, ნივთები უშუალოდ **გდდ-ს ხელმძღვანელის, ზვიად ხარაზიშვილის მანქანასთან, მის თვალწინ და მისივე უშუალო მონაწილეობით წაართვეს.**

დაზარალებული V52 (30 წლის მამაკაცი) 5 დეკემბრის მოვლენებს იხსენებს: *„ეტაპობრივად მოიყვანეს კიდევ 4 პირი [ხარაზიშვილის მანქანასთან]. ხარებამ პირადად ჩამოართვა მათ ტელეფონები, ერთ-ერთს კი ლეპტოპი ამოუღო ჩანთიდან“.*

ხშირად, რესპონდენტები ლოკაციის დამდგენი პროგრამებით პოულობდნენ თავიანთ ტელეფონებს საპოლიციო ძალების განთავსების სხვადასხვა ადგილზე, თუმცა ამასთან დაკავშირებით საგამოძიებო უწყებებს რეაგირება არ ჰქონიათ.

[169] აქედან, გამოკითხული რესპონდენტებისთვის საპოლიციო ძალების მიერ მოპარული/წართმეული ნივთების საერთო ღირებულება, სულ მცირე, 64 800 ლარია. ამასთან, ერთ-ერთ რესპონდენტს ტელეფონის წართმევის შემდეგ, icloud-ის გადაყენების გამო, დაახლოებით 68 000 აშშ დოლარის (დაახლოებით 188 670 ლარის) ეკვივალენტის ზიანი მიადგა, რაც კრიპტოვალუტაში არსებული აქტივების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული.

დაზარალებული V82 (28 წლის მამაკაცი): *„ლოკაციამ აჩვენა, რომ ტელეფონი იყო გდდ-ს ბაზაზე. მოგვიანებით - პროკურატურასთან, 16 დეკემბერს ისევ გდდ-ს პარკინგზე. 5-იდან 15 დეკემბრამდე ყოველ დღე ვურეკავდი სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და კრიმინალური პოლიციის გამომძიებელს ამის თაობაზე. ტელეფონთან დაკავშირებით ვაცნობეთ შსს-ს და პროკურატურასაც. რეაგირება არ ჰქონიათ“.*

2.2.5. ძალადობა სამართალდამცავი უწყების შენობაში

რესპონდენტთა ნაწილი არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა სამართალდამცავი უწყების შენობაში, რაც ფსიქოლოგიურ ძალადობაში, დამცირებაში, ფიზიკურ ძალადობასა და სამედიცინო დახმარებაზე წვდომის შეზღუდვაში გამოიხატებოდა.

დაზარალებული V57 (28 წლის მამაკაცი) 1-ლი დეკემბრის მოვლენებს იხსენებს: *„სამმართველოში გამუდმებით მეკითხებოდნენ, გამოვიდოდი თუ არა აქციაზე კიდევ და მემუქრებოდნენ, თუ გამოვიდოდი, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ვიქნებოდი და აუცილებლად სათანადოდ დავისჯებოდი“.*

პოლიციის განყოფილებაში არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ არა მხოლოდ უშუალოდ აქციაზე, არამედ ამ აქციების კონტექსტში დაკავებული სხვა პირებიც. 5 დეკემბერს სისხლის სამართლის წესით დაკავებულმა საბა სხვიტარიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ დიღმის მთავარ სამმართველოში მასზე ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად იძალადეს.[170] მისი თქმით, დაკავებისას პოლიციამ არ განუმარტა დაკავების მიზეზი და არ მისცა ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა. დიღმის სამმართველოში გადაყვანის შემდეგ რამდენჯერმე სცემეს, მათ შორის, ცდილობდნენ მისთვის ხელის მოტეხას და თავზე ხის ნივთები გადაამტვრიეს. ემუქრებოდნენ გაუპატიურებით.

12 დეკემბერს სახლთან ახლოს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი იხსენებს, რომ პოლიციის განყოფილებაში ორჯერ სილა გააწნეს, წვივში ფეხი ჩაარტყეს, აიძულებდნენ ტელეფონისთვის კოდის მოხსნას, ემუქრებოდნენ ნარკოტიკის „ჩადებით“ და ეკითხებოდნენ, ვინ იყო აქციის ორგანიზატორი.[171]

2.2.6. გაშიშვლება

გამოვლინდა არაერთი შემთხვევა, როდესაც არა მხოლოდ ადმინისტრაციული, არამედ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირებიც მიუთითებენ, რომ პირადი ჩხრეკის/დათვალიერების (შემოწმების) მიზნით ხდებოდა მათი იძულებითი, სრულად გაშიშვლება და ბუქნების გაკეთების იძულება.[172]

ამგვარი დამამცირებელი პრაქტიკა გამოიყენებოდა, მათ შორის, ქალების მიმართ:

ფეისბუქ ჯგუფ ,,დაიტოვეს" ერთ-ერთი დამფუძნებელი ნენსი ვოლანდი (ქრისტინა ბოტკოველი) 1-ელ თებერვალს საკუთარი სახლის ჩხრეკის დროს პოლიციის მხრიდან ღირსების შემლახავ მოქმედებებსა და დამოკიდებულებებს იხსენებს: *,,შემოვიდა ორი ქალი პოლიციელი, რომლებმაც მითხრეს, რომ უნდა გავშიშვლდე მთლიანად. როცა ვკითხე, რატომ-მეთქი, წესია ასეთიო. მომთხოვეს, ისეთი მოძრაობები გამეკეთებინა, რომ უკეთ ენახათ, სადმე რაშე ხომ არ მქონდა დამალული. ეს ხდებოდა დედაჩემის თანდასწრებით, რომელიც მოწმე იყო იმ მომენტში".*[173] ნენსი ამბობს, რომ მისი დაკავებული მეგობრები ასევე ჰყვებიან მსგავს გამოცდილებასა და პროცედურებზე იზოლატორში ყოფნის დროს.[174]

2025 წლის 29 მარტს „კოალიცია ცვლილებებისთვის" ერთ-ერთმა ლიდერმა ელენე ხოშტარიამ ასევე განაცხადა, რომ დაკავებისას ის ამ დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი გახდა. კოალიციის ლიდერის, ნიკა გვარამიას თქმით, *„ელენე გააშიშვლეს ბოლომდე, უკან შეუკრეს ხელები და საწოლზე ეწვინათ საკმაო ხანს, სანამ მეტალოდეტექტორს ატარებდნენ შიშველ სხეულზე დიდი ხნის განმავლობაში. [...] როცა მოიყვანეს, წნევის კრიზი ჰქონდა და ამ დროს ღებინების რეფლექსი ირთვება. მას უთხრეს, საპირფარეშოში არა, პარკს მოგიტანთ და აქ*

[170] „ფორმულა“, „საბა სხვიტარიძე: მანქანაში მიმდინარეობდა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მუქარა გაუპატიურების“, 24.12.2024; იხ. https://formulanews.ge/News/123495 [11.02.2025].
[171] დაზარალებული V83.
[172] საია ეხმიანება დაკავებულთა გაშიშვლების დაუშვებელ პრაქტიკას, 29.03.2025; იხ. https://gyla.ge/results/8565 [03.04.2025]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლუკა კინწურაშვილის უკანონო დაკავება და მის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა პოლიციის უკონტროლო თვითნებობის მორიგი გამოვლინებაა, 01.04.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/luka-kintsurashvilis-ukanono-dakaveba-da-mis-mimart-damamtsirebeli-mopqroba-politsiis-ukontrolo-tvitnebobis-morigi-gamovlinebaa [03.04.2025]. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2024 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2025, 91, იხ. https://ombudsman.ge/res/docs/2025040114382036221.pdf [03.04.2025].
[173] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პოლიციაში გაზრდილია მიზოგინიური და სექსისტური კულტურა და ენა, 11.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/politsiashi-gazrdilia-mizoginiuri-da-seksisturi-kultura-da-ena [12.02.2025].
[174] იქვე.

არწყიეო. ღებინების შემდეგ, როგორც კი ეს მორჩა, მეორე წუთს გააშიშვლეს ადამიანი. ამის მერე ითხოვა, ჩემი წამლებიდან მარეგულირებელი დამალევინეთო და არ მიუციათ, ამ დრომდე აქვს მაღალი წნევა".[175]

2.3. დამცირება და ფსიქოლოგიური ძალადობა

ძალადობის მეთოდები აქციის მონაწილეებისთვის ფიზიკური ტკივილისა და მძიმე ემოციური ზიანის მიყენების მიზანმიმართულ მცდელობასაც მოიცავდა, როგორიცაა, მაგალითად, მოულოდნელი თავდასხმა, უკნიდან მიპარვა, სახის არეში ან „ფეხებშუა" მიზანმიმართული ცემა, რომელიც არა მხოლოდ მტკივნეულია, საშიშიცაა და შეურაცხმყოფელიც, ასევე, ძირს დაგდება და წაქცეულზე ფეხებით გადავლა. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც თითქოს სპეცრაზმელი წაქცეულის წამოყენებას ცდილობდა ან სთავაზობდა მას ტერიტორიის დატოვებაში დახმარებას და შემდგომ იწყებდა ფიზიკურ ძალადობას. ხშირად, ფიზიკური დაზიანებისას, აქციის მონაწილის მიერ უნებლიედ, ავტომატურად, ნატკენი ადგილის დაფარვის, მაგალითად, ხელის აფარების შემთხვევაში, ამ ადგილზე უფრო ინტენსიურად ურტყამდნენ. ამიტომ, ფიზიკური და მორალური ზიანის პარალელურად, აქციის მონაწილეს უწევდა თავისი რეაქციების დამალვა და მართვა.

გამოვლინდა დამცირების, ფსიქოლოგიური ძალადობისა და ზეწოლის ფაქტები როგორც, უშუალოდ, წამებისა და ძალადობის პროცესში, ასევე, საპოლიციო ეკიპაჟით გადაყვანის დროს და პოლიციის განყოფილებაში. გარკვეულ შემთხვევებში, ფსიქოლოგიური ზეწოლა გრძელდებოდა წამების შემდგომაც, მაგალითად, საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ, რაც გამოიხატებოდა მანქანით თვალთვალში, ახლობლების საშუალებით მუქარაში.

მსხვერპლთა მიმართ, ფიზიკური ძალადობის პარალელურად, აქტიურად გამოიყენებოდა ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგი ფორმები:

- **მუქარა -** სიცოცხლის მოსპობის, გაუპატიურების, ოჯახის წევრის გაუპატიურების, სისხლისსამართლებრივი დევნის მუქარა;
- **დამცირება** - გინება, ჰომოფობიური და ანტიევროპული სიძულვილის ენის გამოყენება, დაცინვა, შეფურთხება;
- **დაშინება/ტერორიზება -** ბნელ მიკროავტობუსში გამოკეტვა და შუქების ჩაქრობა/ანთება, მიკროავტობუსზე გარედან ბრახუნი, მიკროავტობუსში მოთავსებამდე პირების დაშინება იმით, რომ ახლა ჩასვამდნენ „ჯადოსნურ ავტობუსში". ძალადობის მსხვერპლებს მიკროავტობუსში ხშირად უწევდათ სხვათა მიმართ ძალადობის ყურება;
- **დაბრალება -** ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებს შორის საყურადღებოა ისეთი ქმედების დაბრალებაც, რაც აქციის მონაწილეს არ ჩაუდენია. მაგალითად, რესპონდენტთა ნაწილს ცემისას ან ტრანსპორტირებისას აბრალებდნენ, რომ ის პოლიციელებს აგინებდა და მათ ნივთებს ესროდა.
- ცემის, ტრანსპორტირების ან სამართალდამცავი უწყების შენობაში ყოფნის დროს **აქციის მონაწილეებს ხშირად ემუქრებოდნენ გაუპატიურებით ან სხვაგვარად ახორციელებდნენ მათ მიმართ სექსუალურ შევიწროებას.** აღნიშნულს, გარკვეულ შემთხვევებში, თან ახლდა **ჰომოფობიური, ანტიევროპული ენა და ნარატივები**.

დაზარალებული V110 (20 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს მომხდარს იხსენებს: *„იქ მყოფმა სპეცრაზმელებმა იციან, რისთვის დგას მიკროავტობუსები. ამით არ გადაადგილდებიან. როგორც წესი, აქ მხოლოდ ხდება ხალხის ცემა და შემდგომ სხვა ავტომობილებში განაწილება, რის გამოც, შორს მდგომი სპეცრაზმელიც კი შორიდან იძახის, რომ „**ახლა დაიწყება გართობა, ფორმაში მოგიყვანთ, „დუბინკით" გაგაუპატიურებთ, ტრ*კში დუბინკას დაგიყენებთ, თქვენ ხო პიდარასტები ხართ და გევასებათო".** მიკროავტობუსში მოთავსებამდე გემუქრებიან, გაგინებენ ერთი და იმავე ტექსტებით".*

დაზარალებული V57 (28 წლის მამაკაცი) 1-ლი დეკემბრის მოვლენებს, მის მიმართ ფიზიკური ძალადობისა და სექსუალური შევიწროების ფაქტებს იხსენებს: *„[დიღმის მთავარ სამმართველოში] როდესაც გაიგეს ჩემი სამუშაო ადგილის შესახებ [ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია], მეკითხებოდნენ, დარეგისტრირდა თუ არა ჩემი ორგანიზაცია ე.წ. „გამჭვირვალობის რეესტრში", რამდენი მქონდა ხელფასი, შენ ვინ დაგასაქმაო. **მკითხეს, მომწონდა თუ არა გოგოები და სხვა სექსუალური ორიენტაციის ხომ არ ვიყავი. ლგბტქი+ თემზეც მისვამდნენ კითხვებს.** იყო სექსუალური შევიწროების ფაქტიც, **პოლიციელი ჩემ გვერდით იჯდა და შემეხო ფეხზე (ძალადობის ფაქტის დროს შარვალი დამეხა და ამ ადგილას შემეხო), მკითხა, ფეხებს ვიპარსავდი თუ არა.** ეს ჩემთვის იყო დამამცირებელი და ღირსების შემლახველი. პარალელურად, გამუდმებით მიყვიროდნენ და მამცირებდნენ".*

დაზარალებული V115 (20 წლის მამაკაცი) იხსენებს, რომ 4 დეკემბერს, გამთენიისას, აქციაზე მყოფ შეყვარებულთან შესახვედრად გამოსულს დაედევნნენ ნიღბიანი პოლიციელები თეთრი ავტომობილით, სცემეს,

[175] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პოლიციის მიერ დაკავებულების იძულებით გაშიშვლება არაადამიანურ მოპყრობას უტოლდება და მათ დამცირებას და დასჯას ისახავს მიზნად, 29.03.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/politsiis-mier-dakavebulebis-idzulebit-gashishvleba-araadamianur-mopqrobas-utoldeba-da-mat-damtsirebas-da-dasjas-isakhavs-miznad [03.04.2025].

*დაემუქრნენ, შეავიწროვეს და დააკავეს: „ყოველ წამს იყო გინება, გაუპატიურებით, მოკვლით დამუქრება. აი, ახლა ჩიხში წავიყვანოთო, ვიდეო გადავუღოთო, დავასახიჩროთო... მო**ანით, გადაუღეთ და გადააგდეთო. ისეთ შოკში ვიყავი, რეაქციაც ვერ მქონდა. ამას რომ ამბობდნენ, თან სულ მირტყამდნენ. ერთს ვუთხარი, გული მაქვს ცუდად-მეთქი. „გული სად გაქვს, შე დედამო***ულოო“ და გულში, მკერდის ძვალზე დამიწყეს რტყმა.*

გაუპატიურებით რომ მემუქრებოდნენ და მირტყამდნენ, ერთმა ფეხზე მოფერება დამიწყო. ხელი რომ გავაწევინე, ყბაში ჩამარტყა მუშტი და მაგინა, „აბაროტი ვის მიეციო“ მომაძახა. ***ფეხზე რომ მეფერებოდა, თან მეუბნებოდა, „ახლა შენ მოგხედავთ, რომ ჩაგხდითო“. ბოლო ძალა მოვიკრიბე, ხელი გავაწევინე და ვის აგინებო, ისევ ცემა დამიწყეს.*** *4-5 ეტაპი იყო ცემის. არ შეწყვეტილა გინება, მოკვლის და გაუპატიურების მუქარა, შეყვარებულის გაუპატიურების მუქარა. ერთმა საერთოდ ყველას და ყველაფერს აგინა, ვინც მიყვარდა და მათი დახოცვით დამემუქრა. ხმას ვერ ვიღებდი, სულ მუშტი მხვდებოდა“.*

დაზარალებული V43 (32 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს პოლიციის მხრიდან გაუპატიურების მუქარას იხსენებს: *„პოლიციის მანქანაში პოლიციელების მხრიდან იყო ძალიან ძლიერი მუქარა.* ***მეუბნებოდნენ, რომ სადაც მიმიყვანდნენ, იქ გამაშიშვლებენ, გამაუპატიურებენ, მაშხალებს შიშველ სხეულზე მომადებდნენ და მაგით გამაუპატიურებდნენ. დავიჯერე, რომ ეს ყველაფერი წინ მელოდა.*** *ვფიქრობდი, რანაირად უნდა მოვახერხო, რომ ამას გავუძლო-მეთქი. ყველაზე მძიმედ კი მახსოვს, რომ* ***მეუბნებოდნენ, ახლა რომ ავალთ, გავიგებთ შენს მისამართს და შენს ოჯახს ამას ვუზამთ, იმას ვიზამთო, შენს ცოლს-შვილს გავუპატიურებთო.*** *ეს არის ტრავმა, რომელიც არა მხოლოდ იმ მომენტში მივიღე, არამედ მერეც გამომყვა“.*

2.4. დისკრიმინაციული ძალადობა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ არასათანადო მოპყრობა

2.4.1. ანტიევროპული ნარატივებით და ჰომოფობიით მოტივირებული ძალადობა

აღსანიშნავია, რომ ძალადობის ყველა ეტაპზე, როგორც სპეცრაზი, ისე პოლიციის სხვა დანაყოფები, აქტიურად იყენებდნენ ჰომოფობიურ, ანტიევროპულ ენას და ნარატივებს. განსაკუთრებით მძიმე ძალადობას ექვემდებარებოდნენ ადამიანები, რომლებიც რაიმე ისეთი ნიშნით გამოირჩეოდნენ სხვებისგან, რომელსაც პოლიცია ნაკლებად მასკულინურად აღიქვამდა (შეღებილი თმა, საყურე, ჰიგიენური პომადის (ე.წ. ტუჩის ბალმის) ქონა).

სპეცრაზმი აქციის მონაწილეებს ცემისას ხშირად უწოდებდა „პ*დარასტებს“. ამ შეურაცხმყოფელ ტერმინს იყენებდნენ დაკავებულთა ტრანსპორტირებაში მონაწილე და პოლიციის განყოფილებაში მყოფი პოლიციელებიც. ეს ჰომოფობიური ენა დაკავშირებული იყო ასევე ანტიევროპულ ნარატივებთან.

დაზარალებული V37 (33 წლის მამაკაცი) 1-ლი დეკემბრის მოვლენებს იხსენებს: *„ორი სპეცრაზმელი იდგა მიკროავტობუსის კართან. ერთი შემოვიდა მიკროავტობუსში და მითხრა - „შენ, ბიჭო, ჰიდარასტები გინდაო?“ და მსგავსი შეურაცხმყოფელი ფრაზები. „დავტროლე“, ვუთხარი „მე ჰლეხანოველი ვარ და შენ ხშირად მყავხარ ნანახი, ჰაბიტუსზე გიცანი, ცირკთან, ტრანსგენდერებთან დადიხარ-მეთქი“. ეს რომ ვუთხარი, ეს სპეცრაზმელი გავარდა და აღარ დაბრუნებულა. მოვიდა 5 სპეცრაზმელი და მცემეს“.*

დაზარალებული V73 (39 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს მომხდარს იხსენებს: *„გვეკითხებოდნენ, კიდევ მოხვალთ აქციაზეო? და გვირტყამდნენ. შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, მომინდომეს ევროპა და „გაჰიდარასტებაო“ - ამბობდნენ“.*

დაზარალებული V109 (47 წლის მამაკაცი) 5 დეკემბერს მიკროავტობუსში ძალადობის შესახებ: *„[სადამსჯელო მიკროავტობუსში მოთავსებისას] დამხვდა რამდენიმე ნიღბიანი და ერთ-ერთმა მითხრა:* ***„ამ ჰიდარასტებთან რა გინდაო?“.*** *ამის შემდეგ ჩაგვსვეს მანქანაში. იქ კიდევ აქციის სამი მონაწილე იყო, სამივე ნაცემი. ერთი სპეცრაზმელი შემოვიდა, რამდენჯერმე დამარტყა თავში და მკითხა:* ***„კიდევ მოხვალ?“*** *რაზეც ვუპასუხე -* ***„კი, მოვალ“.*** *ამის შემდეგ კიდევ 2-3 სპეცრაზმელი შემოვიდა და მათ გააგრძელეს ცემა“.*

აქციის მონაწილეები იხსენებენ, რომ შეღებილი, გრძელი თმის ან მსგავსი განმასხვავებელი ნიშნების მქონე მამაკაცების მიმართ სპეცრაზმელთა მხრიდან ძალადობა უფრო მეტად ინტენსიური იყო.

დაზარალებული V22 (32 წლის მამაკაცი) 1-ელ დეკემბერს მომხდარის შესახებ: *„როცა [მიკროავტობუსის] კარი კიდევ ერთხელ გააღეს, ერთ-ერთი ნიღბიანი ტუჩის ბალმით (ჰიგიენური პომადით) შემოვიდა, რომელიც ჩემს მეგობარს უპოვეს. ამის გამო, გეი უწოდეს, ოღონდ ბევრად უხეში ფორმით - „პომადა რახან აქვს, მეტრაკე იქნებაო“. შემოვიდა 2 ნიღბიანი და უკვე ნაცემზე, ნახევრად გონზე არ იყო, კიდევ უფრო მეტად სცემეს“.*

დაზარალებული V16 (20 წლის მამაკაცი) 4 დეკემბერს მომხდარის შესახებ: *„[მიკროავტობუსში ჩვენი ცემის პროცესში] შეამჩნიეს, რომ ერთ-ერთს შეღებილი თმა ჰქონდა. ამის გამო, მას განსაკუთრებულად გაუსწორდნენ. ეკითხებოდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა მის თმას. ეუბნებოდნენ, რომ მისნაირებს დახოცავდნენ და ამის დროც მოვიდოდა“.*

დაზარალებული V63 (34 წლის მამაკაცი) 29 ნოემბერს მომხდარის შესახებ: *„[პოლიციის კორდონში შეთრევის და ცემის დროს] ჰუდი გადამძვრა და გამომიჩნდა, რომ გრძელი თმა მაქვს. მაშინვე წამოვიდა ჰომოფობიური შეძახილები,*

რომ ეს გეი ვინ არის, საიდან მოათრიეთ, თმები დააგლიჯეთ. მინიმუმ ათმა კაცმა განზრახ დამაგლიჯა თმები. ახლაც რაღაც ადგილებში არ მაქვს თმა. ზევით რომ მივყავდი, სანამ მანქანაში ჩამსვამდნენ, ერთ-ერთმა ნიღბიანმა დამინახა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. გამოექანა და წიხლი მუცელში ჩამარტყა. დაახლოებით 3-5 წუთი ვერ ვმოძრაობდი".

აღსანიშნავია, რომ იდენტურ ლექსიკას აქციის მონაწილეთა მიმართ საჯაროდ ხშირად იყენებდა გდდ-ს ხელმძღვანელი ზვიად ხარაზიშვილი. 4 დეკემბერს გამოქვეყნებულ ვიდეოში ის ჟურნალისტს შეკითხვაზე „რუსებს უნდა ჩავაბაროთ ეს სამშობლო?" პასუხობს - „აბა, პიდარასტებს უნდა ჩააბაროთ?".[176] მედიით გავრცელებული კადრები ასევე ასახავს, როგორ აყენებს ხარაზიშვილი შეურაცხყოფას 2 თებერვლის აქციის მონაწილეებს ანალოგიური ლექსიკით.[177]

2.4.2. ქალების მიმართ არასათანადო მოპყრობა

„რადიო თავისუფლებასთან" ინტერვიუში, 28 ნოემბრის საპროტესტო აქციაში მონაწილე ქალი ანონიმურად ჰყვება, რომ ნიღბიანმა პოლიციელებმა იგი გამთენიისას დააკავეს, რუსთაველის გამზირიდან მოშორებით წაათრიეს, გზაში სცემდნენ, ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ, რომ პოლიციის მანქანაში აუცილებლად გააუპატიურებდნენ. ეს მუქარა იმდენად აგრესიული, საშიში და რეალისტური მოეჩვენა, რომ ახალგაზრდა ქალს ჯერ უნებლიე შარდვა ჰქონდა, შემდეგ კი გონება დაკარგა. პოლიციელებს შეეშინდათ და იქვე, ქუჩაში დატოვეს.[178]

7 დეკემბრის აქციაზე დაკავებული ქალი იხსენებს: *„პოლიციის განყოფილებაში რომ გადამიყვანეს, ძალიან არასასიამოვნო რამ მოხდა. ვიდეოს მიღებდნენ პოლიციის თანამშრომლები, ნიღბები ეკეთათ, მაგრამ ტანსაცმელზე ეწერათ, რომ პოლიციელები იყვნენ. მეუბნებოდნენ, ვიცით შენზე, რომ სტრიპტიზს ცეკვავ გახდილიო, არ ვიცოდი, მაგას რატომ მეუბნებოდნენ ან რა უნდა მექნა, საშინელება იყო, სავარაუდოდ, ჩემი განერვიულება უნდოდათ, შანტაჟიც".*[179]

19 ნოემბერს, დილას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან საპროტესტო აქციაზე დაკავებული ახალგაზრდა ქალი (V1) იხსენებს, რომ პოლიციის ფურგონში მუხლებზე იდგა და პოლიცია სავარძელზე დაჯდომის შესაძლებლობას არ აძლევდა. მას დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ სექსუალური შინაარსის ფრაზებს. ერთ-ერთი პოლიციელი ფეხებს შორის მიუთითებდა და ეუბნებოდა, აქ დაჯექიო.

განსაკუთრებით თვალში საცემი იყო, რომ 1-ელ თებერვალს აქტივისტების სახლების ჩხრეკის დროს და 2 თებერვალს „თბილისი მოლთან" გამართულ აქციაზე პოლიცია განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა ქალების მიმართ, აგრესიულად იყენებდა სექსისტურ და მიზოგინიურ ენას.[180] 2 თებერვლის აქციებზე პოლიციელები ქალებს ხელს ჰკრავდნენ, ურტყამდნენ და შემდეგი ფრაზებით მიმართავდნენ:[181]

- *„წადით სახლში, ჯობია ჭურჭელი გარეცხოთ აქ დგომას";*
- *„შეხედე რამდენი ბოზია"; „ტინდერის ბოზები დგანან";*
- *„*ლეს მოწოვ?";*
- *„აქ 100 ლარს რომ იღებ, წამოდი და 101 ლარად მე მოგ**ნავ. ყველა დირკაში გი*მარ";*
- *აქციის მონაწილე იხსენებს, რომ პოლიციელს უთხრა - „არ გრცხვენიათო?" პასუხად კი ერთ-ერთმა მუშტი დაარტყა სახეში, ტუჩიდან სისხლი წამოუვიდა და პოლიციელმა უთხრა: „რომ მოგტ**ავ, მუ***იდანაც მასე წამოგივა სისხლიო".*

2.4.3. ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობა

თვალში საცემი იყო, რომ ჟურნალისტები მიზანმიმართული და განსაკუთრებით სასტიკი ძალადობის სამიზნეები გახდნენ. რესპონდენტები იხსენებენ, რომ მათ მიმართ ფიზიკურ ძალადობას, ზოგ შემთხვევაში, თან ახლდა

[176] „ფორმულა", „ხარება: აბა პიდა***ებს უნდა ჩავაბაროთ?", 04.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=888295853104374, [12.02.2025].
[177] „რადიო თბილისი", „ზვიად ხარაზიშვილი (ხარება) აქციის მონაწილეებს „რაციიდან" აგინებს", 02.02.2025; იხ. https://www.facebook.com/watch/?mibextid=wwXIfr&v=1140533737087479&rdid=2LlJIjqzAEc9g6p1, [12.02.2025].
[178] „რადიო თავისუფლება", „ტინდერის ასლარიანო ბოზებო" - პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე", 07.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html?fbclid=IwY2xjawIW4PlleHRuA2FlbQIxMQABHaA-B2VKg-Pas7msrghY-KfEPe1TTgHwPEt3d_ofb0t5ye_-y39Q4xZ6aQ_aem_WSlKm3SVkRhCCXegsTzb-A, [12.02.2025].
[179] იქვე.
[180] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პოლიციაში გაზრდილია მიზოგინიური და სექსისტური კულტურა და ენა, 11.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/politsiashi-gazrdilia-mizoginiuri-da-seksisturi-kultura-da-ena [12.02.2025].
[181] „რადიო თავისუფლება", „ტინდერის ასლარიანო ბოზებო" - პოლიციელების უხამსობა და ძალადობა ქალ დემონსტრანტებზე", 07.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33306780.html?fbclid=IwY2xjawIW4PlleHRuA2FlbQIxMQABHaA-B2VKg-Pas7msrghY-KfEPe1TTgHwPEt3d_ofb0t5ye_-y39Q4xZ6aQ_aem_WSlKm3SVkRhCCXegsTzb-A, [12.02.2025].

ჟურნალისტურ საქმიანობასთან დაკავშირებული სიტყვიერი შეურაცხყოფა *(ჟურნალისტებზე ძალადობის და პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლის შესახებ იხილეთ თავი 3).*

დაზარალებული V59 (32 წლის მამაკაცი), ჟურნალისტი, რომელიც 29 ნოემბრის აქციაზე პროფესიულ საქმიანობას ასრულებდა და პოლიციის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა, იხსენებს: *„ვიგრძენი, რომ პოლიციას ჟურნალისტების მიმართაც ჰქონდა აგრესია. „მთავარის“ ჟურნალისტს აგინებდნენ“.*

„ფოტოებს რომ ვიღებდი, დავინახე, რომ წინა ფლანგიდან ორი ადამიანი ტელეფონებით უშუალოდ მე მიღებდა. ცოტა უცნაური იყო, ვინაიდან ვიცოდი, რომ, ძირითადად, ვისაც სამართალდამრღვევად მიიჩნევენ, მას უღებენ, რომ სამიზნედ ჰყავდეთ“.

„[ჯგუფური ცემის დროს] თავიდანვე ვამბობდი, ჟურნალისტი ვარ, რას აკეთებთ, შეცდომაა, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი. იქვე გავიგე, რომ, როგორც ჟურნალისტს, შემაგინეს, ჟურნალისტი რომ ხარ მაგიტომაც, შენი... მერე კიდევ მესმოდა გინებები“.

დაზარალებული V22 (32 წლის მამაკაცი), ჟურნალისტი პირველი დეკემბრის მოვლენების შესახებ იხსენებს: *„დაკავების დროს მეუბნებოდნენ, „ახლაც იბლატავებ ბევრს?!“, „აი, ახლა დაგენძრა!“. დაკავების მომენტში ხელები გადამიგრიხეს და ზურგს უკან პლასტმასის ხამუთით შემიკრეს. როდესაც ზუბალაშვილების ქუჩიდან ჩავდიოდით, თავდახრილი მივდიოდი, არ ვიყურებოდი გარშემო, რადგან, როცა სპეცრაზმელებს შორის შევედით, დაიწყო გინება, რაღაც შეძახილები და სახეში ხელის რტყმა. იყო ყიჟინა... მაგინებდნენ და მირტყამდნენ სახისა და თავში. მათ შორის, ერთ-ერთმა ნიღბიანმა **„შენი ჟურნალისტი დედ***“ მომაძახა და სახეში ჩამარტყა**.*

2.4.4. ეთნიკური ნიშნით მოტივირებული არასათანადო მოპყრობა

ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს, რომ განსაკუთრებით ინტენსიურ ძალადობას მას შემდეგ დაექვემდებარა, რაც სპეცრაზმელებმა მისი გვარი და ეთნიკური იდენტობა შეიტყვეს.

დაზარალებული V99 (28 წლის მამაკაცი) 3 დეკემბრის მოვლენებს იხსენებს: *„[დაკავების შემდეგ, მიკროავტობუსში] ერთი სპეცრაზმელი მოვიდა და მკითხა: „**რა გვარი ხარ?“ ვუპასუხე [გვარი] და დაიწყო: „აქ რა გინდა შე თათარო? წადი და ალიევს მოუწყვე რევოლუცია, რატომ არ წყნარდებით? რევოლუციას აწყობთ?“.** ვუთხარი, რომ საქართველოს მოქალაქე ვარ და ამ დროს დაიწყო ცემა. მანამდეც მცემდა, მაგრამ ამ ყველაფრის შემდეგ გახდა უფრო ინტენსიური. მიკროავტობუსის შემდეგაც, როდესაც პოლიციის კორიდორში გავდიოდი, ყველა მეკითხებოდა, რა გვარის ვიყავი და მირტყამდნენ“.*

დაზარალებული აღნიშნავს, რომ მუქარასა და გინებასთან ერთად, სიძულვილის ენის გამოყენება გაგრძელდა პოლიციის სატრანსპორტო საშუალებით დიღმის სამმართველოში ტრანსპორტირების პროცესშიც.

2.4.5. ბავშვების მიმართ არასათანადო მოპყრობა

როგორც დოკუმენტირების პროცესში, ასევე საჯარო წყაროებიდან,[182] გამოვლინდა ბავშვებზე ძალადობის არაერთი შემთხვევა. სულ მცირე 5 არასრულწლოვანი დაექვემდებარა პოლიციის მხრიდან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. აქედან 4 შემთხვევაში ძალადობა გაგრძელდა პოლიციის ავტომანქანაშიც, არასრულწლოვანის ტრანსპორტირების პროცესში.

არასრულწლოვანებს ურტყამდნენ სახეში, სხეულის სხვადასხვა ნაწილში ფეხით და ხელით, გამოვლინდა მათ მიმართ დამცირება, გინება, მუქარა, ჰომოფობიური ენის გამოყენება, პირადი ნივთების წართმევა. ერთ-ერთი არასრულწლოვანი, რომელიც პოლიციის მანქანაში შეუძლოდ გახდა, აიძულეს, საკუთარ ზურგჩანთაში აერია გული, შემდეგ თავი ამ ზურგჩანთასთან ახლოს დაადებინეს, თავში ხელი ჩაარტყეს, დასცინეს და მოკვლით დაემუქრნენ.

მიუხედავად სამართალდამცავი ორგანოს ვალდებულებისა, პირველი შესაძლებლობისთანავე დაუკავშირდნენ არასრულწლოვანის კანონიერ წარმომადგენელს, ბავშვებს ოჯახებთან კომუნიკაციის საშუალება არ მისცეს.

დაზარალებული V80 (17 წლის არასრულწლოვანი) 30 ნოემბერს მომხდარის შესახებ: *„სპეცრაზმელის მიერ პირველი დარტყმის შემდეგ გავიქეცი პირველი სკოლის კიბეებთან და ჩავხტი გზის სავალ ნაწილზე. სადაც დამხვდა რამდენიმე სპეცრაზმელი. მათ დამაგდეს ძირს და დამიწყეს ფეხებით და ხელებით ცემა. ამ დროს ჩემთან მოირბინეს ჩემმა ნათესავებმა, რომლებიც ცდილობდნენ ჩემს დაცვას, **უყვიროდნენ მსს-ს თანამშრომლებს, რომ მე ვიყავი არასრულწლოვანი და შეეწყვიტათ ჩემი ცემა. თუმცა, ისინი მირტყამდნენ უმოწყალოდ**“.*

დაზარალებული V81 (17 წლის არასრულწლოვანი), რომელიც 5 დეკემბერს ქუთაისში დააკავეს, იხსენებს, რომ დაკავების პროცესში შეუძლოდ გახდა, თუმცა პოლიციამ იქვე მდგომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფს არ

[182] „ბათუმელები“, „არასრულწლოვანი დააკავეს ქუთაისში აქციაზე, ერთი კი კლინიკაშია გადაყვანილი“, 05.12.2024; იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/news/554898/ [06.03.2025]. ასევე, „მთავარი არხი“, 30.11.2024; იხ. https://www.facebook.com/reel/1285150456044058 [06.03.2025]; „ფორმულა“, „ფიზიკურად გამისწორდნენ... გამძარცვეს, ყველაფერი წაიღეს რაც კი მქონდა — ნიკოლოზ გველუკაშვილი“, 03.02.2025; https://www.youtube.com/watch?v=NnamLCRlN1I [06.03.2025].

მისცა საშუალება, მისთვის დახმარება გაეწიათ: *„მე თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. მქონდა ღებინების შეგრძნება, რის გამოც, ვთხოვე პოლიციის თანამშრომლებს, გაეჩერებინათ მანქანა და რამდენიმე წუთით იქიდან გადასვლის შესაძლებლობა მოეცათ, რაზეც უარი მითხრეს. ვითხოვე, მინა მაინც ჩაეწიათ, რადგან თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი. პოლიციის თანამშრომლებმა ამაზეც უარი მითხრეს - გული თუ გერევა, შენს ზურგჩანთაში აღებინეო. ზურგჩანთაში მედო პირადი ნივთები და სკოლის წიგნები.* ***მათ იძულებული გამხადეს, რომ ჩემს წიგნებზე ამერია გული. ამის მერე კისერზე დამაჭირეს ხელი და ზურგჩანთასთან, რომელშიც გული ამერია, თავი ახლოს დამადებინეს.***

პოლიციის თანამშრომლები მანქანაში მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, მაგინებდნენ და დამცინოდნენ. მაგინებდნენ გულის არევის დროსაც და თავში ხელი დამარტყეს. ***მეუბნებოდნენ, რომ ქვას მომაბამდნენ და მდინარეში გადამაგდებდნენ****“.*

დაზარალებული V7 (16 წლის არასრულწლოვანი), რომელიც 3 დეკემბერს დააკავეს, იხსენებს: *„დაახლოებით 12 სპეცრაზმელი მირტყამდა ყველგან - თავში, ფეხებში, ნეკნებში. მირტყამდნენ ფეხს და ხელს. თან მესმოდა, ერთმანეთს ეუბნებოდნენ, კამერებია, ნუ ურტყამთო. რომ გამომიყვანეს იქ, სადაც კამერა აღარ იყო, რობოკოპებთან ძირს დამაგდეს და მირტყეს ფეხებით. შემდეგ მიკროავტობუსში გადამიყვანეს“.*

ამის შემდეგ მას მიკროავტობუსში რამდენჯერმე სცემეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და წაართვეს პირადი ნივთები. სცემეს ასევე პოლიციის ავტომობილში მოთავსების პროცესში: *„ცემის გამო, ცხვირი გამიტყდა, სუნთქვა მიჭირდა. სისხლს ვარწყევდი მთელ განყოფილებაში, თუმცა ექიმი არ შემოუთავაზებიათ“.*

2.4.6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არასათანადო მოპყრობა

დოკუმენტირების ფარგლებში გამოვლინდა, სულ მცირე, 3 შემთხვევა, როდესაც შშმ პირები საპოლიციო ძალების მხრიდან ძალადობას და არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარნენ. სამართალდამცავები მათ მაშინ დაესხნენ თავს, როდესაც ისინი აღარ იმყოფებოდნენ საპროტესტო აქციასა ან ხალხმრავალ ადგილებში. ასეთ ვითარებაში მათ კიდევ უფრო მეტად უჭირდათ დახმარების თხოვნა ან ძალადობის თავიდან აცილება. ეს მიუთითებს მიზანმიმართულ ტაქტიკაზე, რაც ართულებდა ძალადობის გამოვლენას, მტკიცებულებების შეგროვებას და მომხდარის გასაჯაროებას.

შშმ პირებს დაკავების დროს ართმევდნენ პირად ნივთებს, მათ შორის, მობილურ ტელეფონებს, რათა ხელი შეეშალათ კომუნიკაციის დამყარებაში. ამის სავარაუდო მიზანი იყო ძალადობასთან დაკავშირებული შესაძლო მტკიცებულებების განადგურება. ასევე, ერთ-ერთ შემთხვევაში, ყრუ პირს შეუზღუდეს ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება.

შშმ პირებს, რომლებიც ძალადობის შედეგად დაზიანდნენ, არ მიეწოდებოდათ ადეკვატური სამედიცინო მომსახურება. სასამართლო, ნაცვლად იმისა, რომ ეფექტიანი კონტროლი განეხორციელებინა არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე და გამოეკვლია შშმ პირების სპეციალური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობის საკითხი, მსხვერპლებს მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ საუბრის საშუალებას არ აძლევდა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ამისამართებდა.

დაზარალებული V78 (24 წლის მამაკაცი) იხსენებს, რომ 3 დეკემბერს მასთან და მის მეგობართან სპეცრაზმელები მაშინ მივიდნენ, როდესაც აქციიდან წამოვიდნენ და ერთ-ერთ კაფესთან ყავას სვამდნენ. მეგობარმა ჟესტური ენით უთარგმნა, რომ სპეცრაზმელები მას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მას სცემეს და გადაიყვანეს სადამსჯელო მიკროავტობუსში, სადაც მისი ცემა გააგრძელეს: *„მე ვცდილობდი, ჯიბიდან ამომეღო ყრუთა კავშირის მიერ გაცემული მოწმობა, რომლითაც ვაჩვენებდი, რომ ვარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. თუმცა, მოწმობა ხელიდან გამომგლიჯეს და ძირს დააგდეს. „მინივენში“ ამოსული სხვა ბიჭები სპეცრაზმის თანამშრომლებს ჩემზე ანიშნებდნენ, რომ ვიყავი შშმ პირი, მაგრამ ისინი მაინც აგრძელებდნენ ჩემს ცემას“.*

„ამის შემდეგ გამჩხრიკეს და წამართვეს ყველაფერი, რაც მქონდა: მობილური ტელეფონი, საფულე, პირადობის მოწმობა, პლასტიკური ბარათები, სახლის გასაღები და სხვა პირადი ნივთები. მობილური ტელეფონი ჩემთვის არის ერთადერთი საკომუნიკაციო საშუალება“.

„თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი, ტკივილებისგან ვითიშებოდი. პოლიციის შენობაში ხელის მოძრაობით ვითხოვე, რომ ჩემთვის დაელევინებინათ წყალი, თუმცა არ დამალევინეს“.

„არ ვიცოდი არ ხდებოდა ჩემს თავს. მე ვარ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მესმის მხოლოდ ჟესტური ენა. თარჯიმნის მოსვლამდე საერთოდ ვერ ვიგებდი, რა ხდებოდა. თარჯიმნის მოსვლის შემდეგაც ჩემთვის არ განუმარტავთ, რატომ ვიყავი დაკავებული ან რა მელოდებოდა. ვიყავი გაურკვევლობაში“.

დაზარალებული V77 (34 წლის მამაკაცი) იხსენებს, რომ იგი 3 დეკემბერს საზოგადოებრივ ტრანსპორტს ელოდებოდა, რა დროსაც ნიღბიანმა პირებმა (სავარაუდოდ, სპეცრაზმელებმა) საპროტესტო აქციის მონაწილედ მიიჩნიეს და სცემეს: *„მათ დამიწყეს საუბარი, რაც არ მესმოდა. ხელით ვანიშნებდი, რომ მათი არ მესმოდა. ამის შემდეგ, პირდაპირ დამიწყეს ცემა. პირველად დამარტყეს კუჭის არეში, შემდეგ მთელ სხეულზე. დავეცი და დამივარდა ტელეფონი. ისინი აგრძელებდნენ ჩემს ცემას. მირტყამდნენ ხელებით და ფეხებით სახესა და სხეულზე. დაახლოებით*

2-3 წუთი მცემდნენ და შემდეგ წავიდნენ. ცხვირიდან სისხლი მომდიოდა. ისე ცუდად ვიყავი, რომ დაახლოებით ერთი საათი ადგომა ვერ შევძელი. ამის შემდეგ მოვძებნე ჩემი ტელეფონი და დავუკავშირდი ნაცნობს, რომელმაც მითხრა, რომ პირდაპირ მივსულიყავი საავადმყოფოში".

2.5. სამედიცინო დახმარებაზე უარი

ხშირად, ძალადობის მსხვერპლები დროულად ვერ იღებდნენ ადეკვატურ სამედიცინო დახმარებას. პირი ძალადობის ადგილიდან სამედიცინო დაწესებულებაში მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში გადაჰყავდათ. ხშირად, ნაცემი ადამიანები, მათ შორის ისინი, ვისაც მძიმე დაზიანებები ჰქონდა, გადაჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში, სადაც რამდენიმე საათს მათთვის საჭირო სამედიცინო დახმარების გარეშე ატარებდნენ. ასევე, ადამიანები, ხშირად, სამედიცინო დაწესებულებაში მხოლოდ მას შემდეგ გადაჰყავდათ, რაც პოლიციელები დარწმუნდებოდნენ, რომ მათი მდგომარეობის გამო დროებითი მოთავსების იზოლატორი მათ მიღებაზე უარს იტყოდა. აღსანიშნავია, რომ როგორც რესპონდენტთა ნაწილი იხსენებს, პოლიცია გარკვეულ შემთხვევებში ცდილობდა ძალადობის კვალის შემცირებას, სავარაუდოდ იმ მიზნით, რომ იზოლატორს პირის მიღებაზე უარი არ ეთქვა *(იხ. ქვეთავი 2.6. ძალადობის კვალის/მტკიცებულებების წაშლა)*. ხშირად, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების მიღებაზე იზოლატორის ექიმები უარს აცხადებდნენ, თუმცა გამოიკვეთა შემთხვევებიც, როდესაც მძიმე დაზიანებების მიუხედავად, ადამიანები მოათავსეს იზოლატორში, სამედიცინო დახმარების გარეშე.

დაზარალებული V51 (32 წლის მამაკაცი), რომელსაც მიღებული დაზიანებების შედეგად ცხვირის ოპერაცია დასჭირდა, იხსენებს, რომ ტვინის შერყევით, მოტეხილი ცხვირით და ნეკნის მძიმე დაბეჟილობით ზაჰესის იზოლატორში 2 დღე გაატარა, სამედიცინო დახმარების გარეშე: *„იზოლატორში ექიმმა ასახა ჩემი დაზიანებები, მაგრამ საავადმყოფოში გადაყვანაზე უარი მითხრა, რადგან, მისი თქმით, ამის საჭიროება არ იყო... მიუხედავად იმისა, რომ მქონდა ძლიერი თავის ტკივილი, გატეხილი ცხვირი და ტვინის შერყევა, მითხრეს, რომ თვითონ დამეხმარებოდნენ. ზაჰესის იზოლატორში აღნიშნული დაზიანებებით ვიყავი 2 დღის განმავლობაში, შესაბამისი მკურნალობისა და სამედიცინო დახმარების გარეშე".*

დაზარალებული V99 (28 წლის მამაკაცი) იხსენებს, რომ თავზე, სახესა და სხეულზე ხილული დაზიანებების მიუხედავად, სამედიცინო დახმარების მოთხოვნა არ დაუკმაყოფილეს, იზოლატორში მოათავსეს და მხოლოდ ტკივილგამაყუჩებლები მისცეს: *„[პოლიციის განყოფილებაში] ვეუბნებოდი, ხომ ხედავთ, რა დღეში ვარ? სასწრაფო გამოიძახეთ. მათ კი მითხრეს, რა სასწრაფო? აქ ვინ დაუძახებს სასწრაფოს? იზოლატორში რომ წახვალ, იქ არისო".*

2.6. ძალადობის კვალის/მტკიცებულებების წაშლა

დაკავებულები აღწერენ, რომ პოლიციის განყოფილებებში დაკავების ოქმები ყველა შემთხვევაში ცრუ ინფორმაციის მითითებით იყო შედგენილი. როგორც წესი, დამკავებლად მიეთითებოდა პოლიციელი, რომელსაც სპეცრაზმელებმა გადასცეს პირი და არა ის, ვინც რეალურად დააკავა იგი. ამასთანავე, დაკავების დრო და დაკავებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებებიც არასწორად მიეთითებოდა.

დაზარალებული V11 (36 წლის მამაკაცი), 30 ნოემბერს მომხდარის შესახებ: *„დიღმის სამმართველოში მე-8 სართულზე ჯოჯოხეთი ხდებოდა. კორიდორში ყველა კაბინეტში დასისხლიანებული, ნაწამები ადამიანები იყვნენ და მიდიოდა ოქმების წერა".*

ზოგიერთი რესპონდენტი ასევე აღნიშნავს, რომ პოლიციელებს ჩართული არ ჰქონდათ სამხრე კამერები.[183]

რესპონდენტთა ნაწილი ასევე იხსენებს, რომ პოლიციის განყოფილებაში მათ სახის ჩამობანა აიძულეს, რისი მიზეზიც, შესაძლოა, ყოფილიყო სახიდან სისხლის და ცემის კვალის მოშორება.

დაზარალებული V5 (21 წლის მამაკაცი) 29-30 ნოემბრის ღამეს ძალადობის შემდეგ, დიღმის სამმართველოში სახის ჩამობანის იძულების შესახებ: *„პოლიციელებმა მაიძულეს სახე დამებანა საპირფარეშოში. უარი ვუთხარი, მაგრამ დაიწყეს ჩემი შეურაცხყოფა, მეუბნებოდნენ, „კაცი არა ხარ?!" და იძულებით სახე ჩამომაბანინეს. მითხრეს, ფოტოები უნდა გადავიღოთ და ასეთ სიტუაციაში ვერ იქნებიო".*

კიდევ ერთი რესპონდენტი (V14), რომელიც 29-30 ნოემბრის ღამეს დააკავეს, იხსენებს, რომ სისხლიანი სახის ჩამოსაბანად საპირფარეშოში შეიყვანეს. მან ნახა, რომ საპირფარეშოს სამივე ნიჟარა სისხლიანი იყო, სანაგვე ყუთიც სისხლიანი ხელსახოცებით იყო სავსე და ძირსაც სისხლიანი ხელსახოცები ეყარა. ის ვარაუდობს, რომ რადგან ძალიან მძიმე მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმი არ იღებდა, პოლიციელები ცდილობდნენ დაკავებულთა მდგომარეობა შეელამაზებინათ, რათა იზოლატორის ექიმი „გაეცურებინათ".

[183] დაზარალებული V1, დაზარალებული V59.

დაზარალებული V110 (20 წლის მამაკაცი) 2 დეკემბერს მომხდარს იხსენებს: *„რამდენიმეჯერ მიმითითეს, რომ მომებანა სახე, მე არ მინდოდა მობანვა, გადამიყვანეს საპირფარეშოში, სახის მობანვის დროს გავჩერდი, რადგან წიწაკის სპრეი იყო სისხლში არეული და მეწვოდა სახეც, დაზიანებული ნახეთქები სახეზე; მომიწოდებდნენ, ბარემ ბოლომდე ჩამოიბანეო - სავარაუდოდ არ უნდოდათ მედიას ენახა ის სისხლის რაოდენობა, რაც მე მქონდა სახეზე“.*

2.7. სასამართლოს არაეფექტიანი კონტროლი არასათანადო მოპყრობაზე

სასამართლო პროცესზე, როგორც წესი, მოსამართლეები არ ითვალისწინებდნენ დაკავებულთა ისტორიებს არასათანადო მოპყრობის შესახებ და ეუბნებოდნენ მათ, რომ ეს საკითხი განსახილველ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმესთან კავშირში არ იყო და პირს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის უნდა მიემართა. მოსამართლეები, ხშირად, არც აძლევდნენ ძალადობის მსხვერპლებს შესაძლებლობას, თავიანთი ამბავი მოეყოლათ.[184]

დაზარალებული V115 (20 წლის მამაკაცი), რომელიც მძიმე ფიზიკური ძალადობის შემდეგ სასამართლო პროცესამდე დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდა ადეკვატური სამედიცინო დახმარების გარეშე, იხსენებს: *„იზოლატორმა დაახლოებით 40 სთ-ის განმავლობაში, მოთხოვნის მიუხედავად, არ გადამიყვანა სამედიცინო კლინიკაში, ასევე, სასამართლოში სანამ გონება არ დავკარგე, არ გადამიყვანეს კლინიკაში“. „მოსამართლესთან ვიღაც გოგო იყო და იმან მკითხა, ხომ კარგად ხარო და ფორმალურად დაინტერესდა. ვითიშებოდი და სასამართლო მაინც გრძელდებოდა. ვერც ვიხსენებ, ვინ მკითხა, სასწრაფოს გამოძახება თუ გინდაო. მოსამართლემ მოიტყუა, რომ გამოიძახა სასწრაფო. მერე უკვე ვითიშებოდი, ხელებს და სხეულს ვეღარ ვგრძნობდი, ტუჩებს ვიკბენდი, რომ გამოვფხიზლებულიყავი. ტკივილს ვგრძნობდი მარტო და ისიც ისე, თითქოს სხეულს ვერ ვგრძნობდი. აღმოჩნდა, რომ მოსამართლემ არ გამოიძახა სასწრაფო, მერე ისევ ადვოკატმა გამოიძახა“.*

თბილისის, ბათუმის, ზუგდიდის, რუსთავის და ქუთაისის სასამართლოებიდან გამოვითხოვეთ სასამართლოს მიერ 2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის და ზუგდიდის სასამართლოსგან უარი მივიღეთ ინფორმაციის გაცემაზე, რადგან, როგორც სასამართლოების პასუხებშია აღნიშნული, სასამართლო არ ამუშავებს ამ ინფორმაციას და, მისი მოცულობის გათვალისწინებით, მოკლებულნი არიან თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.[185] ბათუმის საქალაქო სასამართლოსგან პასუხი არ მიგვიღია.

2.8. დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული პირობები

გარკვეულ შემთხვევებში, რესპონდენტები საუბრობენ არასათანადო პირობებზე დროებითი მოთავსების იზოლატორში, რაც დაბალ ტემპერატურაში, სინათლის გამო ძილის შეუძლებლობასა და ჰიგიენური პირობების არარსებობაში გამოიხატება.

ერთ-ერთი დაკავებული (V8) ჰყვება, რომ ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც 7 დღე გაატარა, ოთახში კაშკაშა შუქი იყო, რომელიც არ ქრებოდა და დაძინებას შეუძლებელს ხდიდა. ოთახში ძალიან ციოდა, რის გამოც გამუდმებით ქურთუკი ეცვა. ამასთანავე, საპირფარეშო ოთახიდან გამოყოფილი არ იყო. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ დღეში 1 საათით სეირნობის უფლება ჰქონდა, მხოლოდ 15 წუთით სეირნობის ნებას რთავდნენ და ამ დროსაც იზოლატორის თანამშრომლები იმაზე ელაპარაკებოდნენ, „ნაციონალების აქციაზე“ რას აკეთებდითო. ამის გამო ბევრი დაკავებული ამ დროითაც არ სარგებლობდა.

კიდევ ერთი დაკავებულის (V84) მიხედვით, ბაღდათის დროებითი მოთავსების იზოლატორში დღისა და ღამის გარჩევა რთული იყო, რის გამოც 7 დღის განმავლობაში მხოლოდ 2-ჯერ ეძინა.

ერთ-ერთი დაკავებული (V13), რომელიც საგარეჯოს იზოლატორში იყო მოთავსებული, აღწერს, რომ ოთახში ძალიან ცხელოდა. გარდა ამისა, არ ჰქონდათ ტუალეტის ქაღალდი და საპონი, რის გამოც საჭმლის ჭამას ერიდებოდა.

2.9. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი

დოკუმენტირების შედეგად გამოვლინდა ფიზიკური ტრავმებისგან მიღებული ზიანის შემდგომი გართულებები, რომლებიც ადამიანებს ხელს უშლის ნორმალურ ფუნქციონირებაში, რაც თავისთავად აისახება, როგორც ცხოვრების ხარისხზე, პროფესიულ საქმიანობაზე, ისე მათ ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ფიზიკური დაზიანებების შედეგად ხშირად ვლინდება მხედველობის პრობლემები; სუნთქვის პრობლემები (ცხვირის არეში მიყენებული მძიმე დაზიანების გამო); ჰაერის უკმარისობა (სასუნთქი სისტემის დაზიანების გამო); კბილების დაზიანება

[184] დაზარალებული V5, დაზარალებული V6, დაზარალებული V57, დაზარალებული V101.

[185] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 4 თებერვლის წერილი №1-0412/798. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 10 თებერვლის წერილი №860-1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 7 თებერვლის წერილი №188/გ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლის №53 წერილი.

(ჩამტვრევა); კიდურების მოტეხილობა და ცემისას მიღებული ნერვის დაზიანებები, რომელიც ზღუდავს მოძრაობას; ნევროლოგიური პრობლემები (თავის არეში მიღებული დაზიანებების გამო).

დაზარალებული V20 (35 წლის მამაკაცი): *„თასმებიც კი, შეკრული არ მაქვს. საკუთარი 2 წლის შვილი არ შემიძლია, რომ ხელში ავიყვანო... ფსიქოლოგიურად ძალიან დამაზიანებელია ბავშვი რომ გადგება, ხელში აყვანა რომ უნდა და ვერ აგყავს იმის გამო, რომ ადამიანმა რომელსაც ხელფასს უხდი, ხელი მოგტეხა.*

მარჯვენა ხელს ნორმალურად ვერ ვიყენებ, შესაბამისად, ლეპტოპთან, კომპიუტერთან, კლავიატურასთან მუშაობა მიჭირს. თუ დიდი ხანი ვმუშაობ, განსაკუთრებულად მტკივდება მხარი და არ მინდა, რომ დავაზიანო ჩემი შეკოწიწებული მხარი, რომელიც რვა ბოლტით არის შეერთებული".

დაზარალებული V89 (38 წლის მამაკაცი) აღნიშნავს: *„ცემის შედეგად მივიღე უამრავი დაზიანება: მრავლობითი ტრავმები, წელის მალის მოტეხილობა, თავის ტვინის შერყევა, თავის და სხვა ნაწილების ზედაპირული ტრავმა, 3 ნეკნი მქონდა გატეხილი. დღემდე გადავაადგილდები სპეციალური ქამრით და დღემდე მაქვს თავის ტკივილები".*

დაზარალებული V17 (35 წლის მამაკაცი): *„ბეჭი და თავი მტკიოდა და სუნთქვა მიჭირდა. ცემის შემდეგ, მიჭირდა თავის დადება ბალიშზე, ვერ ვამოძრავებდი თავს და მიჭირდა ღეჭვა".*

აქციის მონაწილეებზე განხორციელებული ზეწოლის, ფსიქოლოგიური ზემოქმედების და მორალურად გატეხის მცდელობები ხშირად იწვევდა ისეთ ფსიქოლოგიურ ეფექტებს, როგორიცაა მუდმივი ზე-სიფხიზლე, დაძაბულობა, შიში, ცვლილებები სოციალურ ფუნქციონირებაში.

დაზარალებული V57 (28 წლის მამაკაცი): *„ინციდენტის შემდეგ პირველი დღეები იყო ძალიან მძიმე, მეგონა, რომ კარებს ვინმე შემომიმტვრევდა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვერ ვმგზავრობდი, მქონდა შიშები. როდესაც სახლიდან გამოვდიოდი, მუდამ ვათვალიერებდი, ვინმე ხომ არ იყო ჩასაფრებული. ღამე მარტო გადაადგილება არ შემეძლო, რადგანაც მეშინოდა. პოლიციის მანქანის დანახვისას დღემდე მაქვს შიში. ასევე ძალიან მეშინია პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მარტო გადაადგილების, ხოლო საერთოდ ვერ ავდივარ იმ ადგილას, სადაც ფიზიკურად გამისწორდნენ, ემოციურად ეს ვერ გადავლახე".*

დაზარალებული V11 (36 წლის მამაკაცი): *„ღამის შფოთვებზე უკვე აღარც ვლაპარაკობ. რაც ყველაზე ცუდია და რაც ვერ მოვიშორე, არის ის, რომ როგორც კი ოდნავ მოვადუნებ აზროვნებას, მაშინვე სპეცრაზმელის ნიღბიანი სახე ჩნდება ჩემს თვალწინ".*

2.10. აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული არასათანადო მოპყრობა

როგორც წესი, აქტიური სპეციალური საშუალებები, მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, გამოიყენებოდა უკანონოდ და არაპროპორციულად. გარკვეულ შემთხვევებში აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენება უტოლდება არასათანადო მოპყრობას *(ვრცლად ამ საშუალებების შესახებ იხ. თავი 1).* ეს დაკავშირებულია:

ა) ცრემლსადენი გაზის გამოყენებასთან:

- ჭარბი ოდენობით
- ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობის გარეშე
- გაზის კაფსულების გამოყენება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი მეთოდებით

ბ) წყლის ჭავლის გამოყენებასთან:

- ქიმიკატების შერევით, რომელიც იწვევდა ძლიერ წვას
- ცივი ჭავლის გამოყენება ცივ ამინდში.

ა) ცრემლსადენი გაზი

ინტერვიუებიდან და ღია წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით, ცრემლსადენი გაზის გამოყენებისას, ხშირად, აქციის მონაწილეებს არ ეძლეოდათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა.

იმ რესპონდენტების 73.1%, რომლებიც ცრემლსადენ გაზთან ექსპოზიციაზე მიუთითებენ, აღნიშნავს, რომ არ ეძლეოდათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა (19 რესპონდენტი 26-იდან).

იმ რესპონდენტების 73.1%, რომლებიც ცრემლსადენ გაზთან ექსპოზიციაზე მიუთითებენ, აღნიშნავს, რომ არ ეძლეოდათ ტერიტორიის დატოვების შესაძლებლობა (19 რესპონდენტი 26-იდან).



ამის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში, იყო აქციის მონაწილეთა დეზორიენტაცია ძლიერი დაკვამლიანების გამო, გასასვლელების ბლოკირება საპოლიციო ძალების მიერ ან/და გასასვლელების ბლოკირება ხალხის რაოდენობის/ჭყლეტის გამო.

გაზის კაფსულები დიდი რაოდენობით და განმეორებით გამოიყენებოდა იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ისინი უკვე გამოყენებული იყო. გაზის კაფსულებს რიგ შემთხვევებში ისროდნენ შენობების სახურავებიდან, ზემოდან ქვემოთ[186], რაც პროტესტის მონაწილეთა ფიზიკური დაზიანების საფრთხეს ქმნიდა.

დაზარალებული V24 (48 წლის ქალი) 30 ნოემბრის ღამეს, ქაშვეთის ეზოში, მშვიდობიანად მდგომი დემონსტრანტების წინააღმდეგ დიდი რაოდენობით ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ იხსენებს: *„ყველა მხრიდან ისროდნენ გაზის კაფსულებს. სპაზმი დამეწყო. ქაშვეთის შესასვლელთან, რომელიც ალექსანდრეს ბაღში გადის, ჭყლეტა მოხდა. ორი ვიდეო მაქვს გადაღებული, [ერთ-ერთ ვიდეოზე] ჩანს, როგორ ეხვევა ყველაფერი კვამლში და როგორ ისვრიან გაზის კაფსულებს ზემოდან ქვემოთ, ხელოვნების მუზეუმის შენობიდან“.*

ცრემლსადენი გაზის ამ ფორმით და ინტენსივობით გამოყენება მიზნად ისახავდა პანიკის წარმოშობას აქციის მონაწილეთა შორის. რიგ შემთხვევებში გაზის კაფსულები გამოიყენებოდა მჭიდროდ მდგომ ხალხის მასაში და ქმნიდა ჭყლეტის საშიშროებას.

[186] დაზარალებული V11 იხსენებს 30 ნოემბერს, გამთენიისას რუსთაველის თეატრის შენობის სახურავიდან გაზის კაფსულების გადმოყრას, V25 რესპონდენტი შეესწრო და ვიდეოზე ასახა 30 ნოემბერს ღამით ხელოვნების მუზეუმის შენობის სახურავიდან გაზის კაფსულების გადმოყრა. დაზარალებული V90 იხსენებს 1 დეკემბერს, ღამით, ჭიჭინაძის ქუჩის კუთხეში ზემოდან გაზის კაფსულების ჩამოვარდნას. გაზის კაფსულების გადმოყრა შენობების სახურავებიდან ასევე ასახულია მედიის მიერ გავრცელებულ მასალაში. 4 დეკემბერს, 02:32 საათზე ტელეკომპანია „ფორმულას“ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეოში ჟურნალისტი ამბობს, რომ გაზის კაფსულებს რუსთაველის თეატრის სახურავიდან ისვრიან, რის შემდეგაც იგი ძირს ეცემა; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=3898865273768331 [10.02.2025]. ტელეკომპანია „ფორმულას“ ცნობით, „რუსთაველის თეატრის სახურავიდან ნასროლი 2 კაფსულა „ფორმულას“ ჟურნალისტ ლუკა ტყეებუჩავას მხარსა და თავში მოხვდა - ის და ოპერატორი დაზიანებებს გადაურჩნენ“. „ფორმულა“, „სპეცრაზმელები ე.წ. გაზის კაფსულებს სახურავებიდან ისვრიან“, 04.12.2024; იხ. https://formulanews.ge/News/121071 [10.02.2025].

დაზარალებული V90 (23 წლის ქალი) 1-ლი დეკემბრის ღამეს რუსთაველის გამზირზე დიდი რაოდენობით ცრემლსადენი გაზის გამოყენების შესახებ იხსენებს: *„ძალიან ბევრი ადამიანი იყო, რაც იწვევდა ჭყლეტას და გადაადგილება რთული იყო. დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში ვცდილობდით ტერიტორიის დატოვებას. ამ მომენტში, როცა [ტერიტორიის] დატოვებას ვცდილობდით, ზემოდან ცვიოდა გაზის კაფსულები ჩემს შორიახლოს. ხალხის მასაში ყრიდნენ, რომ მაქსიმალურად ბევრი ადამიანი ერთდროულად დაშავებულიყო. მინიმუმ სამი კაფსულა, დროის მცირე ინტერვალში ჩემს გვერდით, ფეხებში დაეცა და აფეთქდა. დრო არ გვქონდა, რომ რეაგირება მოგვეხდინა და გავრიდებოდით იმდენად მალ-მალე ყრიდნენ“.*

ცალკეულ შემთხვევებში გასროლილი გაზის კაფსულა მოხვდა აქციის მონაწილეს. გამოკითხული 5 დემონსტრანტი მიუთითებს, რომ მოხვდა გაზის კაფსულა. აქედან, ერთ-ერთ მონაწილეს გაზის კაფსულა მოხვდა სახის არეში, რამაც ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი დაზიანება გამოიწვია, რის შედეგადაც იგი 3 დეკემბრიდან 20 დეკემბრამდე იმყოფებოდა საავადმყოფოში, ხელოვნურ კომაში.

ამასთანავე, გამოკითხულთა ნაწილი საგანგებოდ მიუთითებს, რომ ცრემლსადენი გაზის ეფექტები უფრო მწვავე იყო, ვიდრე წინა წლებში საპროტესტო აქციებზე გამოყენებული ქიმიური საშუალებების ეფექტები. გარკვეულ შემთხვევებში გაზის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ხანგრძლივი ეფექტები არის მძიმე, მოითხოვს ინტენსიურ მკურნალობას და ყოველდღიურ ცხოვრებაში პირს მნიშვნელოვნად უშლის ხელს.[187]

ბ) წყლის ჭავლი

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯერ კიდევ 2022 წელს გააუარესა აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების სტანდარტი და დაუშვა წყლის ჭავლის და ქიმიური საშუალებების ერთდროული გამოყენება.[188] ჯერ კიდევ 2024 წლის 21 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომლითაც დაადასტურა, რომ 2024 წლის აპრილ-მაისში, რუსული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციების დასაშლელად წყლის ჭავლში გარეულ ქიმიურ გამღიზიანებლებს იყენებდა.[189]

წყლის ჭავლში ქიმიური გამღიზიანებლების შერევა პრობლემური და საფრთხის შემცველი პრაქტიკაა. უცნობია, რა არის წყალში ქიმიური გამღიზიანებლის დასაშვები კონცენტრაციის დონე, რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვან რისკს წარმოშობს.[190] ქიმიურმა გამღიზიანებლებმა უნდა უზრუნველყოს დემონსტრანტების დაშლა კონკრეტული ტერიტორიიდან. როდესაც ტანსაცმელი ქიმიური გამღიზიანებლით იჟღინთება, ადამიანს აღარ შეუძლია მისი ზემოქმედებისგან გაქცევა.[191] როდესაც ადამიანის ტანსაცმელი იჟღინთება, შეუძლებელია, გაკონტროლდეს ქიმიური გამღიზიანებლის ადამიანზე ზემოქმედების ხარისხი და ხანგრძლივობა.[192] იმის გათვალისწინებით, რომ ჯანმრთელობის რისკები იზრდება ქიმიური საშუალებების კონცენტრაციის და ზემოქმედების ხანგრძლივობის ზრდასთან ერთად, წყლისა და ქიმიური საშუალებების შერევა არღვევს სამართალდამცავთა ვალდებულებას, ზიანი მინიმუმამდე შეამცირონ.[193] წყლის ჭავლში ქიმიკატების შერევა არარეკომენდებული პრაქტიკაა გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისის სახელმძღვანელოს მიხედვითაც, რადგან იგი, დაზიანების, მათ შორის, ხანგრძლივი ფიზიკური ტკივილის გამოწვევის ბევრად მაღალ რისკს შეიცავს.[194]

19 ნოემბრიდან თბილისში მიმდინარე აქციების იმ მონაწილეთა 76.9%, რომლებიც დოკუმენტირების პროცესში მიუთითებდა, რომ წყლის ჭავლთან ჰქონდა კონტაქტი, აღნიშნავს, რომ წყლის ჭავლმა გამოიწვია წვის ძლიერი შეგრძნება (13 რესპონდენტიდან 10).

---

[187] დაზარალებული V25

[188] საია, „სამოქალაქო უფლებები მზარდი საპოლიციო ტერორის პირისპირ“, 2024, 16; იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9D%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%20(3).pdf [10.02.2025].

[189] შინაგან საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 21.10.2024; იხ. https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/16444 [10.02.2025].

[190] Amnesty International, CHEMICAL IRRITANTS IN LAW ENFORCEMENT AN AMNESTY INTERNATIONAL POSITION PAPER, 2021, 20; იხ. https://www.amnesty.nl/content/uploads/2021/07/Amnesty-position-paper-chemical-irritants.pdf [10.02.2025].

[191] იქვე.

[192] იქვე.

[193] იქვე.

[194] UNODC, OHCHR, Resource book on the use of force and firearms in law enforcement, 2017, 90; იხ. https://www.ohchr.org/sites/default/files/UseOfForceAndFirearms.pdf [10.02.2025].



დაზარალებული V98 (27 წლის ქალი) 29 ნოემბერს გამოყენებული წყლის ჭავლის ეფექტების შესახებ იხსენებს: *„წყლის ჭავლში იყო სავარაუდოდ რაღაც ნივთიერება, რომელიც გვიწვავდა კანს. მთელი სხეული მქონდა დამწვარი, როცა ვიბანავე, მეგონა მჟავას მასხამდნენ სხეულზე. სახეს ვერ ვიბანდი ტკივილისგან. კისერზე მომხვდა წყლის ჭავლი და კისერიც 2-3 დღის განმავლობაში მქონდა სრულად დამწვარი“.*

აღსანიშნავია, რომ პროტესტის მონაწილეთა ნაწილი, რომლებსაც წყლის ჭავლი პირდაპირ არ მოხვედრია, იხსენებენ, რომ წყლის ჭავლის გაშვებას ძლიერი სუნი ახლდა თან, რაც წყალთან პირდაპირი კონტაქტის გარეშეც იგრძნობოდა და წყალთან შეხება წვის შეგრძნებას იწვევდა.[195]

საყურადღებოა ისიც, რომ როგორც აქციის მონაწილეები იხსენებენ, გარეთ საკმაოდ დაბალი ტემპერატურა იყო და ამ დროს გამოიყენებოდა ცივი წყლის ჭავლი.[196]

3. გამოხატვის თავისუფლება

ავტორიტარიანული ტენდენციების მოძლიერებასთან[197] ერთად, საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში, კრიტიკული მედიისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ აქტიურად ტარდება რეპრესიული პოლიტიკა,[198] ხოლო, 2024 წლის 28 ნოემბრიდან ყოველივე ამან ქართული კონტექსტისთვის უპრეცედენტო მასშტაბი შეიძინა.[199]

მშვიდობიანი შეკრებებისა და მანიფესტაციების გაშუქებისას, მედიის, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში „მეთვალყურის“ ფუნქციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ის დაკავშირებულია საზოგადოების უფლებასთან, მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია.[200] თუმცა, ამის საპირისპიროდ, სამართალდამცავები და

[195] დაზარალებული V11, 29-30 ნოემბრის ღამის აქციის შესახებ; V90 1 დეკემბრის აქციის შესახებ.
[196] დაზარალებული V1, დაზარალებული V3, დაზარალებული V13.
[197] Sjifra E de Leeuw, Rachid Azrout, Roderik S B Rekker, Joost H P Van Spanje, After All This Time? The Impact of Media and Authoritarian History on Political News Coverage in Twelve Western Countries, Journal of Communication, Volume 70, Issue 5, October 2020.
[198] საია, „საქართველო 2023 წელს სამართლის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შეფასება“, 2024; https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/GEORGIA%20IN%202023.pdf [11.02.2025].
[199] 2024 წელს ჟურნალისტების მიმართ საჯაროდ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევები 2023 წლის მაჩვენებელზე თითქმის 5-ჯერ მეტია. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „მედიის მიმართ ძალადობის შემთხვევები და მათზე სახელმწიფოს რეაგირება“, 30.12.2024; იხ. https://transparency.ge/ge/post/mediis-mimart-zaladobis-shemtxvevebi-da-matze-saxelmcipos-reagireba?fbclid=IwY2xjawHfNaRleHRuA2FlbQIxMAABHVdPz0EAYioghSb9WQcM3H2TKUXwQ4bi-AtFp-ZfhJgheeHu5Z3gmvw4jw_aem_VYtpIRnHJjkZnKntnoN_mg [11.02.2025].
[200] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, Bédat v. Switzerland, პარ. 51. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2012 წლის 7 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, Axel Springer AG v. Germany, პარ. 79. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, The Sunday Times v. the United Kingdom (no. 2), პარ 50. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1999 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე, Bladet Tromsø and Stensaas v. Norway პარ. 59, 62. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის დიდი პალატის

არაფორმალური ჯგუფის წარმომადგენლები[201] არა მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ჟურნალისტებს, არამედ მიზანმიმართულად სასტიკად ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ მათ. სწორედ მედია და მათი აღჭურვილობა იქცა აგრესიის სამიზნედ, ვინაიდან ისინი იღებდნენ და აშუქებდნენ აქციის მონაწილეების მიმართ ჩადენილი ძალადობის ამსახველ მტკიცებულებებს. გამოიკვეთა ჟურნალისტების მიმართ ცემის, გინების, მუქარის, შევიწროების, სპეციალური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენების,[202] აღჭურვილობის დაზიანების და ჩამორთმევის[203], დაკავების, პატიმრობის შეფარდების, ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების შემთხვევები[204], სისხლის სამართლის საქმე აღძრულია კრიტიკული ონლაინ მედიის ჟურნალისტის, მზია ამაღლობელის, წინააღმდეგ.[205]

ამასთანავე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებმა ჟურნალისტებს შეუზღუდეს საქართველოს პარლამენტში მუშაობის შესაძლებლობა. მედიის წარმომადგენლების მიმართ ამგვარი ქმედებების მიზანია კრიტიკული მედიის დადუმება და „მსუსხავი ეფექტის“ გავრცელება.

3.1. ინციდენტები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია 108 შემთხვევის შესახებ. მათგან უმეტესობას (ვინაობასთან ერთად), ბმულის სახით ასევე აქვს დართული ღია წყაროებში არსებული ფოტო-ვიდეო მტკიცებულებები.

N	თარიღი	მედიასაშუალება	მედიის წარმომადგენელი	სქესი (F/M)	ფაქტის აღწერა
1	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ჟურნალისტი გურამ როგავა	M	მიკროფონიან გურამ როგავას თავს დაესხა ნიღბიანი სპეცრაზმელი, ჩაარტყა თავში, დაასისხლიანა და ძირს დააგდო. ჟურნალისტი გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას დაუდგინდა სახის ძვლებისა და კისრის მალის მოტეხილობა.
2	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ჟურნალისტი ნანუკა ქაჯაია	F	ჟურნალისტისა და მისი რესპონდენტის მიმართ გამოიყენეს წყლის ჭავლი.
3	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი დავით ბიჭიკაშვილი	M	აქციის გაშუქებისას მის მიმართ დამიზნებით გამოიყენეს წყლის ჭავლი.
4	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი გიორგი შეწირული	M	ჟურნალისტის თქმით, სპეცრაზმელი გამიზნულად, ზურგიდან მიეპარა ოპერატორ გიორგი შეწირულს,

გადაწყვეტილება საქმეზე, Pedersen and Baadsgaard v. Denmark, პარ. 71. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, News Verlags GmbH & Co.KG v. Austria, პარ. 56. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე Dupuis and Others v. France, პარ. 35. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, Campos Dâmaso v. Portugal, პარ. 31.

[201] BBC, Moment Georgian press attacked by masked men, 8.12.2024; იხ. https://www.bbc.com/news/videos/c07ggrnxx45o [11.02.2025].

[202] „პუბლიკა“, „ანტირუსული აქციის გაშუქების დროს პოლიცია ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდა“, 29.11.2024; იხ. https://publika.ge/aqciis-gashuqebis-dros-policia-djurnalistebs-fizikurad-gausworda/?fbclid=IwY2xjawG2avpleHRuA2FlbQIxMQABHe3I029xY5_m9FQwo7D3HUZm2Cr2y5xufBe9VsDZTHR-YQ-HfwF6dWhyuA_aem_1jmOrB1IWYM0ROT-Lbo05w [11.02.2025].

[203] MFRR, Intimidated, attacked and barred from entering the country: press freedom organizations urge for protection of journalists' rights in Georgia; იხ. https://www.mfrr.eu/intimidated-attacked-and-barred-from-entering-the-country-press-freedom-organizations-urge-for-protection-of-journalists-rights-in-georgia/ [11.02.2025].

[204] Civil Georgia, Georgian Charter of Journalistic Ethics Calls on MIA to Stop Fining Journalists on Duty, 21.02.2025; იხ. https://civil.ge/archives/664671 [21.02.2025].

[205] CPJ, CPJ calls for release, investigation, after two Georgian journalists detained during protests, 17.01.2025, იხ. https://cpj.org/2025/01/cpj-calls-for-release-investigation-of-two-georgian-journalists-detained-during-protests/ [11.02.2025].

					რომელსაც ხელში ეჭირა კამერა და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.
5	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ჟურნალისტი ანნა მდივანი	F	ჟურნალისტის თქმით, მას წყალი შეასხეს წყლის ჭავლის მანქანიდან.
6	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი ნიკო კოკაია	M	პირდაპირ ეთერში აშუქებდა აქციას, მას ზურგზე ჰქონდა პირდაპირი ეთერის ტრანსლირებისთვის საჭირო აპარატურა LiveU, როდესაც სახეში შეასხეს ქიმიური ნივთიერება.
7	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ჟურნალისტი გიორგი კვიჟინაძე	M	თვალებში შეასხეს წიწაკის სპრეი და დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
8	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	**ოპერატორი თედო ქვაჩახია**	M	შეასხეს ქიმიური ნივთიერება და დაშავდა.
9	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ჟურნალისტი ხატია სამხარაძე	F	შეასხეს ქიმიური ნივთიერება და დაშავდა პროფესიული საქმიანობის შესრულებისას.
10	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	ჟურნალისტი დეა მამისეიშვილი	F	შეასხეს წიწაკის სპრეი.
11	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	ოპერატორი გიორგი გოგინაშვილი	M	შეასხეს წიწაკის სპრეი.
12	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	ჟურნალისტი ქეთა ციცქიშვილი	F	აქციის გაშუქებისას პოლიციის წარმომადგენლები აგინებდნენ.
13	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	**ჟურნალისტი დავით კობიძე**	M	ხელი შეუშალეს პროფესიულ საქმიანობაში.
14	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	**ოპერატორი ლუკა ბაჩილავა**	M	ხელი შეუშალეს პროფესიულ საქმიანობაში.
15	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „რუსთავი 2“	უცნობი	M	წყლის ჭავლით დაშავდა.
16	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „საქართველოს პირველი არხი“	ოპერატორი დავით ბეჟანიშვილი	M	აქციის გაშუქებისას ოპერატორი წაიქცა, უჭირდა ფეხზე დგომა და პოლიციის წარმომადგენლებმა გაიყვანეს.

17	28-29 ნოემბრის ღამე	ტვ „აჭარის ტელევიზია“	ჟურნალისტი ნინო ლორჩოშვილი	F	აქციის გაშუქებისას დაკარგა გონება.
18	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	ჟურნალისტი დავით ცაგარელი	M	„პრესის“ წარწერიან ქურთუკში გამოწყობილი ჟურნალისტი იღებდა დაკავებებს, როდესაც სპეცრაზმელი მასთან მივიდა და მუცელში ჩაარტყა.
19	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	**ჟურნალისტი სალომე ჩადუნელი**	F	ქაშვეთის ტაძართან აქციის გაშუქებისას ფეხი იღრძო.
20	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	**ოპერატორი ილია რატიანი**	M	ხელი შეუშალეს პროფესიულ საქმიანობაში.
21	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	**ოპერატორი ზურაბ ხიდაშელი**	M	ხელი შეუშალეს პროფესიულ საქმიანობაში.
22	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ალექსანდრე ქეშელაშვილი	M	აქციის დარბევის გადაღებისას დააკავეს, სცემეს და წაართვეს კამერები. ცხვირი აქვს გატეხილი.
23	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ნათია ამირანაშვილი	F	ძალადობის კადრების გადაღებისას, ჟურნალისტთან მივიდა სპეცრაზმელი და სცადა, მისთვის ტელეფონი წაერთმია და არ მიეცა მუშაობის საშუალება. შემდეგ სპეცრაზმელმა ხელიდან გააგდებინა ტელეფონი, ძირს დააგდო და ფეხით კამერის დამტვრევა სცადა.
24	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ფოტოჟურნალისტი მინდია გაბაძე	M	პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დაშავდა და დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
25	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ბასტი მგალობლიშვილი	M	მუშაობაში ხელი არაერთხელ შეუშალეს. ასევე, რამდენჯერმე ხელი ჰკრეს და დაარტყეს.
26	28-29 ნოემბრის ღამე	ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	ჟურნალისტი ნინო წვერავა	F	ქაშვეთის ტაძრის შესასვლელთან პოლიციის წარმომადგენლებმა ხელი შეუშალეს ჟურნალისტურ საქმიანობაში. არ მისცეს საშუალება, გადაეღო ტაძარში მობილიზებული პოლიციელები და ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მის გაგდებას.
27	28-29 ნოემბრის ღამე	ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	ჟურნალისტი ნინო შუბითიძე	F	შეასხეს წიწაკის სპრეი და იძულებით გაიყვანეს ქაშვეთის ეკლესიის შესასვლელიდან.

28	28-29 ნოემბრის ღამე	ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	**ჟურნალისტი გიორგი ბარამიძე**	M	პოლიციამ წიხლი ჩაარტყა.
29	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „OC Media“	ჟურნალისტი და თანადამფუძნებელი მარიამ ნიკურაძე	F	წყლის ჭავლით დაშავდა, დაეცა, კამერა დაუზიანდა, ხოლო ტელეფონი რამდენჯერმე გადაუგდეს. ასევე, წიწაკის გაზით მიიღო დაზიანება.
30	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პროექტი 64“	ჟურნალისტი და დამფუძნებელი გიორგი გოგუა	M	პოლიციელებმა წიხლები ურტყეს.
31	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „ექსპრესნიუსი“	**ჟურნალისტი ირაკლი მანაგაძე**	M	სპეცრაზმელმა წიხლი ჩაარტყა.
32	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „ნეტგაზეთი“	ჟურნალისტი გივი ავალიანი	M	სამართალდამცავებმა წიწაკის სპრეი შეასხეს, რის შედეგადაც დაშავდა.
33	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „JAMnews“	ფოტორეპორტიორი იულია კალაბანო	F	ფოტოს გადაღებისას სახეში შეასხეს სპრეი, წააქციეს და წიხლი ჩაარტყეს.
34	28-29 ნოემბრის ღამე		ფოტოგრაფი ტბელ აბუსერიძე	M	დაშავდა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
35	28-29 ნოემბრის ღამე	ტv „Russia Today“	ჟურნალისტი დომინიკ რეიხერტი	M	დაშავდა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. დაზიანება თვალის არეში აქვს მიყენებული.
36	28-29 ნოემბრის ღამე	ტv „პირველი“	**ჟურნალისტი ლიზი ლასარეიშვილი**	F	ჟურნალისტისა და მისი ოპერატორის მიმართ გამოიყენეს დიდი ოდენობით ქიმიური ნივთიერება, რის გამოც, შეუძლოდ გახდნენ, განიცადეს ინტოქსიკაცია. გარდა ამისა, დაუზიანეს კამერა და მიკროფონი.
37	28-29 ნოემბრის ღამე	ონლაინმედიები „რადიო თავისუფლება“ და "Currentime.tv"	**ოპერატორი გიორგი ჭუმბურიძე**	M	ძალადობრივად მოქაჩეს შარვლის ქვედა ნაწილი, რის შედეგადაც, ის, დაახლოებით, ორი მეტრის სიმაღლიდან ჰორიზონტალურად დაეცა ქვემოთ მდგომ პოლიციელებზე.
38	28-29 ნოემბრის ღამე	ტv „ფორმულა“	**ჟურნალისტი ჯამლეთ ბაკურიძე**	M	აღჭურვილი იყო პირდაპირი ჩართვის აპარატითა და მიკროფონით, როდესაც ზურგში ჩაარტყეს და ყელში მოუჭირეს. დაუზიანეს კამერაც.

39	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ჟურნალისტი მარიამ გაფრინდაშვილი	F	სპეცრაზმის მიერ აქციის მონაწილეების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალის გამოყენებას დაპირისპირება მოჰყვა, რა დროსაც, დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის მყოფი მარიამ გაფრინდაშვილი ძირს დავარდა. ჟურნალისტმა მიიღო დაზიანება თავის არეში.
40	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „პირველი“	**ოპერატორი პაპუნა ხაჩიძე**	M	ოპერატორი ჟურნალისტ მარიამ გაფრინდაშვილთან ერთად იმყოფებოდა, როდესაც მასზეც იძალადეს.
41	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	**ჟურნალისტი გიორგი კვიჟინაძე**	M	სპეცრაზმმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.
42	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	უცნობი		ბათუმში მიმდინარე საპროტესტო აქციის გაშუქებისას გადამღებ ჯგუფს დაუზიანდა ტექნიკა.
43	29-30 ნოემბრის ღამე	უცნობი	ფოტოგრაფი	უცნობია	ტვ „ფორმულას“ ჟურნალისტმა პირდაპირი ეთერის დროს განაცხადა, რომ პოლიციამ ძალა გამოიყენა ფოტოგრაფის დასაკავებლად და იძულებით ჩასვა პოლიციის მანქანაში.
44	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ჟურნალისტი ნუცა ბახუტაშვილი	F	პოლიციელები გაეკიდნენ ჟურნალისტებს. ერთ-ერთი იყო ნუცა ბუხუტაშვილი, რომელსაც სამართალდამცავმა ზურგში ჩაარტყა.
45	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ოპერატორი ირაკლი ბართავა	M	ოპერატორი ჟურნალისტ ნუცა ბახუტაშვილთან ერთად იყო, როდესაც სამართალდამცავები გაეკიდნენ.
46	29-30 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	ჟურნალისტი დათო ქორიძე	M	ჟურნალისტზე ფიზიკურად იძალადეს.
47	29-30 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „რეალპოლიტიკი“	ჟურნალისტი აკა ზარქუა	M	რამდენიმე სპეცრაზმელმა მოიმწყვდია ჟურნალისტი, რომელსაც ეკეთა პრესის საიდენტიფიკაციო ნიშანი, თუმცა სამართალდამცავებმა მასზე უმოწყალოდ იძალადეს.
48	29-30 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ანა მსხალაძე	F	პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს დაარტყეს და ტელეფონი წაართვეს.
49	29-30 ნოემბრის ღამე		**ფოტოგრაფი გიორგი გამგებელი**	M	პოლიციელები ფოტოგრაფს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ის სახისა და ფეხის არეში დაზიანებებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას

					წაართვეს და დაუმტვრიეს აპარატურა, რომლითაც მუშაობდა.
50	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ფოტორეპორტიორი მირიან მელაძე	M	პროფესიული ვალდებულების შესრულებისას მინდია მელაძემ დაიზიანა ფეხი. მას ჯერ წყლის ჭავლის მანქანიდან წყალი შეასხეს, შემდეგ კი ესროლეს. ექიმის განმარტებით, მირიანის დაზიანება ჰგავს რეზინის ტყვიით მიღებულს. იქვე მყოფი თვითმხილველის, ფოტორეპორტიორ ვანო გორგიშვილის თქმით, მირიანს 4 ტყვია მოხვდა.
51	29-30 ნოემბრის ღამე	ონლაინმედია „ინტერპრესნიუსი“	ფოტორეპორტიორი ვანო გორგიშვილი	M	2-3 საათზე „მარიოტთან“ შეკრებილი მედიის წარმომადგენლების მიმართ წყლის ჭავლი გამოიყენეს. რამდენიმე ადამიანმა გასწრება სცადა, რის შემდეგაც მათ რეზინის ტყვიები ესროლეს. 1 რეზინის ტყვია მოხვდა ვანო გორგიშვილს.
52	29-30 ნოემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	**ჟურნალისტი პავლე ხაჩიძე**	M	სპეცრაზმის თანამშრომლებმა შეუზღუდეს გადაადგილების საშუალება, ასევე, წყლის ჭავლის გამოყენების შედეგად, დაუზიანდა კამერა.
53	30 ნოემბრის -1 დეკემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი გიორგი შეწირული	M	დაშავდა აქციის გაშუქებისას, გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში ფეხის დაზიანებით.
54	30 ნოემბრის -1 დეკემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ოპერატორი	M	ქიმიური ნივთიერების შედეგად, ტვ „ფორმულას“ ოპერატორი შეუძლოდ გახდა და დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
55	30 ნოემბრის -1 დეკემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ფოტორეპორტიორი ირაკლი გედენიძე	M	პიროტექნიკა მოხვდა ფეხის არეში. ფოტორეპორტიორს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ადგილზევე აღმოუჩინა დახმარება.
56	30 ნოემბრის -1 დეკემბრის ღამე	ტვ „პოსტვ“	ჟურნალისტი გურანდა ბილიხოძე	F	ჟურნალისტი დაშავდა სპეცრაზმის მიერ გასროლილი ქიმიური ნივთიერების შედეგად.
57	30 ნოემბრის -1 დეკემბრის ღამე	ონლაინმედია „On.ge“	ფოტოგრაფი ნიკოლოზ თაბუკაშვილი	M	პროფესიული ვალდებულების შესრულებისას ადმინისტრაციული წესით დააკავეს.
58	1-2 დეკემბრის ღამე	ტვ „რუსთავი 2“	ოპერატორი გიორგი ნერგაძე	M	პარლამენტის მიმდებარედ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების გამო, ის შეუძლოდ გახდა და დასჭირდა სამედიცინო დახმარება.

59	1-2 დეკემბრის ღამე	ტვ „რუსთავი 2“	ჟურნალისტი თამთა ჩიტიშვილი	F	საპროტესტო აქციის დროს დაშავდა და სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. დასჭირდა ქირურგიული ჩარევა.
60	1-2 დეკემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი ნიკო კოკაია	M	გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების გამო, დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
61	1-2 დეკემბრის ღამე	ტვ „პირველი“	ჟურნალისტი მარიამ მაკასარაშვილი	F	ბესიკის ქუჩაზე სპეცრაზმის გადაღების გამო, სპეცრაზმელები დაედევნნენ ჟურნალისტ მარიამ მაკასარაშვილს და მის ოპერატორ ნიკო კოკაიას. ჟურნალისტები ბესიკის ქუჩაზე მდებარე ბიზნესცენტრში შევიდნენ, რომლის კართანაც სპეცრაზმმა ქიმიური ნივთიერება გამოიყენა. შედეგად, იქ მყოფ პირებს დასჭირდათ სამედიცინო დახმარება.
62	1-2 დეკემბრის ღამე	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ნათია ამირანაშვილი	F	პოლიცია ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს ფიზიკურად გაუსწორდა, ის მეტრო „რუსთაველთან“ აქციის მონაწილეების დაკავებას იღებდა. ჟურნალისტი კედელზე მიანარცხეს და ტელეფონი გააგდებინეს.
63	1-2 დეკემბრის ღამე	ონლაინმედია „მაუწყებელი“	**ჟურნალისტი გიორგი ჩაგელიშვილი**	M	ჟურნალისტი რუსთაველის მეტროში მოქალაქეების დარბევის დროს დააკავეს.
64	1-2 დეკემბრის ღამე	ონლაინმედია „OC Media“	ჟურნალისტი და თანადამფუძნებელი მარიამ ნიკურაძე	F	მარიამ ნიკურაძეს ცრემლსადენი გაზის კვამლში აკავებდნენ. როდესაც თქვა, რომ ჟურნალისტი იყო, ხელი გაუშვეს და კამერიანად კედელს მიახეთქეს. კამერის ეკრანი დაზიანდა.
65	1-2 დეკემბრის ღამე	ონლაინმედია „აპრილი“	ჟურნალისტი გიორგი ბასხაჯაური	M	ჟურნალისტი ჭავჭავაძის გამზირზე აქციის მონაწილეების დაკავებას იღებდა, როცა ერთ-ერთ ჩიხში მას მუშაობაში ხელი შეუშალეს, ტელეფონის ჩამორთმევა სცადეს და დაედევნნენ.
66	1-2 დეკემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	**ჟურნალისტი სალომე ბოკუჩავა**	F	პოლიციელებმა ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის შესრულებაში.
67	2-3 დეკემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ჟურნალისტი თეო ხუბულავა	F	დაშავდა რუსთაველის გამზირზე საპოლიციო ღონისძიებების დროს, სამართალდამცველების მიერ გაზის კაფსულის გამოყენების შედეგად.

68	2-3 დეკემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ოპერატორი ლევან ქართველიშვილი	M	დაშავდა რუსთაველის გამზირზე საპოლიციო ღონისძიებების დროს, სამართალდამცველების მიერ გაზის კაფსულის გამოყენების შედეგად.
69	2-3 დეკემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ოპერატორი ბადრი გამრეკელაშვილი	M	დაშავდა რუსთაველის გამზირზე საპოლიციო ღონისძიებების დროს, სამართალდამცველების მიერ გაზის კაფსულის გამოყენების შედეგად.
70	2-3 დეკემბრის ღამე	ჟურნალისტური საგამოძიებო პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	ჟურნალისტი ნინო რამიშვილი	F	სპეცრაზმის თანამშრომლებმა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ტელეფონი წაართვეს.
71	2-3 დეკემბრის ღამე	ტვ „მთავარი არხი“	ოპერატორი გივი მჭედლიშვილი	M	პირდაპირი ჩართვისას ოპერატორი შეუძლოდ გახდა და სამედიცინო დახმარება დასჭირდა.
72	3-4 დეკემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ოპერატორი თედო ქვაჩახია	M	ოპერატორი დაშავდა ქიმიური ნივთიერებების შედეგად. მან დაზიანებები მიიღო თავის არეში და დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
73	3-4 დეკემბრის ღამე	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ოპერატორი ბესო გაფრინდაშვილი	M	ოპერატორს უცნობმა პირებმა ესროლეს პიროტექნიკა. მას დასჭირდა სამედიცინო დახმარება.
74	3-4 დეკემბრის ღამე	ტვ „ფორმულა“	ჟურნალისტი სალომე ბოკუჩავა	F	მოქალაქეების დაკავების კადრების გადაღებისას პოლიციელმა ჟურნალისტს ხელი ჰკრა.
75	6 დეკემბერი	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი მინდია გაბაძე	M	აქციის გაშუქების დროს ჟურნალისტს ე.წ. „ტიტუშკები“ დაესხნენ თავს და მასზე ფიზიკურად იძალადეს.
76	6 დეკემბერი	ონლაინმედია „პუბლიკა“	**ნათია ამირანაშვილი**	F	სცადეს, ჟურნალისტისთვის წაერთმიათ ტელეფონი, შემდეგ კი ტერიტორიის დატოვება და დაკავების კადრების გადაღებისგან თავის შეკავება მოსთხოვეს.
77	7 დეკემბერი	ონლაინმედია „პალიტრანიუსი“	**ჟურნალისტი მარიამ მაზიაშვილი**	F	სამართალდამცავებმა ხელში დაარტყეს და კამერა დაუმტვრიეს.
78	7 დეკემბერი	ტვ „პირველი“	ჟურნალისტი მაკა ჩიხლაძე	F	პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ნიღბიანი პირები დაესხნენ თავს. თავდამსხმელებმა თავის არეში ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძეს და მის ოპერატორ გიორგი შეწირულს.
79	7 დეკემბერი	ტვ „პირველი“	ოპერატორი გიორგი შეწირული	M	პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ნიღბიანი პირები დაესხნენ თავს გიორგი შეწირულს და მაკა ჩიხლაძეს. თავდამსხმელებმა თავის არეში ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს

					გიორგი შეწირულს. ასევე, წაართვეს სამაუწყებლო აპარატურა.
80	7 დეკემბერი		მაკა ჯანაშია	F	ტვ „პირველის" თანამშრომლებზე ძალადობის გადაღებისას წაართვეს ტელეფონი და სცემეს.
81	7 დეკემბერი		ეკა ჯანაშია	F	ტვ „პირველის" თანამშრომლებზე ძალადობის გადაღებისას თმით ითრიეს და ტელეფონი წაართვეს.
82	13 დეკემბერი	ტვ „მეცხრე ტალღა"	ტვ „მეცხრე ტალღის" დირექტორი და საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსის თანათავმჯდომარე გერმანე სალია	M	ზუგდიდში საპროტესტო მსვლელობის გადაღების დროს, ავტომობილით გადაადგილების გამო, 1000 ლარით დააჯარიმეს.
83	24 დეკემბერი	ონლაინმედია „გირჩი ტვ"	ფოტოგრაფი გიორგი მოსიაშვილი	M	ქუჩაში უცნობი ნიღბიანი პირი დაესხა თავს და მიაძახა: *„ჰო და ახლა გადაიღე ხალხმრავალი ფოტოები აქციაზე".*
84	2025 წლის 3 იანვარი	საერთაშორისო მედიაკორპორაცია „ევრონიუსი"	ჟურნალისტი დავით კეკენაძე	M	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
85	2025 წლის 4 იანვარი	ტვ „მთავარი არხი"	ჟურნალისტი ალექსანდრე საჯაია	M	აქციის გაშუქების გამო, ედავებიან გზის გადაკეტვას.
86	2025 წლის 11 იანვარი	ონლაინმედიები „ბათუმელები" და „ნეტგაზეთი"	დამფუძნებელი და ჟურნალისტი მზია ამაღლობელი	F	თვითნებურად, ადმინისტრაციული წესით დააკავეს საპროტესტო სტიკერის გაკვრისას, შემდეგ გამოუშვეს, თუმცა კვლავ დააკავეს სისხლის სამართლის წესით პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით. ამასთანავე, დაუსაბუთებლად, აღკვეთის ღონისძიების სახით, შეუფარდეს პატიმრობა. დაკავებისას, ბათუმის პოლიციის მაღალჩინოსნის, ირაკლი დგებუაძის მხრიდან მზია იყო არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. პოლიციელმა ჟურნალისტს შეაგინა, შეაფურთხა, არ აძლევდა წყლის დალევის, სხვა პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებისა და ადვოკატებთან შეხვედრის შესაძლებლობას.
87	2025 წლის 12 იანვარი	ონლაინმედია „ბათუმელები"	ოპერატორი გურამ მურვანიძე	M	ოპერატორი ბათუმში პროფესიული ვალდებულების შესრულებისას დააკავეს. ამასთანავე, შეაღწიეს მის ტელეფონში და წაშალეს დაკავების კადრები.

88	2025 წლის 15 იანვარი		ჟურნალისტი ზვიად ქორიძე	M	ბათუმში, სასტუმროში, ჟურნალისტს ჯგუფურად თავს დაესხნენ „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრები, მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა.
89	2025 წლის 17 იანვარი	ონლაინმედია „ტაბულა“	ჟურნალისტი ნიკოლოზ ჭირაქაძე	M	ჟურნალისტი რუსთაველის გამზირზე ასრულებდა პროფესიულ მოვალეობას, ეკეთა პრესის ნიშანი და პირდაპირ ეთერში აშუქებდა საპროტესტო აქციას. პირდაპირ ეთერშივე მან პოლიციას თავი წარუდგინა, რომ იყო ჟურნალისტი, თუმცა მოგვიანებით ეცნობა, რომ გზის გადაკეტვის გამო სასამართლოში უნდა წარდგეს.
90	2025 წლის 17 იანვარი	ონლაინმედია „მთის ამბები“	რედაქტორი გელა მთივლიშვილი	M	გელა მთივლიშვილი რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციის გასაშუქებლად იმყოფებოდა. პოლიციამ ის აქციის სხვა მონაწილეებისგან გამოყო და აცნობა, რომ, გზის გადაკეტვის საფუძვლით, 5000 ლარით ჯარიმდებოდა.
91	2025 წლის 22 იანვარი	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	ჟურნალისტი ეკა ქევანიშვილი	F	ჟურნალისტი ოპერატორთან ერთად იღებდა ვიდეოს აქციის ერთ-ერთ მონაწილეზე. პროფესიული ვალდებულების შესრულების მიუხედავად, ჟურნალისტს ხელოვნურად გზის გადაკეტვას ედავებიან.
92	2025 წლის 26 იანვარი	ონლაინმედია „აპრილი“	ფოტორეპორტიორი ვახო ქარელი	M	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
93	2025 წლის 2 თებერვალი	ტვ „პირველი“	ოპერატორი ნიკო კოკაია	M	„თბილისი მოლთან” ძალადობრივი დაკავების გადაღებისას ოპერატორი ნიკო კოკაია ფიზიკურად დაშავდა, დაკარგა გონება, მიიღო ტვინის მძიმე შერყევა.
94	2025 წლის 2 თებერვალი	ტვ „მთავარი არხი“	ჟურნალისტი ნათია გოგსაძე	F	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
95	2025 წლის 4 თებერვალი	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ნათია ლევერაშვილი	F	პარლამენტთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელებმა ხელი დაარტყეს და თმაზე მოქაჩეს.
96	2025 წლის 4 თებერვალი	ონლაინმედია „On.ge“	მთავარი რედაქტორი ვანცენტ ხაბეიშვილი	M	თავს დაესხნენ პოლიციელები.
97	2025 წლის 4 თებერვალი	ტვ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	ჟურნალისტი, წამყვანი ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი	M	გადაცემიდან მოხსნეს წამყვანი ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი, რომელიც ღიად საუბრობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო

					პრობლემებზე, უცხადებდა სოლიდარობას მზია ამაღლობელს.
98	2025 წლის 14 თებერვალი	ონლაინმედია „პუბლიკა“	ჟურნალისტი ბასტი მგალობლიშვილი	M	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
99	2025 წლის 14 თებერვალი	ონლაინმედია „ტაბულა“	ჟურნალისტი ბექა ჯიქურაშვილი	M	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
100	2025 წლის 17 თებერვალი	ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	ჟურნალისტი ნინო წვერავა	F	აქციის მიმდინარეობისას ასრულებდა პროფესიულ მოვალეობას. ედავებიან „უკანონოდ გზის გადაკეტვას“.
101	2025 წლის 17 თებერვალი	ჟურნალისტური გამოძიების პლატფორმა „სტუდია მონიტორი“	ჟურნალისტი ნინო შუბითიძე	F	ჟურნალისტი პროფესიულ მოვალეობას ასრულებდა. მის მიერ გადაღებულ კადრებში ჩანს, რომ დგას ტროტუარზე - პოლიციელების წინ. ედავებიან გზის გადაკეტვას.
102	2025 წლის 17 თებერვალი	ონლაინმედია „რადიო თავისუფლება“	ჟურნალისტი გიორგი დიასამიძე	M	აქციის გაშუქების გამო, დააჯარიმეს გზის გადაკეტვისთვის.
103	2025 წლის 18 – 19 თებერვლის ღამე	ტვ „პირველი“	ოპერატორი ლაშა ჯიოშვილი	M	ოპერატორი სამოქალაქო ტანსაცმლიანმა უცნობმა ნიღბიანმა პირებმა დააკავეს და ძალით ჩასვეს მანქანაში. დაკავებისას ოპერატორი მიიმწყვდიეს კედელთან, თვითმხილველთა მიერ გადაღებულ კადრებში ისმის ოპერატორის ხმა: „რაღაცას მიდებენ ჯიბეში“. ოპერატორის გატაცებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში უცნობი იყო მისი ადგილსამყოფელი. მოგვიანებით, გაირკვა მისი დაკავების საფუძველი - პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.
104		ტვ „ფორმულა“	**ნოდარ ჯარმელიშვილი**	M	სპეცრაზმის თანამშრომლებმა შეუზღუდეს გადაადგილების საშუალება, ასევე, წყლის ჭავლის გამოყენების გამო, დაუზიანდა კამერა.
105		ტვ „ფორმულა“	**ჟურნალისტი თორნიკე შავშიშვილი**	M	სპეცრაზმის თანამშრომლებმა შეუზღუდეს გადაადგილების საშუალება, ასევე, წყლის ჭავლის გამოყენების გამო დაუზიანდა კამერა.
106		ტვ „მთავარი არხი“	**ჟურნალისტი ნინო მაჩაბელი**	F	სამართალდამცავები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ ჟურნალისტს. მას ხელის კვრით ხელი შეუშალეს, გაეშუქებინა დაკავების კადრები. ასევე, დარბევის დროს, 9 აპრილის ქუჩაზე წყლის ჭავლის მანქანის გამოყენებისას,

					ჟურნალისტს წყლის ძლიერმა ნაკადმა ხელიდან გააგდებინა მიკროფონი, რომელიც დაიკარგა.
107		ტვ „ფორმულა“	**ჟურნალისტი ნოდარ ჯარმელიშვილი**	M	სამართალდამცავები ხელს უშლიდნენ გადაღებაში, ძალის გამოყენებით და ყვირილით გაჰყავდათ ტერიტორიიდან, კამერაზე ხელის აფარებით ცდილობდნენ გადაღების შეზღუდვას. დაზიანდა ჟურნალისტის პროფესიული აღჭურვილობა.
108		ტვ „პირველი“	**ოპერატორი და ფოტოგრაფი გიორგი მოსიაშვილი**	M	მართალია, ოპერატორმა პოლიციას განუმარტა, რომ აქციაზე პროფესიული მოვალეობის შესრულების მიზნით იმყოფებოდა, ის, ავტომობილის სავალი გზის გადაკეტვის გამო, 5000 ლარით დააჯარიმეს.

3.2. ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა

დოკუმენტირებული შემთხვევებისა და ღია წყაროებით მოპოვებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის საპროტესტო აქციების გაშუქებისას ადგილი ჰქონდა ჟურნალისტების წინააღმდეგ შემდეგ სისტემურ დარღვევებს:

1. სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენება, რამაც გამოიწვია მედიის წარმომადგენელთა მასობრივი დაზიანება;
2. მიზანმიმართული ძალადობა, მათ შორის, ფიზიკური თავდასხმები, სიტყვიერი შეურაცხყოფები და აღჭურვილობის განადგურება, კონფისკაცია;
3. პროფესიულ საქმიანობაში სისტემური ხელშეშლა, მათ შორის, მედიის წარმომადგენლების გადაადგილების შეზღუდვა, უკანონო დაკავებები და გზის გადაკეტვის საფუძვლით ჯარიმების დაკისრება;
4. მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ საქმეების აღძვრა სასამართლოებში და სამართალწარმოების ინსტრუმენტალიზაცია.

3.2.1. სპეციალური საშუალებების არაპროპორციული გამოყენება და ჟურნალისტთა დაზიანების ზოგადი შემთხვევები

2024 წლის 28 ნოემბრიდან დაწყებული პროევროპული დემონსტრაციების დარბევისას სამართალდამცავების მიერ გამოყენებულმა სპეციალურმა საშუალებებმა - ცრემლსადენმა გაზმა, წყლის ჭავლმა და რეზინის ტყვიებმა - მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მედიის წარმომადგენლებს. დოკუმენტირებული ინციდენტები აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მედიის წარმომადგენლების ამოცნობა შესაძლებელი იყო, სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, ისინი მაინც დაზარალდნენ. ამგვარად, სამართალდამცავებმა გამოიჩინეს გულგრილობა და არ მიიღეს სათანადო ზომები ჟურნალისტების დაცვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, სპეციალური საშუალებების გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა ჟურნალისტების აღჭურვილობა, რის გამოც მათ ვერ შეძლეს პროფესიული მოვალეობის სრულფასოვნად შესრულება.

3.2.2. მიზანმიმართული ძალადობის შემთხვევები მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ

გამოვლინდა სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიზანმიმართული ძალადობის მძიმე შემთხვევები. დაზარალებული მედიის წარმომადგენლებიდან თითქმის ყველა აცხადებს, რომ ადვილად შეიძლებოდა მათი ამოცნობა, ვინაიდან ეცვათ პრესის ჟილეტები, ეკეთათ სამკერდე ნიშნები, ჰქონდათ კამერები და მიკროფონები. ჟურნალისტის სტატუსის მიუხედავად, მათ მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და მათ წინააღმდეგ გამოიყენეს ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები. მეტიც, პოლიციას ჰქონდა აგრესია ჟურნალისტების მიმართ და სწორედ მედია იქცა ძალადობის ერთ-ერთ მთავარ სამიზნედ.

ონლაინ მედია „პუბლიკას“ ჟურნალისტი ალექსანდრე ქეშელაშვილი ერთ-ერთი ჟურნალისტია, რომელიც სამართალდამცავებმა სასტიკად სცემეს 2024 წლის 28-29 ნოემბერს.[206] ის ამბობს, რომ სწორედ ჟურნალისტის სტატუსის გამო გახდა საპოლიციო ძალების აგრესიის მსხვერპლი: *„თავიდანვე ვამბობდი, რომ ჟურნალისტი ვარ-მეთქი. რას აკეთებთ, შეცდომაა, მე არაფერ შუაში ვარ-მეთქი. იქვე გავიგე, რომ როგორც ჟურნალისტს, შემაგინეს, ჟურნალისტი რომ ხარ, მაგიტომაც, შენი....“*

ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტი გურამ როგავაც, 2024 წლის 28-29 ნოემბერს, სამართალდამცავთა ძალადობის ერთ-ერთი მსხვერპლი აღმოჩნდა. კადრებში ჩანს, თუ როგორ ესხმის თავს ნიღბიანი სპეცრაზმელი მიკროფონიან ჟურნალისტს, თავში არტყამს, ასისხლიანებს და ძირს აგდებს. საავადმყოფოში გადაყვანილ ჟურნალისტს სახის ძვლებისა და კისრის მალის მოტეხილობა დაუდგინდა.[207]

2024 წლის 29-30 ნოემბრის ღამეს რუსთაველის გამზირზე ჯგუფურად განლაგებულ **მედიის წარმომადგენლებს ჯერ წყლის ჭავლი მიუშვირეს, ხოლო გაქცევის მცდელობისას რეზინის ტყვიები ესროლეს**. შედეგად, დაზარალდნენ საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოტოგრაფი მირიან მელაძე, რომელსაც 4 ტყვია მოხვდა, და „ინტერპრესნიუსის“ ფოტოგრაფი ვანო გორგიშვილი.[208]

გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც სპეციალური საშუალებები მიზანმიმართულად შეასხეს სახეში ჟურნალისტებსა და ოპერატორებს. ქიმიური ნივთიერებებით გაჯერებულმა სპეციალურმა საშუალებებმა ძლიერი წვა და ტკივილი გამოიწვიეს, რის გამოც, ჟურნალისტები ვეღარ ახერხებდნენ პროფესიული საქმიანობის შესრულებას.

2024 წლის 1-2 დეკემბრის ღამეს **სამართალდამცავები დაედევნნენ მედიის წარმომადგენლებს**, თუმცა მათ თავი ერთ-ერთ ბიზნესცენტრს შეაფარეს.[209] მოგვიანებით **ბიზნესცენტრის შესასვლელთან გაუშვეს ქიმიური ნივთიერება**, შედეგად შენობაში მყოფი პირები, მათ შორის, ჟურნალისტები, შეუძლოდ გახდნენ და სამედიცინო დახმარება დასჭირდათ. ამ ვითარების პარალელურად, სპეცრაზმელები ღიად **ემუქრებოდნენ „ტვ პირველის“ ოპერატორს, ნიკო კოკაიას, არ გადაეღო კადრები**.[210]

იმის გათვალისწინებით, რომ ჟურნალისტების ამოცნობა მარტივად შეიძლებოდა და ისინი სწორედ პროფესიული საქმიანობის გამო დაექვემდებარნენ ძალადობას, ასევე, დაზარალებული ჟურნალისტების რაოდენობაც ცხადყოფს, რომ მედია, როგორც ფაქტების გადამღები და გამავრცელებელი, სამართალდამცავთა აგრესიის მთავარი სამიზნე იყო.

3.2.3. თავდასხმა და საკუთრების ჩამორთმევა ან დაზიანება

2024 წლის 28 ნოემბერს დაწყებული პროევროპული შეკრება-მანიფესტაციების დროს ჟურნალისტებზე ხშირი თავდასხმები მიზნად ისახავდა მათი საქმიანობის ხელშეშლას. ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ერთ-ერთი გამოვლინებაა აღჭურვილობის დაზიანება ან/და განადგურება. დოკუმენტირებული შემთხვევების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ჟურნალისტების უმრავლესობამ ან საერთოდ ვერ შეძლო სასურველი მასალის მომზადება, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლო მოემზადებინა ჟურნალისტური პროდუქტი. ჟურნალისტებმა საქმიანობის დროს დაკარგეს ან დაუზიანდათ არა მხოლოდ პროფესიული აღჭურვილობა, არამედ ჩაფხუტი, აირწინაღი და უსაფრთხოების სხვა საშუალებები, მობილური ტელეფონები და სხვა ინვენტარი, რომელიც პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის სჭირდებოდათ. ცალკეული ჟურნალისტისთვის ან მედიაორგანიზაციისთვის მიყენებული ზიანი ათასობით ლარს შეადგენს.

თავდასხმები და საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევები სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლების მიმართ სისტემურ და მიზანმიმართულ ძალადობაზე მიუთითებს. სამართალდამცავები აქტიურად იყენებდნენ ტექნიკის წართმევას, დაზიანებას და განადგურებას, როგორც მედიის კონტროლის მექანიზმს, რითაც არსებითად შეზღუდეს საზოგადოების უფლება, მიეღო ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ.

---

[206] „რადიო თავისუფლება“, „ვუმეორებდი, ჟურნალისტი ვარ-მეთქი, მაგრამ ამან პირიქით იმოქმედა - ნაცემი ჟურნალისტი“, 29.11.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98/33220001.html [11.02.2025].

[207] „რადიო თავისუფლება“, „ფორმულის" ჟურნალისტს, გურამ როგავას სპეცრაზმელმა სცემა“, 29.11.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33219996.html [11.02.2025].

[208] „ნეტგაზეთი“, აქციაზე დაშავებულ ფოტოგრაფებს, სავარაუდოდ, რეზინის ტყვიები მოხვდათ, 02.12.2024; იხ. https://netgazeti.ge/news/754360/ [11.02.2025].

[209] „ტვ პირველი“, ბესიკის ქუჩიდან სპეცრაზმმა მოქალაქეებზე ნადირობა დაიწყო, 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?mibextid=WC7FNe&v=903973141863953&rdid=zdJAy2fWWXQY1eXU [11.02.2025].

[210] „ტვ პირველი“, „ბიზნესცენტრთან, სადაც მოქალაქეები თავს აფარებდნენ, მხუთავი აირი გაუშვეს - აქციის მონაწილეები დახმარებას ითხოვენ“, 02.12.2024; იხ. https://tvpirveli.ge/ka/siaxleebi/sazogadoeba/87654-biznestsentrtan-sadats-moqalaqeebi-tavs-aparebdnen-mkhutavi-airi-gaushves-aqtsiis [11.02.2025].

3.2.4. გადაადგილებისა და თავისუფლად გაშუქების შეზღუდვის შემთხვევები

სამართალდამცავთა მხრიდან მედიის წარმომადგენლების მიმართ გამოვლენილი შეზღუდვები მოიცავდა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, მიუხედავად მათი ცხადი პროფესიული იდენტიფიკაციისა. ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, რომ მათ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით ეშლებოდათ ხელი გადაადგილებასა და მასალის მომზადებაში. ხელშეშლა ხშირად ხორციელდებოდა ფიზიკური ძალის ზემოქმედებით ან ვერბალური შეურაცხყოფის თანხლებით. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან დაწესებული ბარიერები არსებითად აფერხებდა ჟურნალისტების შესაძლებლობას, სრულფასოვნად შეესრულებინათ თავიანთი პროფესიული მოვალეობები.

ზემოაღნიშნული ინციდენტების სიმრავლე ჟურნალისტებისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის ორგანიზებულ პრაქტიკაზე მეტყველებს. ჟურნალისტებს სამართალდამცავებმა შეუზღუდეს გადაადგილებისა და გადაღების შესაძლებლობა პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ისინი, სრულფასოვნად მოემზადებინათ მასალა და მიეწოდებინათ საზოგადოებისთვის ინფორმაცია მიმდინარე მოვლენების შესახებ.

3.2.5. ჟურნალისტების დაკავება და დევნა

ჟურნალისტების დაკავებისა და დევნის შემთხვევები, 2024 წლის 28 ნოემბრიდან განვითარებული მოვლენების ფონზე, მზარდ საფრთხედ გვესახება. თვალსაჩინოა მედიის წარმომადგენელთა წინააღმდეგ მიმართული სისტემური ხასიათის დარღვევები, რომლებიც მოიცავს უკანონო დაკავებებს, როგორც მშვიდობიანი მანიფესტაციების დროს, ისე მათ სისტემურ დევნას შეკრების თავისუფლებით სარგებლობის გამო. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამ ქმედებებს მიმართავენ მაშინაც კი, როდესაც ჟურნალისტები აშკარად უთითებენ საკუთარ პროფესიულ სტატუსზე.

2024 წლის 1-2 დეკემბრის ღამეს **ონლაინ მედია „მაუწყებლის“ ჟურნალისტი გიორგი ჩაგელიშვილი** რუსთაველის მეტროში მოქალაქეების დარბევის დროს დააკავეს.[211] მიუხედავად იმისა, რომ მან პოლიციას აცნობა, რომ ჟურნალისტი იყო, სამართალდამცავებმა ჩანთა მაინც გაუჩხრიკეს.[212]

2025 წლის 12 იანვარს, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, ბათუმის პოლიციის უფროსის, ირაკლი დგებუაძის პირდაპირი მითითებით, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას არა მხოლოდ უკანონოდ დააკავეს „**ბათუმელების“ ოპერატორი გურამ მურვანიძე**, არამედ მიზანმიმართულად ხელყვეს მისი პერსონალური მონაცემები და გაანადგურეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი მტკიცებულებები. სამართალდამცავებმა, მიუხედავად ჟურნალისტის მკაფიო იდენტიფიკაციისა, არა მხოლოდ უგულებელყვეს მისი პროფესიული სტატუსი, არამედ დაკავების შემდგომ უკანონოდ შეაღწიეს მის მობილურ ტელეფონში და გაანადგურეს მნიშვნელოვანი მასალა, მათ შორის, თავად დაკავების პროცესის ამსახველი კადრები.[213]

გამოვლინდა 14 შემთხვევა, როდესაც აქციებზე პროფესიული მოვალეობის შესრულების გამო ჟურნალისტების მიმართ გზის გადაკეტვის ბრალდებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოება დაიწყო.

მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალწარმოება გამოიყენება მათი პროფესიული საქმიანობის შეზღუდვის ინსტრუმენტად. ეს პრაქტიკა არღვევს არა მხოლოდ მედიის თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს, არამედ საფრთხეს უქმნის დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს - თავისუფალი მედიის არსებობას. ჟურნალისტების დაკავებისა და დევნის პრაქტიკებმა, შესაძლოა, მსუსხავი ეფექტი გამოიწვიოს, რაც საქმიანობაზე უარის თქმაში შეიძლება გამოიხატოს.

3.2.6. სხვა რეპრესიები მედიის წინააღმდეგ

რეპრესიის კიდევ ერთი გამოხატულებაა „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსების მიერ საჯაროდ და ღიად ჩადენილი ძალადობა. 2025 წლის 15 იანვარს, ბათუმში, სასტუმრო „შერატონში“ პარტია „ქართული ოცნების“ წევრები (დიმიტრი სამხარაძე და გიორგი მანველიძე) ჯგუფურად თავს დაესხნენ, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს **ჟურნალისტსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ თანამშრომელს, ზვიად ქორიძეს.[214]**

---

[211] „პუბლიკა“, „მეტროში დარბევის დროს „მაუწყებლის" ჟურნალისტი, გიორგი ჩაგელიშვილი დაიჭირეს“, 02.12.2024; იხ. https://publika.ge/mauwyebeli-metroshdarbevis-dros-daichires-chveni-djurnalisti-giorgi-chagelishvili/ [11.02.2025].

[212] „მაუწყებელი“, 02.12.2024; იხ. https://www.instagram.com/mautskebeli.ge/reel/DDD_KA3hnlg/ [11.02.2025].

[213] „ბათუმელები“, „ბათუმელების“ ოპერატორს მობილურიდან ყველა მასალა წაუშალეს დაკავების შემდეგ, 23.01.2024; იხ. https://batumelebi.netgazeti.ge/news/559654/ [11.02.2025].

[214] საია, „საია მოუწოდებს საქართველოს პროკურატურას, ეფექტიანი საპროცესო ზედამხედველობის ფარგლებში, დროულად განახორციელოს გიორგი გახარიას და ზვიად ქორიძის მიმართ დანაშაულის ჩამდენ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა“, 15.01.2025; იხ. https://gyla.ge/post/saias-ganckhadeba-batumshi-tavdaskhmaze [11.02.2025].

რეპრესიების მსხვერპლი გახდა **ჟურნალისტი ვასილ ივანოვ-ჩიქოვანი,** რომელიც გაათავისუფლეს საზოგადოებრივი მაუწყებლის „მოამბის“ წამყვანის პოზიციიდან. მის მიმართ გატარებული ზომები, მისი, როგორც ჟურნალისტის, საეთერო დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებაა, რადგან მის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯები პირდაპირ უკავშირდება მის საჯარო პოზიციონირებას, მათ შორის, სოლიდარობის გამოცხადებას უკანონო პატიმრობაში მყოფი, „ბათუმელებისა“ და „ნეტგაზეთის“ დამფუძნებელ მზია ამაღლობელისთვის, ასევე, საჯაროდ საუბარს საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებზე, მათ შორის, ეთერის საზოგადოებისთვის გახსნის საკითხებზე.[215]

3.2.7. მედიის წარმომადგენლებზე მიზანმიმართული ძალადობის ფაქტები არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან

2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ განსაკუთრებით შემაშფოთებელი გახდა ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტები არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან. ეს თავდასხმები მედიის წარმომადგენლების მიზანმიმართულ დევნაზე მეტყველებს. არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან ჟურნალისტებზე ძალადობის ბოლო ტალღა საქართველოში ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებსა და პოლიტიკურ გარემოს უკავშირდება. ერთ-ერთი ყველაზე შემაშფოთებელი კადრები სწორედ არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმებს ასახავს.

2024 წლის 6 დეკემბერს, **„პუბლიკას” ჟურნალისტ მინდია გაბაძეს,** ეროვნულ გალერეასთან საპროტესტო აქციის გაშუქების დროს, ე.წ. „ტიტუშკები“ დაესხნენ თავს და მასზე ფიზიკურად იძალადეს. სამართალდამცველები შემთხვევის ადგილთან ძალიან ახლოს იდგნენ, მაგრამ მათ ამ ფაქტზე არანაირი რეაგირება არ ჰქონიათ.[216]

2024 წლის 7 დეკემბერს, „**TV პირველის“ გადამღებ ჯგუფს** პირდაპირ ეთერში ჩართვის დროს ნიღბიანი პირები დაესხნენ თავს. თავდამსხმელებმა თავის არეში ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს **ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძესა და ოპერატორ გიორგი შეწირულს,** წაართვეს სამაუწყებლო აპარატურაც. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ანგარიშსწორების დროს შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო პოლიცია, მაგრამ მათ რეაგირება არ მოუხდენიათ, რაც კადრებითაც დასტურდება.[217]

2024 წლის 7 დეკემბერს დაჯგუფების წევრები ასევე ფიზიკურად გაუსწორდნენ და მობილურები წაართვეს მაკა და ეკა ჯანაშიებს, რომლებიც „ტვ პირველის“ ჟურნალისტებზე ძალადობის კადრებს ტელეფონით იღებდნენ.[218] მეტიც, ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ იმავე სადამსჯელო ჯგუფმა ორგანიზებულად იძალადა ერთ-ერთი პარტიის წევრზეც.[219] არც ამ ფაქტს მოჰყოლია პოლიციის რეაგირება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულია სამი კრიტერიუმი, რომლებიც საკმარისია ე.წ. ტიტუშკებსა და სახელმწიფოს შორის კავშირის დასამტკიცებლად. კერძოდ, ხელისუფლება მოქმედებს არაფორმალურ დაჯგუფებებთან ერთად, როცა:

- **არაფორმალური დაჯგუფება იღებს მხარდაჭერას სამართალდამცავებისგან;**
- **ხელისუფლების წარმომადგენლები სისტემურად ვერ ან არ ახერხებენ არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან ჩადენილი ძალადობის პრევენციას;**
- **სამართალდამცავი სტრუქტურების უმოქმედობა იკვეთება გამოძიების მიზნებისთვის.**[220]

ჯერ კიდევ 2024 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტისა და „ქართული ოცნების“ წევრმა დიმიტრი სამხარაძემ სოციალურ ქსელში არაიდენტიფიცირებადი პირების ვიდეო გააზიარა, რომელშიც გაშუქებული იყო კრიტიკული აზრის მქონე ორგანიზაციების ოფისებზე ვანდალიზმი. ეს ფაქტი სახელმწიფოსა და „ტიტუშკებს“ შორის არსებულ კავშირს ადასტურებს.[221]

მედიის წარმომადგენლებზე მიზანმიმართული ძალადობის ფაქტებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საპატრულო ეკიპაჟმა არათუ მოგვიანებით არ გამოიძია არაფორმალური დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაული, არამედ იმ მომენტშიც კი არ ცდილა ძალადობის შემთხვევების თავიდან არიდებას და შემთხვევის ადგილზე

---

[215] საია, „საია სოლიდარობას უცხადებს ჟურნალისტ ვასილ ივანოვ-ჩიქოვანს და მიიჩნევს, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ მას საჯარო პოზიციების გამო დევნის“, 05.12.2025; იხ. https://gyla.ge/post/saia-solidarobas-ucxadebs-vasil-ivanov-chikovans [11.02.2025].

[216] იქვე.

[217] „ტვ პირველი“, „შაბათის ეთერის" ჟურნალისტს, მაკა ჩიხლაძეს ტიტუშკები თავს დაესხნენ - მძიმედ დაშავდა ოპერატორი“, 07.12.2024; იხ. https,//tvpirveli.ge/ka/siaxleebi/politika/88430-shaabatis-eteris-jurnalists-maka-chikhladzes-titushkebi-tavs-daeskhnen-mdzimed?fbclid=IwY2xjawHBdoFleHRuA2FlbQIxMAABHXxEVVZ9iVWgPKUCZ9O88zGBEi2FdyK6CvfHDrfvx8wYzr2xIRnBu16wdQ_aem_MmVOlBeyY5dJXnk-gDQkhw [11.02.2025].

[218] საია, „არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის მქონე პირების ხელშეწყობით / მათი თანხმობით მოქმედებენ“, 08.12.2024; იხ. https://www.gyla.ge/results/8473 [11.02.2025].

[219] იქვე.

[220] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, hmorgunov and Others v. Ukraine, პარ. 92,93.

[221] „ნეტგაზეთი“, „დეპუტატი სამხარაძე აღიარებს, რომ შეურაცხმყოფელი წარწერების ორგანიზატორია“, 31.05.2024; იხ. https,//netgazeti.ge/life/724973/ [11.02.2025]. ასევე, დეპუტატი დიმიტრი სამხარაძის მიერ სოციალურ ქსელში ატვირთული ვიდეო, 31.05.2025; იხ. https,//www.facebook.com/watch/?v=423357193946251 [11.02.2025].

ყოფნისას გამოიჩინა სრული ინდიფერენტულობა. არსებობს ამის დამადასტურებელი არაერთი კადრიც.[222] ეს მტკიცებულებები ადასტურებს, რომ არაფორმალური დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის პირების ხელშეწყობით, მათი სავარაუდო თანხმობით მოქმედებდნენ აქციის მონაწილეებისა და მედიის წარმომადგენლების დასაშინებლად.

სამართლებრივი რეაგირებისა და გამოძიების ნაწილშიც, უკვე ტენდენციად იქცა, რომ მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე მკაცრი რეაგირების ნაცვლად, „ქართული ოცნების" ხელისუფლება ხელს უწყობს ასეთი დანაშაულების წახალისებასა და დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებას. მაგალითად, 2024 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ვადაზე ადრე დატოვეს საპატიმრო მსჯავრდადებულებმა, რომლებიც 5 ივლისის საქმეზე, მედიის წარმომადგენლებზე ფიზიკური ძალადობისთვის იხდიდნენ სასჯელს.[223] ამ საქმეზე გამოძიება არაეფექტიანი, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებები დაუსაბუთებელი იყო. უფრო კონკრეტულად, საგამოძიებო უწყებებმა მიზანმიმართულად უგულებელყვეს საქმეში ორგანიზატორთა პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო სასამართლომ მსჯავრდადებულთათვის სასჯელის შემცირებით, კიდევ უფრო გააძლიერა დაუსჯელობის სინდრომი მედიის წარმომადგენლებზე სიძულვილის ჯგუფების მიერ ჩადენილი ძალადობის სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით.[224] ამან მოძალადეები კიდევ უფრო მეტად წაახალისა, რამაც უკვე 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგაც იჩინა თავი.[225]

ამგვარად, სახელმწიფო ინსტიტუტები არაფორმალურ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ალიანსში მოქმედებენ. სქემაში მონაწილეობენ, ერთი მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუტები, ხოლო, მეორე მხრივ, თანამდებობის პირების წახალისებული არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები. მათი ერთობლივი მიზანია პროტესტის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე ძალადობა დაშინების მოტივით.[226]

4. თავისუფლების და სამართლიანი სასამართლოს უფლება

4.1. ადმინისტრაციული მართლმსაჯულება

4.1.1. ადმინისტრაციული დაკავება, როგორც პროტესტის დაშლისა და მონაწილეთა დასჯის მექანიზმი

2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ცხელ ხაზზე 1 084 პირის შესახებ შემოვიდა ინფორმაცია, ვის მიმართაც დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება სხვადასხვა საფუძვლით. იმ პირებიდან, რომლებსაც ქსელის ადვოკატები ეხმარებიან, 486 პირი იყო ადმინისტრაციული წესით დაკავებული..[227] „ქართული ოცნების" პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, პროტესტის კონტროლის ერთ-ერთ იარაღად გამოიყენოს თავისუფლების აღკვეთის ან მაღალი ჯარიმის მუქარა, ხელს უწყობს 1984 წელს, საბჭოთა კავშირის დროს, მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების გარეშე ტოვებს ინდივიდებს, ხოლო, კოდექსის ძირეული რეფორმა, მიუხედავად არაერთი საერთაშორისო ინსტიტუტის (მათ შორის, გაეროს[228]) პირდაპირი რეკომენდაციისა, არასდროს მომხდარა.

---

[222] „მაუწყებელი", „ბიტა უჭირავს და აცილებს" - როგორ (არ) მოქმედებს პოლიცია ნიღბიანი ბანდების წინააღმდეგ", 08.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=9179346375429910 [11.02.2025].
„ფორმულა", „უყურებდი, 30 კაცი დუბინკით როგორ მცემდა მარტოს, უყურებდი" — გიორგი მახარაძის მიმართვა პოლიციელს; იხ. https://www.facebook.com/reel/500573012333067 [11.02.2025].

[223] „რადიო თავისუფლება", „დროზე ადრე გათავისუფლდნენ ლექსო ლაშქარავასა და მედიის სხვა წარმომადგენლებზე მოძალადე პირები", 16.11.2024; იხ. https,//www.radiotavisupleba.ge/a/33204548.html [11.02.2025].

[224] საია, „2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტებსა და ოპერატორებზე მოძალადე პირები ვადაზე ადრე გათავისუფლდნენ", 20.11.2024,; იხ. https,//gyla.ge/post/Gyla-5-ivlisis-saqme [11.02.2025].

[225] „საზოგადოებრივი მაუწყებელი", „აქცია ცესკოს თავმჯდომარის სახლთან", 16.11.2024; იხ. https://1tv.ge/video/aqcia-cesko-s-tavmjdomaris-sakhltan/ [11.02.2025].

[226] საია, „საქართველო, ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში", 2024, 9, იხ. https,//admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1 %83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83 %A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf [11.02.2025].

[227] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის საქმიანობის შედეგები, 19 ნოემბერი, 2024 – 28 თებერვალი, 2025", 18.03.2025; იხ. https://www.facebook.com/photo?fbid=1073257938179561&set=pcb.1073257994846222 [24.03.2025].

[228] CCPR, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, CCPR/C/GEO/CO/5, 2022, par 29-30: *"The Committee is concerned by the persisting protection gap in the Code of Administrative Offences, including insufficient safeguards guaranteed to administrative detainees, the lack of clarity about the standards of proof, which often results in the burden of proof being borne by detainees, and the absence of the meaningful right to appeal detention decisions. It is also concerned by information received that administrative detainees are, in practice, not always afforded fundamental legal safeguards, including the right to promptly access legal counsel and to be brought before the judge in a timely manner, thereby putting them at a higher risk of ill-treatment, both at the time of arrest and during detention (arts. 9–10 and 14). 30. Recalling its previous recommendation, the Committee calls upon the State party to expedite its legislative process to bring the Code of Administrative Offences into line with articles 9, 10 and 14 of the Covenant, in particular with regard to the above-mentioned shortcomings, with a view to ensuring fair and impartial proceedings. The State party should further ensure, in law and in practice, that administrative detainees are guaranteed fundamental legal safeguards from the very outset of the deprivation of their liberty, including the rights to have*

2024 წლის ნოემბერში დაწყებული პროევროპული გამოსვლების დროს, მოქალაქეთა დაკავებას მასობრივად თვითნებური ხასიათი ჰქონდა. დაკავებები, უმეტეს შემთხვევაში, გამოხატვის უფლებით სარგებლობის ხელშეშლისა და პროტესტში მონაწილეობის გამო დასჯის მიზანს ემსახურებოდა. სამართალდამცავთა მხრიდან მანიფესტანტების დაკავებამ მასშტაბური სახე ჯერ კიდევ ნოემბრის შუა რიცხვებში მიიღო, როდესაც მოქალაქეები არჩევნებთან დაკავშირებული პროტესტის ფარგლებში მელიქიშვილის გამზირსა და ვარაზის ხევის მიმდებარე ტერიტორიაზე მშვიდობიან აქციებში მონაწილეობდნენ. 2024 წლის 19 ნოემბრის გამთენიისას, როდესაც პოლიციამ ლეგიტიმური მიზნის გარეშე და ძალის გადამეტებით დაშალა აქცია, გამოიკვეთა დემონსტრანტებთან ფიზიკური ანგარიშსწორების შემთხვევები. სამართალდამცავებმა ჯამში 16 მოქალაქე დააკავეს. აქციის მონაწილეები თვითნებურ დაკავებაზე უთითებდნენ, ხოლო მათი ნაწილი ასევე აღწერდა მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს.[229]

2024 წლის 28 ნოემბერს, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადების პასუხად, უწყვეტი პროტესტის დაწყების შემდგომ, მოქალაქეთა დაკავებებმა სისტემური სახე შეიძინა. საპროტესტო აქციების დაწყებიდან, პირველ 72 საათში აქციების 200-მდე მონაწილე დააკავეს.[230] მშვიდობიანი შეკრების არაპროპორციული და არალეგიტიმური ძალის გამოყენებით დარბევის კადრები და დაკავებულ პირთა ვრცელი ჩვენებები ცხადყოფს, რომ მოქალაქეთა დაკავება დემონსტრანტების შეკრების თავისუფლების ხელშეშლის მექანიზმი იყო და არ ემსახურებოდა სამართალდარღვევის აღკვეთის ან მასზე რეაგირების მიზანს, რაც დაკავებების ფორმალურ კანონიერებასაც კი ეჭვქვეშ აყენებს.

საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა მნიშვნელოვან ნაწილს სამართლებრივ დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციების იურიდიული დახმარების ქსელი უწევდა. გარდა ამისა, დაკავებულ პირებს ემსახურებოდნენ პრო-ბონო, სხვადასხვა პოლიტიკური აქტორის მიერ მობილიზებული და ოჯახის მიერ დაქირავებული კერძო ადვოკატები.

საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირთა ზუსტი ჯამური ოდენობა უცნობია, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტრო, წინა წლების გამოცდილებისგან განსხვავებით, ამ ტიპის ინფორმაციას არც აქვეყნებს, და არც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის წესით უზრუნველყოფს. თუმცა იურიდიული დახმარების ქსელში შეგროვებული ინფორმაცია შესაძლებელს ხდის გარკვეული რაოდენობრივი მონაცემის აღრიცხვას. კერძოდ, მონაცემები აერთიანებს 2024 წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით აღრიცხულ ინფორმაციას.

2024 წლის 19 ნოემბრიდან იურიდიული დახმარების ქსელში ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმეებზე სამართლებრივი დახმარების მიღების შესახებ **1 084** პირთან დაკავშირებით შევიდა შეტყობინება. ეს რიცხვი აერთიანებს ჯამში, როგორც ადმინისტრაციული დაკავებების, ისე დაკავების გარეშე, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საქმეებს. **დაკავებული იყო 486 პირი,** მათგან 405 პირი დააკავეს და გადაიყვანეს იზოლატორში, 55 პირი მოხვდა საავადმყოფოში, 26 პირი დაკავების შემდეგ ხელწერილით გაათავისუფლეს.

თბილისში დაკავებული პირები, რიგ შემთხვევაში გადაჰყავდათ მარნეულის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, მცხეთის და დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.[231]

სხვა მასობრივი დემონსტრაციების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმისწარმოების დაწყების ფორმალური საფუძველი, ყველაზე ხშირად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლები იყო. **166-173 მუხლებით განხილული 218 საქმიდან, სასამართლომ**:

- პატიმრობა გამოიყენა - **59 პირის** შემთხვევაში**;**
- დააჯარიმა - **103 პირი;**
- სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა - **54 პირს;**
- საქმისწარმოება შეწყვიტა ნაწილობრივ - **21 პირის** შემთხვევაში;
- საქმისწარმოება შეწყვიტა სრულად - **2** პირის შემთხვევაში.

გარდა მითითებული სამართალდარღვევებისა, დეკემბერ-იანვარში შსს-მ ინტენსიურად დაიწყო მოქალაქეთა დაჯარიმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1]-ე მუხლის საფუძველზე, რაც შეკრების და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევას მოიაზრებს. ეს მუხლი, მოქალაქეებს, უმეტეს შემთხვევაში, ტრანსპორტის სავალი ნაწილის ნაწილობრივ ან სრულად გადაკეტვის მითითებით შეეფარდათ. 2024

prompt access to a lawyer, to notify a person of their choice of their detention and to be brought promptly before a judge. It should strengthen the protection of administrative detainees against illtreatment, investigate all allegations of ill-treatment and bring the perpetrators to justice."

[229] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, შსს აგრძელებს კონსტიტუციური უფლების უკანონოს შეზღუდვას, 19.11.2024, იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/shss-agrdzelebs-konstitutsiuri-uflebebis-ukanonod-shezghudvas [11.02.2025].

[230] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის განცხადება დაკავებული პირების შესახებ“, 01.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/arasamtavrobo-organizaciebis-qselis-gancxadeba-dakavebulebze [11.02.2025].

[231] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის 2024 წლის 30 ნოემბრის განცხადება“, 30.11.2024; იხ. https://gyla.ge/post/30octombersdakavebulebi [11.02.2025].

წლის 19 ნოემბრიდან 2025 წლის 28 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, ჯამში, **შსს 600 პირს ედავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1]-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას**.[232]

174 პრიმა მუხლით განხილული 115 საქმიდან სასამართლომ:

- დააჯარიმა - **90 პირი;**
- სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა - **25 პირს.**

31 იანვრის მდგომარეობით, განხილული და დასრულებული იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებიდან, რომლებშიც ჩართული იყო იურიდიული დახმარების ქსელი, **219 პირი** ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად, ხოლო ნაწილობრივ შეწყდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 14 საქმე. რაც შეეხება შეფარდებულ სახდელებს, 111 პირის მიმართ გამოყენებულია ჯარიმა, 58 პირს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, ხოლო სიტყვიერი შენიშვნა მიეცა 50 პირს.



4.1.2. ადმინისტრაციული დაკავებების ძირითადი ტენდენციები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული დაკავების კრიტერიუმებს. ყველა კრიტერიუმი ემსახურება ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთას, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად განხილვისა და სამართალწარმოების პროცესის უზრუნველყოფის ინტერესს.[233] ადმინისტრაციული დაკავება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის სავალდებულოდ თანმდევ საპროცესო მოქმედებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოქალაქე ჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელმა, პირველ რიგში, მოქალაქის პიროვნების დადგენა და მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა უნდა სცადოს.

ამის მიუხედავად, საპროტესტო აქციებზე პოლიციის დანაყოფების მიერ, მოქალაქეთა ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თვითნებურ დაკავებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. უკანონო და თვითნებური დაკავებების პრაქტიკას, ყველაზე ხშირად, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტისა და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მიმართავდნენ. საპროტესტო აქციაზე დაკავებული პირები, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში აღნიშნავენ, რომ ფაქტობრივად გდდ-ს ნიღბიანი და არაიდენტიფიცირებადი თანამშრომლები აკავებდნენ, და მხოლოდ ანგარიშსწორების შემდგომ გადაადებდნენ მათ შსს-ს სხვა სტრუქტურულ ერთეულს, უფრო ხშირად საპატრულო და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს.

[232] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის საქმიანობის შედეგები, 19 ნოემბერი, 2024 – 28 თებერვალი, 2025“, 18.03.2025; იხ. https://www.facebook.com/photo?fbid=1073257938179561&set=pcb.1073257994846222 [24.03.2025].
[233] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლი.

ღია წყაროებსა და დაკავებულ პირთა მონათხრობზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საპროტესტო პერიმეტრსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აქციის მონაწილეთა დაკავებისას, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები რამდენიმე ძირითად მეთოდს იყენებდნენ, რომლებსაც ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

i. დაკავებები პროტესტის ადგილზე

როგორც წესი, საპროტესტო გამოსვლების საწყის დღეებში, შსს-ს საპოლიციო ძალები საღამოს საათებში პარლამენტის მიმდებარე ქუჩებზე, კერძოდ კი, ზაქარია ჭიჭინაძის, 9 აპრილისა და ძმები ზუბალაშვილების ქუჩების პარლამენტის მომიჯნავე ნაწილებს იკავებდნენ. საპოლიციო ძალების ინტენსიური განთავსება ასევე შეინიშნებოდა თავისუფლების მოედანზე, რუსთაველის გამზირის დასაწყისში.[234]

28 ნოემბრის საღამოს ზემოაღნიშნულ პერიმეტრებზე საპოლიციო ძალები, მათ შორის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, კრიმინალური პოლიციისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ღამის 22:00 საათიდან 23:00 საათამდე პერიოდში განლაგდნენ, მოქალაქეთა ინტენსიური დაკავება კი 29 ნოემბრის გამთენიას, 02:00 საათიდან დაიწყო, მას შემდეგ, რაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა კორდონის წინა რიგებში გადაინაცვლეს. სატელევიზიო ეთერის კადრებში ჩანს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეების წრეში მოქცევისა და საპოლიციო ძალების სიღრმეში შეყვანის ფაქტები.[235]

უნდა აღინიშნოს, რომ წრეში მოქცევა და საპოლიციო ჯგუფის სიღრმეში შეყვანა დაკავების სტრატეგია იყო და არა ცალკეული, სპორადული მოვლენა. ამას ადასტურებს პოეტის, ზვიად რატიანის დაკავების კადრებიც.[236] საჯარო წყაროებით დასტურდება, რომ მას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები წრეში ითრევენ, შემდგომ კი ხელიდან-ხელში, ცემის თანხლებით გადადის და საპოლიციო ძალების სიღრმეში შეჰყავთ. მოგვიანებით, პოეტი მედიებთან ამბობდა, რომ სხვა ადამიანს ხელებით გადაეფარა: *„უბრალოდ ვიდექი, არც ვყვიროდი, მხოლოდ ეს ჟესტი გავაკეთე, ხელები გადავაფარე“.*[237] მიუხედავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და მით უფრო, დაკავების საფუძვლების არარსებობისა, პოეტი განსაკუთრებით აგრესიული ფორმით დააკავეს, და საპოლიციო დამსჯელი კორიდორი გაატარეს, მოგვიანებით კი სასამართლომ მას 8 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა.

წრეში მოქცევაზე, როგორც დაკავების სტრატეგიაზე, მიუთითებს სხვა დაზარალებულიც, რომელიც სასამართლომ ასევე ცნო სამართალდამრღვევად. 31 წლის მამაკაცი უთითებს, რომ საპროტესტო აქციაზე 29 ნოემბერს, დაახლოებით ღამის 23:00 საათზე, 2 მეგობართან ერთად მივიდა, ცოტა ხანში კი ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დააკავეს.

> **დაზარალებული V69 (31 წლის მამაკაცი)**: *„წინა რიგებში ვიდექით და დაახლოებით 10 მეტრში იდგნენ რობოკოპები. ვსაუბრობდით ერთმანეთში. არ შევდიოდით დიალოგში სპეცრაზმთან, საერთოდ არ ვესაუბრებოდით. დაძაბულობა არ იყო. უცებ მოგვვარდნენ და შეგვითრიეს. სამივე შეგვითრიეს. შეგვიყვანეს სიღრმეში. […] მთლიანად ჭიჭინაძის ასახვევიდან [პოლიციის] მანქანამდე აყვანისას მირტყამდნენ გარშემო ხალხი და ადგილი ჰქონდა გინებას. ძირითადად მხვდებოდა თავში და ზურგის არეში“.*[238]

კიდევ ერთი დაზარალებული პირი, 22 წლის მამაკაცი, რომელსაც დაკავებისა და შემდგომ ცემის შედეგად მძიმე დაზიანებები მიადგა, ჭიჭინაძის ქუჩაზე მისი დაკავების იდენტურ ისტორიას ჰყვება. მისი თქმით, ის წრეში შეითრია სავარაუდოდ გდდ-ს ერთმა თანამშრომელმა, შემდგომ კი დაახლოებით 10 ადამიანის წრეში მოექცა, რომელთაგან ყველა ურტყამდა:

> **დაზარალებული V117 (23 წლის მამაკაცი):** *„დამქაჩა ერთმა ნიღბიანმა, 10 ნიღბიანი მოვიდა, დამაგდეს ძირს და 10-ვე წიხლებს მირტყამდნენ. სავარაუდოდ, თავიც ამ დროს გამიტყდა. ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც „დააკავეს“ და სცემეს. არაფერი არ ხდებოდა. არც გაფრთხილება იყო, არც ჭავლი. მთელი ჭიჭინაძე გამატარეს პოლიციელების კორიდორი. ხელები მქონდა აფარებული, კორიდორში ძირითადად მირტყამდნენ თავის არეში, ძირითადად მირტყამდნენ ხელს და ფეხს“.*[239]

ჯამში, გამოკითხული 80 დაზარალებულიდან, რომლებიც იყვნენ დაკავებულები, 28 პირი აღნიშნავს, რომ დაკავების დროს ის წრეში მოაქციეს და სცემეს, რაც დაკავების ამ მეთოდის სისტემურობაზე მიუთითებს. მათი აბსოლუტური

---

[234] „ფორმულა“, „სპეცრაზმმა მშვიდობიანი აქცია დაარბია“, „ფორმულას“ სპეცეთერი, 28-29 ნოემბერი, 28.11.2025; იხ. https://www.youtube.com/watch?v=qnVDmJFdg-s [11.02.2025].

[235] „ფორმულა“, „29 ნოემბრის დილა, სპეცრაზმმა მშვიდობიანი აქცია დაარბია“, „ფორმულას“ სპეცეთერი, 28-29 ნოემბერი, 02:00, 28.11.2025; იხ. https://www.youtube.com/watch?v=qnVDmJFdg-s [11.02.2025].

[236] „რადიო თავისუფლება“, „ხელებშეკრულს მირტყამდნენ მუშტებს სახეში: ზვიად რატიანის ცემისა და დაკავების ამბავი“, 02.12.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33223672.html [11.02.2025].

[237] იქვე.

[238] დაზარალებული V69.

[239] დაზარალებული V117.

უმრავლესობა, 24 ადამიანი, ამბობს, რომ წრეში მოქცევისას მათ სცემდნენ მუშტებით და ფეხებით, ხოლო 10 ადამიანი მიუთითებს ცემის მიზნებისთვის სპეციალური ხელთათმანის გამოყენებაზე.
დაკავებულების მონათხრობის და არსებული მონაცემების რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ პროტესტის ადგილზე ადმინისტრაციული დაკავება **მეტწილად აქციის მონაწილეთა პროტესტის ადგილიდან გარიდებისა და გამოხატვის უფლების თვითნებური შეზღუდვის მექანიზმად გამოიყენებოდა. დაკავების თანმდევი ცემა და არასათანადო მოპყრობა, საერთო ჯამში, იმავე სადამსჯელო მექანიზმის ნაწილი იყო და მიზნად ისახავდა მომავალში აქციებზე მისვლისგან თავის შეკავების იძულებას. ამაზე მეტყველებს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელთა დაზარალებულებთან სიტყვიერი კომუნიკაციაც, რასაც გამოკითხული პირები ინტერვიუს დროს სისტემატურად იმეორებდნენ.**

ღია წყაროებზე დაკვირვებით, ასევე გამოიკვეთა მოქალაქეთა დაკავების მეორე ტენდენცია, რაც აქციის მონაწილეთა „მორბენალთა რაზმების“ მიერ მოულოდნელად და მიპარვით დაკავებაში გამოიხატებოდა. ხშირად, პროტესტის ადგილზე პირებს აკავებდნენ რუსთაველის გამზირის ნაპირებში და, როგორც წესი, ებმოდა სპეციალური საშუალებების, ძირითადად, წყლის ჭავლისა და ცრემლსადენი გაზის კაფსულების გამოყენებას.[240] განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები აქციის მონაწილეებს მაშინ აკავებდნენ, როცა ისინი, სპეციალური საშუალებების ზემოქმედების ან ცუდი ხილვადობის გამო, მოკლებულნი იყვნენ სწრაფი რეაგირების და შემთხვევის ადგილის დატოვების შესაძლებლობას.

ამგვარი ტენდენცია დასტურდება მსხვერპლებთან ჩატარებული ინტერვიუებით. ადმინისტრაციული წესით დაკავებული 22 წლის მამაკაცი ჰყვება, რომ ის 29 ნოემბრის გამთენიისას, დაახლოებით დილის 05:30 საათზე, სასტუმრო „თბილისი მარიოტის” მიმდებარედ დააკავეს, სპეციალური საშუალების, კერძოდ კი ცრემლსადენი გაზის ინტენსიური გამოყენების შემდგომ.

> **დაზარალებული V112 (33 წლის მამაკაცი):** *„გაზი ისროლეს ბევრი, შევტრიალდი, რომ გავცლოდი და მივდიოდი ხალხის მხარეს და არა კორდონის მხარეს [...] ზურგიდან მომეპარა ვიღაც ნიღბიანი, ჭიდაობის ილეთი გამიკეთა და დამაგდო. [...] მერე ჰაერში აყვანილი წამიყვანეს ქაშვეთის მხარეს. [...] ტროტუარები კარგად არ ჩანს ხოლმე გაზის გაშვებისას და, სავარაუდოდ, ტროტუარებიდან მომეპარნენ. როგორც წესი, დისტანციას ვიცავ და სულ ვუყურებ პოლიციას, რომ ვაკონტროლო დისტანცია. ამჯერად ეგ გამომრჩა“.*[241]

კიდევ ერთი ჩვენების მიხედვით, რომელიც აქციაზე დაზარალებულ 32 წლის მამაკაცს ეკუთვნის, 29 ნოემბრის გამთენიისას, დაახლოებით დილის 3 საათზე, მეგობართან ერთად იმყოფებოდა სასტუმრო „მარიოტის“ მოპირდაპირე მხარეს. ამ დროს აქტიურად გამოიყენებოდა სპეციალური საშუალებები, კონკრეტულად კი, ცრემლსადენი გაზი. მსხვერპლის განცხადებით, მან ჩაისუნთქა ცრემლსადენი გაზი, რამაც გამოიწვია მისი პარალიზება.

> **დაზარალებული, V51 (32 წლის მამაკაცი)**: *„გვიჭირდა სუნთქვა, არ შეგვეძლო დაგვენახა სად მივდიოდით და განუწყვეტლივ გვაცემინებდა. [...] ჩვენ დაგვიბნელდა თვალი, გვიჭირდა სუნთქვა [...]. ამ დროს, მოვარდა რამდენიმე ადამიანი ნიღბებით, შავებში ჩაცმული. ვიფიქრეთ, რომ პოლიცია იყო, თუმცა არ ჰქონდათ არც დანაყოფისთვის დამახასიათებელი აღჭურვილობა და არც სხვა სახის მაიდენტიფიცირებელი მონაცემები. ამ პირებმა დაგვაკავეს“.*[242]

ეს ჩვენებები, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, მიუთითებს, რომ რიგ შემთხვევებში, სპეციალური საშუალებების გამოყენების რეალური მიზანი აქციის მონაწილეთა დარბევა და მათი განურჩეველი დაკავება იყო. მოქალაქეთა დაკავება არა ინდივიდუალური სამართალდარღვევის აღკვეთის მიზანს, არამედ შეკრების დარბევის მიზანს ემსახურებოდა, შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავებები არ აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ ფორმალური კანონიერების კრიტერიუმებს, უხეშად უგულებელყოფდა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებსაც.

ადმინისტრაციული დაკავებების პროტესტის დარბევის მიზნით გამოყენება ნოემბერ-დეკემბრის გამოსვლების დროს არ დასრულებულა და ეპიზოდური გაგრძელებები ჰქონდა. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური, 2025 წლის 2 თებერვლის დაკავებები იყო, როდესაც მოქალაქეები თბილისის გასასვლელში, სატრანსპორტო გზის მიმდებარედ შეიკრიბნენ. ხსენებული საპროტესტო აქციის კონტექსტში, იურიდიული დახმარების ქსელში შევიდა ინფორმაცია ადმინისტრაციული წესით დაკავებული 26 პირის შესახებ. ამავე დროს, გავრცელდა ინფორმაცია დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებაც, რის შედეგადაც, 5 პირი სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსდა.[243]

---

[240] „მთავარი არხი“, ვითარება რუსთაველის გამზირზე - "მთავარის" სპეცეთერი, 29.11.2024; იხ. https://www.youtube.com/live/gSg6Sp1tJQ0?t=5460s [11.02.2025].
[241] დაზარალებული V112.
[242] დაზარალებული V51.
[243] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის შეფასება 2 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით“, 03.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/arasamtavroboebis-shefaseba-2-tebervlis-movlenebze [11.02.2025].

აღსანიშნავია, რომ 2 თებერვლის დაკავებები, შინაარსობრივად ძალიან ჰგავდა ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარე ადმინისტრაციულ დაკავებებს. ამ შემთხვევაშიც, ადმინისტრაციული კანონმდებლობა გამოყენებულ იქნა არა სამართალდარღვევაზე პასუხის, არამედ მშვიდობიანი პროტესტის ჩახშობის მექანიზმად, რომლის მთავარი მიზანიც საპროტესტო მუხტის ჩახშობა და მონაწილეთა სამაგალითო დასჯა იყო.

ii. დაკავებები პროტესტის მიმდებარე ქუჩებზე

პროტესტის საწყის ეტაპზე, გარდა რუსთაველის გამზირისა, მოქალაქეებს მიმდებარე ქუჩებსა და ჩიხებშიც აკავებდნენ. პროტესტის ეპიცენტრის მოსაზღვრე ქუჩები აქციების მონაწილეთათვის ხშირად დროებით მოსასვენებელი, თავშესაფარი სივრცეების დატვირთვის მატარებელი იყო. ამ ფუნქციას განსაკუთრებით ითავსებდა ბესიკის, მიტროფანე ლაღიძის და ძმები ზუბალაშვილების ქუჩები. დაზარალებულთა ჩვენებები მიუთითებს, რომ აქციის დარბევის პარალელურად, საპოლიციო ძალები რუსთაველის მიმდებარე ქუჩებზეც აქტიურდებოდნენ და მოსასვენებლად და ძალების აღსადგენად გაშლილ მოქალაქეებს ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ.

28 წლის დაზარალებულის მონათხრობით, ის 2024 წლის 2 დეკემბერს რუსთაველის გამზირზე მიმდინარე საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა და დროებით ბესიკის ქუჩაზე მცხოვრებ მეგობართან მოსასვენებლად შეიარა. სწორედ ამ დროს, ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების მხრიდან მძიმე ძალადობის მსხვერპლი გახდა, რასაც მისი დაკავება მოჰყვა.

დაზარალებული V15 (28 წლის მამაკაცი): *„ღამის ორის ნახევარი იქნებოდა, როცა გადავწყვიტე იქვე ბესიკის ქუჩაზე მცხოვრები ჩემი მეგობარი მომენახულებინა. ვიცოდი, რომ არ ეძინა. ხშირად დავდიოდი მასთან. როდესაც მივედი მისი საცხოვრებელი სახლის ეზოში, დაახლოებით 5-10 წუთის ფარგლებში შემოვარდნენ რობოკოპები ამ ეზოში, დამაგდეს მიწაზე. […] სავარაუდოდ გამოეკიდნენ აქციის ერთ-ერთ მონაწილეს და მე შევრჩი ხელში. არანაირი ინციდენტი ჩემს მიმართ ძალადობამდე არ ყოფილა ჩემსა და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს შორის. არც შელაპარაკება, არც გინება და არც რაიმე სხვა ტიპის დაპირისპირება აქციაზე“.*[244]

31 წლის მამაკაცის მონათხრობით, ის პირველი დეკემბრის გამთენიისას დააკავეს, როცა ღამის 2 საათზე, ინგოროყვას ქუჩიდან ვიწრო ჩიხით ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე ფეხით ჩავიდა. ამ დროს მას და მის თანმხლებ პირებს პოლიციის დაახლოებით 50 ნიღბიანი თანამშრომელი შეეჩეხათ და ერთმანეთისგან დააშორა. მისი თქმით, ის პროტესტის ეპიცენტრიდან საკმაოდ შორს იმყოფებოდა და არც აქციის დაშლის შესახებ გამაფრთხილებელი ხმა ისმოდა.

დაზარალებული V22 (32 წლის მამაკაცი): *„თავიდან მათ ჩემთან პრეტენზია არ ჰქონდათ, თუმცა, როდესაც დავინახე, რომ ჩემს ძმას აკავებდნენ, მოვითხოვე მასთან მივეშვი. […] ამ დროს ჩემი მხრიდან ადგილი არ ჰქონია რაიმე კანონის გადაცდომას. გადავწყვიტე „ლაივი“ ჩამერთო, რა დროსაც ნიღბიანმა პირებმა ჩემი ტელეფონის წართმევა სცადეს. ამ დროს, ვიღაცამ თქვა, რომ დააკავეთო და მეც დამაკავეს. მოვასწარი ვიდეოს გადაღება, სადაც ჩანს სად დამაკავეს და ვამბობ, რომ არ მიგინებია არავინ და რატომ მაკავებთ-თქო“.*[245]

22 წლის დაზარალებული მამაკაცი იხსენებს, რომ ის, 2 დეკემბრის გამთენიისას, დაახლოებით 03:00-04:00 საათებს შორის შუალედში, ოპერის მოპირდაპირე მხარეს, მიტროფანე ლაღიძის ქუჩაზე მოსასვენებლად იყო ასული და უკან, რუსთაველის გამზირზე ბრუნდებოდა. მისი თქმით, ლაღიძის ქუჩისა და რუსთაველის გამზირის კვეთაზე, საფეხმავლო ტროტუარზე, მას შეეჩეხნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები და ფიზიკური შეურაცხყოფის ფონზე დააკავეს.[246]

ასევე, მიმდებარე ქუჩაზე დააკავეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ 20 წლის მამაკაცს, რომელიც მეგობრისგან ბრუნდებოდა რუსთაველის გამზირის გავლით და მისი თქმით, იმ მომენტში არ მონაწილეობდა საპროტესტო აქციაში. დაზარალებული იხსენებს:

დაზარალებული V70 (25 წლის მამაკაცი): *„მივდიოდი სახლისკენ და ვიმყოფებოდი ქაშვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. […] წინ დავინახე, რომ ძალიან ბევრი სპეცრაზმის წარმომადგენელი იდგა. ამიტომ შევუხვიე ყველაზე ახლოს არსებულ შესახვევში. ამის შემდგომ, სპეცრაზმის თანამშრომელი მოვიდა და მკითხა აქ რა გინდაო და მე ვუპასუხე, რომ მივდიოდი სახლში. ამის შემდგომ, მან მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, მითხრა, „გაა*ვი აქედანო“. ამის შემდგომ ვუთხარი, რომ რა საჭიროა-თქო ეგეთი საუბარი და ეგ დამთავრებული არ მქონდა, რომ მუშტი ჩამარტყეს ცხვირში. შემდეგ რეალობის აღქმა დავკარგე, მივყავდი სადღაც და გზაში კიდევ მირტყამდნენ და მაგინებდნენ და შემაგდეს „მარშუტკაში“.*[247]

[244] დაზარალებული V15.
[245] დაზარალებული V22.
[246] დაზარალებული V72.
[247] დაზარალებული V70.

მითითებულ ჩვენებებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პროტესტის მიმდებარე ქუჩებზე მოქალაქეთა დაკავება, აქციის მონაწილეთა საყოველთაო და განურჩეველი დაკავებების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად და პრაქტიკად უნდა მივიჩნიოთ. მიმდებარე ქუჩებზე აქციის მონაწილეთა დაკავებებს ჰქონდა განმეორებითი ხასიათი და გამოიყენებოდა არა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების, არამედ შეკრების დარბევის და დაშინების ინსტრუმენტად.

iii. დაკავებები საპროტესტო არეალის დატოვებისას

ადმინისტრაციული დაკავებების პროტესტში მონაწილეობის გამო დასჯის მიზნით გამოყენების პრაქტიკას ადასტურებს აქციის დატოვების დროს პირთა მასობრივი დაკავებებიც. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენებისას, მოქალაქეებს სწორედ შემთხვევის ადგილის დატოვების მითითება ეძლევათ, როგორც საჯარო წყაროებში გავრცელებული კადრებიდან, ისე დაზარალებულთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ აქციიდან მიმავალ მოქალაქეებს, რიგ შემთხვევებში, არ ეძლეოდათ ტერიტორიის უსაფრთხოდ დატოვების შესაძლებლობა. ეს ტენდენცია უფრო ხშირად გამთენიისას შეინიშნებოდა ხოლმე, მას შემდეგ, რაც სპეციალური საშუალებების გამოყენებით აქციის დიდი ნაწილი იშლებოდა და მონაწილეები რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის კვეთის არეალში, მეტრო რუსთაველის მიმართულებით გადაადგილდებოდნენ.[248]

21 წლის დაზარალებული მამაკაცი იხსენებს, რომ ის საპროტესტო აქციაზე 3 დეკემბერს, დაახლოებით ღამის 11 საათზე მივიდა, ხოლო 4 დეკემბრის დილის 03:00-04:00 საათებს შორის შუალედში, მას შემდგომ, რაც აქციის დარბევა ინტენსიურ ფაზაში შევიდა და საპოლიციო ძალებმა სასტუმრო „ბილტმორამდე“ არსებული ტერიტორია გაათავისუფლეს, ის უსაფრთხო ადგილზე გაღწევას ცდილობდა.

დაზარალებული V71 (22 წლის მამაკაცი): *„მივდიოდით რუსთაველის მეტროს მიმართულებით, რათა გავსულიყავით უსაფრთხო ადგილზე. ამ დროისთვის, რუსთაველის გამზირზე განლაგებულნი იყვნენ რობოკოპები და გდდ-ს თანამშრომლები, რომლებიც მოსულები იყვნენ დაახლოებით „ბილტმორის“ ტერიტორიაზე. ამ დროს, მე ვიყავი დაახლოებით ზეთისხილის ხესთან, წრიულთან. წრიულთან რომ მივედი, რესპუბლიკის მოედანზე უკვე იყვნენ რობოკოპები და გდდ-ს თანამშრომლები. თავდაპირველად არ მეგონა, რომ მე მომდევდნენ და სანამ გავიაზრე, მასა მომცვივდა და დამიწყეს ცემა. დაახლოებით იყო 5-10 ადამიანი. ყველა პოლიციის თანამშრომელი მოდიოდა და მირტყამდა“.*[249]

როგორც დაზარალებული იხსენებს, ის ჯერ რუსთაველის გამზირზე, შემდეგ კი სადამსჯელო მიკროავტობუსში დაექვემდებარა მძიმე ფიზიკურ დასჯას, რის გამოც, დროებითი მოთავსების იზოლატორიდან მისი ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლება და საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო, სადაც გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა სახის ძვლების მოტეხილობის გამო.

პოლიციელთა მოქმედების ანალოგიურ მექანიზმს აღწერს რუსთაველის გამზირისა და რესპუბლიკის მოედნის მიჯნაზე 2024 წლის 2 დეკემბრის გამთენიისას დაკავებული 25 წლის დაზარალებულიც. იგი ჰყვება, რომ დილის 6-იდან 7-საათამდე მონაკვეთში სახლში წასვლას ცდილობდა, თუმცა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს ალყაში ჰყავდათ მოქცეული და ვერ ახერხებდა რუსთაველის გამზირის დატოვებას.

დაზარალებული V96 (26 წლის მამაკაცი) *„გაზის და წყლის ჭავლისგან დაზიანებული ვცდილობდი სახლში წასვლას, თუმცა გდდ-ს წევრებს ვყავდით ალყაში და ვერ ვახერხებდი რუსთაველის დატოვებას. დაახლოებით 06:30-ზე „კაფე გალერისთან“ დამაკავეს, 2-მა შავ ტანსაცმელში ჩაცმულმა, სავარაუდოდ, სპეცრაზმის წევრებმა. [...] გაქცევა რომ დავაპირე, დამიჭირეს და ძალის გამოყენებით წამათრიეს რესპუბლიკის მოედანზე „რედისონის“ წინ, სადაც იყო განლაგებული მათი ავტომობილები. გზაში მაყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას“.*[250]

იმავეს ჰყვება კიდევ ერთი დაზარალებული, 20 წლის მამაკაცი, რომელიც მისი დაკავების დეტალებს ასევე ანალოგიურად აღწერს და იხსენებს, რომ ალყაში მოქცევასთან ერთად, მის მიმართ დამიზნებით სპეციალური საშუალება, კერძოდ, წიწაკის სპრეი გამოიყენეს, რის გამოც არაფრის დანახვა აღარ შეეძლო.[251] 2 დეკემბრის დილას, რესპონდენტების მიერ მითითებულ ადგილზე მიმდინარე დაკავებების ბუნებას ონლაინ-გამოცემა „პუბლიკას“ კადრებიც ადასტურებს.[252] კადრებში ჩანს, რომ რუსთაველის გამზირის მიმართულებით მიმავალ აქციის მონაწილეებს საპოლიციო ძალების წარმომადგენლები მისდევენ და აკავებენ, დაკავებული პირები კი რესპუბლიკის მოედნის მიმართულებით მიჰყავთ.

---

[248] „პუბლიკა“, „სპეცრაზმმა აქციის დარბევა დაიწყო. დაკავებულთა შორის არის IDFI-ის იურისტი, გიორგი დავითური“, 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=1608027670152537&t=1 [11.02.2025].
[249] დაზარალებული V71.
[250] დაზარალებული V96.
[251] დაზარალებული V110.
[252] „პუბლიკა“, „სპეცრაზმმა აქციის დარბევა დაიწყო. დაკავებულთა შორის არის IDFI-ის იურისტი, გიორგი დავითური“, 02.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=1608027670152537&t=1 [11.02.2025].

პროტესტის ადგილის დატოვების დროს მოქალაქეთა ალყაში მოქცევა, დადევნება და ამ გზით დაკავება, კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა თვითნებური იყო და არ პასუხობდა არც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და არც ადამიანის უფლებათა სამართლის პრინციპებს.

iv. დაკავებები საპროტესტო ადგილისგან მოშორებით

ტენდენციად გამოიკვეთა საპროტესტო აქციებში აქტიურად ჩართულ პირთა შეკრების ადგილისგან მოშორებით, რიგ შემთხვევებში, საცხოვრებელ სახლთან დაკავებები. ამგვარი პრაქტიკა პოლიციის მიერ გამოვლენილი თვითნებობის ყველაზე მძიმე ფორმად შეიძლება შეფასდეს. შემთხვევათა სიმრავლე მიუთითებს, რომ ამ შემთხვევებშიც, ადმინისტრაციული დაკავებები საპროტესტო აქციებში მონაწილეობის გამო დაშინების მექანიზმად გამოიყენებოდა. როგორც წესი, დამკავებელი პოლიციელები დაკავების საფუძვლად მოქალაქის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას მიუთითებდნენ, რაც ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული დაკავების საფუძვლების უხეში დარღვევაა.

პედიატრი კონსტანტინე ჩახუნაშვილი 9 დეკემბერს, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს. მისი ავტომობილი ნუცუბიძის ქუჩაზე ცარიელი იპოვეს. კონსტანტინე ჩახუნაშვილი პროტესტის აქტიური მონაწილე და მოძრაობა „ჯიუტის“ წევრია, საკუთარ შეხედულებებს ის ასევე ავრცელებდა სოციალური ქსელებით. მისი დაკავების საფუძვლად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ასკ-ის 173-ე მუხლის დარღვევა დასახელდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის სხდომაზე, შსს-ს წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ჩახუნაშვილისთვის სასამართლოში სისხლის სამართლის ერთ-ერთი საქმის გამოძიების ფარგლებში დაკითხვის შესახებ უწყება უნდა გადაეცათ, და ამ დროს მან შეურაცხყოფა მიაყენა. ჩახუნაშვილის მტკიცებით, მან ზემოაღნიშნული უწყება წინა დღეს ჩაიბარა, ხელიც მოაწერა და ამჯერად სახეზე იყო პოლიტიკური პოზიციონირების გამო მასზე ზეწოლისა და სამაგალითო დასჯის მცდელობა. მისივე თქმით, მას უთვალთვალებდნენ როგორც სამსახურთან, ისე სახლთან, ბოლოს კი ავტომობილით გადაადგილების დროს გააჩერეს ალკოჰოლურ თრობაზე შესამოწმებლად და მანქანიდან გადმოყვანის შემდეგ უსაფუძვლოდ დააკავეს.[253]

12 დეკემბერს, ვაკის რაიონში, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე დააკავეს რონდელის ფონდის მკვლევარი, ვატო ბჟალავა. გავრცელებული ინფორმაციით, ის ამ დროს საკუთარი სახლის სიახლოვეს ძაღლს ასეირნებდა. ბჟალავას დაკავების თვითნებურობას და პოლიტიკურ სარჩულს აძლიერებს ის გარემოება, რომ ის წინა დღეს პოლიციაში უკვე გამოჰკითხეს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში და გამოკითხვის შემდგომ გაუთქმელობის ფიციც დაადებინეს.[254]

15 დეკემბერს დააკავეს სტუდენტი და აქტივისტი ნიკო მანაგაძე, რომელიც საპროტესტო აქციისგან მოშორებით, კოსტავას ქუჩაზე გადაადგილდებოდა. მანაგაძე სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა ნიღბიანმა პოლიციელებმა დააკავეს და დიღმის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს. ნიკო მანაგაძეს, სხვა აქტივისტების მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, კერძოდ კი, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ზემოთ მითითებული შემთხვევების მსგავსად, მანაგაძის ეპიზოდშიც ფიგურირებს სისხლის სამართლის საქმე. ჩახუნაშვილის მსგავსად, ნიკო მანაგაძე, დაკავებამდე რამდენიმე საათით ადრე გამოიძახეს პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვის მიზნით, რასაც კანონის მიხედვით, ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. პოლიციაში დაკითხვაზე მანაგაძემ უარი განაცხადა და მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დაკითხვა მოითხოვა. როგორც აქტივისტის ადვოკატი ამბობს, მანაგაძეს დაკავებისას სწორედ მისი პოლიციაში გამოუცხადებლობა შეახსენეს, რითაც მიანიშნეს დაკავების რეალურ მოტივზე.[255]

საპროტესტო აქციებში მონაწილეთა ადმინისტრაციულ დაკავებებს შემდგომ კვირებშიც განგრძობადი სახე ჰქონდა. 1ელ თებერვალს გავრცელდა ინფორმაცია აქტივისტის, მირიან ბერულავას ადმინისტრაციული დაკავების შესახებ.[256] გავრცელებული ინფორმაციით, აქტივისტი სოციალურ ქსელში მის მიერ გამოქვეყნებული პოსტის გამო პოლიციაში, გამოსაკითხად გადაჰყავდათ, როდესაც განაცხადა, რომ სისტემას არ ენდობოდა, რაც მისი ასკ-ის 173-ე მუხლით დაკავების საფუძველი გახდა. ამ შემთხვევაშიც, აშკარაა ადმინისტრაციული დაკავების თვითნებური ბუნება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც კი, სახელმწიფო წარმომადგენლებს, დაკავების აუცილებლობა და საჭიროება სათანადოდ არ დაუსაბუთებიათ.

---

[253] „რადიო თავისუფლება“, „სასამართლომ პედიატრ კონსტანტინე ჩახუნაშვილს 2500-ლარიანი ჯარიმა დააკისრა“, 11.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33236425.html [11.02.2025].

[254] „რადიო თავისუფლება“, „ვაკეში პოლიციამ დააკავა რონდელის ფონდის მკვლევარი ვატო ბჟალავა - აქტივისტი“, 12.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%9F%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A1/33237523.html [11.02.2025].

[255] „რადიო თავისუფლება“, „აქტივისტი ნიკო მანაგაძე დააკავეს“, 15.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33240455.html [11.02.2025].

[256] „რადიო თავისუფლება“, „არ ვენდობი სისტემას!“ – ადვოკატის თქმით, აქტივისტი მირიან ბერულავა ამ სიტყვებისთვის დააკავეს“, 02.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33299794.html [11.02.2025].

ის ფაქტი, რომ ოთხივე აქტივისტის ადმინისტრაციულ დაკავებას წინ უსწრებდა ან ქრონოლოგიურად მოსდევდა სისხლის სამართლის საქმეებზე მათი დაკითხვა ან მოწმის სახით გამოძახება, აძლიერებს დასაბუთებას, რომ ეს დაკავებები პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან სათანადო სტანდარტით არ დასტურდება მათ მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა, შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავების კრიტერიუმები ფორმალურადაც არ კმაყოფილდება.

4.1.3. ბავშვთა ადმინისტრაციული წესით დაკავება

მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს თვითნებურად დაკავებულთა შორის იყვნენ ბავშვებიც. მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთან მიმართებით, დაკავება უკიდურესი ზომა უნდა იყოს, ცნობილი გახდა საპროტესტო აქციებზე 4 არასრულწლოვანის დაკავების შესახებ. ოთხივე მათგანი საუბრობდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი პროტესტში მონაწილეობდნენ. არცერთი მათგანი არ დაუკავებიათ კანონით გათვალისწინებული წესით, არცერთი მათგანის დამკავებელი არ ყოფილა ბავშვის უფლებებზე გადამზადებული, მათ დაკავებამდე ასევე არ ყოფილა განხილული რაიმე უფრო მსუბუქი ფორმა.

i. დოკუმენტირებული შემთხვევები

16 წლის არასრულწლოვანი (დაზარალებული V80) იხსენებს, რომ ის 2024 წლის 30 ნოემბერს დააკავეს, როდესაც მშობლებთან და მეგობრებთან ერთად ტოვებდა აქციის მიმდებარე ტერიტორიას, რაიმე სახის სამართალდარღვევას აქციაზე ყოფნის პერიოდში ან შემდეგ ადგილი არ ჰქონია. მას ჯერ თავს დაესხნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, ხოლო შემდეგ იძულებით გაათრიეს სხვა ლოკაციაზე, სადაც ჩააბარეს პოლიციას. პოლიციელებმა ოფიციალურად „გააფორმეს“ არასრულწლოვანის დაკავება და შეადგინეს სამართალდარღვევის ოქმი. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში, დამკავებელ პირად მითითებული იყო ორი პოლიციელი, სინამდვილეში ბავშვი თვითნებურად, კანონით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე დააკავეს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა და მიაყენეს მას დაზიანებები. დამკავებელ პირებს ბავშვისთვის არ განუმარტავთ, თუ კანონის რომელი მუხლით დააკავეს, რა უფლებები ჰქონდა მას როგორც დაკავებულს, რაც მნიშვნელოვანი დარღვევაა. მისთვის არ წაუსწრიათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პროცესში, ის მხოლოდ და მხოლოდ აქციიდან სახლში დაბრუნებას ცდილობდა, როდესაც თვითნებურად დააკავეს (V80).

დაზარალებული V80 (17 წლის არასრულწლოვანი): *„ინციდენტის დროს ძალიან შემეშინდა, რადგან მოულოდნელად მოხდა ჩემზე თავდასხმა. მე მშობლებთან ერთად ვაპირებდი სახლში წასვლას. არანაირი კანონდარღვევა არ ჩამიდენია და მეგონა, რომ უსაფრთხოდ ვიქნებოდი“.*

2024 წლის 5 დეკემბერს ადმინისტრაციული წესით დააკავეს აქციაზე მყოფი 16 წლის არასრულწლოვანი (დაზარალებული V114), რომელმაც პოლიციის მიმართულებით ქაღალდის ნივთი ისროლა. ბავშვს დაკავებისას შეექმნა ჯანმრთელობის პრობლემები, გონება დაკარგა, თუმცა პოლიციამ მას სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება არ მისცა. ბავშვი თითქმის 48 საათი ჰყავდათ დაკავებული, თუმცა დაკავების აუცილებლობა სათანადოდ დასაბუთებული არ ყოფილა.

დაზარალებული V81 (17 წლის არასრულწლოვანი): *„ძალიან ვინერვიულე და შემეშინდა. შოკი მივიღე ამდენი პოლიციელი და სპეცრაზმელი რომ გამომეკიდა“.*

2024 წლის 3 დეკემბერს, ღამის საათებში, 16 წლის არასრულწლოვანი (დაზარალებული V7) მაშინ დააკავეს, დარბევა და დემონსტრანტების უკონტროლო დაკავება რომ დაიწყო. ბავშვი განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 10-მდე თანამშრომელმა შებოჭა, მიაყენეს დაზიანებები და გადაიყვანეს სამარშრუტო ტაქსიში, სადაც მოათავსეს სხვა დაკავებულებთან ერთად და შემდეგ გადასცეს პოლიციას.[257] დაზარალებულის თქმით, საქმის მასალებში ჩაწერეს, რომ თითქოს პოლიციამ დაინახა მისი მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი და პოლიციამ თავად მიიღო მისი დაკავების გადაწყვეტილება. სინამდვილეში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია და ოქმის შემდგენი პოლიციელი არც კი შესწრებია მის დაკავებას.

2025 წლის 2 თებერვალს დააკავეს 16 წლის არასრულწლოვანი (დაზარალებული V129), რომელიც ამბობს, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრებმა ის მაშინ დააკავეს, როდესაც მიტინგის მონაწილეებსა და პოლიციას შორის სიტუაცია დაიძაბა, თვითონ კი ამ ჭყლეტაში მოხვდა.

დაზარალებული V6 (17 წლის არასრულწლოვანი): „ჭყლეტაში მოვყევი, რა დროსაც საკმაოდ ძლიერმა მამაკაცმა ხელები მომხვია მუცლის არეში. მას ეცვა საპატრულო პოლიციის ფორმა”.

[257] დაზარალებული V7.

არასრულწლოვანის განმარტებით, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრებმა ის გაძარცვეს და მიაყენეს დაზიანებები. იგი მიკროავტობუსში სრულწლოვან პირებთან ერთად მოათავსეს და მხოლოდ ამის შემდეგ გადააბარეს პოლიციელებს, რომლებმაც შეადგინეს დაკავების ოქმი, სინამდვილეში, ისინი დაკავების ადგილზე არც კი ყოფილან.

ii. გამოვლენილი ტენდენციები

შესწავლილი შემთხვევებიდან ირკვევა, რომ ბავშვების დაკავებისას განმეორებითად ირღვეოდა ბავშვთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები,[258] კერძოდ:

- ბავშვებს აკავებდნენ თვითნებურად, აუცილებლობის გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ დაკავება უნდა ყოფილიყო უკიდურესი ზომა;
- ბავშვებს აკავებდნენ არაპროპორციული ძალის გამოყენებით;
- ბავშვები ექვემდებარებოდნენ არასათანადო მოპყრობას;
- ბავშვის დაკავების ოქმს ავსებდნენ პოლიციელები, რომლებიც თავად არც კი შესწრებიან ბავშვის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ან მის დაკავებას;
- ბავშვებს სრულწლოვანი პირებივით ეპყრობოდნენ და სრულწლოვან დაკავებულებთან ერთად ათავსებდნენ სატრანსპორტო საშუალებებში;
- ბავშვებს არ განემარტებოდათ არც მათ მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შინაარსი, და არც მათი, როგორც დაკავებულების უფლებები;
- დაკავებული ბავშვების ადგილსამყოფლის შესახებ ინფორმაცია არ იყო დროულად ხელმისაწვდომი, რის გამოც მშობლები და უფლებადამცველები მათ რამდენიმე საათის განმავლობაში ეძებდნენ;
- სასამართლოში მტკიცებულების სახით მოჰყავდათ ცრუ მოწმე პოლიციელები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ თითქოს შეესწრნენ არასრულწლოვანის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს;
- ბავშვებთან მიმართებით, ისე როგორც სრულწლოვანი დაკავებულების შემთხვევაში, გამოვლინდა ძარცვისა და პირადი ნივთების წართმევის შემთხვევები.

შემაშფოთებელია, რომ არასრულწლოვანების შემთხვევაშიც კი, რომლებიც დაცვის მეტი გარანტიით სარგებლობენ, სასამართლომ არ გამოიჩინა სათანადო ყურადღება მათი დაკავების აუცილებლობაზე მსჯელობისას.

4.1.4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ადმინისტრაციული წესით დაკავება

დაკავებულთა შორის იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც. მიუხედავად იმისა, რომ შშმ პირები სარგებლობდნენ ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით, ისინი გახდნენ დევნის და უკანონო დაკავების მსხვერპლნი. გარდა ამისა, გამოვლინდა მობილური ტელეფონების ჩამორთმევის პრაქტიკა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ თავისუფლების აღკვეთა ხდებოდა თვითნებურად და კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, მაშინ, როდესაც მათგან საფრთხე არ მომდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ არცერთი დაკავებულისთვის არ უცნობებიათ დაკავების მიზეზები. შესწავლილ შემთხვევებში, სახელმწიფომ არ უზრუნველყო დაკავებული პირების სათანადოდ ინფორმირება, რითაც დაირღვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციით გათვალისწინებული მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების პრინციპი.

i. დოკუმენტირებული შემთხვევები

შშმ პირი (დაზარალებული V78) აქციაზე ყოფნის დროს დააკავეს თვითნებურად და ძალადობრივად. მისი მხრიდან რაიმე სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას ადგილი არ ჰქონია. დაკავების დროს, მას შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა მიაყენეს მძიმე დაზიანებები სახისა და თავის არეში. დაკავების შემდეგ იგი მიიყვანეს პოლიციის მანქანაში, სადაც დაადეს ხელბორკილები და განაგრძეს მისი ცემა. შშმ პირისთვის გაუგებარი იყო მის თავს განვითარებული მოვლენები. ის გადაიყვანეს პოლიციის

[258] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (საქართველოს მიერ მიღების თარიღი: 27.04.1999, საქართველოში ძალაში შევიდა: 20.05.1990), მუხლი 5. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ (საქართველოს მიერ მიღების თარიღი: 20.11.1989, საქართველოში ძალაში შევიდა: 02.07.1994), 37-ე მუხლი.

განყოფილებაში, სადაც რამდენიმე საათის შემდეგ მივიდა ჟესტური ენის თარჯიმანი. რადგანაც თვალზე მიღებული დაზიანებების გამო მსხვერპლი თვალებს ვეღარ ახელდა, შესაბამისად, ის ვერ ხედავდა ჟესტური ენის თარჯიმნის მოძრაობებს და დაკავების მიზეზი არ განემარტა. მძიმე დაზიანებების გამო პოლიციის განყოფილებიდან მსხვერპლი გადაიყვანეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც, ასევე არ ყოფილა უზრუნველყოფილი კომუნიკაცია მისი საჭიროებების შესაბამისად. მისთვის არ გადაუციათ ადმინისტრაციული დაკავების მასალები.

დაზარალებული V78 (24 წლის მამაკაცი): *„ვერ ვიგებდი, რატომ დამესხნენ თავს, როდესაც აქციაზეც კი აღარ ვიყავი და სახლში ვბრუნდებოდი“.*[259]

ეპილეფსიის დიაგნოზის მქონე 19 წლის ბიჭი, 2024 წლის 6 დეკემბერს, ღამის საათებში, თბილისში საპროტესტო აქციაზე დედასთან ერთად იმყოფებოდა. ღამის 12 საათის შემდეგ, როდესაც უკვე 7 დეკემბერი იყო დაწყებული, პირმა დატოვა აქციის ტერიტორია და მეტროსკენ გაემართა.

დაზარალებული V79 (19 წლის მამაკაცი): *„ერთ-ერთმა ჩემთვის უცნობმა ადამიანმა შეიგინა და გაიქცა. სპეცრაზმის რამდენიმე თანამშრომელი წამოვიდა ჩემკენ. მე არც მიფიქრია გაქცევა, რადგან არანაირი სამართალდარღვევა არ ჩამიდენია. სპეცრაზმის თანამშრომელი მომიახლოვდა და მითხრა, რომ მე შევიგინე მათი მისამართით. მე პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ ამ დროს მოვიდნენ სხვა სპეცრაზმელებიც, რომლებმაც ხელებსა და ფეხებში მომკიდეს ხელები და ფაქტობრივად ჰაერში აწეული წამიყვანეს სასტუმრო „რედისონის“ მხარეს, სადაც იყვნენ მხოლოდ სპეცრაზმელები“.*[260]

ფიზიკური დაზიანებების მიყენების შემდეგ დაზარალებული გადასცეს პოლიციას, რომელმაც ოფიციალურად გააფორმა დაკავების ფაქტი.

ii. გამოვლენილი ტენდენციები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ თავისუფლების აღკვეთა ხდებოდა თვითნებურად, კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, მაშინ, როდესაც მათგან არ მომდინარეობდა საფრთხე. როგორც აღმოჩნდა, არცერთი დაკავებულისთვის არ უცნობებიათ დაკავების მიზეზი, არც ინფორმაცია მიუწოდებიათ მათი უფლებების შესახებ.

შესწავლილი შემთხვევებიდან ირკვევა, რომ შშმ პირთა დაკავებისას უგულებელყოფილი იყო რიგი უფლებრივი გარანტიები, კერძოდ:

- არ შესრულებულა შშმ პირთა კონვენციით ნაკისრი მისაწვდომობისა და გონივრული მისადაგების ვალდებულება;
- არ მოუწვევიათ სურდო თარჯიმანი, ვინც შეძლებდა მათთვის ინფორმაციის გასაგებად მიწოდებას;
- დაკავებულები დაექვემდებარნენ წამებას, მათ სცემდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას;
- დაკავებულ ყრუ პირს არ ჰქონდა ინფორმაცია, თუ რატომ დაესხნენ თავს. ის ცდილობდა ეცნობებინა სპეცრაზმის/პოლიციელებისთვის, რომ მათი არ ესმოდა, მაგრამ მათ ეს მხედველობაში არ მიუღიათ და უფრო მეტად გაუსწორდნენ ამის გამო;
- გამოვლინდა ძარცვისა და პირადი ნივთების წართმევის შემთხვევები.

2024 წლის ნოემბერში დაწყებული საპროტესტო აქციების დროს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები, მკაფიოდ ჩანს, რომ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პრინციპებს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას და მიღებული ზომები შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა სამართლით აღიარებულ პრინციპებთან.

4.1.5. საკანონმდებლო მოწესრიგება და ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლებით აღიარებულია ადამიანის თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების ფუნდამენტური უფლება, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ პატიმრობასა და თავისუფლების აღკვეთაზე, არამედ დროის უფრო მოკლე პერიოდით თავისუფლების შეზღუდვის, მათ შორის, დაკავების შემთხვევებზე.[261] ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებისთვის პირადი თავისუფლების შეზღუდვად შეიძლება განვიხილოთ ადმინისტრაციული დაკავება,

[259] დაზარალებული V78.
[260] დაზარალებული V79.
[261] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, Shimovolos v. Russia, პარ. 48-50.

რომელიც მე-5 მუხლით დადგენილი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს მოთხოვნები არ არის განსაზღვრული ეროვნული კანონმდებლობით.

საქართველოს კანონმდებლობით, ადმინისტრაციული დაკავება სამართალდარღვევის საქმეების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ზომაა, რაც იმას ნიშნავს, რომ, ერთი მხრივ, დაკავება არ გულისხმობს სამართალდარღვევის არსებობას და, მეორე მხრივ, სამართალდარღვევის გამოვლენა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვს პირის დაკავებას. უზრუნველყოფის ზომები, მათ შორის, ადმინისტრაციული დაკავება, კანონით განსაზღვრულ კონკრეტულ მიზნებს - დარღვევის აღკვეთას, პრევენციას, სამართალდამრღვევის ოქმის შედგენას, საქმის დროულად განხილვას, მიღებული დადგენილების აღსრულებასა და სამართალდამრღვევის პირის სასამართლოში გამოცხადების ან/და ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფას ემსახურება.[262]

ამასთანავე, კანონმდებლობით, ადმინისტრაციული დაკავება გამოიყენება არა ასკ-ით გათვალისწინებულ ყველა სამართალდარღვევაზე, არამედ სპეციალური მუხლით ჩამოთვლილ კონკრეტულ დარღვევებზე.[263] ამ ჩამონათვალში ექცევა საპროტესტო აქციებზე ყველაზე ხშირად გამოყენებული 166-ე, 173-ე და174[1]-ე მუხლები.

ადმინისტრაციული დაკავება იწვევს ადამიანის ცხოვრებაში ინტენსიურ ჩარევას, შესაბამისად, სახელმწიფო ორგანოები ვალდებულნი არიან, პირის დაკავების დროს შეაფასონ დაკავების აუცილებლობა. ამასვე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებით,[264] ,,ძერყორაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", სადაც სასამართლომ მე-5 მუხლის პირველი ნაწილის (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება) დარღვევა დაადგინა. სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივანთა ადმინისტრაციული წესით დაკავება იყო თვითნებური და დაუსაბუთებელი ღონისძიება, რადგან არ შეფასებულა დაკავების აუცილებლობა. იმავე საქმეში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული დაკავებისას უნდა გაითვალისწინოს გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიან შეკრებაში მონაწილეობის კონტექსტი.

მართალია, ადამიანის დაკავება, პირველ რიგში ადამიანის თავისუფლებაში ჩარევას იწვევს, თუმცა, როდესაც დაკავება საპროტესტო აქციის ფარგლებში ხდება, თავისუფლების შეზღუდვა უნდა განიხილებოდეს შეკრებისა და გამოხატვის ფუნდამენტური უფლებების კონტექსტშიც. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთ საქმეში დაუდგენია, კონვენციის მე-5 მუხლთან ერთად, მე-11 მუხლის დარღვევა საპროტესტო აქციაზე პირის დაკავების და მის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების გამო. საქმეში, GAFGAZ MAMMADOV v. AZERBAIJAN, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმ ფონზე, როდესაც შესაბამის დოკუმენტებსა და ოქმებში არ იყო დასაბუთებული დაკავების საჭიროება და არც აპლიკანტის მიერ ჩადენილი კანონდარღვევა ყოფილა აღწერილი და დაკონკრეტებული, აშკარაა, რომ დაკავება თვითნებურ ხასიათს ატარებდა და ასეთ შემთხვევაში ის შეკრების თავისუფლებაში ჩარევის ფორმად განიხილება.[265]

არასრულწლოვანთა დაკავების პროცედურებზე დამატებით უფლებრივ გარანტიებს ქმნის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, რომლის თანახმად, არცერთ ბავშვს არ უნდა ჩამოერთვას თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან თავისუფლების აღკვეთა ხორციელდება კანონის შესაბამისად და ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და მაქსიმალურად მოკლე ვადით.[266] ამასთანავე, ბავშვის დაკავების ფორმა არ შეიძლება იყოს დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი და არ შეიძლება განხორციელდეს ძალადობრივი მეთოდებით. ბავშვები დაკავების შემდეგ არ უნდა მოთავსდნენ სატრანსპორტო საშუალებებსა და მანქანებში.[267] ეროვნული კანონმდებლობა, არასრულწლოვანის დაკავებასთან მიმართებით, კიდევ ერთ, მშობლისადმი შეტყობინების ვალდებულებას განსაზღვრავს.[268]

საერთაშორისო სტანდარტები დამატებით გარანტიებს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია.[269] კონვენციის მიხედვით, შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შშმ პირებისთვის ინფორმაციისა და კომუნიკაციის მისაწვდომობა. როდესაც დაკავებული საჭიროებს თარჯიმანს, ხელისუფლების ორგანოს ვალდებულებაა, ყველაფერი გააკეთოს, რათა თარგმანი იყოს ზუსტი და დეტალური.[270] ინფორმაციის მისაწვდომობის ვალდებულება ზოგადია და მიემართება ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. მას შემდეგ, რაც სამართალდამცავი უწყებებისთვის ცნობილი გახდება, რომ მათ დააკავეს შეზღუდული

[262] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი.
[263] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი.
[264] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 2 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, Dzerkorashvili and others v. Georgia.
[265]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, GAFGAZ MAMMADOV v. AZERBAIJAN, პარ. 62.
[266] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენცია, მუხლი 37.
[267] Unicef, Free and safe to protest, policing assembles involving children, 2020, 51; იხ. https://www.unicef.org/media/144876/file/%20Free%20and%20safe%20to%20protest%20%3A%20Policing%20assemblies%20involving%20children%20.pdf [11.02.2025].
[268] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245, ნაწილი 2.
[269] შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია (საქართველოს მიერ მიღების თარიღი: 12.04.2014, საქართველოში ძალაში შევიდა: 12.04.2014).
[270] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, Shamayev and Others v. Georgia and Russia, პარ. 425.

შესაძლებლობის მქონე პირები, სამართალდამცავებს ეკისრებათ გონივრული მისადაგების პრინციპით მოქმედების ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული დაკავების გზით პირის თავისუფლების უფლებაში ჩარევის დროს შესაბამისმა ორგანოებმა რამდენიმე ძირითადი პრინციპი უნდა დაიცვან:

1. გამოიყენონ დაკავება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში, რათა ის არ ჩაითვალოს ადამიანის სხვა ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვის ფორმად;
2. დაკავების ვადის განსაზღვრის დროს იხელმძღვანელონ აუცილებლობის სტანდარტით და სრულყოფილად დაასაბუთონ დაკავების ვადის გაგრძელების საჭიროება;
3. უზრუნველყონ დაკავებული პირის საპროცესო უფლებების (უფლებების განმარტება, ოქმის გაცნობა, ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირება, თარჯიმნის მოწვევა და სხვ.) სრულყოფილად დაცვა;
4. ადმინისტრაციული დაკავების შესახებ საჩივრები განიხილონ ოპერატიულ ვადაში და საფუძვლიანად.

ზემოაღნიშნული შეჯამება განსაკუთრებით რელევანტურია ნოემბერ-დეკემბრის აქციებისა და დაკავებათა შემდგომი სერიების კონტექსტში. როგორც ადმინისტრაციულ დაკავებათა პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, დაკავებებს თითქმის ყოველთვის აკლდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და აქციების მასობრივი დარბევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებდა დაკავებათა თვითნებურ ბუნებასა და განურჩევლობას. ამას თვალსაჩინოს ხდის დაკავებების შემდგომ მოქალაქეთა ძარცვა და მათზე მძიმე ფიზიკური თავდასხმები, რამაც, რიგ შემთხვევებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ზღვარს მიაღწია.

ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის თითოეული შემთხვევა უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული, ხოლო ადმინისტრაციული დაკავება უნდა აკმაყოფილებდეს აუცილებლობის სტანდარტს. განსახილველი აქციების კონტექსტში კი, ცალსახაა, რომ მოქალაქეთა დაკავებები არ ატარებდა ინდივიდუალურ სამართალდარღვევაზე რეაგირების ბუნებას. აქციების კონტექსტში ასევე ცალსახაა, რომ ადმინისტრაციული დაკავებები ატარებდა პროტესტში მონაწილეთა პოლიტიკური შეხედულებისა და აქტივობის გამო შურისძიების ხასიათს.

კუმულაციურად, ყველა გარემოების გათვალისწინებით, ასევე დაკავებულ პირთა ოდენობის მხედველობაში მიღებით, იკვეთება, რომ ეს იყო არა სახელმწიფოს მიერ მართლწესრიგის დამყარება, როდესაც შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლით, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპების გათვალისწინებით მიმართავდნენ მოქალაქეთა ადმინისტრაციულ დაკავებას, არამედ, იყო საპროტესტო აქციის ჩახშობა, ხოლო შემდგომ თვითნებური დაკავებების ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით სამართლებრივ ფარგლებში მოქცევის მცდელობა. ეს კი, საერთაშორისო სტანდარტებითა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი უფლებრივი გარანტიებისა და საპროცესო ნორმების უხეში დარღვევაა.

4.1.6. დაკავებულების საპროცესო უფლებები

აქციაზე დაკავებულ პირთა საპროცესო უფლებების რეალიზებისა და დაცვის უფლების ეფექტიანი განხორციელების კუთხით გამოვლინდა რამდენიმე სისტემური გამოწვევა.

როგორც წესი, დაკავებულ პირთა ადგილმდებარეობის დადგენა და, შესაბამისად, მათთვის სამართლებრივი კონსულტაციის მიწოდება რამდენიმე საათით გვიანდებოდა. ეს, შესაძლოა, ნაწილობრივ გამოწვეული ყოფილიყო როგორც დაკავებულთა დიდი რაოდენობით, ისე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მიერ დაგვიანებული ან/და ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის გავრცელებით, რისი მიზეზიც, შესაძლოა, დაკავებულ პირებთან შეხვედრისთვის ხელოვნური ბარიერის შექმნა ყოფილიყო. ადგილმდებარეობის დადგენა გართულდა ერთ-ერთი დაკავებული არასრულწლოვანის (დაზარალებული V61) შემთხვევაშიც, რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელია. გარდა ამისა, არასრულწლოვანის პოლიციის შენობაში მიყვანის შემდეგ, გარეთ მყოფ ადვოკატს არ ეძლეოდა შენობაში შესვლისა და ბავშვის ინტერესების დაცვის საშუალება.[271]

ამ სახის გამოწვევა მეტად საყურადღებოა იმ ფონზე, როდესაც დაკავებული პირები მიუთითებდნენ, რომ დაკავებისას მათთვის ცნობილი არ იყო მათი დაკავების რეალური მიზეზი. გამოკითხულ პირთაგან, რომლებმაც მათ დაკავებასთან დაკავშირებულ კითხვას უპასუხეს, მხოლოდ 18% ამბობს, რომ ინფორმირებული იყო მისი დაკავების საფუძვლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ დაკავების მიზეზები და მათი საპროცესო უფლებები სათანადოდ არც არასრულწლოვანი დაზარალებულებისთვის განუმარტავთ, რაც გამოიკვეთა მათი ინტერვიუირების პროცესში.[272]

[271] დაზარალებული V61.
[272] დაზარალებული V80.

იყავი თუ არა ინფორმირებული დაკავების მიზეზის შესახებ?



კითხვაზე, იყო თუ არა ინფორმირებული მისი, როგორც დაკავებულის უფლებების შესახებ, 89% უთითებს, რომ საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებული არ ყოფილა და მხოლოდ 11% ამბობს, რომ მას განემარტა უფლებები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უხეშად არღვევდნენ დაკავებულ პირთა საპროცესო უფლებებს და ფორმალურადაც არ ასრულებდნენ უფლებების გაცნობის ვალდებულებას.

იყავი თუ არა ინფორმირებული თქვენი უფლებების შესახებ?



მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, 34-მა დაკავებულმა განაცხადა, რომ ხელი მოაწერა მის დაკავებასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ დოკუმენტს, თუმცა მათგან მხოლოდ 22 ამბობს, რომ მიეცა დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტის რეალურად გაცნობის შესაძლებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს დამკავებელი მოხელის ვალდებულებას, რომ დაკავებულ პირს გასაგები ფორმით გააცნოს მისი უფლებები. განმარტება უნდა მოიცავდეს მისთვის ინფორმაციის მიწოდებას ჩადენილი სამართალდარღვევისა და დაკავების საფუძვლის, ახლობლებთან დაკავშირებისა და ადვოკატზე უფლებების შესახებ.[273] ამის მიუხედავად, მასობრივად იკვეთება დაკავებულთათვის ოჯახთან და ადვოკატთან დარეკვის უფლების შეზღუდვა. დაკავებულთა დაახლოებით 60%-ზე მეტი ამბობს, რომ

[273] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

მას არ მიეცა ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა, ხოლო თითქმის 80% უთითებს, რომ დაკავებისას ვერ დაუკავშირდა ან არ ჰქონდა წვდომა ადვოკატთან.

მოგეცათ ოჯახთან დაკავშირების შესაძლებლობა?

მოგეცათ ადვოკატთან წვდომის შესაძლებლობა?



მითითებული მონაცემები მეტყველებს დაკავებული პირების საპროცესო უფლებების დარღვევის სისტემურობაზე. ეს კიდევ უფრო საგანგაშოა იმ პირობებში, როდესაც დაკავებულ პირთა უმრავლესობა ცემასა და მძიმე შეურაცხყოფას დაექვემდებარა, და ამ დროს ადვოკატთან სწრაფ წვდომას მისი უფლებების ეფექტიანი დაცვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა.

დაკავებულ პირთა ჩვენებები ადასტურებს, რომ სახეზე იყო დაკავების ოქმის შედგენასთან დაკავშირებული სხვა სისტემური პრობლემებიც. როგორც ითქვა, აქციის მონაწილეებს, ფაქტობრივად, უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები აკავებდნენ. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული დაკავების ოქმში იმ პოლიციელთა ვინაობა მიეთითებოდა, ვინც პირი კი არ დააკავა, არამედ მათი პოლიციის შენობამდე ტრანსპორტირება განახორციელა. დაკავებული პირების თქმით, სწორედ ამის გამოა, რომ დაკავების ოქმში დაკავების საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება რეალობას და დაკავების შემდგომ არის შეთხზული.

ერთ-ერთი დაკავებული იხსენებს, რომ მისი ადმინისტრაციული დაკავების ოქმი პოლიციაში შეადგინეს, სადაც ის დრო მიუთითეს, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დაკავებული. პირი ასევე იხსენებს, რომ პოლიციელები საქმის მასალების შედგენის დროს სხვას ურეკავდნენ და ეკითხებოდნენ, ასკ-ის რომელი მუხლი უნდა მიეთითებინათ

დაკავების საფუძვლად.[274] კიდევ ერთი დაკავებული, ასევე ამბობს, რომ მისი საქმის მასალებში ის პოლიციელები არიან მითითებულნი, რომლებიც მისი დაკავების მომენტში ადგილზე საერთოდ არ ყოფილან.[275] კიდევ ერთი მოქალაქე იხსენებს, რომ თუ ვინ უნდა გაფორმებულიყო მის დამკავებლად, იზოლატორში გადაწყდა, სადაც, სავარაუდოდ, რანგით ზემდგომმა პირმა, ერთ-ერთ პოლიციელს უთხრა, რომ ის დამკავებლად, მეორე კი მოწმედ გაფორმდებოდა.[276] ამაზე საუბრობს კიდევ ერთი დაკავებული:

დაზარალებული, V21 (36 წლის ქალი): *„სპეცრაზმელებმა შემბოჭეს, თუმცა ამათ პოლიციელი უნდა გაეფორმებინათ დამკავებლად. რამდენიმე საათი ველოდე, რომ ვინმე მოსულიყო, ბოლოს კი ახალგაზრდა კაცი მოიყვანეს და გააფორმეს დამკავებლად".*[277]

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ამგვარი ტენდენცია შენარჩუნებული იყო არასრულწლოვანი დაკავებულების შემთხვევაშიც. ინტერვიუს ფარგლებში არასრულწლოვანები მიუთითებდნენ, რომ ისინი, მართალია, ნიღბიანმა პირებმა დააკავეს, თუმცა მათ დამკავებლად პოლიციელები გააფორმეს. ამ ტენდენციაზე მინიმუმ სამი დაზარალებული საუბრობდა.[278] ერთ-ერთი მათგანის (დაზარალებული V128) თქმით, საქმის მასალებში ჩაწერეს, რომ თითქოს პოლიციამ დაინახა მისი მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი და პოლიციამ თავად მიიღო მისი დაკავების გადაწყვეტილება. სინამდვილეში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ადგილი არ ჰქონია და ოქმის შემდგენი პოლიციელი არც კი შესწრებია მის დაკავებას.

დაზარალებული V7 (16 წლის არასრულწლოვანი): *„პოლიციის ფორმაში არავინ იყო, ყველა ნიღბიანი იყო. განყოფილებაში გაიგეს, რომ არასრულწლოვანი ვიყავი. არავის სჯეროდა, რომ 16 წლის ვიყავი. მანქანაში არ დამიჯერეს, გვატყუებო".*[279]

32 წლის მამაკაცი იხსენებს, რომ დაკავების შემდგომ, ის ვარკეთილში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან ახლოს, პოლიციის შუშებიან შენობაში გადაიყვანეს, სადაც შეიყვანეს დიდ საერთო სივრცეში, სადაც 20-მდე მაგიდა იდგა:

დაზარალებული V22 (32 წლის მამაკაცი): *„აქ ხდებოდა საქმეების გაყალბება. დაახლოებით ჩემი ასაკის „კაპიშონიანი" კაცი დადიოდა, [...] ყველაზე პატარა იყო ასაკით და ყველა მას ეკითხებოდა, როგორ შეევსოთ ელემენტარული ფორმები. ფაქტობრივად, ის კურირებდა ამ პროცესს. რადგან რეალურად დაკავებას არ შესწრებიან, ვერაფერს ვერ ავსებდნენ ისე, რომ ამ ადამიანისთვის არ ეკითხათ. ძირითადად, ერთმანეთისგან იწერდნენ. [...] ბოლოს, როცა ფურცლები დამიდეს, ვითომ არაფერი, წავიკითხე, რომ თურმე რუსთაველზე ვიდექი, ვიგინებოდი, ქვებს ვისროდი, ამას უყურებდა „დამკავებელი" და ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ დავეკავებინე. ამის წაკითხვის შემდეგ, დოკუმენტის კითხვა შევწყვიტე".*[280]

მოწმეთა მონათხრობს ადასტურებს შესწავლილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მასალებიც. როგორც წესი, როგორც ადმინისტრაციული დაკავების ოქმებში, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში, შაბლონურადაა მითითებული საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ხშირ შემთხვევაში, საუბარია აქციის ძალადობრივ ან კანონსაწინააღმდეგო ხასიათსა და მოქალაქის აგრესიულ ქცევაზე, რომელიც, დაშლის მოწოდების მიუხედავად, არ ტოვებდა საპროტესტო არეალს, რის გამოც სახეზე იყო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა. გარდა პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა, ხშირად მითითებულია, რომ მოქალაქე შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციის თანამშრომლებს და არ წყვეტდა სამართალდარღვევის ჩადენას და სწორედ ამის საფუძველზე დააკავეს იგი.

პოლიციის განყოფილებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში გამოიკვეთა არასათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდების სისტემური პრობლემა. ერთ-ერთი დაკავებული, რომელიც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მიიყვანეს, ამბობდა, რომ მას გულის მძიმე პრობლემა ჰქონდა და მოითხოვდა სამედიცინო დახმარებას, თუმცა უთხრეს, რომ იმწუთას დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი იყო და მოგვიანებით გაუწევდნენ დახმარებას, და თან, სთხოვდნენ ხელი მოეწერა დოკუმენტზე, სადაც ეწერა, რომ იგი უარს ამბობდა სამედიცინო დახმარებაზე.[281] სამედიცინო მომსახურების დაყოვნებაზე საუბრობს კიდევ ერთი დაკავებული, რომელიც კახეთის გზატკეცილზე არსებულ სამმართველოში ჰყავდათ გადაყვანილი და მძიმე დაზიანებების მიუხედავად, რამდენიმე საათით დააყოვნეს და მხოლოდ არაერთი თხოვნის შემდეგ შეძლო ექიმთან შეხვედრა, მოგვიანებით კი მისი

[274] დაზარალებული V5.
[275] დაზარალებული V6.
[276] დაზარალებული V17.
[277] დაზარალებული V21.
[278] დაზარალებული V80, დაზარალებული V7, დაზარალებული V6.
[279] დაზარალებული V7.
[280] დაზარალებული V22.
[281] დაზარალებული V6.

საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.[282] დაგვიანებულ სამედიცინო მომსახურებაზე საუბრობდა არაერთი გამოკითხული დაზარალებული,[283] რის გამოც, ეს საკითხიც სისტემურ გამოწვევად იკვეთება.

ადმინისტრაციულ დაკავებებთან მიმართებით გამოკვეთილი ბოლო სისტემური საპროცესო გამოწვევა დაკავების ვადის თვითნებური და დაუსაბუთებელი გაგრძელების პრაქტიკაა. ასკ-ის თანახმად, პირი დაკავებიდან არაუგვიანეს 24 საათისა უნდა გათავისუფლდეს, ან წარედგინოს სასამართლოს სამართალდარღვევის საქმის განსახილველად. ეს ვადა, შესაძლოა, მხოლოდ საგამონაკლისო წესით, არაუმეტეს 24 საათისა, ერთჯერადად გახანგრძლივდეს, რისი მიზანშეწონილობაც უნდა დაასაბუთოს უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისმა თანამშრომელმა.[284] დამუშავებული მონაცემების მიხედვით, ადმინისტრაციული დაკავების ვადები, უმეტეს შემთხვევაში აჭარბებდა 24 საათს. საპროტესტო აქციების დაწყების პირველი 72 საათის განმავლობაში, თითქმის ყველა დაკავებული პირის ადმინისტრაციული დაკავების 24 საათიანი ვადა, სათანადო დასაბუთების გარეშე გახანგრძლივდა დამატებით 24 საათით,[285] რაც უგულებელყოფს ადმინისტრაციული დაკავების ვადის გაგრძელების წესის საგამონაკლისო ბუნებას და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებათა სამართლით დადგენილ პრინციპებს.

4.1.7. უკანონო დაკავებები და სამართლიანი სასამართლოს უფლება

საპროტესტო გამოსვლების კონტექსტში დაკავებულ პირთა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სასამართლო პროცესები არსებითი გამოწვევების ფონზე მიმდინარეობს. ანგარიშზე მუშაობისას, შევისწავლეთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის რამდენიმე ათეული საქმე, საიდანაც გამოიკვეთა როგორც პროცედურული ხარვეზები, ისე სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის არსებითი შეზღუდვა. მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს არარსებობის პირობებში დემონსტრანტთა საქმეების განხილვამ რეპრესიული ხასიათი მიიღო, რაც გამოიხატა დაჩქარებულ და ღამის საათებში ჩატარებულ პროცესებში, დაცვის მხარისთვის არასაკმარისი დროისა და რესურსების გამოყოფაში, ასევე მტკიცებულებათა არასრულფასოვან გამოკვლევასა და შეფასებაში. სასამართლო გადაწყვეტილებები ვერ აკმაყოფილებდა დასაბუთების მინიმალურ სტანდარტს, ხშირად ეფუძნებოდა მხოლოდ სამართალდამცავთა ჩვენებებს, ეყრდნობოდა წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს და ხასიათდებოდა არასაკმარისი დასაბუთებით.

ანგარიშში სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებების დასაბუთებები შეფასებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე. შესწავლილმა დადგენილებებმა ცხადყო, რომ სასამართლოს არგუმენტაცია ატარებს ფორმალურ და შაბლონურ ხასიათს, რაც გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამართლებრივი სტანდარტების უგულებელყოფაზე მიუთითებს. სასამართლოს მიდგომა, რომელიც მიმართულია დემონსტრანტების წინააღმდეგ რეპრესიული ზომების გამოყენებისკენ, ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებრივ სტანდარტებს, რაც მართლმსაჯულების სისტემურ პრობლემებზე მიუთითებს.

i. დაკავებულ დემონსტრანტთა საპროცესო უფლებები და სამართლიანი სასამართლოს პროცედურული სტანდარტების დარღვევა

საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირთა სასამართლო პროცესები სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური პრინციპების არსებითი დარღვევით წარიმართა. განსაკუთრებით მძიმე დარღვევად იკვეთება დაჩქარებული წესით წარმართული მართლმსაჯულება, რამაც დემონსტრანტებს წაართვა სრულყოფილი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა. წინამდებარე თავი მიმოიხილავს იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც საქმეების განხილვის პროცესში გამოვლინდა, მათ შორის, დაკავებულთა უფლებების შეზღუდვა, არათანაბარი წვდომა მტკიცებულებებზე და პოლიციის ჩვენებების უპირობო გაზიარება.

a. დაჩქარებული მართლმსაჯულება და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა

საპროტესტო აქციებზე მასობრივად დაკავებულ პირთა საქმეები სასამართლოში ე.წ. „კონვეიერული“ პრინციპით განიხილებოდა - ზედაპირულად და დაჩქარებული წესით. ამ პროცესში სათანადოდ არ შეისწავლებოდა მტკიცებულებები, ხოლო დაცვის მხარეს არ ეძლეოდა არც საკმარისი დრო და არც სათანადო საშუალება პოზიციის მოსამზადებლად.

განსაკუთრებით პრობლემური იყო 2024 წლის 28-29 ნოემბერს დაკავებულ პირთა საქმეების განხილვა. სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა არასამუშაო საათებში, მათ შორის, ღამის საათებში, რაც ართულებდა

[282] დაზარალებული V19.
[283] დაზარალებულები V17; დაზარალებული V71.
[284] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები.
[285] საია, „არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი დახმარების ქსელის 2024 წლის 30 ნოემბრის განცხადება“, 30.11.2024; იხ. https://gyla.ge/post/30octombersdakavebulebi [11.02.2025].

დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებასა და პოზიციის სათანადოდ მომზადებას. დაკავებულებსა და მათ ადვოკატებს, რომლებიც მანამდე დროებითი მოთავსების იზოლატორში იმყოფებოდნენ, არ ჰქონდათ საქმის მასალების გაცნობის სათანადო შესაძლებლობა. ხშირ შემთხვევაში, ადვოკატსა და დაკავებულს შორის კომუნიკაცია მხოლოდ სასამართლო პროცესის დაწყების წინ იყო შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ძირითადად პოლიციის ჩვენებებს ეყრდნობოდა, სხვა ნეიტრალური მტკიცებულებების წარუდგენლად. სასამართლო იმთავითვე უშვებდა პრეზუმფციას, რომ პოლიციელები, პროფესიული ვალდებულებებიდან გამომდინარე, მიუკერძოებლად და ნეიტრალურად მოქმედებდნენ. შესაბამისად, მათ ჩვენებას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭებოდა მაშინაც კი, როდესაც პოლიციელთა ჩვენებები ურთიერთსაწინააღმდეგო იყო ან არსებობდა მათი უზუსტობის დამადასტურებელი ვიდეომტკიცებულებები.[286]

განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო სასამართლოს მიდგომა დაკავებისას დაშავებული პირების მიმართ. მოსამართლეები, როგორც წესი, არ აკმაყოფილებდნენ პროცესის გადადების შუამდგომლობებს მაშინაც კი, როდესაც დაკავებულებს აღენიშნებოდათ მძიმე დაზიანებები და ტრავმები სამართალდამცველების მხრიდან ფიზიკური ანგარიშსწორების შედეგად.[287] ზოგიერთ შემთხვევაში, პროცესი მხოლოდ მას შემდეგ გადაიდებოდა, რაც დაკავებული უშუალოდ სასამართლო დარბაზში ხდებოდა შეუძლოდ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების ე.წ. „კონვეიერული“ წესით განხილვა იმაზე მიუთითებს, რომ „ქართული ოცნება“ სასამართლოს იყენებდა რეპრესიულ მექანიზმად საპროტესტო აქციებზე დემონსტრანტთა რაოდენობის შესამცირებლად.

b. დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დარღვევა

სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს როგორც პროცედურულ გარანტიებს, ისე სასამართლოს მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპი მოითხოვს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს მკაფიო არგუმენტაციას.[288] დასაბუთებული გადაწყვეტილებები უზრუნველყოფს მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათი პოზიციები სათანადოდაა განხილული, რაც ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიმართ მიმღებლობას და იცავს დაცვის მხარის უფლებებს.

დემონსტრაციებზე დაკავებულ პირთა საქმეების ანალიზი სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს. მოსამართლეები იყენებენ შაბლონურ და ზედაპირულ მიდგომას, სადაც გადაწყვეტილებები პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია და თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებები სათანადოდ არ ფასდება.[289] მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება მითითებები საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, ეს ციტირებები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და კონკრეტული საქმის გარემოებებს რეალურად არ მიესადაგება. ხშირ შემთხვევაში, სასამართლო ევროპული სასამართლოს პრაქტიკას იყენებს ტენდენციურად, მხოლოდ იმ ნაწილში, რაც ამყარებს მის პოზიციას, მაშინ როცა პრეცედენტული საქმის მთლიანი კონტექსტი და ფაქტობრივი გარემოებები განსახილველ საქმეს საერთოდ არ შეესაბამება.

განსაკუთრებით პრობლემურია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებებში მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები განხილვის მიღმა რჩება. სასამართლო არ იკვლევს იმ დეტალებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალდარღვევის ფაქტის დასადასტურებლად ან უარსაყოფად. დაცვის მხარის მიერ წამოჭრილი არსებითი საკითხები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტს, ხშირად საერთოდ არ აისახება გადაწყვეტილებაში ან განიხილება ზედაპირულად. კერძოდ, დადგენილებები არ ეფუძნება სამხრე კამერების ჩანაწერებს და არ არის დასაბუთებული, თუ რატომ არ წარადგინეს ისინი სამართალდამცავებმა; გზის გადაკეტვის საქმეებში არ არის გამოკვლეული, როდის გადაიკეტა გზა, როდის მივიდა დემონსტრანტი

---

[286] შესწავლილ საქმეში გამოიკითხა 2 პოლიციელი, რომელთა ჩვენებები წინააღმდეგობრივი იყო, ერთი პოლიციელი ამბობდა, რომ დაკავებულს ეკეთა აირწინაღი და ნივთებს ისროდა, ხოლო მეორე პოლიციელი ამ ფაქტს უარყოფდა. აგრეთვე, პოლიციელები ამტკიცებდნენ, რომ დემონსტრანტი დააკავეს პარლამენტის წინ, როდესაც ვიდეოკადრებში ჩანს, რომ დაკავება მოხდა მეტრო „რუსთაველთან“, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სხდომის ოქმი, №4/8616-24, 1 დეკემბერი 2024.
საქმეში გამოკითხული პოლიციელი ამტკიცებდა, რომ მოქალაქე მან დააკავა, როდესაც ვიდეოკადრებში ჩანს, რომ დაკავება განახორციელა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელმა, ამასთანავე, პოლიციელის ჩვენება არაზუსტი იყო დაკავების ადგილთან დაკავშირებით. V104 ინტერვიუ, 26.

[287] დაკავებულს, რომელიც დაკავებისას სასტიკად სცემეს, აღენიშნებოდა შესივებები და სისხლდენა. სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას იგი პერიოდულად გონებას კარგავდა, თუმცა მოსამართლემ შუამდგომლობის მიუხედავად არ გადადო საქმის განხილვა. მოსამართლემ დაცვის მხარეს განუცხადა, რომ ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გამოიძახა სასწრაფო დახმარება, თუმცა მოგვიანებით ადვოკატმა გადამწმებისას დაადგინა, რომ სასწრაფო დახმარება არ გამოუძახებიათ, დაზარალებული V115.

[288] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Papon v. France.

[289] მაგალითად, მოსამართლეები ლელა ცაგარეიშვილი, ზვიად ცეკვავა და ნინო ენუქიძე დადგენილებში იყენებენ აბსოლუტურად იდენტურ აბზაცს ევროპული სასამართლოს სტანდარტზე მტკიცებულებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით, კერძოდ ორ საქმეს, იდენტური ციტატებითა და პარაგრაფებით. *(Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, §68; Bulychevy v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, §32).*
დადგენილებები: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 6 დეკემბრის №4/8742-24 დადგენილება, პარ. 7.1.; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 2 დეკემბრის №4/8638-24 დადგენილება პარ. 7.1.; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 5 დეკემბრის №4/8480-24 დადგენილება, პარ. 8.

ადგილზე და მონაწილეობდა თუ არა უშუალოდ იგი გზის გადაკეტვაში; არ არის გაანალიზებული, სიტყვიერი შეურაცხყოფის რა ნაწილია დაცული გამოხატვის თავისუფლებით და რა ექცევა წვრილმან ხულიგნობაში; ეს დეტალები კი გადამწყვეტი მნიშვნელობისაა სამართალდარღვევის ფაქტის დასადგენად.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია სასამართლოს მიდგომა იმ შემთხვევებში, როდესაც დაკავებული პირები მიუთითებენ მათ მიმართ ჩადენილ ძალადობაზე. მოსამართლეები ხშირად არ აძლევენ მათ ამ საკითხზე საუბრის შესაძლებლობას ან არ ასახავენ ამ ინფორმაციას დადგენილებებში.[290] მაშინ, როდესაც დაკავებულს აღენიშნება ძალადობის კვალი, მოსამართლემ განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა შეაფასოს პოლიციის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რადგან ასეთ დროს განსაკუთრებით საეჭვოა აღიარებითი ჩვენების ნებაყოფლობითობა.[291] ამასთანავე, ძალადობის მსხვერპლ სავარაუდო სამართალდამრღვევს, შესაძლოა, ჰქონდეს მტკიცებულებების წარმოდგენის ან გაქარწყლების შიში და არ დაიცვას თავი სრულფასოვნად, რაც არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

ამგვარი პრაქტიკა მიუთითებს სისტემურ პრობლემებზე: შაბლონური გადაწყვეტილებები და დასაბუთების მინიმალური სტანდარტების უგულებელყოფა ნათლად წარმოაჩენს, რომ სასამართლოს მთავარი მიზანი არა სავარაუდო სამართალდარღვევებზე რეაგირება, არამედ რეპრესიული მექანიზმების გამოყენებით სამოქალაქო აქტივისტებისა და საზოგადოების დასჯა იყო. ეს მიდგომა სასამართლოს სახელმწიფოს სადამსჯელო აპარატის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგენს და კიდევ ერთხელ მკაფიოდ წარმოაჩენს მოსამართლეთა არაკეთილსინდისიერებისა და მიუკერძოებლობის ფუნდამენტურ პრობლემებს.

c. სანქციების განსაზღვრის ხარვეზები და არათანმიმდევრული პრაქტიკა

დემონსტრანტების საქმეებზე სასამართლო დადგენილებების ანალიზი აჩვენებს მნიშვნელოვან ხარვეზებს პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეებს ჰქონდათ დისკრეცია, აერჩიათ სამართალდარღვევის ადეკვატური და პროპორციული სანქცია - ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა, ან გამოეყენებინათ სიტყვიერი შენიშვნა, სანქციების გამოყენების პრაქტიკა არათანმიმდევრული და არასათანადოდ დასაბუთებულია.

შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სხვადასხვა პერიოდში გამართული აქციების მონაწილეთა მიმართ გამოყენებულ სანქციებში. თუ გაზაფხულზე „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე სასამართლოები ძირითადად ჯარიმებს იყენებდნენ და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (არასრულწლოვანები, მძიმე ფიზიკური დაზიანებების მქონე პირები) მიმართავდნენ შენიშვნას, 28 ნოემბრის შემდგომი აქციების დროს არაპროპორციულად გაიზარდა სახდელის სახედ ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შემთხვევები. სასამართლო დადგენილებებში არ არის დასაბუთებული, რა ფაქტორებმა განაპირობა მიდგომის ეს მკვეთრი ცვლილება, მით უფრო, რომ საქმეთა ანალიზი არ ავლენს რაიმე არსებით განსხვავებას დემონსტრანტთა ქცევაში სხვადასხვა პერიოდის აქციებზე.

აღსანიშნავია, რომ გზის გადაკეტვისთვის დაწესებული ჯარიმა, რომელიც დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით 10-ჯერ, 5000 ლარამდე, გაიზარდა, ფინანსური რეპრესიის მიზნით გამოიყენება. მოსამართლეები ჯარიმის დაკისრებისას არ ითვალისწინებენ სავარაუდო სამართალდამრღვევის ფინანსურ მდგომარეობას და მათ აშკარა უუნარობას, გადაიხადონ დისპროპორციულად მაღალი ჯარიმა.

განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოს მიდგომა სამართალდარღვევის აღიარების საკითხთან მიმართებით. შენიშვნა უმეტესად გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც პირი აღიარებს სამართალდარღვევას და ამას შუამდგომლობს ოქმის შემდგენი ორგანო. ეს პრაქტიკა ორმხრივად პრობლემურია: ერთი მხრივ, იმ პირობებში, როდესაც დაკავებულთა უმრავლესობას აღენიშნება ფიზიკური ძალადობის კვალი, აღიარება, შესაძლოა, იძულების შედეგი იყოს; მეორე მხრივ, მოსამართლის მხრიდან აღიარების წახალისება იმ ვითარებაში, როდესაც სამართალდამცავ ორგანოს არ აქვს წარმოდგენილი მტკიცებულებათა სათანადო ერთობლიობა, ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს.

სანქციების დასაბუთება უმეტესად შაბლონური ხასიათისაა და შემოიფარგლება სტანდარტული სამართლებრივი ნორმების მითითებითა და ზოგადი მსჯელობით პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის შესახებ. განსაკუთრებით პრობლემურია, რომ სანქციის უმძიმესი ზომა - პატიმრობა გამოიყენება მისი აუცილებლობის დაუსაბუთებლად,[292] მათ შორის იმ პირების მიმართაც, რომლებსაც სხეულზე ფიზიკური ძალადობის მკვეთრი კვალი აღენიშნებათ.

ამგვარი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სანქციების დაკისრების პროცესი მოკლებულია ინდივიდუალურ მიდგომას და სათანადო დასაბუთებას, რაც მიუთითებს სასამართლოს არა მხოლოდ სისტემურ ხარვეზებზე, არამედ მის როლზე

---

[290] მოსამართლემ დაკავებულ დემონსტრანტს სხდომაზე არ მისცა საშუალება, ესაუბრა დაკავების დროს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე და უთხრა, რომ აღნიშნული საკითხი სცდებოდა განსახილველი საქმის ფარგლებს. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 1 დეკემბრის სხდომის ოქმი №4/8616-24. დაზარალებული V101.

[291] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Ibrahim v. United Kingdom, პარ. 254.

[292] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, Navalnyy v. Russia, პარ. 51.

პოლიტიკურად მოტივირებულ სადამსჯელო მექანიზმში. როდესაც სასამართლოში საქმეები დაჩქარებულად ტარდება, დაცვის მხარეს გონივრული დრო არ ეძლევა, მტკიცების სტანდარტი მიზანმიმართულად იკლებს, ხოლო სანქციები არაპროპორციულად მკაცრია – ეს ყველაფერი ერთიან სურათში ასახავს სასამართლოს როლს პროტესტის დათრგუნვის პროცესში და ნათლად მიუთითებს მისი მოქმედებების პოლიტიკურ ხასიათზე.

d. მტკიცების ტვირთის არასათანადო გადანაწილება და უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმის განხილვა არ უნდა დაიწყოს იმ წინასწარი დაშვებით, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა კონკრეტული სამართალდარღვევა. მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალდების მხარეს, ხოლო ნებისმიერი ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ.[293] თუმცა დემონსტრაციების დროს დაკავებულ პირთა საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლო ხშირად არღვევს ამ ფუნდამენტურ პრინციპს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეები სასამართლო აქტებში ხაზგასმით მიუთითებენ ფაქტების გამოკვლევის მაღალ სტანდარტზე, პრაქტიკაში ისინი ხშირად უგულებელყოფენ მათ მიერვე დადგენილ პრინციპებს. სასამართლო ადგენს, რომ მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ურთიერთშეპირისპირებისა და სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე,[294] მაგრამ რეალურად ეს პროცესი ხშირად ფორმალური ხასიათისაა.

განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოს მიდგომა მტკიცებულებათა შეფასებისას. დადგენილებები ძირითადად ეყრდნობა მხოლოდ ერთი წყაროდან - სამართალდამცავი ორგანოებიდან მომდინარე მტკიცებულებებს. სასამართლო ხშირად წარმოაჩენს პოლიციელთა ჩვენებებს როგორც ნეიტრალური მოწმეების მიერ მიცემულს, და უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ისინი სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლები არიან.

პოლიციელთა ჩვენებების სანდოობას კიდევ უფრო ამცირებს ის გარემოება, რომ ხშირად ჩვენებას იძლევა არა უშუალოდ დამკავებელი, არამედ სხვა პოლიციელი. ეს სისტემურ ხასიათს ატარებდა. დემონსტრანტებს, როგორც წესი, აკავებდნენ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც ნიღბებით იყვნენ და არ ჰქონდათ საიდენტიფიკაციო ნომრები. დემონსტრანტის დაკავებისა და სასტიკად ცემის შემდეგ, მათ გადააბარებდნენ პოლიციელებს. შემდგომში სწორედ ეს უკანასკნელნი წარდგებოდნენ სასამართლოზე, როგორც პირის დამკავებელი პოლიციელები და აძლევდნენ ცრუ ჩვენებას იმ საქმეზე, რომლის არათუ დამკავებლები, არამედ თვითმხილველებიც კი არ ყოფილან.[295] ამის შედეგად, მოწმე პოლიციელებს უჭირდათ დაკავების ზუსტი ადგილმდებარეობის მითითება და იმ კონკრეტული ქმედების დასახელება, რომლებშიც, სავარაუდოდ, გამოიხატა კანონსაწინააღმდეგო ქმედება.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ **შესწავლილ საქმეთაგან არცერთში არ ყოფილა წარმოდგენილი სამხრე კამერების ვიდეომასალა პოლიციელთა ჩვენებების დასადასტურებლად,**[296] მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით მარტივად შეიძლება ასეთი მტკიცებულებების მოპოვება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა საკუთარი ქმედების სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.[297]

სასამართლოს მიერ წარმოდგენილი ვიდეომტკიცებულებების შეფასებაც ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. ვიდეოჩანაწერები, როგორც წესი, მხოლოდ აქციის ზოგად მიმდინარეობას ასახავს და კონკრეტული სამართალდარღვევის ფაქტს არ ადასტურებს. მიუხედავად ამისა, მოსამართლეები თავიანთ დადგენილებებში მიუთითებენ, რომ „მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის, ვიდეოჩანაწერებით“ დასტურდება სამართალდარღვევის ჩადენა. ამავე დროს, დაცვის მხარის შუამდგომლობები შესაბამისი ვიდეომასალის საქმეზე დართვასთან დაკავშირებით ხშირად არ კმაყოფილდება.[298]

მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერების პრინციპიც მხოლოდ ფორმალურად სრულდება. სასამართლო ხშირად მიუთითებს ორი პოლიციელის, ან პოლიციელისა და ოქმის შემდგენი პირის იდენტური ჩვენებების თანხვედრაზე,

---

[293] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barberà, Messegué & Jabardo v. Spain, პარ. 77.

[294] მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 6 დეკემბრის №4/8742-24 დადგენილება, პარ. 7.1.

[295]მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 8 დეკემბრის №4/8920-24 სხდომის ოქმი. დაზარალებული V112.

[296] პოლიციელები ხშირად მიუთითებდნენ, რომ სამხრე კამერები დამჯდარი იყო, ჯიბეში ჰქონდათ რათა არ დაზიანებულიყო, ან საერთოდ არ თვლიდნენ საჭიროდ მათ გამოყენებას. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2924 წლის 5 დეკემბრის №4/8480-24 სხდომის ოქმი.

[297] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-106-107.

[298] ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ უარი თქვა მედიასაშუალებებიდან ამოღებული ვიდეო-მტკიცებულების დართვაზე, რადგან მიიჩნია, რომ ის მხოლოდ აქციის ზოგად კადრებს აჩვენებდა და არა კონკრეტულ სამართალდარღვევას. თუმცა, ვიდეოში ნათლად ჩანდა, როგორ მიდიოდა მშვიდად დემონსტრანტი, როდესაც მას მოულოდნელად განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 4-5 თანამშრომელი მივარდა და დააკავა. დაზარალებული V112.

თუმცა ეს არ არის მტკიცებულებათა რეალური შეჯერება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ პირებს ჰქონდათ პოზიციების წინასწარ შეთანხმების შესაძლებლობა.

განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლოს მიდგომა დაკავებული პირის ჩვენების შეფასებისას. სასამართლო ხშირად უგულებელყოფს ამ ჩვენებებს იმ მოტივით, რომ ისინი სხვა მტკიცებულებებით არ არის გამყარებული, მაშინ როდესაც იმავე სტანდარტს არ იყენებს პოლიციელთა ჩვენებების მიმართ**. ამგვარი მიდგომა ფაქტობრივად მტკიცების ტვირთის გადატანაა დაცვის მხარეზე, რაც ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.**

ეს პრაქტიკა ქმნის აბსურდულ მოთხოვნას - მშვიდობიანი დემონსტრანტები იძულებულნი არიან, უწყვეტად აწარმოონ საკუთარი თავის ვიდეოჩაწერა აქციაზე, რათა შეაგროვონ მტკიცებულებები თავიანთი უდანაშაულობის დასადასტურებლად. ნაცვლად ამისა, სასამართლომ ოქმის შემდგენ მხარეს უნდა მოსთხოვოს ნეიტრალური, ობიექტური მტკიცებულებების წარდგენა, როგორიცაა სამხრე კამერების ჩანაწერები ან სხვა აუდიო-ვიზუალური მასალა, რომელიც უშუალოდ ასახავს სავარაუდო სამართალდარღვევის ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ საპროტესტო აქციების დროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვისას, სასამართლო არღვევს მტკიცებულებების ჯეროვანი გამოკვლევის, ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების პრინციპს, რითაც ზიანს აყენებს უდანაშაულობის პრეზუმფციას და მიუთითებს სასამართლოს როლზე, სახელმწიფოს სადამსჯელო პოლიტიკის განხორციელებაში. ეს ტენდენცია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში არ ვლინდება, არამედ სამართლებრივი სისტემის იმ საერთო არქიტექტურის ნაწილია, რომელიც საპროტესტო მოძრაობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მოქმედებს.

4.1.8. ადმინისტრაციული სამართალწარმოება როგორც შეკრების თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი მექანიზმი

საპროტესტო ტალღის დროს ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ შეკრებისა და გამოხატვის უფლება საქართველოში სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი აჩვენებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეული მუხლები, პოლიტიკური ოპონენტებისა და სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ რეპრესიული მექანიზმის სახით, სადამსჯელო ინსტრუმენტად გამოიყენება. ეს თავი აანალიზებს, თუ როგორ იზღუდება შეკრების თავისუფლება სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით და რა გავლენას ახდენს ეს პრაქტიკა ქვეყანაში ზოგადად უფლებრივ მდგომარეობაზე.

i. წვრილმანი ხულიგნობა და გამოხატვის თავისუფლება საპროტესტო აქციებზე

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობის გამოყენება საპროტესტო აქციებზე მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს წარმოშობს გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით. ნორმის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა მოიცავს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა მსგავს ქმედებებს, რომლებიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს. თუმცა, ამ ნორმის გამოყენება საპროტესტო აქციების კონტექსტში ხშირად წინააღმდეგობაში მოდის გამოხატვის თავისუფლებასთან და მისი შეზღუდვის დასაშვებ სამართლებრივ საფუძვლებთან.

როგორც აღინიშნა, დემონსტრანტთა საქმეებში ნეიტრალური მტკიცებულებები პრაქტიკულად არ არსებობს და პასუხისმგებლობის დაკისრება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს ეფუძნება. შესაბამისად, ქვემოთ მოცემული მსჯელობა მიემართება არა ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, არამედ განიხილავს, თუ როგორი სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს ლანძღვა-გინებასა და უხამს გამოხატვას, თუნდაც პოლიციელთა ჩვენებებში აღწერილი მოცემულობის ფარგლებში.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ დემონსტრანტების წინააღმდეგ უმეტესად გამოიყენება „უმისამართო ლანძღვა-გინების“ ბრალდება. ეს ბრალდება, როგორც წესი, მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებებს ეფუძნება და არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. საქმეების განხილვისას კი ხშირად დგინდება, რომ სავარაუდო გინება მიმართული იყო კონკრეტული ადრესატებისკენ, ძირითადად ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ, რაც თავისთავად გამორიცხავს მის უმისამართო ხასიათს. აქციის შინაარსიდან, ზოგადი სულისკვეთებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ გინება, როგორც პროტესტის გამოხატვის უკიდურესად მწვავე ფორმა, ვერ იქნებოდა უმისამართო და ადრესატს მოკლებული.

მნიშვნელოვანი პრობლემაა ის, რომ წვრილმანი ხულიგნობის შეფასებისას სასამართლო არ ითვალისწინებს საპროტესტო აქციის კონტექსტსა და გამოხატვის სპეციფიკურ ფორმას. საპროტესტო აქცია, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, თავისი არსით მოიცავს გარკვეულ ელემენტებს, რომლებიც სცდება ყოველდღიური საზოგადოებრივი წესრიგის ჩარჩოებს.[299] ეს შეიძლება იყოს ხმაური, დროებითი

[299] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Makarashvili & Others v. Georgia, პარ. 85.

შეფერხებები საგზაო მოძრაობაში, ან გარკვეული დისკომფორტი მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისთვის. ასეთ დროს, ჩვეული საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დროებითი შეზღუდვა სამართალდარღვევა კი არა, დემოკრატიული პროცესის ლეგიტიმური გამოვლინებაა.

საჯარო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირების მიმართ გამოთქმული მწვავე კრიტიკა, მათ შორის, უხეში ფორმით, განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს, როდესაც ის უკავშირდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა არჩევნების გაყალბება თუ ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის საფრთხეში ჩაგდება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, „მისაღები კრიტიკის საზღვრები" ბევრად ფართოა საზოგადოებრივი სტატუსის მქონე პირებთან მიმართებით.[300]

ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა, რომელიც ვრცელდება არა მხოლოდ ისეთ ინფორმაციასა და იდეებზე, რომლებიც დადებითად მიიღება, ან აღიქმება, როგორც უვნებელი ან ნაკლებ საყურადღებო, არამედ ისეთებზეც, რომლებიც შეურაცხყოფენ, შოკს ჰგვრიან ან აწუხებენ ცალკეულ პირებს ან საზოგადოებას.[301] აგრეთვე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრების თავისუფლება) დარღვევა, როდესაც დემონსტრანტები დააკავეს და დააჯარიმეს საპროტესტო აქციაზე უხამსი ლოზუნგების გამოყენების გამო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ განცხადების ვულგარული ფორმა არ უნდა გახდეს მისი შინაარსისა და მიზნის უგულებელყოფის საფუძველი, რადგან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს კონტექსტსა და ნათქვამის საჯარო ინტერესს.[302]

ასევე პრობლემურია, რომ სასამართლოები არ ახდენენ სხვადასხვა შინაარსის გამონათქვამების დიფერენცირებას. მაგალითად, ისეთი ეპითეტები, როგორიცაა „რუსებო", „მონებო", განიხილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად, მაშინ როდესაც ისინი კრიტიკული გამოხატვის ფორმებია და დაცულნი არიან გამოხატვის თავისუფლებით.

სერიოზული გამოწვევაა სასამართლოების მიდგომა პოლიციის მიმართ გამოთქმულ კრიტიკასთან დაკავშირებით. საპროტესტო აქციებზე პოლიცია ხშირად არის კრიტიკის მეორეული ადრესატი, როდესაც მოქალაქეთა უკმაყოფილება პირველ რიგში მიმართულია უფლების შემზღუდველი აქტის წინააღმდეგ. როდესაც სამართალდამცავი უწყებები დემონსტრაციებზე არაკანონიერად ზღუდავენ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას, პოლიციის მიმართ წარმოშობილი ლოგიკური უკმაყოფილება და კრიტიკა სწორედ ამ კონტექსტში უნდა განიხილებოდეს.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, დემონსტრაციის დროს პოლიციის მიმართ გამოთქმული მწვავე კრიტიკა, მათ შორის, შეურაცხმყოფელი ფორმით, შესაძლოა, მაინც ექცეოდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვის ფარგლებში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, სახელმწიფოს აქვს უფლება, დაიცვას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი გადამეტებული და დაუსაბუთებელი შეურაცხყოფისგან, თუმცა, ეს დაცვა უნდა იყოს პროპორციული და არ უნდა ზღუდავდეს გამოხატვის თავისუფლებას არაპროპორციულად.[303]

სასამართლოების მიერ წვრილმანი ხულიგნობის ნორმის სისტემატური გამოყენება საპროტესტო აქციებზე, მიუთითებს, რომ ისინი ვერ აფასებენ საპროტესტო აქციის სპეციფიკურ ბუნებასა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ნორმა, რომელიც შეიქმნა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად მოულოდნელი და გაუმართლებელი აგრესიისგან, გადაიქცა სადამსჯელო ინსტრუმენტად იმ მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც ხელისუფლების მიმართ მწვავე კრიტიკას, მათ შორის, შეურაცხმყოფელი ფორმით, გამოხატავენ, რაც არღვევს გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებს.

ii. სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის. საპროტესტო აქციების დროს დაკავებული დემონსტრანტების მიმართ გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები ამ მუხლის პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 173-ე მუხლის დისპოზიცია საკმაოდ ფართოა და მოითხოვს დაკონკრეტებას, თუ რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს სამართალდამცველის კანონიერ მოთხოვნას. იმისთვის, რათა პირი დაემორჩილოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მოთხოვნას, უპირველესად უნდა აღიქმებოდეს ამ პირის უფლებამოსილება.

საყურადღებოა საპროტესტო აქციებზე გამოვლენილი ტენდენცია, როდესაც შემზღუდველ ბრძანებებს გასცემდნენ პირები, რომლებსაც არ ეცვათ პოლიციის/სამართალდამცავის ფორმა. ეს პირები უმეტესად ატარებდნენ მუქ ლურჯ ტანისამოსს პოლიციის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოების გარეშე, თუმცა ასრულებდნენ სამართალდამცავის

[300] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Palomo Sánchez v. Spain, პარ. 71.
[301]ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება Handyside v. United Kingdom, პარ. 49.
[302] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება Feradze and Others v. Georgia, პარ. 41–47.
[303] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება Gaspari v. Armenia (No. 2), პარ. 29–33.

ფუნქციებს. ეს კანონმდებლობის მკაფიო დარღვევაა, რადგან მოქალაქისთვის ყოველთვის ნათლად აღსაქმელი უნდა იყოს, რომ ის ურთიერთობს ოფიციალურ სამართალდამცავთან.[304]

მნიშვნელოვანი გამოწვევაა გაცემული მოთხოვნების აღქმადობის საკითხი არსებული გარემოს გათვალისწინებით. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მათთვის გასაგებ ენაზე არ მიუმართავთ მოთხოვნებით.[305] ასევე, არ ყოფილა გათვალისწინებული შშმ პირის, კონკრეტულად კი, სმენადაქვეითებული პირის სპეციალური საჭიროებები, რომლის მიმართ გამოყენებულ იქნა იძულების ღონისძიებები, მიუხედავად იმისა, რომ მას ფიზიკურად არ შეეძლო პოლიციის მოთხოვნის გაგება.

განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი თავად გაცემული მოთხოვნის/განკარგულების შინაარსობრივი მხარის შესახებ. კერძოდ, მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ჰქონდა მოთხოვნის გამცემ პირს კანონით მინიჭებული ამგვარი მოთხოვნის გაცემის უფლებამოსილება და გაცემული მოთხოვნის შესრულება ხომ არ იწვევდა რომელიმე ძირითადი უფლებით ან თავისუფლებით სარგებლობაში არაპროპორციულ ჩარევას.

დემონსტრაციების დროს გამოიკვეთა სამართალდამცავი ორგანოების სისტემური ტაქტიკა, როდესაც აქციის დაშლის მიზნით, მთლიანად შეკრება ცხადდებოდა კანონგარეშედ ლოკალური დარღვევების საფუძველზე. ეს მიდგომა შეკრების თავისუფლებაში არაპროპორციული ჩარევის საფრთხეს წარმოშობს. დემოკრატიულ საზოგადოებაში აქციის დროს წარმოქმნილი სამართალდარღვევები მხოლოდ ლოკალურად უნდა აღიკვეთოს, უშუალოდ გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ.

ცალკე განხილვას საჭიროებს სასამართლოს მიდგომა, რომელიც არასათანადოდ აფასებს სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნის კანონიერებას. დადგენილებებში, სასამართლო, როგორც წესი, უპირობოდ იღებს ფაქტს, რომ პოლიციამ მოითხოვა გარკვეული ქმედების შეწყვეტა ან ტერიტორიის დატოვება, თუმცა არ აფასებს რამდენად წარმოეშვა პოლიციას ამ მოთხოვნის გაკეთების უფლებამოსილება და რამდენად მართებულად განსაზღვრა მან გამოხატვის/შეკრების თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა კონკრეტულ მომენტში.

ზემოაღნიშნული მიგნებები ცხადყოფს, რომ 173-ე მუხლის გამოყენება მნიშვნელოვნად სცდება კანონის მიზნებს. გამოვლენილი სისტემური ხარვეზები, როგორც პოლიციის მოთხოვნების კანონიერების შეფასების, ისე მათი აღსრულების პროცესში, მიზნად ისახავს საპროტესტო ტალღის ჩახშობას. სამართალდამცავი ორგანოები მიზანმიმართულად ახდენენ კანონის იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც დემონსტრანტების წინააღმდეგ არარსებული სამართალდარღვევის საფუძველზე სამართლებრივი დევნის განხორციელების შესაძლებლობას იძლევა; სასამართლოს მხრიდან ამგვარი განმარტებების უპირობო გაზიარება კი მას დემონსტრანტთა მიმართ განხორციელებული სამართლებრივი რეპრესიების თანამონაწილედ აქცევს.

iii. გზის გადაკეტვა და შეკრების თავისუფლება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლი, რომელიც შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, დემონსტრაციების დროს ძირითადად სპონტანურად გზის გადაკეტვასთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოიყენება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის №3/3/1635 გადაწყვეტილებამდე, შესაბამისი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე გზის სავალი ნაწილის გადაკეტვა შეკრებით სარგებლობის ფორმალურ მხარეს უკანონოდ აქცევდა, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა სპონტანურ შეკრებას დამოუკიდებლად არ არეგულირებდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ საზოგადოების ნაწილის უფლებების დაცვა იმ ზიანისაგან, რომელიც შეიძლება განიცადონ გარკვეული დროის განმავლობაში ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებით, ვერ გადაწონის შეკრების და მანიფესტაციის მონაწილეთა უფლებას, ეფექტიანად ისარგებლონ კონსტიტუციით დაცული თავისუფლებით.[306] თუმცა, მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით დაწესდა ახალი შეზღუდვა - სპონტანური აქციის ორგანიზატორებს დაეკისრათ ვალდებულება შეკრებისთანავე აცნობონ მუნიციპალიტეტს გზის გადაკეტვის შესახებ.[307] ეს მოთხოვნა განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, როდესაც ბოლო პერიოდის საპროტესტო აქციები მიმდინარეობს თვითორგანიზების პრინციპით, ფორმალური ორგანიზატორის გარეშე, და მოქალაქეები ყოველდღიურად იკრიბებიან ევროინტეგრაციის შეჩერებისა და რეპრესიული ღონისძიებების გასაპროტესტებლად.

ანალოგიური მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც ადგენს, რომ სპონტანური შეკრების გამართვის საჭიროებას შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა წინასწარი შეტყობინების ვალდებულებასთან

[304] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

[305] თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 12 დეკემბრის №4/9108-24 სხდომის ოქმი. დაზარალებული V107.

[306] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-41

[307] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1[1] პუნქტი.

შედარებით, თუკი კონკრეტულ საკითხზე საზოგადოების მიერ მყისიერი პოზიციის გამოხატვა აუცილებელია და დაყოვნებამ შეიძლება აზრი დაუკარგოს შეკრების უფლებით სარგებლობას.[308]

სამართალდარღვევათა განხილვისას გამოვლინდა, რომ პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ არა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ გზის გადაკეტვის პროცესში, არამედ მათაც, ვინც უკვე გადაკეტილ გზაზე შეუერთდა საპროტესტო აქციას. როდესაც ამგვარი ჯარიმები მასობრივ ხასიათს იღებს, ეს ფაქტობრივად საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის სანქციის დაწესებას უტოლდება. სამართალდამცავი ორგანოების არგუმენტი, რომ ტროტუარზე საკმარისი სივრცე იყო პროტესტისთვის, მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. გზის გადაკეტვის ფაქტის შეფასებისას მთავარია არა ის, ჰქონდა თუ არა ცალკეულ დემონსტრანტს ტროტუარზე დგომის შესაძლებლობა, არამედ ის, შესაძლებელი იყო თუ არა მთლიანი საპროტესტო აქციის მონაწილეთა განთავსება ტროტუარზე. ამასთანავე, სიმჭიდროვის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დემონსტრანტთა უსაფრთხოებისა და თავისუფალი გადაადგილების აუცილებელი მოთხოვნები, რაც კიდევ უფრო მეტ სივრცეს საჭიროებს.

სასამართლო პროცესებზე წარმოდგენილი ვიდეომტკიცებულებები ხშირად მანიპულაციური ხასიათისაა. შსს ძირითადად წარმოადგენს აქციის დასაწყისის კადრებს, როდესაც დემონსტრანტთა რაოდენობა მცირეა, რითაც ცდილობს დაასაბუთოს, რომ გზის გადაკეტვის საჭიროება საერთოდ არ არსებობდა. განსაკუთრებით პრობლემურია პრაქტიკა, როდესაც დემონსტრანტი, რომელიც კადრებში ხმის გამაძლიერებლითაა აღბეჭდილი, მიიჩნეოდა აქციის ორგანიზატორად და 5000 ლარით (წინა რედაქციის შესაბამისად) ჯარიმდებოდა.

სპონტანური შეკრებების დროს გზის გადაკეტვისთვის დემონსტრანტთა დაჯარიმების არსებული პრაქტიკა, მაღალი ოდენობის ფინანსური სანქციების, არასწორი ადმინისტრაციული პრაქტიკისა და მართული სასამართლოს პირობებში, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების მძიმე დარღვევაა. ამ პირობებში, დაჯარიმება ფაქტობრივად უტოლდება საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის დაკისრებულ სანქციას, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს საზოგადოების მყისიერი რეაგირების შესაძლებლობას აქტუალურ მოვლენებზე და ქმნის მძლავრ შემაკავებელ ეფექტს მოქალაქეების მიერ მშვიდობიანი პროტესტის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისთვის.

4.2. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება

რეპრესიების ერთ-ერთ სახედ გვევლინება დემონსტრანტების წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების გამოყენება. სასამართლოში აქტიურად განიხილება/განიხილებოდა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელიც უკავშირდება 2024-2025 წლის ნოემბერ-თებერვლის აქციებსა და 2024 წლის აპრილი-მაისის აქციების დროს დაკავებულ აქტივისტებს.[309] **მათი ბრალდებები, მათ მიმართ გატარებული ღონისძიებები და მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა მიანიშნებს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მხრიდან განსხვავებული აზრისა და პოზიციის მქონე ადამიანების მიმართ პოლიტიკურ დევნაზე, რაც საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობის მიზანს ემსახურება.**

4.2.1. 2024 წლის ნოემბერი-დეკემბრის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
1. მათე დევიძე	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **დავით კურტანიძემ** განიხილა მათე დევიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა.	**პატიმრობა**

[308] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Éva Molnár v. Hungary, პარ. 37–38.
[309] საია, „აქციების კონტექსტში სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირების საქმეები“, 09.01.2024; იხ. https://gyla.ge/post/aqciebis-konteqtshi-siskhlis-samartlis-wesit-dakavebulebi [11.02.2025].

		მოსამართლე **ნინო გალუსტაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	
2. ანატოლი გიგაური	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა ანატოლი გიგაურის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ჯვებე ნაჭყებია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
3. გიორგი მინდაძე	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **თეონა ეპიტაშვილმა** განიხილა გიორგი მინდაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნინო გალუსტაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
4. არჩილ მუსელიანცი	**187.2.ა.** ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საშიში საშუალებით	მოსამართლე **ნანა შამათავამ** განიხილა არჩილ მუსელიანცის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლელა კალიჩენკომ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **გიორგი არევაძე** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
5. დავით ლომიძე **6. თემურ ზასოხაშვილი**	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე,	მოსამართლე **ნანა შამათავამ** განიხილა დავით ლომიძის და თემურ ზასოხაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა.	**პატიმრობა**

	ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნინო გალუსტაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	
7. ანტონ ჩეჩინი	**260.6.ა.** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით	მოსამართლე **ირაკლი ხუსკივაძემ** განიხილა ანტონ ჩეჩინის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ჯვებე ნაჭყებია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
8. ანზორ კვარაცხელია	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა ანზორ კვარაცხელიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ჯვებე ნაჭყებია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
9. საბა ჯიქია	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა საბა ჯიქიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
10. დავით ხომერიკი	**18 – 229** აფეთქების მომზადება	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა დავით ხომერიკის მიმართ აღკვეთის	**პატიმრობა**

		ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნინო გალუსტაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	
11. ნიკოლოზ ჯავახიშვილი **12. თორნიკე გოშაძე** **13. ირაკლი მიმინოშვილი** **14. ზვიად ცეცხლაძე** **15. ვეფხვო კასრაძე** **16. ვასილ კაძელაშვილი** **17. გიორგი გორგაძე** **18. ინსაფ ალიევი**	**225** ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა	მოსამართლე **ირაკლი ხუსკივაძემ** განიხილა ამ პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. საქმე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე განაწილებული იყო მოსამართლე **ნინო თარაშვილზე**, თუმცა სასამართლო პროცესის წინა დღეს გადაეწერა მოსამართლე **დავით მგელიაშვილს.** მან ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. საქმე გადავიდა არსებითი განხილვის ეტაპზე.	**პატიმრობა**
19. საბა სხვიტარიძე	**353 პრიმა.2.** პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფა პოლიციელის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა საბა სხვიტარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ჯვებე ნაჭყებია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**

20. ლაშა ჩხაიძე	**187.1** ნივთის დაზიანება ან განადგურება	მოსამართლე **ეკა ბარბაქაძემ** განიხილა საბა სხვიტარიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლელა კალიჩენკომ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **დავით ნარიმანაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
21. ანდრო ჭიჭინაძე **22. ონისე ცხადაძე** **23. გურამ მირცხულავა** **24. ჯანო არჩაია** **25. ლუკა ჯაბუა** **26. რუსლან სივაკოვი** **27. რევაზ კიკნაძე** **28. გიორგი ტერაშვილი** **29. ვალერი თეთრაშვილი** **30. სერგეი კუხარჩუკი** **31. ირაკლი ქერაშვილი**	**225.2.** ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** განიხილა ამ პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. საქმე წინასასამართლო სხდომის ეტაპზე განაწილებული იყო მოსამართლე **ნინო თარაშვილზე**, თუმცა სასამართლო პროცესის წინა დღეს გადაეწერა მოსამართლე **ირაკლი შვანგირაძეს.** მან ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. საქმე გადავიდა არსებითი განხილვის ეტაპზე.	**პატიმრობა**
32. გიორგი ახობაძე	**260.6.ა.** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით	მოსამართლე **ლელა მარიდაშვილმა** განიხილა გიორგი ახობაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**

33. თევდორე აბრამოვი	**260.6.ა.** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით	მოსამართლე **ირაკლი ხუსკივაძემ** განიხილა თევდორე აბრამოვის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლელა კალიჩენკომ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
34. ნიკოლოზ კაცია	**260.6.ა.** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** განიხილა ნიკოლოზ კაციას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
35. დანიელ მუმლაძე **36. გურამ ხუტაშვილი**	**187.2.გ** ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად	მოსამართლეებმა - **თეონა ეპიტაშვილმა** და **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილეს დანიელ მუმლაძისა და გურამ ხუტაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლელა კალიჩენკომ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ლილი მსხილაძე** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**
37. ანასტასია ზინოვკინა **38. არტემ გრიბული**	**260.6.ა** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა,	მოსამართლე **ნანა შამათავამ** განიხილა ანასტასია ზინოვკინასა და არტემ გრიბულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლელა კალიჩენკომ** განიხილა წინასასამართლო	**პატიმრობა**

	განსაკუთრებით დიდი ოდენობით	სხდომა და ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნინო გალუსტაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	
39. მზია ამაღლობელი	**353 პრიმა. 1**. პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენელსა ან საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმა	მოსამართლე **ნინო სახელაშვილმა** განიხილა მზია ამაღლობელის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ვიქტორ მეტრეველმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნინო სახელაშვილი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**პატიმრობა**

4.2.2. 2025 წლის თებერვლის აქციების კონტექსტში დაკავებული პირების შესახებ ინფორმაცია

ბრალდებული	**ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით**	**მოსამართლე**	**სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე**
40. გიორგი უგულავა **41. ირაკლი წიგნაძე** **42. ირაკლი ტაბატაძე** **43. დიმიტრი ბიძინაშვილი** **44. ალექსანდრე გოგოლაძე** **45. ნიკოლოზ ქუმსიაშვილი** **46. ვასილ ელიავა** **47. ნიკოლოზ კუტუბიძე**	**19 – 222** სტრატეგიული ობიექტის ბლოკირების მცდელობა	მოსამართლე **დავით კურტანიძემ** განიხილა და დააკმაყოფილა ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შუამდგომლობა. საქმე წინასასამართლო სხდომის ეტაპზეა.	**გირაო 5000 ლარის ოდენობით (N40-N44)** **გირაო 4000 ლარის ოდენობით (N45)** **გირაო 3500 ლარის ოდენობით (N46-N47)**

4.2.3. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც ბრალდებული პირების მიმართ პირველი წარდგენის სხდომაზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შეიცვალა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით

ბრალდებული	ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით	მოსამართლე	სასამართლოს მიერ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე
48. მ.გ. (არასრულწლოვანი)	**187.2.ა.** ნივთის დაზიანება ან განადგურება ცეცხლის წაკიდებით, აფეთქებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა და დააკმაყოფილა. მოსამართლე **ეკა ბარბაქაძემ** აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, შეცვალა მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემით. მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძე** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს. სასამართლო სხდომა დახურულია.	**მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა**
49. ალექსანდრე ელისაშვილი	**156.2.ა.** ადამიანის დევნა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით	მოსამართლე **თამარ მჭედლიშვილმა** სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე ალექსანდრე ელისაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოიყენა პატიმრობა, რომელიც პირველი წარდგენის სხდომიდან 10 დღის გასვლის შემდეგ, პროკურატურის შუამდგომლობით, შეცვალა მოსამართლე **ლევან გელოვანმა**. მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა. მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლია** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	**გირაო 4000 ლარის ოდენობით**
50. მამუკა ჯორბენაძე **51. გურამ მიქელაძე** **52. დავით გვიანიძე** **53. გიორგი დავითაძე** **54. ანრი კაკაბაძე**	**126. 1 პრიმა. „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები** ძალადობა ჯგუფურად ორი ან მეტი პირის მიმართ	მოსამართლე **ლევან ყოლბაიამ** განიხილა ამ პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლევან ყოლბაიამ** განიხილა წინასასამართლო სხდომა, რომელზეც დაცვის მხარემ დააყენა აღკვეთის ღონისძიების	**ანრი კაკაბაძე - პატიმრობა** **მამუკა ჯორბენაძე, გურამ მიქელაძე, დავით გვიანიძე, გიორგი დავითაძე - გირაო 5000 ლარის ოდენობით**

		სახის შეცვლის შუამდგომლობა. პროკურატურა ნაწილობრივ დაეთანხმა დაცვის მხარეს, პატიმრობა შეცვლილიყო გირაოთი, გარდა ანრი კაკაბაძისა, რადგან ის სხვა სისხლის სამართლის საქმეშიც იყო ბრალდებული. მოსამართლე **ვიქტორ მეტრეველი** სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს.	

4.2.4. სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი

მსჯავრდებული	**ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით**	**მოსამართლე**	**გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა**
55. გიორგი კუჭუაშვილი **56. დავით კოლდარი**	**353 პრიმა.1.** პოლიციელზე, თავდასხმა (N55) **187.1.** ნივთის დაზიანება ან განადგურება (N56)	მოსამართლე **დავით კურტანიძემ** განიხილა გიორგი კუჭუაშვილისა და დავით კოლდარის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **გიორგი ბუხრაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლიამ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**გიორგი კუჭუაშვილი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით** **დავით კოლდარი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 3 თვის ვადით**
57. გიორგი ოკმელაშვილი	**353 პრიმა.1**. პოლიციელზე თავდასხმა **260** ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება	მოსამართლე **გიზო უბილავამ** განიხილა გიორგი ოკმელაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **დავით მგელიაშვილმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **გიორგი გელაშვილმა** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.**

58. ფრიდონ ბუბუტეიშვილი	**187.1.** ნივთის დაზიანება ან განადგურება **353 პრიმა.1.** პოლიციელზე, თავდასხმა	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა ფრიდონ ბუბუტეიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ზვიად შარაძემ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.**
59. ომარ ოკრიბელაშვილი **60. საბა მეფარიშვილი**	**187.2.გ.** ნივთის დაზიანება ან განადგურება ჯგუფურად	მოსამართლე **დავით კურტანიძემ** განიხილა ომარ ოკრიბელაშვილისა და საბა მეფარიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებულები პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნათია გუდაძემ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 6 თვით. აქედან 1 წელი პირობითი მსჯავრი (საპროცესო შეთანხმება)**
61. ირაკლი მეღვინეთუხუცესი	**353 პრიმა.1.** პოლიციელზე თავდასხმა	მოსამართლე **ალექსანდრე იაშვილმა** განიხილა ირაკლი მეღვინეთუხუცესის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ლევან გელოვანმა** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ზვიად შარაძემ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით, იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვით.**
62. გიორგი შანიძე	**187.1.** ნივთის დაზიანება ან განადგურება **265.2.** ნარკოტიკული საშუალების	მოსამართლე **ნინო თარაშვილმა** განიხილა გიორგი შანიძის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **გიორგი გელაშვილმა** განიხილა	**თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით (პრეზიდენტმა შეიწყალა)**

	შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება	წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **მიხეილ ჯინჯოლიამ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	
63. ანდრეი რაუტბერგი	**187.1** ნივთის დაზიანება ან განადგურება	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა ანდრეი რაუტბერგის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა და ბრალდებული პატიმრობაში დატოვა. მოსამართლე **ნათია გუდაძემ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით**
64. ვაჟა დურგლიშვილი	**187.1** ნივთის დაზიანება ან განადგურება	მოსამართლე **არსენ კალატოზიშვილმა** განიხილა ვაჟა დურგლიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობა. მოსამართლე **ნატო ხუჯაძემ** განიხილა წინასასამართლო სხდომა. მოსამართლე **ლილი მსხილაძემ** სისხლის სამართლის საქმე არსებითად განიხილა.	**პირობითი მსჯავრი**

4.2.5. უმეტესად ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის - პატიმრობის უაპელაციო გამოყენება

რუსული კანონის პროტესტის დროს დაკავებულთა და 2024 წლის ნოემბერ-თებერვალში აქციებთან დაკავშირებულ **სისხლის სამართლის ყველა საქმეზე, გარდა ბრალდებულის სახით წარდგენილი 8 პირისა**, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლები, **შუამდგომლობდნენ** აღკვეთის ღონისძიების სახით **პატიმრობის გამოყენებას.** დანარჩენი რვა პირის მიმართ პროკურატურა გირაოს გამოყენებას ითხოვდა. საიას ინფორმაციით, **ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის ყველა შუამდგომლობა და 64 ბრალდებულიდან 56-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა,** ბრალდებულების ისეთი გარემოებების გაუთვალისწინებლად, როგორებიცაა: ბრალდებულთა ინდივიდუალური მახასიათებლები, მათი პიროვნება, საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. ამასთანავე, დაკავებულთა შორის იყვნენ 21 წლამდე პირები, სტუდენტები და სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან ადამიანები. ზოგიერთი იყო ერთადერთი მარჩენალი ან მომვლელი ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ოჯახის წევრისა. უმრავლესობა მათგანი არ ყოფილა წარსულში ნასამართლევი, ან/და ასევე არ ჰქონია ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ბრალდების მხარის დასაბუთება პატიმრობის გამოყენების შესახებ ეყრდნობოდა განზოგადებულ რისკებს, როგორიცაა მიმალვის საფრთხე, მტკიცებულებების განადგურება ან ახალი დანაშაულის ჩადენა.

მხოლოდ ორ საგამონაკლისო შემთხვევაში, მოგვიანებით თავად პროკურატურამ იშუამდგომლა პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლა, ერთი შეეხებოდა პოლიტიკოსს - ალეკო ელისაშვილს და მეორე დაკავებულ არასრულწლოვან აქტივისტს. პატიმრობა პირველ შემთხვევაში **გირაოთი,** არასრულწლოვანის შემთხვევაში კი - **მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემით შეიცვალა.**

წინასასამართლო სხდომაზე დაცვის მხარის შუამდგომლობის შედეგად შეცვალა ბათუმის საქალაქო სასამართლომ **ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დეკანისა** (მამუკა ჯორბენაძისა) **და სამი სტუდენტის** (გურამ მიქელაძის, დავით გვიანიძის და გიორგი დავითაძის[310] მიმართ გამოყენებული პატიმრობა - 5000-5000 ლარიანი გირაოთი, ხოლო მეოთხე სტუდენტი ანრი კაკაბაძე სასამართლომ პატიმრობაში დატოვა.[311] ამ საქმეზე თავად დაზარალებულად ცნობილმა პირებმა მიმართეს პროკურატურას თხოვნით ბრალდებულთათვის არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენების თაობაზე, საქმეზე აღარ არსებობდა მტკიცებულების მოპოვებისთვის ხელშეშლის ალბათობა, რადგან წინასასამართლო სხდომის ეტაპისთვის ყველა მასალა შეგროვებული და გაცვლილი ჰქონდათ მხარეებს, მხედველობაში მიიღეს ისიც, რომ საქმე ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულს ეხებოდა.[312]

რაც შეეხება 2 თებერვლის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული 8 პირის მიმართ[313] წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს, რომელზეც ბრალდება დაკავებულებს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 222-ე მუხლით გათვალისწინებული (სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ჯგუფურად ბლოკირების მცდელობა) ქმედების ჩადენას ედავება, პროკურატურამ გირაოს გამოყენება იშუამდგომლა, რაც სასამართლომაც დააკმაყოფილა.

4.2.6. საქმეთა გაჭიანურება - შეწყალების შესაძლებლობის მოსპობა

რუსული კანონის საპროტესტო აქციების დროს დაკავებული პირების სისხლის სამართლის საქმეებთან[314] მიმართებით ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მხრიდან არსებულმა დაბრკოლებებმა, ბრალდებულებს მოუსპო საქმის დროულად დასრულებისა და პრეზიდენტის მიერ მათი **შეწყალების შესაძლებლობა.** რუსული კანონის პროტესტის დროს აპრილი-მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა საქმეები სასამართლომ და პროკურატურამ ხელოვნურად გააჭიანურეს[315], რათა პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების ვადებში მათი შეწყალება ვერ მოესწრო.

4.2.7. განაჩენები

რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებული ყველა პირის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა.[316] სასამართლომ ათივე პირი დამნაშავედ ცნო წარდგენილ ერთ ბრალდებაში მაინც.

საყურადღებოა, რომ მხოლოდ ორ პირთან (საბა მეფარიშვილი და ომარ ოკრიბელაშვილი) მიმართებით იქნა მიღწეული შეთანხმება პროკურატურასა და დაცვის მხარეს შორის ბრალდებულების მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. ბრალდებულებმა ბოლო სხდომებზე შეცვალეს პოზიცია და მიიღეს გადაწყვეტილება ბრალდების აღიარების და ბრალდების მხარესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. ეს, შესაძლოა, განპირობებული იყო იმით, რომ ბრალდებულებს არ ჰქონდათ ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელების მოლოდინი, რაც მათ იძულებულს ხდიდა ეღიარებინათ დანაშაულის ჩადენა შედარებით უფრო მსუბუქი სასჯელის სანაცვლოდ.

ერთ-ერთი რუსული კანონის პროტესტის დროს დაკავებული პირის - დავით კოლდარის მიმართ ბრალად წარდგენილ მუხლს (სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილი), ამნისტია შეეხო, თუმცა დაზარალებულის თანხმობის

---

[310] აღნიშნულ პირებს სახელმწიფო ბრალდება ედავება ჯგუფურ ძალადობას ორი ან მეტი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

[311] ხუთივე პირს სახელმწიფო ბრალდება ედავება ჯგუფურ ძალადობას ორი ან მეტი პირის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

[312] საია, „ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის დეკანისა და სტუდენტების საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართა“, 29.01.2024, ხელმისაწვდომია: https://gyla.ge/post/batumi-universiteti-dekani .

[313] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიციამ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ჯგუფურად ბლოკირების ბრალდებით 8 პირი დააკავა, 04.02.2025; იხ. https://police.ge/ge/politsiam-saertashoriso-mnishvnelobis-saavtomobilo-gzis-djgufurad-blokirebis-mtsdelobis-braldebit-8-piri-daakava/16556 [11.02.2025].

[314] საია, „რუსული კანონის“ საპროტესტო აქციების მონაწილე პირების სისხლის სამართლის საქმეების განხილვას სასამართლო აჭიანურებს, 24.11.2024; იხ. https://gyla.ge/post/rusuli-kanonis-saprotesto-aqciis-monawileta-sasamrtlo-chianurdeba [11.02.2025].

[315] საია, „რუსული კანონის საპროტესტო აქციების დროს დაკავებული გიორგი ოკმელაშვილის საქმის განხილვას ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები აჭიანურებენ“, 12.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/okmelashvilis-saqmis-ganxilva-chianurdeba-gyla [11.02.2025].

[316] საია, „რუსული კანონის პროტესტის დროს სისხლის სამართლის წესით დაკავებული ყველა პირის მიმართ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა“, 04.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/gala-rusuli-kanonis-protestis-dros-dakavebulebs-patimroba-miesaja [11.02.2025].

წინაპირობით. სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად მიჩნეულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს (დაზიანებული ნივთი პოლიციის მანქანა იყო) წარმომადგენელმა უარი განაცხადა დავით კოლდარის მიმართ ამნისტიის გავრცელებაზე. ამასთან კავშირშიც, უნდა აღინიშნოს, რომ აქტივისტების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები არ არის დაცლილი სავარაუდო პოლიტიკური ნიშნით დევნის მოტივებისგან. ამ ეჭვს, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო განხილვების საეჭვო საფუძვლებით გაჭიანურებასთან ერთად, ამყარებს სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან დავით კოლდარის მიმართ ამნისტიის გავრცელებაზე უარიც.

4.2.8. სისხლის სამართლის საქმეებზე არასათანადო მოპყრობის შემთხვევები

სისხლის სამართლის საქმეებზე მნიშვნელოვან გამოწვევად სახელდება **არასათანადო მოპყრობის შემთხვევები.** სისხლის სამართლის წესით დაკავებულმა ათმა დემონსტრანტმა, დაკავების დროს, მათ მიმართ, ტრანსპორტირებისა თუ განყოფილებაში მიმდინარე არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ისაუბრა. მაგალითად: **ალეკო ელისაშვილმა პირველი წარდგენის სხდომაზე განმარტა, რომ დაკავებისას მანქანაში ჩასვეს და სცემეს.**

საბა სხვიტარიძემ დეტალურად აღწერა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის გამოცდილება. სხვიტარიძის განმარტებით, ის პოლიციამ ზესტაფონის გზაზე დააკავა, მისთვის არ განუმარტავთ დაკავების საფუძველი, არც ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა მიუციათ, შემდეგ გორთან გაურკვეველ ოპერატიულ ჯგუფს გადასცეს და დიღომში მდებარე პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. დიღომში, სამმართველოს შენობაში, მეხუთე სართულზე, მას ოთხი ნიღბიანი ადამიანი ფიზიკურად გაუსწორდა და სცემა, შემდეგ კი ამავე შენობის მერვე სართულზე საპატრულო ფორმაში ჩაცმულმა პირმა, რომელსაც ნიღაბი ეკეთა, სხვა პირებთან ერთად კვლავ იძალადა მასზე.

რევაზ კიკნაძემ განაცხადა, რომ მას ფსიქოლოგიური ზეწოლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ქვეშ აიძულებდნენ ეღიარებინა დანაშაული და დაედანაშაულებინა სხვები, რასაც მის მიმართ სისტემის მხრიდან ლოიალური დამოკიდებულება მოჰყვებოდა. ბრალდებულების მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული ინფორმაცია, სხვა გამოცდილებებთან ერთად, განამტკიცებს იმ ფაქტს, რომ პირების მიმართ წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას სისტემური და ფართომასშტაბიანი ხასიათი აქვს.

კიდევ ერთმა ბრალდებულმა, **ნიკოლოზ კაციამ**[317] აღნიშნა, რომ დაკავებისას დამცინავად და შეურაცხმყოფლად ექცეოდნენ, უწოდებდნენ „რიჟიკას“, ბილწსიტყვაობდნენ მისი მისამართით და ეუბნებოდნენ, რომ რასაც ეტყოდნენ, ის უნდა დაედასტურებინა. ასევე საჯარო წყაროებით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ კაციას პენიტენციურ დაწესებულებაში არ უზრუნველყოფდნენ საკვებით, ხოლო მის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული თანხებით სარგებლობენ სხვა მსჯავრდებულები. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ასევე გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ნიკოლოზ კაციამ სახალხო დამცველის რწმუნებულებთან შეხვედრისას მიუთითა პენიტენციურ დაწესებულებაში მისი უფლებების დარღვევის ფაქტებზე.[318] 2025 წლის 21 თებერვლის სასამართლო სხდომაზე ნიკოლოზ კაციამ აღნიშნა, რომ საბადრაგო სამსახურის თანამშრომლები პროცესამდე „ბუქნებს“ აკეთებინებდნენ. ნიკოლოზ კაციას საქმე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გადაგზავნა პროკურატურაში იმ არგუმენტაციით, რომ მისი ქვემდებარე არ იყო.

ბრალდებული **დავით ხომერიკი** საუბრობდა სექსუალური ძალადობის მუქარის, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებზე.

ანატოლი გიგაურის საქმესთან დაკავშირებით დაცვის მხარემ პროცესზე აღნიშნა, რომ გიგაურს თავად პოლიციელმა მიაყენა ფიზიკური დაზიანება სახეში მუშტის ჩარტყმით. ეს დასტურდება ვიდეომტკიცებულებით.

დავით ლომიძე სცემეს დაკავებისას. მას აწუხებდა ხერხემლის პრობლემები, ცემის შედეგად, გაურთულდა მდგომარეობა და დასჭირდა ოპერაცია.

თემურ ზასოხაშვილის ინფორმაციით, მასაც გაუსწორდნენ ფიზიკურად დაკავების დროს.

არჩილ მუსელიანცს დაემუქრნენ და შესთავაზეს თანამშრომლობა, რომ პოლიტიკური თანამდებობის პირებისთვის დაედო ხელი.

ანასტასია ზინოვკინამ განმარტა, რომ მის მიმართ განხორციელდა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, ძალადობა, მათ შორის, სექსუალური ძალადობის მუქარა. ერთ-ერთ პოლიციელს ხელი თავის სასქესო ორგანოზე ედო და ემუქრებოდა, თუ გაინძრეოდა, ამ ადგილით დასჯიდა. დაკავება მოწმის და ვიდეოგადაღების გარეშე მოხდა. ბრალდებულმა მიუთითა, რომ შეეძლო იმ პოლიციელის ამოცნობა, რომელმაც მას ტელეფონი წაართვა. ამავე პოლიციელმა ჩაუდო ნარკოტიკი ქურთუკის ჯიბეში. ბრალდებული იხსენებდა, რომ „პოლიციელი“ ემუქრებოდა, თუ გააგრძელებდა ქურთუკის ყურებას, მას „იხმარდა“. მას შემდეგ, რაც ქურთუკში ნარკოტიკული საშუალება განათავსეს, ჩაცმა აიძულეს. მხოლოდ ამ „ოპერაციის“ დასრულების შემდეგ დაიწყო ოფიციალური ჩხრეკა.

[317] მას ბრალდება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვას.

[318] საია, „საია ნიკოლოზ კაციას არასათანადო საპატიმრო პირობებს ეხმიანება“, 24.01.2025; იხ. https://gyla.ge/post/saia-nikoloz-kacias-arasatanado-sapatimro-pirobebs-ekhmianeba [11.02.2025].

ბრალდებული ცდილობდა ყველაფრის დანახვას, რის გამოც, ემუქრებოდნენ, რომ, თუ აქეთ-იქით ყურებას გააგრძელებდა, მასზე იძალადებდნენ.

მზია ამაღლობელის დაკავება ძალადობრივი და უკანონო იყო, რასაც თან ახლდა არაერთი დარღვევა პოლიციის მხრიდან. დაკავების შემდგომ, ბათუმის პოლიციის უფროსმა ირაკლი დგებუაძემ მზია ამაღლობელს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, შეაფურთხა, უგულებელყო მისი საჭიროებები, ხელი შეუშალა ადვოკატებთან კონტაქტს. მიუხედავად არაერთი მიმართვისა, ამ დრომდე მას დაზარალებულის სტატუსი არ მიუღია, რაც ფუნდამენტურად ზღუდავს მისი უფლებების დაცვას.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიება ხასიათდება არაეფექტიანობით – გამოკითხულნი არიან მხოლოდ დგებუაძის დაქვემდებარებული თანამშრომლები. არ გამოკითხულა სახალხო დამცველის წარმომადგენელი და არ არის დაცული გამოძიების ობიექტურობის და ადეკვატურობის სტანდარტი. ვიდეოჩანაწერები არასრულად არის წარმოდგენილი, ხოლო მნიშვნელოვანი მტკიცებულებები საქმის მასალებში დროულად არ აისახა. მიუხედავად ექსპერტიზის ჩატარებისა, მათი დასკვნები დღემდე საქმის მასალებში არ მოიძებნება.

ზემოთ დასახელებული ათივე პირი კვლავ ციხეში იმყოფება. საიას შეფასებით, კრიტიკულად აუცილებელია ეფექტიანი გამოძიების ჩატარება სწრაფად და სრულყოფილად. მათი უფლებების დარღვევა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები არ შეიძლება დარჩეს გაურკვეველი ვადით განგრძობადი გამოძიების ობიექტი, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ ადამიანს კიდევ უფრო მეტად უჩენს დაუცველობის განცდას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ 10-იდან 9 პირს[319] დაზარალებულადაც კი არ აღიარებს პროკურატურა.

ასევე, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ამ დრომდე არ დაუსრულებია გამოძიება არცერთ ზემოხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე და არ გამოუვლენია პასუხისმგებელი პირები. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, ეს ვერ ჩაანაცვლებს მათთვის კანონით განსაზღვრულ დაზარალებულის უფლებებს.

5. რეპრესიის სხვა სახეები

5.1. საჯარო სამსახურში მიმდინარე რეპრესიები

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებაზე, პროტესტი გამოხატეს და ამ თემაზე განცხადებები გააკეთეს საჯარო მოხელეებმაც. განცხადებები გამოაქვეყნეს საგარეო საქმეთა სამინისტროს,[320] თავდაცვის სამინისტროს,[321] განათლების სამინისტროს,[322] საქართველოს ეროვნული ბანკის,[323] თბილისის მერიის,[324] სახალხო დამცველის აპარატის[325] და სხვა საჯარო მოხელეებმა.[326]

მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელეების მიერ განცხადებების გამოქვეყნებისთანავე, თბილისის მერმა კახა კალაძემ უპასუხა მერიის თანამშრომელთა ნაწილის განცხადებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეჩერებას. მან განაცხადა, რომ გამოცხადდა მერიის რეორგანიზაცია და დაგეგმილი იყო ბევრი ცვლილება. განცხადება კი, რომელიც გამოაქვეყნეს თანამშრომლებმა, იყო „კარგი თვითშემოწმება“.[327] მსგავსი გამოხმაურება ადასტურებს საჯარო მოხელეებზე არსებულ ზეწოლასა და სამსახურიდან გათავისუფლების მუქარას.

2024 წლის დეკემბრის ბოლოდან კი საჯარო დაწესებულებებში თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების მასშტაბური პროცესი იწყება. საკადრო გადაწყვეტილებები უმეტესად იმ საჯარო მოსამსახურეების წინააღმდეგ მიიღეს, რომლებმაც 28 ნოემბრის შემდეგ საჯაროდ გამოხატეს თავიანთი სამოქალაქო პოზიცია ქვეყნის

---

[319] ეს მონაცემები ასახავს ანგარიშის გამოქვეყნების დროისთვის არსებულ ვითარებას.

[320] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლების ერთობლივი განცხადება, 28.11.2025; იხ. https://www.facebook.com/keti.pruidze.3/posts/pfbid021tMoMTKxAgtgtuyvVBqrfRU2g5eoswZ5zFsg6reCzzZpqwPfALW4CNPTLTfJy51fl [11.02.2025].

[321] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლების ერთობლივი განცხადება, https://docs.google.com/document/d/1D6CPwF6H0-bCPWUnoIsTNiQlYvcPtzA1ROOWD18niIc/edit?fbclid=IwY2xjawG2ktpleHRuA2FlbQIxMQABHRQU0etGVEsytLvmtmlZTFcosnv7AMPlMQ6QCEzpYP7p0PvDOJTPQrIo5g_aem_ih-HxzHNxydkbZUhHJbrtQ&tab=t.hv9i7p1xrbvx; იხ. [11.02.2025].

[322] Civil Georgia, განათლების სამინისტროს თანამშრომლები „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას გაემიჯნნენ, 29.11.2025; იხ. https://civil.ge/ka/archives/639435 [11.02.2025].

[323] საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების საჯარო განცხადება; იხ. https://docs.google.com/document/d/1bs1vu1fiDieZHwv7uolR1w0NjdvGCq-O6e_qyoxMOng/edit?fbclid=IwY2xjawG34CVleHRuA2FlbQIxMQABHbR1-MowGLw8fWuQ9zSDafY0OgEfEf0fAiAZEP2NezdKpBtyFLHZzhl-YQ_aem_BCuwqwz45_vfGgz7VKiREw&tab=t.0 [11.02.2025].

[324] „პუბლიკა“, „თბილისის მერიის 140-ზე მეტი თანამშრომელი „ოცნების“ გადაწყვეტილებას ემიჯნება - განცხადება“, 30.11.2024; იხ. https://publika.ge/tbilisis-meriis-140-ze-meti-tanamshromeli-ocnebis-gadawyvetilebas-emijneba-ganckhadeba/ [11.02.2025].

[325] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების განცხადება, 26.11.2024; იხ. https://www.facebook.com/share/p/1EzrZKjoWi/ [11.02.2025].

[326] საჯარო სექტორის თანამშრომლების განცხადება; იხ. https://docs.google.com/document/u/1/d/1QqKT1yupZxvZpf68UQG_jakP77bs6BrrFHFGp215DgM/mobilebasic [11.02.2025].

[327] „რადიო თავისუფლება“, „წინა კვირას რეორგანიზაცია გამოვაცხადეთ... ლუსტრაციაა"; იხ. კალაძე მერიის 200-ზე მეტი თანამშრომლის პროტესტს პასუხობს. https://www.radiotavisupleba.ge/a/33222551.html [11.02.2025].

ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ამ პირთა სამსახურიდან გათავისუფლება ცალსახად შეიცავს პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნისა და დისკრიმინაციის ნიშნებს.

გათავისუფლების ტალღა ასობით საჯარო მოსამსახურეს შეეხო, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ შემდეგ უწყებებში:

- საქართველოს პარლამენტი
- თბილისის მერია
- სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
- ცენტრალური საარჩევნო კომისია

ასევე სხვა ცენტრალურ და ადგილობრივ საბიუჯეტო დაწესებულებებში. საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლებები მიმდინარეობს დაუსაბუთებლად და გაუმჭვირვალედ. საჯარო დაწესებულებები იყენებენ ფორმალურ საფუძვლებს, როგორიცაა რეორგანიზაცია, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო გათავისუფლება, თუმცა რეალური მიზეზები აშკარად პოლიტიკური ან განსხვავებული შეხედულებების გავრცელების გამო საჯარო მოსამსახურეთა დევნას ეხება. რიგ შემთხვევაში, გათავისუფლება საჯარო მოსამსახურეების ოჯახის წევრების პოლიტიკურ საქმიანობასაც უკავშირდებოდა.

5.1.1. საკანონმდებლო ცვლილებები

საჯარო უწყებებიდან თანამშრომელთა გათავისუფლება კიდევ უფრო გამარტივდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული იმ ცვლილებებით, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ” დაჩქარებული წესით, 2024 წლის 13 დეკემბერს მიიღო, ამ ცვლილებებით გაუარესდა საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სულისკვეთებას და აუარესებს საჯარო მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას. კვალიფიციურ და გამოცდილ საჯარო მოსამსახურეთა უკანონო გათავისუფლება, საჯარო სამსახურში პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერებასთან ერთად, მნიშვნელოვნად დააზიანებს საჯარო დაწესებულებების ეფექტიან ფუნქციონირებას.[328]

ცვლილებებით გაუარესდა საკანონმდებლო მოწესრიგება, რაც ***არსებითად ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის სულისკვეთებას.***[329] კერძოდ:

- ცვლილებების მიღებამდე საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის თანამდებობაზე საჯარო მოხელეები განუსაზღვრელი ვადით ინიშნებოდნენ. მოხელის განუსაზღვრელი ვადით დანიშვნის მიზანია პოლიტიკურ ნეიტრალიტეტზე, მიუკერძოებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის შექმნა. განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე განწესებული პირი და საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილის თანამდებობაზე განწესებული პირი **ადმინისტრაციული ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირად მიიჩნევა, რაც საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელ პირს უფლებას ანიჭებს ნებისმიერ დროს, ერთი თვით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში, გაათავისუფლოს არასასურველი კადრი.** გარდა ამისა, მათი ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადას, **დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტა გამოიწვევს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტას.** ამ ცვლილებების შედეგად, ის საჯარო **მოხელეები, რომლებიც წლებია ემსახურებიან სახელმწიფო ინტერესებს, საჯარო სამსახურს, კანონის ამოქმედებისთანავე ყოველგვარი სამართლებრივი გარანტიების გარეშე აღმოჩნდებიან.** ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და მისი მოადგილე ამიერიდან მიიჩნევიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებად, შესაბამისად, მათზე აღარ გავრცელდება მოხელისთვის გათვალისწინებული

[328] სამართლიანი არჩევნები, არალეგიტიმური პარლამენტის მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები მკვეთრად აუარესებს საჯარო მოსამსახურეთა უფლებრივ მდგომარეობას, 16.12.2024; იხ. https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/aralegitimuri-parlamentis-mier-sadjaro-samsakhuris-shesakheb-saqartvelos-kanonshi-gankhortsielebuli-tsvlilebebi-mkvetrad-auaresebs-sadjaro-mosamsakhureta-uflebriv-mdgomareobas [11.02.2025].

[329] კანონპროექტი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 04.12.2024; იხ. https://info.parliament.ge/?fbclid=IwAR12l5G3YNKPhzWB-J9YM7oFAsmnaU8Eiu1utQzdlzvbS7K2O1sFbdiCLYo#law-drafting/29794 [11.02.2025].

მოთხოვნები, მათ შორის, სახელმწიფო ენის ცოდნის, მოხელის სერტიფიკატისა და ასაკთან დაკავშირებული საკითხები;

- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციის მიხედვით, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას, მოხელე შესაძლებელია მისი თანხმობით დაინიშნოს იმავე ან სხვა საჯარო დაწესებულებაში მისი თანამდებობის ტოლფას თანამდებობაზე, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობისას – დაბალ თანამდებობაზე, მისი კომპეტენციის გათვალისწინებით. **ცვლილებების მიხედვით კი, რეორგანიზაციის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს მსგავსი შესაძლებლობით სარგებლობის უფლება ჩამოერთმევათ** და ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ საჯარო დაწესებულების ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გამო შტატის შემცირებისას;
- **ცვლილებები გამორიცხავს რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული საჯარო მოხელის სამსახურში აღდგენის შესაძლებლობას,** მიუხედავად გათავისუფლების გადაწყვეტილების გაუქმებისა და სასამართლოს მიერ გათავისუფლების უკანონოდ ცნობისა. ამ შემთხვევაში, მოხელეს მიეცემა მხოლოდ განაცდური თანამდებობრივი სარგო და კომპენსაცია სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. გარდამავალ პერიოდში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე გავრცელდება ის ნორმები, რომლებიც საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს, რაც კიდევ უფრო გააფართოებს იმ პირთა წრეს, რომლებიც რეპრესიული მექანიზმების გამოყენების გზით შეიძლება გათავისუფლდნენ სამსახურიდან;
- გარდა ამისა, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და მისი სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება და ამ **პროცესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას**;
- ცვლილებებით **გაუქმდა რეორგანიზაციის დროს მოხელისათვის საკლასო დანამატის შენარჩუნების შესაძლებლობა**;
- ცვლილებების მიხედვით, საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი უფლებამოსილი იქნება **მოხელის შეფასების შედეგები შეცვალოს შეფასების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში,** ხოლო **არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში მას ხელფასიდან 20% დაუკავდება** მომდევნო შესაფასებელი პერიოდის დაწყებამდე. აღნიშნული მექანიზმი, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს საჯარო მოსამსახურეთა დასჯის მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მოქალაქეებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს უფლება, დაიკავონ ნებისმიერი საჯარო თანამდებობა.[330] საჯარო სამსახურის პირობები, რომლებიც დადგენილია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტებსა და სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს. საჯარო მოხელეთა სამსახურიდან გათავისუფლების ნებისმიერი საფუძველი უნდა იყოს განჭვრეტადი და არ უნდა ქმნიდეს მოხელეთა სამსახურიდან თვითნებური გათავისუფლების შესაძლებლობას.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები ეწინააღმდეგება საერთო სასამართლოებისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასაც. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“,[331] საკონსტიტუციო სასამართლომ[332] გამიჯნა პოლიტიკური და პროფესიული თანამდებობის პირის ცნებები. სასამართლოს განმარტებით, „პროფესიული თანამდებობის პირი უშუალოდ არ წარმოადგენს ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ სუბიექტს. მისი ფუნქციები უმეტესად საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ უკვე განსაზღვრული პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციაში, აღსრულებაში გამოიხატება“. სასამართლოს შეფასებით, „იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პროფესიული თანამდებობის პირები არ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, არ ხდება მათ მიმართ პოლიტიკური პასუხისმგებლობის დაკისრება. ასეთი თანამდებობის პირის მიერ დაკისრებული ფუნქციების შესრულება მხოლოდ სამართლებრივი პასუხისმგებლობის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს“.[333]

---

[330] საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი.

[331] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილებას საქმეზე „ოლეგ ლაცაბიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

[332] საკონსტიტუციო სასამართლოში დავის საგანი იყო ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 59-ე მუხლის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი. აღნიშნულ საქმეში მოსარჩელე იყო ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, რაც პირველადი სტრუქტურული ერთეულის უფროსის თანამდებობას წარმოადგენდა. მოსარჩელე წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ახალი მერის/გამგებლის არჩევისას მას ავტომატურად შეუწყდა თანამდებობა.

[333] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის №3/5/626 გადაწყვეტილებას საქმეზე „ოლეგ ლაცაბიძე“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ უფლებამოსილების შეწყვეტა კონსტიტუციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევა იყო, ამის მიზეზი კი ის იყო, რომ, მართალია, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უშუალოდ ექვემდებარებოდა მერს, ამის მიუხედავად, მას ჰქონდა მერისაგან განსხვავებული ფუნქციები, რომელთა კვალიფიციური შესრულება დამოკიდებული არ იყო მერის პიროვნებაზე. ამ თანამდებობის არსი გულისხმობს არა კონკრეტული პოლიტიკური გუნდისა თუ მერის პოლიტიკური შეხედულებებისადმი ერთგულებას, არამედ მისი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის კანონმდებლობის შესაბამისად გაძღოლას.[334]

გარდა ამისა, რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების შრომითი უფლებების დაცვის მიზნით მეტ-ნაკლებად გაუმჯობესებული იყო საერთო სასამართლოების პრაქტიკა. სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს არაერთი გადაწყვეტილება აქვთ მიღებული, რომელთა შედეგადაც რეორგანიზაციის გამო უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეები აღადგინეს სამსახურში. მიუხედავად იმისა, რომ რეორგანიზაცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საფუძველია საქართველოში, კანონმდებლობის თანახმად, ის მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველი, როდესაც მას თან ახლავს შტატების შემცირება. საჯარო დაწესებულებები ხშირად მიმართავდნენ თანამშრომელთა გათავისუფლებას რეორგანიზაციის მოტივით, იმის მიუხედავად, რეალურად მცირდებოდა თუ არა შტატები. ასევე, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც რეორგანიზაციის სახელით მხოლოდ საშტატო ერთეულის სახელწოდება ან ფუნქციები იცვლებოდა ფორმალურად.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო უზენაესი სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც რეორგანიზაცია არის საჯარო დაწესებულების შიდა სტრუქტურული ან/და ფუნქციური გარდაქმნა, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს დაწესებულების ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების სტატუსის, დაქვემდებარების ან ფუნქციური დატვირთვის ცვლილება. სასამართლოს პოზიციით, საშტატო ერთეულისთვის მხოლოდ სახელის შეცვლა არ ნიშნავდა შტატის გაუქმებას. შტატი გაუქმებულად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა არსებითად იცვლებოდა მისი ფუნქციური დატვირთვა, უფლება-მოვალეობები ან თანამდებობის დასაკავებელი კრიტერიუმები.[335] მიღებული ცვლილებებით კი, უარესდება არსებული საკანონმდებლო რეგულაცია და დადგენილი პრაქტიკა, შედეგად, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება რეორგანიზაციის საფუძველზე გათავისუფლებული საჯარო მოსამსახურეების სამსახურში აღდგენა.

5.1.2. ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საფუძველზე საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებით, 2024 წლის 1 აპრილიდან უქმდება საჯარო სამსახურის ბიურო. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება მართვის რაციონალიზაციისა და ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით გამართლდა, მას შემდეგ რაც თანამდებობის პირთა დეკლარაციების და საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების ეთიკისა და კეთილსინდისიერების კონტროლი ანტიკორუფციულ ბიუროს გადაეცა, ხოლო საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციების მესამედი გამოაკლდა.[336]

საჯარო სამსახურის ბიუროს მთავარი ფუნქციები იყო: საჯარო სამსახურის სისტემის სრულყოფა, სფეროში საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკისა და სამოქმედო სტანდარტების განხორციელების მონიტორინგი, პროფესიონალიზმის ამაღლება, ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებისა და ღირებულებების დანერგვა.

საჯარო სამსახურში მიმდინარე რეპრესიული პოლიტიკისა და მასშტაბური გათავისუფლებების ტალღის ფონზე, ბიუროს, როგორც საჯარო სამსახურში ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ღირებულებებზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთი მთავარი უწყების, გაუქმება საჯარო სამსახურის სისტემაში პარტიული ინტერესების გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო სამსახურის რეფორმის ფუნდამენტურ პრინციპებს და საფრთხეს უქმნის პროფესიული საჯარო სამსახურის განვითარების პერსპექტივას საქართველოში. ბიუროს გაუქმება ასევე მნიშვნელოვნად დააზიანებს საჯარო სამსახურის დეპოლიტიზაციის პროცესს და გააძლიერებს პოლიტიკური ზეგავლენის რისკებს საჯარო უწყებებში.[337]

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს განხორციელდა საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური რეფორმა და ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურა, რომელიც მიესადაგა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონებში 2022 წლის 30 ნოემბერს შესულ

[334] იქვე.

[335] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება №ბს 449-442(კ-15). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №ბს 721-721(კ-18).

[336] „რადიო თავისუფლება“, 1-ლი აპრილიდან „საჯარო სამსახურის ბიურო“ უქმდება, 03.03.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33301653.html [11.02.2025].

[337] საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 სექტემბრის №295 დადგენილება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო სამსახურის ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 7 აგვისტოს №290 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცვლილებებს. ბიუროს განახლებული ინსტიტუციური მოწყობა ორიენტირებული იყო საჯარო სამსახურის რეფორმის მიმდინარე საჭიროებებზე და მიზნად ისახავდა საჯარო მმართველობის სტრატეგიის მიზნებისა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულებას. შედეგად, ჩამოყალიბდა ბიუროს ახალი სტრუქტურა სამი ძირითადი სტრატეგიული და ერთი მხარდამჭერი დეპარტამენტის სახით, რაც უზრუნველყოფდა კანონით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილ შესრულებას.[338] მიღებული ცვლილებების ფონზე, საჯარო სამსახურის ბიუროსა და ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციების დუბლირების გამო უწყების გაუქმების საჭიროების საკითხი არ გამოკვეთილა.

2025 წლის 3 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მხარი დაუჭირა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის მიერ მომზადებულ ცვლილებებს, რომელიც ჰერალდიკის საბჭოს, ეროვნულ ბიბლიოთეკას და პარლამენტის კვლევით ცენტრს შეეხება. პროექტი ითვალისწინებს რეგლამენტიდან XVIII თავის ამოღებას, რომელიც პარლამენტთან არსებულ დაწესებულებებს, მათ შორის, პარლამენტის კვლევითი ცენტრის ფუნქციებს განსაზღვრავს. ცვლილებების შედეგად პარლამენტის კვლევითი ცენტრი დაიხურა, ხოლო მისი ფუნქციები პარლამენტის აპარატს გადაეცა.

საგულისხმოა, რომ 2025 წლის 21 იანვარს, კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა თანამშრომლების თანდასწრებით განაცხადა, რომ ცენტრის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება იმ ხუთი თანამშრომლის საჯარო აქტიურობის გამო მიიღეს, რომლებმაც ხელი მოაწერეს საჯარო მოხელეების ღია განცხადებას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესის მხარდასაჭერად. გათავისუფლებული თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მიღებული გადაწყვეტილება პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის აშკარა მაგალითია და საჯარო სამსახურში პროფესიული სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების უგულებელყოფაზე მიუთითებს.[339]

საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება, გარდა უწყების ლიკვიდაციისა, ასევე რეორგანიზაციის შედეგად მოხდა.

ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულება, სადაც რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებული პირები გათავისუფლდნენ, არის ცენტრალური საარჩევნო კომისია. 2024 წლის 16 დეკემბერს, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების[340] საფუძველზე ცესკოში რეორგანიზაცია დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ რეორგანიზაციის ოფიციალურ მიზეზად სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა დასახელდა, გათავისუფლებული თანამშრომლები მიუთითებენ პოლიტიკურ მოტივებსა და მათი გათავისუფლების კავშირზე ევროინტეგრაციის მხარდამჭერ პოზიციასთან.

გათავისუფლებულთა ნაწილი მიიჩნევს, რომ სამსახურიდან გათავისუფლება მათი ოჯახის წევრების პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება, ხოლო მათი ნაწილისთვის დღემდე უცნობია გათავისუფლების რეალური მიზეზი. რეორგანიზაციის შედეგად გათავისუფლებულ პირთა შორის მოხვდნენ ისინიც, ვინც ღიად უჭერდნენ მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესს და საჯაროდ დაგმეს სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ გაკეთებული განცხადებები.

სხვები რეორგანიზაციას უკავშირებენ არა რეალურ საჭიროებებს, არამედ თავმჯდომარის პირად ანგარიშსწორებას 2024 წლის 16 ნოემბერს ცესკოში მომხდარი ფაქტის გამო. როგორც მედიაში გავრცელდა, ცესკოს წევრმა „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობიდან“, დავით კირთაძემ, ცესკოს თავმჯდომარეს სახეზე შავი საღებავი შეასხა.[341] აღსანიშნავია, რომ დავით კირთაძის მეუღლე, სოფიო სიჭინავა, ცესკოში ერთ-ერთი დეპარტამენტის, სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ხელმძღვანელი იყო. სიჭინავამ მომხდარის შემდეგ თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. რეორგანიზაციის შედეგად სწორედ ეს დეპარტამენტი გაუქმდა და გათავისუფლდა დეპარტამენტში დასაქმებული ყველა პირი. სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის ძირითადი ფუნქცია იყო საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვისა და ანგარიშგების პროცესის წარმართვა, ასევე ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარება. დეპარტამენტი ამზადებდა ჩატარებული არჩევნებისა და ადმინისტრაციის მიერ შესრულებული საქმიანობის შესახებ სხვადასხვა უწყებისთვის, მათ შორის საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ ანგარიშებს. რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის დებულება 2025 წლის 20 იანვრიდან ძალადაკარგულად გამოცხადდა.[342]

---

[338] საჯარო სამსახურის ბიურო, საჯარო სამსახურის ბიუროს 2023 წლის ანგარიში; იხ. http://csb.gov.ge/media/311290/საჯარო-სამსახურის-ბიუროს-2023-წლის-ანგარიში.pdf?fbclid=IwY2xjawKARcdleHRuA2FlbQIxMQBicmlkETEzYkIxaVJxMG9jOU43U29BAR6wfXIhvKgCW_e2vPLcUP5fUTrlfQ7I-r9AU6IpeT6NIASmIRBowAnk9FuBag_aem_vXshxnAxUVSdZkLwyg2VsQ [11.02.2025].

[339] „რადიო თავისუფლება“, „კიდევ 21 გათავისუფლებული: გამოცხადდა პარლამენტის კვლევითი ცენტრის გაუქმების თარიღი“, 06.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%95-21-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98/33305429.html [11.02.2025].

[340] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2024 წლის 16 დეკემბრის ბრძანება №01-148; იხ. https://drive.google.com/file/d/1QdTz8DZePO_0dPoYJQ7SxAjRJxorkSh0/view [11.02.2025].

[341] INTERPRESSNEWS, ცესკოს სხდომაზე ხმაური იყო - დავით კირთაძემ გიორგი კალანდარიშვილს "შავი ლაქა" უწოდა და შავი საღებავი შეასხა, 16.11.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/820467-ceskos-sxdomaze-xmauri-iqo-davit-kirtazem-giorgi-kalandarishvils-shavi-laka-ucoda-da-shavi-sagebavi-sheasxa [11.02.2025].

[342] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2025 წლის 17 იანვრის №14/2025 განკარგულება სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის დებულების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე; იხ. https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11035728-gankarguleba-142025-17012025 [11.02.2025].

რეორგანიზაციის შედეგად ასევე გათავისუფლდნენ ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის სწავლების მონიტორინგის ჯგუფის ოთხი და შრომის უსაფრთხოების ჯგუფის ერთი წევრი, ასევე თავმჯდომარის ორი მრჩეველი.

2024 წლის 16 დეკემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება №01-148 ცესკოს აპარატში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ. რეორგანიზაციის მიზნად ცესკოს ინტერესებიდან გამომდინარე, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფაა მითითებული. ამ ბრძანების საფუძველზე, ცესკოს ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების განხორციელება დაევალა. ბრძანების გამოცემიდან მეორე დღეს, 2024 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო განკარგულება[343], რომლის საფუძველზეც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და ცესკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხა, შრომის ანაზღაურების ოდენობა და ხარჯთაღრიცხვა განსაზღვრა. ახალი საშტატო ნუსხის მიხედვით, ცესკოს აპარატში 118 საშტატო პოზიცია 103-მდე შემცირდა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 17 დეკემბრის სხდომის ოქმში[344] №46/2024 მითითებულია, რომ ადამიანური რესურსების მართვისა და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსმა კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო განკარგულების პროექტი. ამავე სხდომის ოქმში განმარტებულია, რომ კომისიის წევრებს მოსაზრებები/შენიშვნები არ გამოუთქვამთ და გადაწყვეტილება რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ერთხმად იქნა მიღებული.

17 დეკემბრის სხდომის ოქმში არ არსებობს დასაბუთება იმასთან დაკავშირებით, თუ რამ განაპირობა რეორგანიზაციის საჭიროება. საზოგადოების კრიტიკული გამოხმაურების შემდეგ, ცესკომ 18 დეკემბრის[345] განცხადებით, უკვე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება სცადა, შემდეგი არგუმენტაციით: *„ეს ნაბიჯი პირდაპირ არის დაკავშირებული ინსტიტუციური განვითარების შემდეგ ფაზასთან და მიზნად ისახავს ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფას“.*

რეორგანიზაცია დაჩქარებულად და დაუსაბუთებლად წარიმართა. გადაწყვეტილების მიღებისას არ გამოკვლეულა არსებული სტრუქტურის პრობლემები, არ შეფასებულა ხარვეზები, შესაბამისად, დაუსაბუთებელია, რა საჭიროებებს, პრინციპებსა და მიზნებს დაეფუძნა რეორგანიზაცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საჯარო სტრუქტურაში განხორციელებული რეორგანიზაციის პროცესი კანონითა და სასამართლო გადაწყვეტილებებით დადგენილ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც ამ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.

გათავისუფლებული თანამშრომლები აცხადებენ, რომ მათთვის არავის განუმარტავს, რატომ გაუქმდა მათი საშტატო ერთეული და რა საჭიროებამ განაპირობა ეს გადაწყვეტილება. რეორგანიზაციის ფორმალურ ხასიათს ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ცვლილებები არ ემსახურებოდა ცესკოს რეალურ არსობრივ, სტრუქტურულ და ფუნქციურ გარდაქმნას და მიმართული იყო კონკრეტულ პირთა სამსახურიდან გათავისუფლებისკენ.

5.1.3. საჯარო მოსამსახურეთა გათავისუფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო

საქართველოს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს საჯარო სამსახურში შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმების შესაძლებლობას. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად მიიჩნევა პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განსახორციელებლად მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს კი მიეკუთვნებიან ისინი, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობენ მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით.[346]

2024 წლის დეკემბრის შემდეგ აქტიურად გაგრძელდა საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლება, მათ შორის, ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით. მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლების ფორმალურ საფუძვლად ხელშეკრულების ვადის ამოწურვა გამოიყენებოდა, რეალური მიზეზი საჯარო მოსამსახურეთა მიერ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მხარდასაჭერად საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს უკავშირდება.

---

[343] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 17 დეკემბრის №359/2024 განკარგულება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა, წევრთა და ცესკოს აპარატის თანამშრომელთა საშტატო ნუსხის, შრომის ანაზღაურების ოდენობის და ხარჯთაღრიცხვის განსაზღვრის შესახებ, განკარგულება; იხ. https://cesko.ge/ge/kanonmdebloba/tseskos-samartlebrivi-aqtebi/gankargulebebi/singleview/11035329-gankarguleba-3592024-17122024 [11.02.2025].

[344] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 17 დეკემბრის №46/2024 სხდომის ოქმი, https://shorturl.at/Z9PvV [11.02.2025].

[345] საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, განცხადება, 18.12.2024; იხ. https://www.facebook.com/share/p/1BZwv8HuAo/ [11.02.2025].

[346] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის“ შესახებ მე-3 მუხლი.

გათავისუფლებულთა ნაწილთან დადებული ხელშეკრულებები უვადო შრომით ხელშეკრულებად მიიჩნეოდა, შესაბამისად, მათი სამსახურიდან გათავისუფლება ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო არა მხოლოდ დისკრიმინაციული, არამედ უკანონოც იყო. მოქმედი კანონმდებლობით, თუ შრომითი ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, ან თუ შრომითი ურთიერთობა ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიმდევრობით ორჯერ ან მეტჯერ დადების შედეგად გრძელდება და მისი ხანგრძლივობა 30 თვეს აღემატება, მიიჩნევა, რომ დადებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება.[347]

ხელშეკრულების ვადის გასვლის საფუძვლით არაერთი პირი გათავისუფლდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდანაც. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თანამშრომელთა გათავისუფლების პროცესი 2024 წლის დეკემბრის ბოლოს დაიწყო. საჯარო რეესტრის თანამშრომლებს დაეგზავნათ სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ შეტყობინებები. საჯარო რეესტრის განმარტებით, რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების 90%-ზე მეტი უკვე შესრულებული იყო და ორგანიზაცია დარჩენილი სამუშაოების მცირე მოცულობიდან გამომდინარე ათავისუფლებდა თანამშრომლებს. გათავისუფლებულები მიიჩნევენ, რომ პროცესი უშუალოდ არის დაკავშირებული 2024 წლის 30 ნოემბერს შექმნილ პეტიციასთან, რომელსაც შეუერთდა საჯარო რეესტრის 350-ზე მეტი თანამშრომელი და რომლითაც მათ დაგმეს „ქართული ოცნების" მიერ ევროინტეგრაციის პროცესის საწინააღმდეგოდ გაკეთებული განცხადებები.

აღსანიშნავია, რომ პეტიციის გავრცელებამდე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სრულიად საპირისპირო გარემოებებს ადასტურებს. საჯარო რეესტრის 2024 წლის 9 ნოემბრის განცხადებით, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტი, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს უნდა დასრულებულიყო, 2025 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდა.[348] ამავე დროს, ნოემბერში თანამშრომლებს დაეგზავნათ შეტყობინებები, რომ არსებული ადამიანური რესურსი 2025 წელსაც შენარჩუნდებოდა.

გათავისუფლების პროცესი არ ემსახურებოდა რეალურ საჭიროებებს, საჯარო რეესტრი მუდმივად განიცდის კადრების დეფიციტს, რაც საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე გამოქვეყნებული არაერთი ვაკანსიით დასტურდება. პროცესი სრულიად დაუსაბუთებლად და დისკრიმინაციულად წარიმართა.

5.2. საპროტესტო აქციების დროს იძულებითი გაუჩინარებები

2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში, საპროტესტო აქციების დროს, იყო იძულებითი გაუჩინარების რამდენიმე შემთხვევა, კერძოდ მოქალაქეები უჩინარდებოდნენ აქციებიდან, საცხოვრებელი სახლებიდან ან ავტომობილებიდან, მათი ადგილსამყოფელი უცნობი იყო ოჯახის წევრებისა და ადვოკატებისთვის. მოგვიანებით ირკვეოდა, რომ ისინი კრიმინალური პოლიციის მიერ იყვნენ დაკავებულნი, თუმცა დაკავების მომენტში მათ არ განემარტებოდათ უფლებები, არ ეძლეოდათ ადვოკატთან დაკავშირების საშუალება და დაუსაბუთებლად იმყოფებოდნენ დაკავებულები.

დაკავებულთა შორის იყვნენ ექიმები, მკვლევრები და აქტივისტები, რომლებიც ქუჩაში ან საკუთარ სახლთან ახლოს დააკავეს. სამართალდამცავები მათ დაკავების მიზეზებს არ განუმარტავდნენ და საპროცესო ვალდებულებებს არ ასრულებდნენ. მაგალითად, კონსტანტინე ჩახუნაშვილი[349] სახლთან დააკავეს, ოჯახის წევრებმა მხოლოდ მისი მიტოვებული ავტომობილი აღმოაჩინეს. ვახტანგ ბჟალავა[350] სუპერმარკეტში შესვლამდე აიყვანეს, ძაღლი შემთხვევის ადგილზე დატოვეს, ხოლო დაკავებულზე რამდენიმე საათის განმავლობაში ინფორმაცია არ არსებობდა. ასე მოხდა ოთარ კვარაცხელიასა და ლაშა ტყემალაძის შემთხვევაშიც.[351] დაკავებულები აცხადებენ, რომ პოლიცია იყენებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ჩახუნაშვილი და ბჟალავა წინასწარ იყვნენ დაბარებულები საგამოძიებო ორგანოებში დემონსტრაციებთან დაკავშირებულ საქმეებზე. მათ უარი თქვეს გამოცხადებაზე და მაგისტრი მოსამართლის წინაშე დაკითხვა მოითხოვეს. მანაგაძესთან პოლიციელების დიალოგი („რატომ არ მოხვედი?", „რას გვაწვალებ") ბადებს ეჭვს, რომ ადმინისტრაციული დაკავება გამოიყენება იმ აქტივისტების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი უფლებით სარგებლობენ და მზაობას გამოთქვამენ მაგისტრი მოსამართლის წინაშე მისცენ ჩვენება.

დაკავებული აქტივისტები მიიჩნევენ, რომ მათი წინასწარ დაგეგმილი დაკავებები საცხოვრებელ ადგილებთან პროტესტის მონაწილეთა დაშინებას ემსახურება. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოქალაქეები არა მხოლოდ აქციებზე, არამედ საკუთარ საცხოვრებელ გარემოშიც კი საპოლიციო კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

---

[347] საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.
„ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება, თუ არსებული ვადიანი შრომითი ხელშეკრულება მისი ვადის გასვლისთანავე გაგრძელდა ან მომდევნო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება პირველი ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლიდან 60 დღის ვადაში დაიდო."

[348] საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გაგრძელდება, 11.11.2024; იხ. https://www.napr.gov.ge/ka/news/70 [11.02.2025].

[349] INTERPRESSNEWS, პედიატრი კოტე ჩახუნაშვილი დააკავეს, 09.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/824138-pediatri-kote-chaxunashvili-daakaves/ [11.02.2025].

[350] „რადიო თავისუფლება", „ვატო ბჟალავა მოსამართლემ 4-დღიან პატიმრობაში გაუშვა", 14.12.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33239937.html [11.02.2025].

[351] „ფორმულა", „ადვოკატი: პოლიციას შეეშალა და კვარაცხელია და ტყემალაძე სხვა ადამიანების ნაცვლად დააკავა", 19.01.2025; იხ. https://formulanews.ge/News/122770 [11.02.2025].

5.3. საცხოვრებელი/სამუშაო სივრცეების ჩხრეკა

საანგარიშო პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საპროტესტო **მობილიზაციის წინ,** სამართალდამცავი ორგანოები **მიმართავდნენ სამიზნე ჯგუფების -** პოლიტიკოსების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი მედიისა და სამოქალაქო აქტივისტების საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეების ჩხრეკას.[352] ჩხრეკები, როგორც წესი, მიმდინარეობდა **სასამართლოს ნებართვის გარეშე** ან, **გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, კანონით განსაზღვრული დადგენილების წარუდგენლად,** რაც ეწინააღმდეგება, როგორც **საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლს, ისე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლით დადგენილ სტანდარტებს.**

ჩხრეკებს საცხოვრებელ სახლებში, სამართალდამცავი ორგანოები, ხშირ შემთხვევაში, დისპროპორციული რაოდენობის პოლიციელთა მოულოდნელი შეღწევით ატარებდნენ. ეს პროცესი ხშირად ოჯახის წევრების, მათ შორის, არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით მიმდინარეობდა, რაც გამიზნული ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მსუსხავი ეფექტის გაძლიერების ერთგვარ ფორმად შეიძლება მივიჩნიოთ.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სექსუალური და გენდერული ძალადობის ფორმების გამოვლენა ჩხრეკის პროცესში. იყო შემთხვევები, როდესაც ქალი აქტივისტების მიმართ გამოიყენებოდა არასაჭირო გაშიშვლება და სხეულის შემოწმება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლისა და პროცედურული გარანტიების დაუცველად.[353]

ჩხრეკის პროცესში ადვოკატების დროული ჩართვა მიზანმიმართულად იზღუდებოდა. გამოკითხულმა პირებმა მიუთითეს, რომ სამართალდამცავი ორგანოები განზრახ აფერხებდნენ ადგილზე (საცხოვრებელ ან სამუშაო სივრცეებში) მყოფი პირების შესაძლებლობას, დაემყარებინათ კომუნიკაცია ადვოკატთან. ამგვარი პრაქტიკა გამოვლინდა სხვადასხვა ფორმით, მათ შორის, დაკავებული პირებისთვის მობილური ტელეფონების წართმევით და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის შეზღუდვით, რაც არსებითად არღვევდა მათ უფლებას, დროულად ჩაერთოთ პროცესში ადვოკატი.

საგამოძიებო სტრუქტურები, როგორც წესი, მიმართავდნენ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ცალმხრივ და არათანმიმდევრულ ინტერპრეტაციას, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკას. შედეგად, სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ჩაეტარებინათ ჩხრეკა ადვოკატის დაუსწრებლად ან რამდენიმე საათის დაგვიანებით, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის ცნობილი იყო, რომ დაკავებული პირი უკვე სარგებლობდა ადვოკატის მომსახურებით.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები **ლუქავდნენ** და **გაურკვეველი ვადით, შაბლონური სამართლებრივი დასაბუთებით უსაფუძვლოდ** ინახავდნენ **პოლიტიკური პარტიების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების საქმიანობისათვის აუცილებელ ტექნიკურ მოწყობილობებს,** მათ შორის, ლეპტოპებსა და მობილურ ტელეფონებს, რაც პირებს მნიშვნელოვნად **უზღუდავდა** საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების შესაძლებლობას.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ერთი და იმავე პირების საცხოვრებელ ან სამუშაო სივრცეში განმეორებით, ზოგჯერ რამდენიმე დღის ან კვირის ინტერვალით ჩატარებული ჩხრეკები.[354] ამგვარი პრაქტიკა აქტივისტების საქმიანობის პარალიზებისა და მათთვის ქონებრივი ზარალის მიყენების ერთ-ერთ ფორმად იქცა. სამართალდამცავი უწყებები განმეორებითი ჩხრეკების დროს მათ დამატებით თავიდან შეძენილ ტექნოლოგიურ მოწყობილობებსაც ართმევდნენ, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ჩხრეკის ადრესატთა პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმიანობას და ცალსახად მათი ტექნიკური პარალიზებისა და მძიმე ქონებრივი ზიანის მიყენებისკენ იყო მიმართული.

5.4. პირადი ჩხრეკა და ნივთების უკანონო ჩამორთმევის პრაქტიკა

დაკავებულ პირთა ჩხრეკა მიმდინარეობდა ადგილობრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების უხეში დარღვევით. როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაკავება ითვალისწინებს შესაბამისი ოქმის დაუყოვნებლივ შედგენას, რაც უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესის გამჭვირვალობას და დაკავებულ პირთა უფლებების დაცვას. ამის საწინააღმდეგოდ, აქციაზე დაკავებულ

[352] „რადიო თავისუფლება“, „სამოქალაქო აქტივისტებთან ჩხრეკა მიმდინარეობს - სავარაუდოდ, დაკავებულია რამდენიმე პირი“, 01.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33299587.html [11.02.2025]. „ტაბულა“, „მითხრეს, რომ გაზის შესამოწმებლად იყვნენ, შემოვარდნენ და დაიწყეს ჩხრეკა - ბუზიაშვილი“, 24.10.2024; იხ. https://tabula.ge/ge/news/724711-mitkhres-rom-gazis-shesamocmeblad-iqvnen?redir [11.02.2025]. ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივისტების სახლებში ჩხრეკა „ქართული ოცნების" მხრიდან დაშინების და რეპრესიის პოლიტიკის გაგრძელებაა, 01.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/aktivistebis-sakhlebshi-chkhreka-quot-kartuli-otsnebis-quot-mkhridan-dashinebis-da-represiis-politikis-gagrdzelebaa [11.02.2025]. „ტაბულა“, სად ჩატარდა ჩხრეკები და ვინ არიან დაკავებულები, 04.12.2025; იხ. https://tabula.ge/ge/news/726873-sad-chaatarda-chkhrekebi-vin-arian-dakavebulebi [11.02.2025].

[353] „ტაბულა“, „ლომჯარია ქალ აქტივისტებს: პოლიციელებს არ აქვთ უფლება, რომ გაშიშვლება დაგავალონ“, 07.02.2025; იხ. https://tabula.ge/en/news/729813-lomjaria-kal-aktivistebs-politsielebs-ar-akvt [11.02.2025].

[354] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „როგორ ებრძვიან აქტივისტურ ჯგუფებს საქართველოში - დე ფაქტო ხელისუფლების რეპრესიები ჯგუფ „დაიტოვეს“ მიმართ“, 09.01.2025, იხ. https://transparency.ge/ge/post/rogor-ebrzvian-aktivistur-jgupebs-sakartveloshi-de-pakto-xelisuplebis-represiebi-jgup-daitoves [11.02.2025]; OC MEDIA, Georgian police raid homes of three activists, detaining one, 03.02.2025, https://oc-media.org/georgian-police-raid-homes-of-three-activists-detaining-one/ [11.02.2025].

პირთა ჩხრეკა მიმდინარეობდა კანონით დადგენილი წესების სრული უგულებელყოფით. ოქმები შედგებოდა დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ხოლო დაკავების შემსრულებელ პირად მითითებული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელიც ადგილზე არ იმყოფებოდა.

თითქმის ყველა დაკავებულს წაართვეს ტელეფონი, საფულე, ძვირადღირებული ტანსაცმელი და სხვა სახის პირადი ნივთები. მათი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილიზებულმა პირებმა ადგილზე გაინაწილეს.[355] ამასთანავე, ხელმძღვანელი პირები არა მხოლოდ არ აღკვეთდნენ ამ უკანონო ქმედებას, არამედ პირიქით, ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ ამგვარ პრაქტიკას.

ერთ-ერთ შემთხვევაში, V52-ის მიერ მიცემული ინტერვიუს თანახმად, დაკავების შემდეგ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორის, ზვიად ხარაზიშვილის, ავტომობილთან მიიყვანეს. ზვიად ხარაზიშვილმა პირადად ჩამოართვა მას და მასთან ერთად დაკავებულ სხვა პირებს ტელეფონები, ლეპტოპები და სხვა პირადი ნივთები, და ეს მოხდა მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით – ყოველგვარი სათანადო დალუქვისა და შესაბამისი ოქმის შედგენის გარეშე. ჩამორთმეული ნივთები მან საკუთარ ავტომობილში შეინახა. ამგვარი პრაქტიკა, გარდა იმისა, რომ საკუთრების უფლების უხეში დარღვევაა, ასევე მიუთითებს სამართალდამცავთა დაუსჯელობის განცდის მასშტაბებსა და სამართლებრივი პასუხისმგებლობის არარსებობაზე.

აღსანიშნავია, რომ საპროტესტო აქციებზე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაკავებული პირების საპატრულო პოლიციისთვის გადაცემის შემდეგ, ზოგიერთ შემთხვევაში, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მოახერხეს დაკავებულებისათვის ჩამორთმეული ტელეფონებისა და სხვა პირადი ნივთების დაბრუნება. მიუხედავად ამისა, გამოკითხულმა პირებმა მიუთითეს, რომ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები შედგენილ ოქმებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში, როგორც წესი, არ ასახავდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილიზებული პირების მიერ პირადი ნივთების უკანონო ჩამორთმევის ფაქტებს. უკიდურეს შემთხვევებში, დოკუმენტების შემდგენელ პირთა ქმედებებში გამოვლინდა მცდელობა, უკანონოდ ჩამორთმეული ნივთები მოეხსენიებინათ „დაკარგულად“, რათა დაეფარათ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მობილიზებული პირების მიერ ამ ნივთების მითვისება, მაროდიორობა და თვითნებური ქმედებები.

ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა ნაწილის მიმართ იყენებდნენ მუქარას და ზეწოლას, მათ შორის, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რათა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის მიეცათ წვდომა თავიანთ მობილურ ტელეფონებსა და სხვა სახის ელექტრონულ მოწყობილობებზე. უარის შემთხვევაში, სამართალდამცავები მიმართავდნენ დამატებით ფიზიკურ ძალადობას.

აღსანიშნავია, რომ ეს ქმედებები პირდაპირ ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, კომპიუტერულ სისტემაში ან სისტემიდან კერძო კომუნიკაციისას გადაცემული კომპიუტერული მონაცემის ან ამგვარი მონაცემის მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების უნებართვო მოპოვება სისხლის სამართლის დანაშაულია. ამგვარი მონაცემების მოპოვება ნებადართულია მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების მოპოვების მიზნით, და ისიც მხოლოდ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

5.5. არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებები

საპროტესტო აქციებზე და მათ მიღმა, გამოიკვეთა არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფებების, ე.წ. „ტიტუშკების“ ჟურნალისტებზე, პროტესტის მონაწილეებსა და ოპოზიციურად განწყობილ პირებზე თავდასხმის შემთხვევები. ეს სახელმწიფოს ტერორის კიდევ ერთი გამოვლინებაა.

საგულისხმოა, რომ არაფორმალური კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან უცნობი პირები, ხშირად შავებსა ან/და არამაიდენტიფიცირებელ ტანსაცმელში ჩაცმული უცნობი პირები, რომლებიც სავარაუდოდ მთავრობის მიერ დაქირავებული მოძალადეები არიან. მსგავსი პირების ჩართულობა ძალადობრივ ქმედებაში სახელმწიფოს ტაქტიკაა, რომლის მიზანიც არის საპროტესტო აქციის მონაწილეების, მხარდამჭერებისა და ჟურნალისტების დაშინება და მათ მიმართ ძალადობა. ასეთი ფაქტების სიმრავლის პარალელურად პოლიციის უმოქმედობა მიუთითებს, რომ დანაშაულის პრევენციის, აღკვეთისა და რეაგირებაზე უფლებამოსილ პირებში არსებობს წინასწარი თანხმობა სადამსჯელო დაჯგუფებების მიერ დანაშაულის ჩადენაზე.[356]

საგულისხმოა, რომ ე.წ. „ტიტუშკების“ ტაქტიკას „ქართული ოცნების“ ხელისუფლება აქამდეც იყენებდა. კერძოდ, 2024 წლის გაზაფხულზე „რუსული კანონის“ წინააღმდეგ აქციების დროს, უცნობი პირები აქციის მონაწილეებს,

[355] მაგალითად, V16-ის და V71-ის, V61, V73 ინტერვიუების მიხედვით, მათი დაკავებისას სამართალდამცავებმა უკანონოდ ჩამოართვეს ტელეფონები, ძვირადღირებული ტანსაცმელი და საფულეები. დაკავებულთა თქმით, სამართალდამცავები ერთმანეთს აჩვენებდნენ ჩამორთმეულ ნივთებს და განიხილავდნენ, თუ ვის რომელი დარჩებოდა.

[356] საია, არაფორმალური სადამსჯელო დაჯგუფებები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და მაღალი თანამდებობის მქონე პირების ხელშეწყობით / მათი თანხმობით მოქმედებენ, 08.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/araformaluri-sadamsjelo-jgufebi-gyla-ganckhadeba [11.02.2025].

ორგანიზატორებს და მათი ოჯახის წევრებს სახლებთან ან ქუჩაში ხვდებოდნენ და სასტიკად უსწორდებოდნენ, რასაც ასევე არ მოჰყოლია რეაგირება სამართალდამცავი უწყებებისგან,[357] რამაც კიდევ უფრო წააქეზა და განავრცო ძალადობის ფარგლები. სადამსჯელო დაჯგუფებების ძალადობას ადგილი ჰქონდა არჩევნებთან დაკავშირებით გამართულ პროტესტებზეც.[358]

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იყო არაერთი შემთხვევა, როცა ეს პირები თავს ესხმოდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს ან ოპოზიციის ლიდერებს. მაგალითისთვის:

- 2 დეკემბერს, „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრს, გელა ხასაიას, სამი ე.წ. „ტიტუშკა“ საკუთარ სახლთან დაესხა თავს, როდესაც ის აქციაზე მისვლას ცდილობდა, მას სასტიკად სცემეს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს.[359]
- 4 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე მდებარე სასტუმრო „მარიოტთან“ მობილიზებული მოძალადეები თავს დაესხნენ ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც იქ მომავალი აქტივობების დასაგეგმად იყვნენ შეკრებილნი. მათ შორის იყო სამოქალაქო ტანსაცმელში მყოფი პოლიციის თანამშრომელი, გიორგი პირველაშვილი.[360] შეტაკების დროს პოლიცია თავდამსხმელების მხარეს დადგა და დააკავა ზურაბ დავითაშვილი, სპორტსმენი და ოპოზიციური პარტიის, „ახალი“, ლიდერი.[361]
- 6 დეკემბერს, „პუბლიკას“ ჟურნალისტს, მინდია გაბაძეს, ეროვნულ გალერეასთან საპროტესტო აქციის გაშუქების დროს, თავს დაესხნენ უცნობი პირები და მასზე ფიზიკურად იძალადეს. იმის მიუხედავად, რომ სამართალდამცველები შემთხვევის ადგილთან ძალიან ახლოს იდგნენ, მათ ამ ფაქტზე რეაგირება არ ჰქონიათ.[362]
- 6-7 დეკემბრის აქციაზე, ღამით, მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა რუსთაველის გამზირიდან თარხნიშვილის ქუჩით სანაპიროსკენ გადაინაცვლეს, მათ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული[363] უცნობი პირები დაუპირისპირდნენ,[364] რასაც პოლიციის მხრიდან ასევე არ მოჰყოლია რეაგირება.
- 7 დეკემბერს, სადამსჯელო რაზმების ძალადობამ ახალ რეპრესიულ საფეხურზე გადაინაცვლა, მას შემდეგ, რაც თავს ესხმოდნენ აქციის მონაწილეებს და ფიზიკურად უსწორდებოდნენ მათ. მოქალაქეები ჰყვებოდნენ, რომ აქციის მონაწილეებს ნიღბიანი, ხელკეტებით შეიარაღებული პირები დასდევდნენ და სცემდნენ.[365] ფიზიკურად გაუსწორდნენ მსახიობ გიორგი მახარაძესაც, რომლის თქმითაც, პოლიციას ძალადობაზე სათანადო რეაგირება არ ჰქონია.[366] გავრცელებული ინფორმაციით, „ტიტუშკებმა“ სცემეს აქციის მონაწილეს, ფსიქოლოგ გიორგი ჩოგოვაძეს.[367]

---

[357] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024, 9, იხ. https://admin.gyla.ge/uploads_script/publications/pdf/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf_01722589845.pdf [11.02.2025].

[358] „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „აქცია ცესკოს თავმჯდომარის სახლთან“, 16.11.2024; იხ. https://1tv.ge/video/aqcia-cesko-s-tavmjdomaris-sakhltan/ [08.12.2024].

[359] „რადიო თავისუფლება“, „გელა ხასაიას საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ“ – „გირჩი - მეტი თავისუფლება", 02.12.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33224038.html [11.02.2025].

[360] „ტვ პირველი“, „ოლიგარქის ომონის სახე - ვინ არიან და როგორ იქცევიან პირბადიანი ჩასაფრებული ტიტუშკები“, 04.12.2024; იხ. https://www.youtube.com/watch?v=pW8QBvpM4dU [11.02.2025].

[361] „Civil Georgia“, The Daily Beat: 4 December, 05.12.2024; იხ. https://civil.ge/?p=641602 [11.02.2025].

[362] საია, „საია ეხმიანება „პუბლიკას” ჟურნალისტის, მინდია გაბაძეზე თავდასხმის ფაქტს“, 06.12.2024; იხ. https://www.facebook.com/photo/?fbid=997707765734579&set=a.485094683662559 [11.02.2025].

[363] „ტვ პირველი“, „სანაპიროზე მყოფ აქციის მონაწილეებს იარაღიანი „ტიტუშკები" მიუგზავნეს“, 07.12.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=1086442272746708 [11.02.2025].

[364] საია, „ლეგიტიმური პროტესტის მე-9 ღამეს აქციის დარბევა საპოლიციო ტერორის ახალ ეტაპზე გადავიდა“, 07.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/protesti-me9-game-darebav-gyla [11.02.2025].

[365] „ტვ პირველის“ პირდაპირი ეთერი, 07.12.2024, 22:10.

[366] „მთავარი არხი“, „პატრულის თვალწინ, 30 ტიპი „დუბინკით" მცემდა... მიყურებდნენ, როგორ მცემდნენ მარტოს" | გიორგი მახარაძე“, 07.12.2024; იხ. https://www.facebook.com/TvMtavari/videos/594925579675717 [11.02.2025].

[367] „მთავარი არხი“, „ნაცემია ფსიქოლოგი გიორგი ჩოგოვაძე“, 08.12.2024; იხ. https://www.facebook.com/TvMtavari/posts/-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%9B%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%92%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A/978919904290680/ [11.02.2025].

- 7 დეკემბერს, ერთი და იგივე სადამსჯელო დაჯგუფება თავს დაესხა „ტვ პირველის“ ჟურნალისტს, მაკა ჩიხლაძეს[368] და, ამავე დროს, სასტიკად გაუსწორდა ოპერატორს, გიორგი შეწირულს.[369] დაჯგუფების წევრები ასევე ფიზიკურად გაუსწორდნენ მაკა ჯანაშიას და ეკა ჯანაშიას და წაართვეს მათ ტელეფონები, რადგან ისინი „ტვ პირველის“ ჟურნალისტებზე ძალადობის კადრებს ტელეფონით იღებდნენ.[370]
- 7 დეკემბერს, თბილისში, ბესიკის ქუჩაზე მდებარე კოალიციის ოფისში ფიზიკურად თავს დაესხნენ „ცვლილებების კოალიციის“ წევრს, კობა ხაბაზს, რომელმაც თავისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილში დაზიანებები მიიღო. კოალიციის ინფორმაციით, ასევე სცემეს კოალიციის ახალგაზრდული ორგანიზაციის კიდევ ორ წევრს. ოფისის სათვალთვალო კამერის ჩანაწერებში ჩანს, როგორ შეიჭრა შენობაში რამდენიმე ათეული შავებში ჩაცმული პირი. ხაბაზის თქმით, როდესაც ლიფტიდან გამოვიდა და კიბეზე დაშვება დაიწყო, უცებ დაახლოებით 50 ადამიანი შემოვარდა. მათ დაუწყეს გინება და ცემა, თავში რაღაც საგნით დაარტყეს, რის შედეგადაც ის დაეცა. შემდეგ კი წიხლებს ურტყამდნენ. ხაბაზმა განაცხადა, რომ მათ ის ამოიცნეს და განზრახ დაესხნენ თავს. ხაბაზს დაუმტვრიეს კბილები, ასევე მიიღო დაზიანებები თავზე.[371]
- 7 დეკემბერს, თავდასხმის დროს დაშავდა „ცვლილებების კოალიციის“ წევრი და თბილისის საკრებულოს დეპუტატი ნინო კვიტაიშვილი, რომელმაც მიიღო ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა, ცხვირის ძვლის მოტეხილობა და ჭრილობა ცხვირზე. თავდასხმისას მას სახეში მოხვდა, სავარაუდოდ, დაქირავებული მოძალადეების მიერ ნასროლი გატეხილი მინის ბოთლი.[372]
- 2024 წლის 17 დეკემბერს, საპროტესტო აქციის დროს, ოპოზიციური კოალიციის, „ერთობა-ნაციონალური მოძრაობის“, ლიდერმა გიორგი ვაშაძემ განაცხადა მთავრობის მიერ დაფინანსებული მოძალადეების მხრიდან ბასრი საგნით დაჭრის მცდელობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ახლოს იმყოფებოდა, ისინი არ ჩარეულან. მას შემდეგაც, რაც გამვლელებმა გამოიძახეს სასწრაფო დახმარება, პოლიციას რეაგირებისთვის საათზე მეტი დასჭირდა. ვაშაძეს საბოლოოდ დაუკავშირდა გამომძიებელი, რომელიც მოსვლას დაჰპირდა, მაგრამ შემდეგ განაცხადა, რომ ადგილზე არ მოვიდოდა.[373]
- 2024 წლის 17 დეკემბერს, გორში, გვიან ღამით, თავს დაესხნენ „ერთობა-ნაციონალური მოძრაობის“ ოფისს, როდესაც იქ პარტიის წევრები არ იმყოფებოდნენ. სათვალთვალო კამერის ჩანაწერებში ჩანს, რომ ნიღბიანმა პირმა, სავარაუდოდ, ოფისის ფანჯარასთან ფეიერვერკი აანთო, რამაც მინა ჩაამსხვრია. პოლიცია მთელი ღამის განმავლობაში მუშაობდა ადგილზე და გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რომელიც ეხება ქონების დაზიანებას ან განადგურებას.[374]

სამართალდამცავი ორგანოებისთვის და სახელმწიფო უწყებებისთვის ცნობილია მოძალადე ჯგუფების წევრთა ვინაობა, რაც დასტურდება საჯაროდ ხელმისაწვდომი მასალებით, სადაც ხშირად შესაძლებელია თავდამსხმელების ამოცნობა.[375] მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციას შეეძლო დროული რეაგირება მოეხდინა და აღეკვეთა ძალადობრივი ქმედებები, საჯარო წყაროების თანახმად, ისინი სრულ უმოქმედობას იჩენდნენ.[376] არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ეს არაფორმალური მოძალადე ჯგუფები მაღალი თანამდებობის პირებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერით მოქმედებენ, აქციების მონაწილეებისა და ჟურნალისტების დასაშინებლად.

---

[368] პირდაპირ ეთერში გადამღებ ჯგუფს ნიღბიანი ადამიანი მიუახლოვდა და ოპერატორისთვის კამერის წართმევას ცდილობდა, ამ დროს მაკა ჩიხლაძეს უკნიდან ასევე ნიღბიანი პირი მიუახლოვდა და ძირს დააგდო, ფიზიკურად გაუსწორდნენ ოპერატორს. პირველი არხი, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ გადამღებ ჯგუფს პირდაპირ ეთერში დაესხნენ თავს [ვიდეო], 07.12.2024; იხ. https://1tv.ge/news/telekompania-tv-pirvelis-gadamgheb-jgufs-pirdapir-etershi-daeskhnen-tavs-video/?fbclid=IwY2xjawHCaPNleHRuA2FlbQIxMQABHYDd5ODzxfGKqeD9MnRMOtkrTycKWtiCTHIPJRwxv7PXlXI8JJyAj3mhkw_aem_AbU71sKmvbo20XD1oEgLSw [11.02.2025].

[369] ტიტუშკები „ტვ პირველის” ოპერატორს ფიზიკურად გაუსწორდნენ. https://www.facebook.com/reel/1143698633979632 [11.02.2025].

[370] „პუბლიკა“, 08.12.2024; იხ. https://www.facebook.com/publika.ge/posts/-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9B-%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0-%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%AC%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B- %E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90-%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%94%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90-/1318112322921648/ [11.02.2025].

[371] „რადიო თავისუფლება“, „კობა ხაბაზს ფიზიკურად გაუსწორდნენ კოალიცია „ცვლილებისთვის" ოფისში“, 07.12.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33230586.html [11.02.2025].

[372] INTERPRESSNEWS, „ნინო კვიტაიშვილი - მივიღე „ფორმა 100“, სადაც წერია - ყვრიმალისა და ზედა ყბის ძვლების მოტეხილობა, ცხვირის ძვლის მოტეხილობა და ჭრილობა - ფიზიკური ტკივილი უკან დაიხევს, ავიტან ნაიარევს, გავაგრძელებ ბრძოლას - გამოძიება კი - დუმს“, 10.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/824232-nino-kvitaishvili-mivige-porma-100-sadac-ceria-qvrimalisa-da-zeda-qbis-zvlebis-motexiloba-cxviris-zvlis-motexiloba-da-chriloba-pizikuri-tkivili-ukan-daixevs-avitan-naiarevs-gavagrzeleb-brzolas-gamozieba-ki-dums/ [11.02.2025].

[373] „პუბლიკა“, „გიორგი ვაშაძე: ჩემზე გუშინდელი თავდასხმა შეიძლება მკვლელობის მცდელობად შეფასდეს“, 18.12.2025; იხ. https://publika.ge/giorgi-vashadze-chemze-gushindeli-tavdaskhma-sheidzleba-mkvlelobis-mcdelobad-shefasdes/ [11.02.2025].

[374] „მთავარი არხი“, „შენიღბულმა პირმა სავარაუდოდ, პიროტექნიკა ააფეთქა და მინა ჩაამსხვრია | ენმ-ის გორის ოფისზე თავდასხმაზე გამოძიება დაიწყო“, 18.12.2024; იხ. https://mtavari.tv/news/172950-shenighbulma-pirma-savaraudod-piroteknika-aapetka [11.02.2025].

[375] იქვე.

[376] „მაუწყებელი“, „ბიტა უჭირავს და აცილებს" - როგორ (არ) მოქმედებს პოლიცია ნიღბიანი ბანდების წინააღმდეგ“; იხ. https://www.facebook.com/reel/964512905732781 [01.03.2025]. „ფორმულა“, „უყურებდი, 30 კაცი დუბინკით როგორ მცემდა მარტოს, უყურებდი“ — გიორგი მახარაძის მიმართვა პოლიციელს“, იხ. https://www.facebook.com/reel/500573012333067 [01.03.2025].

III. სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობა

საქართველოს კონსტიტუცია ხელისუფლების დანაწილების საპარლამენტო მოდელს ემყარება. კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო კონტროლი ხორციელდება სასამართლო ხელისუფლების მეშვეობით, რომელიც შედგება საერთო სასამართლოებისგან და საკონსტიტუციო სასამართლოსგან. ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა გაჯერებულია ე.წ. დამოუკიდებელი ინსტიტუტებით, რომელთა ნაწილი, მათ შორის, მართლმსაჯულების სფეროშია შექმნილი.

6. ოლიგარქიული გავლენა: მიტაცებული სახელმწიფო ინსტიტუტები

საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების, განსაკუთრებით, მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა არაერთი საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციის, ისევე როგორც ადგილობრივი დამკვირვებლების შეფასებებით, სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. წლების განმავლობაში არაერთი შემთხვევა გამოვლენილა, რასაც დაუდასტურებია სახელმწიფო ინსტიტუტებზე არაფორმალური გავლენის მოხდენის ფაქტები.

2022 წლის 17 ივნისის ევროკომისიის ანგარიშით,[377] საქართველოსთან მიმართებით პირველად გაჩნდა ჩანაწერი, რომ საქართველოში არსებობს სახელმწიფო ინსტიტუტებზე ოლიგარქიული გავლენების პრობლემა და საჭიროა „დეოლიგარქიზაციის“ რეფორმის განხორციელება. შემდგომში, ვენეციის კომისიის თანმდევი დასკვნებით,[378] განიმარტა საქართველოში ოლიგარქიზაციის პრობლემის არსი და მისი აღმოფხვრის გზები.

ვენეციის კომისიის მიხედვით, საქართველოში, განსაკუთრებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გავლენის მქონე პირების - ოლიგარქების გაუმჭვირვალე გავლენები სერიოზული პრობლემაა.[379] აქ იგულისხმება ოლიგარქების მიერ სახელმწიფოების იურისდიქციის უგულებელყოფა, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების დანაწილებისა და გამიჯვნის მექანიზმებისთვის ძირის გამოთხრა და სარგებლის მიღების მიზნით მართლმსაჯულებაზე არასათანადო ზეწოლის განხორციელება.[380] საქართველოში არსებობს ხელისუფლების სამივე შტოს დე ფაქტო კონტროლის ნიშნები, რაც, სხვადასხვა შეფასებით მოხსენიებულია სახელმწიფოს მიტაცებად.[381]

ევროკომისიის უახლესი, 2024 წლის ანგარიშით, საქართველოს „დეოლიგარქიზაციის“ მიმართულებით მნიშვნელოვანი პროგრესი არ განუცდია, საკვანძო პრობლემების გადაჭრა ისევ დღის წესრიგში უნდა იდგეს, საჭიროა სისტემური რეფორმები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად.[382]

საქართველოში, ოლიგარქიული გავლენების უმთავრეს წყაროდ მიჩნეულია მმართველი პარტიის დამფუძნებელი, ბიძინა ივანიშვილი. ივანიშვილის დაფუძნებულმა „ქართულმა ოცნებამ“ და კოალიციამ 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და დააკომპლექტა მთავრობა, რომელსაც 2012-2013 წლებში პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მყოფი ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობდა.[383] 2013 წლის შემდგომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლაზე რამდენჯერმე გააკეთა განცხადება, თუმცა იგი ყველა ჯერზე „უკან დაბრუნდა“ და ამჟამად „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის პოსტი უკავია.[384]

2020 წელს, ადგილობრივი დამკვირვებლების შეფასებებში პირველად გაჩნდა მითითება, რომ ხელისუფლებაზე არაფორმალური გავლენის მასშტაბებმა სახელმწიფოს მიტაცების ნიშნულს მიაღწია.[385] 2022 წლის 9 ივნისის რეზოლუციით ევროპარლამენტმა შეშფოთება გამოხატა იმ „დესტრუქციული როლის გამო, რასაც ერთადერთი

---

[377] European Commission, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, 17.6.2022, 16-17, იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aef2-1740a79eda49_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf [11.02.2025].

[378] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), INTERIM OPINION ON THE DRAFT LAW "ON DE-OLIGARCHISATION", 13.03.2023; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)009-e [11.02.2025]. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FINAL OPINION ON THE DRAFT LAW "ON DE-OLIGARCHISATION", 12.06.2023; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)017-e [11.02.2025].

[379] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FINAL OPINION ON THE DRAFT LAW "ON DE-OLIGARCHISATION", პარ. 8, 12.06.2023; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)017-e [11.02.2025].

[380] იქვე, პარ. 9.

[381] იქვე, პარ. 10.

[382] EUROPEAN COMMISSION, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT, 30.10.2024. 25; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [11.02.2025].

[383] „რადიო თავისუფლება“, „მესამედ მოსვლისა და ორი წასვლის ქრონიკა - ივანიშვილის ცარცის წრე“, 05.01.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%91%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90-%E1%83%98%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90/32760925.html [11.02.2025].

[384] იქვე.

[385] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, „არის თუ არა საქართველო მიტაცებული სახელმწიფო?“ 11.12.2020; იხ. https://transparency.ge/ge/blog/aris-tu-ara-sakartvelo-mitacebuli-saxelmcipo [11.02.2025].

ოლიგარქი, ბიძინა ივანიშვილი თამაშობს საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში და იმ კონტროლის დონის გამო, რასაც ის ახორციელებს მთავრობაზე".[386] 2022 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციაში პირველადაა ნახსენები სახელმწიფოს მიტაცება (conitnued state capture),[387] და ივანიშვილი საქართველოში დემოკრატიის უკუსვლაზე პასუხისმგებელ პირადაა დასახელებული.[388]

დამაზიანებელი გავლენის გამო საქართველოს სახელმწიფოებრიობასა და დემოკრატიაზე, 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ბიძინა ივანიშვილისთვის ფინანსური სანქციების დაწესების მოწოდებით,[389] ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2024 წლის 27 დეკემბერს დაასანქცირა[390] ბიძინა ივანიშვილი საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ეროზიის, ადამიანის უფლებების დარღვევისა და დემოკრატიული პროცესისთვის ძირის გამოთხრის გამო.

ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებები მიუთითებს, რომ 2012 წლის შემდგომ ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაცია და ამჟამად მას აქვს საქართველოში არსებულ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენის, მათ შორის, მათი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა ქვეყანაში დემოკრატიის ჩასახშობად.

7. შინაგან საქმეთა სამინისტრო: მანიფესტაციის მონაწილეების წამება, დევნა და ძალადობა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (შსს) არის პოლიტიკური ორგანო - სამინისტრო, რომელსაც შეკრებისა და მანიფესტაციებისას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ისევე როგორც სამართალდარღვევებსა და დანაშაულზე რეაგირების ძირითადი ფუნქცია აკისრია. სწორედ შსს-ს ქვეშ არის თავმოყრილი სამართალდამცავი დაწესებულებების ძირითადი სისტემა, რომელიც ახორციელებს პრევენციულ და რეაქციულ ღონისძიებებს.[391] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების[392] თანახმად, სამინისტროში ერთიანდება 40 სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული (დეპარტამენტი), ტერიტორიული ორგანო, საქვეუწყებო დაწესებულება და საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შსს-ს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ახორციელებს მინისტრი, რომელსაც დებულების თანახმად, შეიძლება ჰყავდეს 6 მოადგილე.

„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მეორე პუნქტის "ი" ქვეპუნქტების თანახმად, მანიფესტაციის მიმდინარეობისას მანიფესტანტების უსაფრთხოების დაცვაზე, ისევე როგორც მანიფესტაციის შეწყვეტასა და მონაწილეთა დაშლაზე გადაწყვეტილების მიმღებია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ამ გადაწყვეტილების მიღება-აღსრულებას კანონმდებლობა შსს-ს სისტემაში შემავალი რომელიმე დაწესებულების ექსკლუზიურ უფლებამოსილებად არ განიხილავს, თუმცა მანიფესტაციის შეწყვეტა/მონაწილეთა დაშლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში წამყვანი როლი შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს (გდდ) აკისრია.

გდდ-ის დებულების მე-2 და მე-4 მუხლების[393] თანახმად, მასობრივი დემონსტრაციების მართვა არ არის დეპარტამენტის ერთადერთი ან თუნდაც ძირითადი ამოცანა. გდდ ნახევრად გასამხედროებული დაწესებულებაა, რომლის პრიორიტეტულ ამოცანად განსაზღვრულია შსს-ს ოპერატიული საქმიანობის საბრძოლო ძალით უზრუნველყოფა. საომარი მდგომარეობის დროს გდდ გადადის თავდაცვის ძალების შემადგენლობაში, ხოლო მშვიდობიანობის დროს უზრუნველყოფს რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის (საოკუპაციო ხაზის) დაცვას. შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვას კანონმდებლობა გდდ-ს ნომერ მეხუთე ამოცანად განიხილავს.[394]

„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანება[395] აწესრიგებს მასობრივი ღონისძიებების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბრძანების თანახმად, აქციების მართვის სამოქმედო გეგმას ადგენს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი შსს-ს შესაბამის დანაყოფებთან კოორდინაციით. ეს გეგმა განსაზღვრავს მანიფესტაციის მართვასთან დაკავშირებულ

[386] European Parliament resolution of 9 June 2022, პარ. 16; იხ. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0239_EN.html [11.02.2025].
[387] European Parliament resolution of 14 December 2022. პარ. 19; იხ. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2022-0442_EN.pdf [11.02.2025].
[388] იქვე, პარ. 14.
[389] European Parliament resolution of 28 November 2024, პარ. 11; იხ. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2024-0054_EN.html [11.02.2025].
[390] U.S. Embassy in Georgia, Sanctioning Georgian Dream Founder Bidzina Ivanishvili, 27.12.2024; იხ. https://ge.usembassy.gov/sanctioning-georgian-dream-founder-bidzina-ivanishvili/[11.02.2025].
[391] "პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 3.
[392] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 13 დეკემბრის N337 ბრძანება "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" 7-9 მუხლები.
[393] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1-ლი აპრილის №30 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ".
[394] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1-ლი აპრილის N30 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ", მე-4 მუხლის "დ" ქვეპუნქტი.
[395] ბრძანება და მასში შეტანილი ცვლილებები პროაქტიულად არ ქვეყნდება. ჩვენთვის ხელმისაწვდომია ბრძანება 2023 წლის 5 აპრილის მდგომარეობით.

ამოცანებს, სპეციალურ ღონისძიებებს, ისევე როგორც ამ ღონისძიებების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს.[396] სამოქმედო გეგმას ამტკიცებს შინაგან საქმეთა მინისტრი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. სამოქმედო გეგმა სახელმწიფო საიდუმლოებად მიიჩნევა და საზოგადოებას მასზე წვდომა არ აქვს.

7.1. საპოლიციო ძალების ოფიციალური და ჩრდილოვანი სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის შემუშავება გდდ-ს ოპერატიული დაგეგმვის სამმართველოს ევალება.[397] ამ სამმართველოს ამჟამად ყოფილმა უფროსმა, ირაკლი შაიშმელაშვილმა 2024 წლის 3 დეკემბერს სოციალური ქსელის საშუალებით გაავრცელა პირადი განცხადება (პატაკი), რითაც საზოგადოებას გადადგომის შესახებ აცნობა. 26 დეკემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან საქართველო დატოვა.[398] ქვეყნის დატოვების შემდეგ გავრცელებულ ინტერვიუში[399] მან ვრცლად ისაუბრა მუქარაზე მისი და მისი ოჯახის მიმართ.

გადადგომის შემდეგ ირაკლი შაიშმელაშვილმა რამდენიმე ინტერვიუში ნაწილობრივ დაფარა მანიფესტაციების დაშლისა და წინასწარდამტკიცებული სამოქმედო გეგმის ურთიერთმიმართების საკითხი. მისი შეფასებით, საპოლიციო მოქმედებები შეუთავსებელი იყო სამოქმედო გეგმასთან, რომლის შედგენაში მონაწილეობა პირადად ჰქონდა მიღებული.[400] იმის გათვალისწინებით, რომ წინასწარგანზრახვით ჩადენილი აშკარა დანაშაულებრივი აქტების (წამება, არაადამიანური მოპყრობა) მოქმედებები ნაკლებად სავარაუდოა, რომ სამოქმედო გეგმაში წერილობით იყოს ასახული, ირაკლი შაიშმელაშვილის მიერ გახმოვანებული ინფორმაცია სარწმუნო უნდა იყოს. ამ ფონზე, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტები, რომ მანიფესტაციების დაშლისას ჩადენილი დანაშაულები არ იყო ინდივიდუალური გადაცდომები. კერძოდ, ალყაში მოქცევის ოპერაციები, ადამიანთა წამებისთვის სპეციალურად მომზადებული მიკროავტობუსები, დაშინებისა და ფიზიკური ძალადობისთვის გამოყენებული იდენტური ხელწერა მიუთითებს, რომ არსებობდა წინასწარ მომზადებული ჩრდილოვანი სამოქმედო გეგმა, ისევე როგორც ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად საჭირო პირადი შემადგენლობა. ამასთანავე, წინასწარ იყო მომზადებული სათანადო პირობები ამ გეგმის აღსასრულებლად, კერძოდ, სათანადოდ გაწვრთნილი პირადი შემადგენლობა და ლოჯისტიკურ-ორგანიზაციული საკითხები.

ამასთანავე, არაფერი გამოკვეთილა, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა იმ გარემოებას, რომ საპოლიციო მოქმედებების დიდი ნაწილი მანიფესტაციის დღეებში სრულად იყო აცდენილი სამოქმედო გეგმას. აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმაში არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა მანიფესტაციების მიმდინარეობისას საპოლიციო ძალების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირების თვალსაზრისით. განსაკუთრებით, სამოქმედო გეგმის ის მონაკვეთები, რომლებიც ასახავს სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირებისა და სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/პირების შესახებ ინფორმაციას. თუმცა, სამოქმედო გეგმის საზოგადოებისთვის ხელმიუწვდომლობის მიუხედავადაც კი, შესაძლებელია იმ დასკვნის გაკეთება, რომ შსს სრულად არ მიჰყვებოდა ოფიციალურ სამოქმედო გეგმას და ნათლად იკვეთებოდა ჩრდილოვანი ტაქტიკები.

7.2. მანიფესტაციებისას, სპეციალური საშუალებების არაპროპორციულ და სადამსჯელო გამოყენებაზე პასუხისმგებელი უწყებები

კანონმდებლობა იცნობს მართლწესრიგის დაცვის პასიურ და აქტიურ სპეციალურ საშუალებებს.[401] პასიური სპეციალური საშუალებებია პოლიციელის ფიზიკური დაცვის საშუალებები (მაგ., ჩაფხუტი, ჯავშანჟილეტი, ფარი). ხოლო აქტიურ სპეციალურ საშუალებად კანონმდებლობა პოლიციელის ხელთ არსებულ იმ ტაქტიკებსა და შეიარაღებას განსაზღვრავს, რომლითაც შესაძლებელია ინდივიდუალურ ადამიანზე ან/და ადამიანთა ჯგუფზე ზემოქმედება (მაგ., ხელკეტი, წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი, ე.წ. რეზინის ტყვია და ა.შ).

აქტიური სპეციალური საშუალებების ნაწილი შესაძლებელია გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, მისი გამოყენების სიმარტივიდან გამომდინარე, თუმცა არსებობს გარკვეული ტიპის სპეციალური საშუალებები, რომელთა გამოყენებაც მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას და აქედან გამომდინარე, კონკრეტული გამოყენებული სპეციალური საშუალება იძლევა შსს-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულთან დაკავშირების შესაძლებლობას. ამასთანავე, სპეციალური საშუალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში თეორიულად ჩართული შეიძლება იყოს რამდენიმე კატეგორიის პირი.

- ხელმძღვანელი პირი; (აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში)

---

[396] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-5 მუხლი.

[397] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1-ლი აპრილის N30 ბრძანება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ”, მე-9 მუხლი.

[398] „რადიო თავისუფლება“, „მგლური კანონებით არ ვაპირებ სამართალი გადავიხადო” - გდდ-ს ყოფილი თანამშრომელი ირაკლი შაიშმელაშვილი“, 05.01.2025; იხ. https://www.youtube.com/watch?v=Y4OMh70EEVU&t=3332s.

[399] იქვე.

[400] იქვე.

[401] “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის 33-ე მუხლი.

- პასუხისმგებელი პირი; (აღნიშნულია სამოქმედო გეგმაში)
- დანაყოფის ხელმძღვანელი;
- სამართალდამცავი ინდივიდუალურად.[402]

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებულია შსს-ს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის უნიფორმის/კამუფლირების სტანდარტები, კანონმდებლობის თანახმად, „შეკრების/მანიფესტაციის დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა იდენტიფიცირება შესაძლებელი უნდა იყოს შესაბამისი ფორმის ტანსაცმლით ან/და შესაბამისი განმასხვავებელი ნიშნით".[403] მანიფესტაციის მართვაზე პასუხისმგებელ სამართალდამცავებს არამცთუ ინდივიდუალური, არამედ სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის მაიდენტიფიცირებელი ნიშნებიც კი არ ჰქონიათ. პირად შემადგენლობას, რომელიც კამერების თვალწინ განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა, როგორც წესი, არ ჰქონდა ქვედანაყოფის მაიდენტიფიცირებელი ნიშანი. მეტიც, ხშირ შემთხვევაში მათი სამართალდამცავად იდენტიფიცირების შესაძლებლობას მხოლოდ ის ფაქტი იძლეოდა, რომ ისინი საპოლიციო ძალების - ე.წ. რობოკოპების გვერდით იყვნენ განთავსებულები.

7.2.1. პასუხისმგებლობა აქტიური სპეციალური საშუალებების აშკარად არაპროპორციულ და უკანონო გამოყენებაზე

ფართო მასების კონტროლისთვის სპეციალური საშუალებების გამოყენება მოითხოვს სპეციალურად გადამზადებულ პირად შემადგენლობას. კერძოდ, წყლის ჭავლის მანქანის გადაადგილება, ისევე როგორც პოლიციის პირად შემადგენლობასთან მისი გამოყენება, მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და მას უნდა მოემსახუროს გამოყოფილი ოპერატორთა ჯგუფი, რომელიც კარგად იცნობს ქვედანაყოფების გადაადგილების ტაქტიკებს. ამის შესაძლებლობაც მხოლოდ გდდ-ს გააჩნია. იგივე უნდა ითქვას ცრემლსადენი აირის ჭურვებისა და ე.წ. რეზინის ტყვიების (არალეტალური ჭურვების) გამოყენებაზე.

წყალსატყორცნის ავზში გარკვეული ნივთიერების (სავარაუდოდ, ცრემლსადენი აირის ფხვნილის) შერევაზე, ცრემლსადენი აირის ჭურვების არაპროპორციულ გამოყენებაზე, ისევე როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ფორმებით გამოყენებაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ შესაბამისი ბრძანების გამცემ პირებსა და/ან სპეციალური საპოლიციო მოქმედებების შემსრულებლებს.

7.2.2. პასუხისმგებლობა დაკავების მომენტში მანიფესტანტების მიმართ ფიზიკურ ძალადობაზე, ცემაზე, არაადამიანურ მოპყრობასა და წამებაზე

საპოლიციო ძალების მიერ მანიფესტაციის მონაწილეთა დაკავებას ჰქონდა არა სამართალდარღვევაზე საპოლიციო რეაგირების, არამედ მანიფესტაციის მონაწილეებზე ნადირობის ბუნება. ამაზე ცხადად მიუთითებს საპოლიციო ძალების მიერ მანიფესტაციების დაწყებამდე/დასრულებიდან მალევე მანიფესტაციის მონაწილეებსა და სავარაუდო მონაწილეების დევნა-დაკავების ოპერაციები, ისევე როგორც შემთხვევით დაკავებები მანიფესტაციების მიმდინარეობისას. მთლიანობაში, საპოლიციო ძალების ტაქტიკები მიუთითებდა, რომ საპოლიციო ძალის მიზანი საყოველთაო შიშის დათესვა იყო და არა რომელიმე დარღვევაზე რეაგირება.

i. პასუხისმგებლობა დაკავებულ/თავისუფლებაშეზღუდულ ინდივიდებზე ძალადობასა და არაადამიანურ მოპყრობაზე მანიფესტაციების მიმდინარეობისას

დაკავების მომენტში: ადამიანებს აკავებდნენ ძალის გამოყენებით, მათ შორის, მაშინაც კი, როდესაც დაკავებული წინააღმდეგობას არ უწევდა. კადრები მიუთითებს, რომ ძალადობა ხშირად გადაიზრდებოდა ადგილზე ცემაში, მათ შორის, უკვე შებოჭილი და ძირს დაგდებული ადამიანების.

საპოლიციო ძალების კორიდორი: დაკავებულ მანიფესტანტებს, ხშირად უწევდათ საპოლიციო ძალების მიერ მოწყობილი ე.წ. კორიდორის გავლა, და ამ დროს მათ აყენებდნენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.

დაკავების ადგილის სიახლოვეს: დაკავებული პირების წინააღმდეგ საპოლიციო ძალადობის ინტენსივობა, ისევე როგორც ძალადობის ფორმების მრავალფეროვნება იზრდებოდა დაკავებულების კონტაქტის ხაზის ზურგში/უკან გადაყვანის შემდგომ. 2.2.1 და 2.2.2. ნაწილები მიუთითებს, რომ ძალადობისთვის გამოიყენებოდა ადგილები, სადაც საპოლიციო ძალების განლაგება და არსებული ურბანული ინფრასტრუქტურა ქმნიდა ძალადობის ფაქტის

[402] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-8 მუხლი (2023 წლის 5 აპრილის მდგომარეობით.)

[403] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" შსს-ის მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის N1002 ბრძანების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი (2023 წლის 5 აპრილის მდგომარეობით.)

იზოლაციისა და ჟურნალისტების ან/და მანიფესტანტების მიერ მათი ვიდეოკამერაზე აღბეჭდვისგან დაცვის საკმარის პირობებს. სადაც გარემო პირობები არ იძლეოდა ამის საშუალებას, იქმნებოდა დროებითი ვიზუალური ბარიერები საპოლიციო ტრანსპორტის გამოყენებით.

ძალადობა-წამების მობილური პუნქტები: გამოკითხულთა ნაწილი მიუთითებს, რომ დაკავების შემდგომ ისინი მოათავსეს სატვირთოს ტიპის მიკროავტობუსში, რომელსაც არ ჰქონდა დასაჯდომი სკამები, ხოლო მძღოლის სივრცე გამოყოფილი იყო ძირითადი სივრცისგან შიდა კედლით, რომელსაც ჰქონდა პატარა გისოსებიანი ფანჯარა (Cargo van Bulkhead partition). ამ ტიპის ტრანსპორტში მოხვედრილი ყველა პირი აღწერს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მძიმე და სასტიკ ფორმებს.

წამებისა და ძალადობის ჩადენის კონტროლი და აღრიცხვა: ჩვენებებიდან იკვეთება, რომ ძალადობრივი აქტების ჩამდენი პირები, მობილური ტელეფონის საშუალებით იწერდნენ ძალადობისა და წამების აქტებს, ისევე როგორც ნაწამები ადამიანების ფოტოებს და აგზავნიდნენ მათ, სავარაუდოდ, ზემდგომებთან. ჩვენებებიდან, დამატებით იკვეთება, რომ ძალადობის ჩამდენ პირებს ხშირად უწევდათ სიტყვიერი დადასტურება იმისა, დასრულებული იყო თუ არა შესაბამის ადამიანზე ძალადობა. ეს დამატებით მიუთითებს, რომ დანაშაულებრივი აქტები იყო პირდაპირი დავალება/ბრძანება, რომლის აღსრულება კონტროლდებოდა.

დაწესებულების ხელმძღვანელის უშუალო ჩართულობა: ძალადობის მსხვერპლთა ჩვენებებიდან, ისევე როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან გამომდინარე, მინიმუმ სამ შემთხვევაში გამოიკვეთა გდდ-ის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობა საპოლიციო ძალების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ მოქმედებებში. ორ შემთხვევაში, ეს იყო ფიზიკური ძალადობა და დაკავებულის ცემა, ხოლო ერთ შემთხვევაში - მანიფესტანტისთვის ნივთების ჩამორთმევა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გდდ-ს ხელმძღვანელი პირადი მოქმედებით აძლევდა მაგალითს დაქვემდებარებულ პირებს და აგზავნიდა სიგნალს, რომ ადამიანების ცემა, წამება იყო სტანდარტი, რომლითაც მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს უნდა ემოქმედათ.

რუსთაველის გამზირზე, საპოლიციო ძალებსა და მანიფესტანტებს შორის გამყოფი ხაზი დაკავებული ჰქონდა გდდ-ს პასიური თავდაცვის საშუალებებით აღჭურვილ პირად შემადგენლობას - ე.წ. რობოკოპებს. რობოკოპების ხაზის სიახლოვეს მანიფესტანტებს აკავებდნენ ერთგვარი მობილური ჯგუფები, რომლებიც მინიმუმ 5 ადამიანისგან შედგებოდა. საჯაროდ ხელმისაწვდომ ვიდეომასალაზე დაკვირვებით, თითოეულ მობილურ ჯგუფზე მიმაგრებული იყო ე.წ. რეზინის ტყვიის იარაღის ოპერატორი (12 კალიბრიანი იარაღი) და წიწაკის სპრეის გამომყენებელი ადამიანი, რომელთა კოორდინაციის ხარისხი ნათლად მიუთითებდა, რომ ამ ჯგუფებს გავლილი ჰქონდათ სათანადო მომზადება. შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის კურსების ანალიზით ირკვევა, რომ ამგვარი მომზადება არ არის გათვალისწინებული პოლიციის სხვა ქვედანაყოფების ტაქტიკური მომზადების პროგრამებში.[404] ამასთანავე, ავტობუსებით შექმნილი ვიზუალური ბარიერები, გდდ-ის ხელმძღვანელის პირადი ჩართულობა ადამიანთა ძალადობაში, ძალადობა-წამების აღსრულების კონტროლის გამოყენების მექანიზმები მიუთითებს, რომ შეკრება-მანიფესტაციების ადგილას და მიმდებარე ტერიტორიებზე ადამიანის ძირითადი უფლებების სისტემურ დარღვევებს, მათ შორის, წამებას აღასრულებდნენ შსს-ის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი და მის კონტროლს დაქვემდებარებული სხვადასხვა ჯგუფები-ინდივიდები.

განსხვავებით რუსთაველის გამზირისგან (პროტესტის ძირითადი კერისგან), მის მიმდებარე ტერიტორიებზე, აქციის მონაწილეებზე ნადირობდნენ პოლიციის სხვა ქვედანაყოფები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ მსუბუქი ავტომობილებით. მაღალი ალბათობით, ეს პირები არ ყოფილან გდდ-ს თანამშრომლები, ვინაიდან გდდ-ს პირადი შემადგენლობისთვის მოქმედების ამგვარი ფორმა უცხოა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ანალიზი მიუთითებს, რომ ამ დავალებაში ძირითადად ჩართული იყო თბილისის პოლიციის დეპარტამენტი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

ii. პასუხისმგებლობა ადამიანთა იძულებით გაუჩინარებაზე მანიფესტაციების პერიოდში

საპოლიციო ძალები მანიფესტანტებს და მანიფესტაციის სავარაუდო მონაწილეებს დევნიდნენ მანიფესტაციის დაწყებამდეც და მისი დაშლის შემდგომაც. საპოლიციო ძალების მხრიდან, მანიფესტაციების მონაწილე ან/და მანიფესტაციებიდან სახლისკენ მიმავალ ადამიანებზე მიმდინარეობდა ავტომობილებით ნადირობა. გამოიკვეთა მანიფესტაციის მონაწილეების სახლებში ადმინისტრაციული წესით დაკავების ან/და ავტომობილის მართვისას სპეცოპერაციების წესით აყვანის არაერთი შემთხვევა. განსხვავებით რუსთაველის გამზირისგან (პროტესტის ძირითადი კერისგან), მის მიმდებარე ტერიტორიებზე, აქციის მონაწილეებზე ნადირობდნენ პოლიციის სხვა ქვედანაყოფები, რომლებიც გადაადგილდებოდნენ მსუბუქი ავტომობილებით, რომლებიც არ ემთხვეოდა საპატრულო პოლიციის მანქანების აღწერილობას. მაღალი ალბათობით, ეს პირები არ ყოფილან გდდ-ს თანამშრომლები, ვინაიდან გდდ-ს პირადი შემადგენლობისთვის მოქმედების ამგვარი ფორმა უცხოა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი მიუთითებს, რომ ამ

[404] სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, პოლიციის სხვადასხვა ქვედანაყოფის მომზადების დეტალური პროგრამები; იხ. http://policeacademy.gov.ge/ka/professional-education/basic-training-courses [11.02.2025].

დავალებაში ძირითადად ჩართული იყო თბილისის პოლიციის დეპარტამენტი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი.

iii. დაკავებულ მანიფესტანტებზე ყაჩაღობა/ძარცვა საპოლიციო ძალების მხრიდან

ჩვენებებიდან იკვეთება, რომ მანიფესტაციების მიმდინარეობისას დაკავებულ ადამიანთა ნაწილს საპოლიციო ძალებმა წაართვეს პირადი ნივთები. პირად ნივთებს ართმევდნენ პოლიციის შენობებში მიყვანამდე და ისინი არ გაფორმებულა სათანადო დოკუმენტაციით და არც გათავისუფლების შემდგომ დაუბრუნებიათ მესაკუთრეებისთვის. ჩვენებების მიხედვით, ნივთებსა და ფულს იძულებით ართმევდნენ უშუალოდ ძალადობის ჩამდენი ჯგუფები. ერთ-ერთი გამოკითხული მიუთითებს, რომ მისთვის ნივთების წართმევაში მონაწილეობდა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის უფროსიც.[405] რამდენიმე შემთხვევაში, დაზარალებულებმა, ლოკაციის დამდგენი პროგრამების მეშვეობით, მოახერხეს ტელეფონის ადგილმდებარეობის განსაზღვრა. გარდა გდდ-ს ბაზისა, ეს ტელეფონები რამდენჯერმე გამოჩნდა ლომბარდების სიახლოვეს, ისევე როგორც საცხოვრებელ სახლებში.

იმის გათვალისწინებით, რომ ნივთების წართმევა ხილული იყო და ახლდა მუქარა და ძალადობა, საპოლიციო ძალების ამგვარი ქმედებები, მუქარის/ძალადობის ხარისხისა და გარემო პირობების გათვალისწინებით, შეიძლება შეფასდეს მუქარად ან ყაჩაღობად. ჩვენებებში არავის მიუთითებია, რომ ვინმეს პირადი ნივთები წაართვეს პოლიციის შენობისკენ მიმავალ გზაზე, შენობასა ან იზოლატორში გადაყვანის შემდგომ. ძარცვის/ყაჩაღობის ფაქტებზე დაზარალებულები საუბრობენ მათზე ძალადობისა და წამების პარალელურად, ძალადობის ჩამდენი ან/და ადგილზე მყოფი პირების მხრიდან.

iv. პასუხისმგებლობა ძალადობის კვალის წაშლა/მტკიცებულებების განადგურებასა და ცრუ ოქმების შედგენაზე

იკვეთება, რომ ნაცემი, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის, რიგ შემთხვევებში კი, ძარცვა/ყაჩაღობის მსხვერპლი ადამიანების „გაფორმების“, დაკავების ოქმების შედგენაში არ მონაწილეობდნენ უშუალოდ ძალადობის ჩამდენი პირები. დაკავებულთა გაფორმებასა და კონვეიერული სამართალწარმოების მომზადებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, თუმცა ამ პროცესში ასევე მონაწილეობდნენ კრიმინალური პოლიციისა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტები.

ამ ეტაპზე მთავარი მიზანი იყო დანაშაულის კვალის წაშლა და ცრუ ოქმების შედგენა. ძალადობის მსხვერპლი ადამიანებისთვის სისხლის მოცილება, ოქმებში განზრახ არასწორი ინფორმაციის მითითება, მაგალითად, შაბლონური ჩანაწერები აქციის მონაწილეების მიერ გინებისა და წინააღმდეგობის გაწევის თაობაზე. პოლიციელები ცდილობდნენ არ ჩაეწერათ ძარცვის/ყაჩაღობის შემთხვევები და მოტივირებულები იყვნენ ამგვარი დანაშაულებრივი აქტები გაეფორმებინათ დაკარგულ ნივთებად. ამ ეტაპზე დაკავებულებს უარს ეუბნებოდნენ სამედიცინო დახმარებაზე და ამის შესაძლებლობა მხოლოდ იმ ადამიანებს ეძლეოდათ, რომლებსაც ცხადი იყო, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორი არ მიიღებდა.

გაფორმება-კვალის დაფარვის ღონისძიებებზე განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და თბილისის პოლიციის დეპარტამენტს.

7.3. არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა მანიფესტაციების მონაწილეებზე ძალადობაში

არაფორმალური ჯგუფების მონაწილეობა მანიფესტანტებზე ძალადობაში ორ ნაწილად უნდა გამოიყოს. დადასტურებულად შესაძლებელია იმის თქმა, რომ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები რამდენჯერმე დაესხნენ თავს ჟურნალისტებსა და მანიფესტაციების მონაწილეებს. არაფორმალური დაჯგუფებებისა და სამართალდამცავი უწყებების კოორდინაციაზე მიუთითებს რამდენიმე გარემოება, განსაკუთრებით კი, კამერაზე აღბეჭდილი ინციდენტები, სადაც ნათლად იკვეთება, რომ ჟურნალისტების წინააღმდეგ თავდასხმაზე პოლიცია არ რეაგირებს. მაგალითად, 3.2.7. ნაწილში აღწერილი შემთხვევები, სადაც ჟურნალისტები პოლიციის ეკიპაჟის თანდასწრებით/სიახლოვეს გახდნენ ე.წ. ტიტუშკების თავდასხმის მსხვერპლნი, რაც საპოლიციო ძალებმა რეაგირების გარეშე დატოვეს. სამართალდამცავი ორგანოებისა და არაფორმალური ჯგუფების თანამშრომლობის დამატებითი მტკიცებულებაა თავდასხმებში მონაწილე ადამიანების დაუსჯელობა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე შემთხვევაში, ღია წყაროებზე დაყრდნობით, მედიამ მოახერხა მანიფესტაციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე თავდასხმაში მონაწილე ადამიანების ამოცნობა, ამ დრომდე არ გავრცელებულა ინფორმაცია რომელიმე მათგანის დაკავებისა თუ დაპატიმრების შესახებ.

[405] იხ. ნაწილი 2.2.4. და 5.4.

7.4. მანიფესტაციის შემდგომი დაჯარიმებისა და მანიფესტანტების სახის ამომცნობი სისტემებით იდენტიფიცირების პრაქტიკა

2024 წლის დეკემბერში, „ქართული ოცნების“ ერთპარტიულმა პარლამენტმა მნიშვნელოვნად გაამკაცრა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები. ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გამოყენებად რეპრესიულ სამართალდარღვევად ჩამოყალიბდა გზის სავალი ნაწილის დაკავება, რისთვისაც ჯარიმა 5000 ლარს შეადგენს. ეს, დაახლოებით, 19-ჯერ აღემატება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ განსაზღვრულ საარსებო მინიმუმს.[406]

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრთან 112“ კოორდინაციით, აქტიურად დაიწყო მანიფესტანტების შემდგომი დაჯარიმებები, რისთვისაც გამოიყენება სახელმწიფოს მასშტაბით არსებული ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა. ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამოყენებით და, მაღალი ალბათობით, მანიფესტაციის მონაწილეების ბიომეტრიული მონაცემების დამუშავებით (სახის ამომცნობი სისტემა), საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები მასობრივად ადგენენ სამართალდარღვევის ოქმებს, რომელთა საფუძველზეც 5000 ლარით ჯარიმდებიან 2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ მიმდინარე უწყვეტი პროტესტის მონაწილეები.

8. სპეციალური საგამოძიებო სამსახური

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების სპეციალური საგამოძიებო მექანიზმი საქართველოში 2018 წელს შეიქმნა და მისი მანდატი 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა.[407] ამ ფუნქციას 2022 წლამდე ასრულებდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის მიერ თანამდებობაზე 6 წლით არჩეული სახელმწიფო ინსპექტორი. 2019 წლის 3 ივლისიდან, სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა საქართველოს პარლამენტის მიერ არჩეული ლონდა თოლორაია.[408] 2021 წლიდან „ქართულმა ოცნებამ“ აქტიური პოლიტიკური შეტევა წამოიწყო სახელმწიფო ინსპექტორზე. 2021 წლის ბოლოს კი, „ქართულმა ოცნებამ“ დააინიციირა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ე.წ. რეფორმა. სამსახურის ფუნქციები გაიყო ორ ნაწილად, სამსახურს შეეცვალა დასახელება, ლონდა თოლორაიას კი უფლებამოსილება ვადაზე 3 წლით ადრე შეუწყდა.[409] ახლად შექმნილი საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელად აირჩიეს გენერალური პროკურატურის პროკურორი კარლო კაციტაძე, რომელიც ამ დრომდე ინარჩუნებს თანამდებობას.[410] იგი, 2019 წლიდან 2022 წლის თებერვლამდე, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსის პოზიციას იკავებდა.[411]

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ბაზაზე შეიქმნა სპეციალური საგამოძიებო სამსახური, რომელსაც დაევალა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება და ამასთანავე გაფართოვდა მისი მანდატი და დაემატა სხვა კატეგორიის დანაშაულს მიკუთვნებული რამდენიმე მუხლი, მათ შორის, ზოგიერთი დანაშაული, რომლის დაცვის ობიექტია გამოხატვის თავისუფლება და მედიის თავისუფლება.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (ODIHR) მალევე გამოაქვეყნა სასწრაფო დასკვნა,[412] რომლითაც ცვლილებების დაჩქარებულად მიღების პროცესი გააკრიტიკა. აღინიშნა, რომ პროცესს აკლდა ღიაობა, გამჭვირვალობა და, შესაძლოა, აღქმული ყოფილიყო პოლიტიკურად მიკერძოებულად და მიზანმიმართულად ინსტიტუტის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის დასასუსტებლად.[413]

ამ კონტექსტის გათვალისწინებით, ევროკომისიამ 2022 წლის 17 ივნისის დასკვნით მიუთითა, რომ ახლად ჩამოყალიბებულმა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს თავისი ეფექტიანობა და დამოუკიდებლობა,[414] ხოლო მისი რეფორმირება ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის

---

[406] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის დეკემბრის მონაცემებით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი შეადგენდა 260.3 ლარს; იხ. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/791/saarsebo-minimumi [11.02.2025].

[407] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონი ცვლილებებისა და დამატებების გარეშე; იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4276790?publication=0 [11.02.2025].

[408] Civil Georgia, პარლამენტმა სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობაზე ლონდა თოლორაია აირჩია, 11.06.20219; იხ. https://civil.ge/ka/archives/308034 [11.02.2025].

[409] “სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ” საქართველოს კანონში 2021 წლის 30 დეკემბერს შეტანილი ცვლილებები. https://matsne.gov.ge/ka/document/view/5337579?publication=0 [11.02.2025].

[410] აღსანიშნავია, რომ ლონდა თოლორაიას უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა 2022 წლის 17 ნოემბერს არაკონსტიტუციურად ცნო საკონსტიტუციო სასამართლომ, თუმცა ვინაიდან ამ უკანასკნელმა უარი თქვა საკუთარი გადაწყვეტილების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ინსტრუმენტების გამოყენებაზე, ლონდა თოლორაიას უფლებების აღდგენა, მისი გათავისუფლების არაკონსტიტუციურობის მიუხედავად, ვერ მოხერხდა. https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14452 [11.02.2025].

[411] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, კარლო კაციტაძე; იხ. https://sis.gov.ge/head-team?team_id=6 [09.04.2025].

[412] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, OPINION ON THE LEGISLATIVE AMENDMENTS ON THE STATE INSPECTOR’S SERVICE OF GEORGIA, 18.02.2022, იხ. https://www.osce.org/files/f/documents/d/1/512728.pdf [11.02.2025].

[413] იქვე, პარ 32.

[414] EUROPEAN COMMISSION, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, 17.6.2022, 10; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/a95905d5-9783-4a1b-aef2-1740a79eda49_en?filename=Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf [11.02.2025].

შემადგენელ ნაწილად იქცა. ვენეციის კომისიამ, 2023 წლის 18 დეკემბრის დასკვნით დაასახელა სამსახურის წინაშე არსებული საკვანძო გამოწვევები. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია პროკურატურის გადაჭარბებული როლი გამოძიების პროცესზე და უმაღლესი თანამდებობის პირების (შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალური პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი) გამორიცხვა ინსტიტუტის საგამოძიებო კომპეტენციიდან.[415] ევროკომისიის უახლესი ანგარიშით, ეს გამოწვევები კვლავ გადაუჭრელია.[416]

8.1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი კონცენტრირებულია სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევების გამოძიებაზე. სამართალდამცავ უწყებებში იგულისხმება მათ შორის,[417] პროკურატურა,[418] შინაგან საქმეთა სამინისტრო,[419] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური,[420] თავდაცვის ძალების სპეციალური სამართალდამცავი სტრუქტურული დანაყოფი, იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფი, სპეციალური პენიტენციური სამსახური, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა უნდა გამოიძიოს ამ პირების მიერ ძალადობით ან იარაღის გამოყენებით, აგრეთვე, დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულები (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და უფლებამოსილების გადამეტება), ჩვენების მიცემის იძულება, აგრეთვე, წამება, წამების მუქარა და დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა.[421] აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულებთან მიმართებით, სამსახურის მანდატი ვრცელდება როგორც სამართალდამცავ უწყებებზე, ასევე ყველა მოხელესა და მოხელესთან გათანაბრებულ პირზე[422] (იმ თანამდებობის პირების გარდა, რომლებიც ამორიცხულები არიან სამსახურის კომპეტენციიდან).

გარდა ამ სპეციალური დანაშაულებისა, რომელთა ბუნებაც უშუალოდ არის დაკავშირებული სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის დროს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მძიმე დარღვევებთან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენცია ვრცელდება ძირითადი უფლებების წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დანაშაულზეც, თუკი იგი ჩადენილია სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიერ[423] (მიუხედავად იმისა, დაკავშირებულია თუ არა ეს დანაშაული სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებასთან ან/და ჩადენილია თუ არა ეფექტიანი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი პირის წინააღმდეგ). ამგვარ დანაშაულებს განეკუთვნება ძალადობა (მათ შორის, ოჯახში ძალადობა), თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მუქარა და იძულება.[424]

დამატებით, სამსახურს აქვს ზოგადი მანდატი, გამოიძიოს ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაული მიუხედავად დანაშაულის ჩამდენი სუბიექტისა თუ დაზარალებულისა.[425] შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, საყურადღებოა შემდეგი დანაშაულები - სიტყვის თავისუფლების ხელყოფა, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, დევნა (ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით). ამ დანაშაულების შემადგენლობებიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება, რომ ამ დანაშაულებით დაფარულია ე.წ. ტიტუშკების მიერ ჩადენილი ძალადობის აქტები მანიფესტაციის მონაწილეების წინააღმდეგ.

---

[415] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), OPINION ON THE LAW ON THE SPECIAL INVESTIGATION SERVICE AND ON THE PROVISIONS OF THE LAW ON PERSONAL DATA PROTECTION CONCERNING THE PERSONAL DATA PROTECTION SERVICE, 18.12.2023; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2023)044-e [11.02.2025].

[416] EUROPEAN COMMISSION, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF REGIONS 2024 Communication on EU enlargement policy, 30.10.2024, 24-25; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [11.02.2025].

[417] "სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტი.

[418] გარდა საქართველოს გენერალური პროკურორისა და საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დანაყოფში გამოძიების საპროცესო ზედამხედველობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის პროკურორისა.

[419] გარდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა.

[420] გარდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსისა.

[421] "სპეციალურის საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.

[422] იგულისხმება საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა) ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებენ საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების წევრები, საარჩევნო სუბიექტები, კერძო აღმასრულებლები, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას. (იხ. სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის შენიშვნა).

[423] "სპეციალურის საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტი.

[424] არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისათვის ხელის შეშლა; კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, ან წინასაარჩევნო აგიტაციის ან წინასაარჩევნო კამპანიის ღონისძიების დროს ძალადობა ან ძალადობის მუქარა; საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა; ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენა ან/და საარჩევნო ხმის ფარულობის დარღვევა.

[425] "სპეციალურის საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი.

8.2. სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ასობით დანაშაული და ერთი საქმე

საქმის შესწავლისას ერთ-ერთ უმთავრეს ხარვეზად შეიძლება შეფასდეს 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით თბილისში შსს-ს წარმომადგენლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში (№199291124001) წარმართვა.[426] გამონაკლისია TV პირველის ჟურნალისტების - მაკა ჩიხლაძისა და გიორგი შეწირულის მიმართ ამოუცნობი პირების (ე.წ. „ტიტუშკების“) მხრიდან ჩადენილი ძალადობა, რომელზეც გამოძიება ცალკე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში მიმდინარეობს.

ამ საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს სულ მცირე 297 პირის მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. 2024 წლის 4 დეკემბრის SIS 3 24 00022211 წერილის თანახმად, საქმის გამომძიებელმა მიმართა დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელს და მოითხოვა ინფორმაცია 297 პირის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ აქციების დარბევის დროს არასათანადო მოპყრობას ის პირებიც დაექვემდებარნენ, რომლებიც დაკავებულები არ ყოფილან, ასევე, საქმეს დაემატა 10 დეკემბრის ჩათვლით ჩადენილ ქმედებებზე მიღებული შეტყობინებები, არსებობს ვარაუდი, რომ საქმე შეიძლება კიდევ უფრო მეტი მსხვერპლის მიმართ ჩადენილ დანაშაულებს შეეხებოდეს. ამ საქმესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელმა მოითხოვა დეტალური საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, სავარაუდო მსხვერპლების რაოდენობასთან დაკავშირებით, თუმცა უწყებამ წერილებით მოთხოვნილ კითხვათა უმეტესობას პასუხი არ გასცა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინფორმაციას სისტემატურად აღრიცხავს წლიური ანგარიშის მიზნებისთვის.[427]

საქმის მასალების შესწავლით დგინდება, რომ შემთხვევები შეეხება პოლიციელთა მიერ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ჩადენილ არასათანადო მოპყრობას. ამასთანავე, ქმედებები არ არის შემოსაზღვრული კონკრეტული ლოკაციით. ერთ საქმეშია თავმოყრილი რუსთაველის გამზირის მიმდებარე და მაგალითად, სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი ქმედებები. ამგვარი მიდგომა გარე დამკვირვებლისთვის ქმნის ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დიდი რაოდენობით საგამოძიებო მოქმედების განხორციელებისა და **მოჩვენებითი ეფექტიანობის** შთაბეჭდილებას, თუმცა რეალურად, შემთხვევების ხელოვნურად, ერთი საქმის ფარგლებში გამოძიებით იქმნება საფრთხე, რომ კონკრეტულ დანაშაულებს სათანადო დრო და ყურადღება არ დაეთმობა.

მსხვერპლთა სიმრავლე თავისთავად განაპირობებს საგამოძიებო მოქმედებათა სიმრავლესაც, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამოძიება ეფექტიანად მიმდინარეობს. ერთი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დიდი რაოდენობით მსხვერპლის თავმოყრა (მაშინ, როდესაც შემთხვევების საერთო მახასიათებელი მხოლოდ მსხვერპლების აქციებთან შემხებლობაა), ქმნის ინციდენტების ხელოვნურად გაერთიანების შთაბეჭდილებას. ამასთანავე, არსებობს საფრთხე, რომ დიდი მოცულობით მასალების ქაოსურად დამუშავების გამო, შეუძლებელი იქნება თითოეული ქმედების დამოუკიდებლად შესწავლა და დამნაშავეებისთვის ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშის ავტორ ორგანიზაციებს არ ჰქონიათ საქმის მასალების სრულფასოვნად შესწავლის შესაძლებლობა, რადგან საქმის მასალები შეზღუდული ოდენობით, მხოლოდ ცალკეულ დაზარალებულებთან შემხებლობაში მყოფი მტკიცებულებების ნაწილში გადაეცათ. თუმცა, 2024 წლის ანგარიშში სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მისი აპარატის წარმომადგენლები საგამონაკლისო წესით გაეცნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს. ანგარიშის მიგნებები ემთხვევა არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის შეფასებებს გამოძიების არაეფექტიანობასა და სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით. ასევე, ადგენს რამდენიმე ახალ მიგნებას, რომელზეც არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელს, გადაცემული მასალების არასრულფასოვნებისა და ფრაგმენტულობის გამო, ინფორმაცია არ მიეწოდა.

8.3. დანაშაულის არასწორი და არასრული კვალიფიკაცია

№199291124001 საქმეზე გამოძიება თავდაპირველად სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით დაიწყო (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით), ხოლო მას შემდეგ, რაც გამოვლინდა ჟურნალისტებზე თავდასხმის შემთხვევებიც, გამოძიების კვალიფიკაცია შეიცვალა და გამოძიება 333-ე და 154-ე მუხლების (ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ერთობლიობით მიმდინარეობს.

მიუხედავად კვალიფიკაციის დაზუსტებისა, უნდა აღინიშნოს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება მაინც არასათანადო კვალიფიკაციით მიმდინარეობს. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელის მიერ პოლიციელთა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა ჩვენებებით, ისე მედიაში გავრცელებული ინფორმაციითა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის სახალხო დამცველის აპარატისა და მედია ომბუდსმენის მიერ გაგზავნილი წერილების საფუძველზე ცალსახად იკვეთება ისეთი მძიმე დანაშაულის ნიშნები, როგორებიცაა წამება

[426] 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში აქციების დროს ან აქციებთან დაკავშირებით პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება 2024 წლის 29 ნოემბერს დაიწყო.

[427] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2025 წლის 2 თებერვლის SIS 0 25 00002598 წერილი. ასევე, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის ანგარიში, რომელშიც მოთხოვნილი მონაცემების უმეტესობა კრებითად, ცალკეული საქმეების დიფერენცირების გარეშე არის აღრიცხული და დამუშავებული.

და წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები ასევე უთითებენ პოლიციელთა მხრიდან პირადი ნივთების წართმევის ფაქტებზე, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება განიხილებოდეს წამების, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის ერთ-ერთ მეთოდად, პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის და პერსონალური მონაცემების ხელყოფად ან ძარცვად. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი საგამოძიებო სამსახურმა თავდაპირველად გამოძიება შედარებით მსუბუქი მუხლით დაიწყო, შემდგომში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჰქონდა შესაძლებლობა, შეეცვალა კვალიფიკაცია, ან არსებული საქმიდან (№199291124001) გამოეყო ის საქმეები, რომლებშიც უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებაზე გაცილებით მძიმე დანაშაულების ჩადენა იკვეთებოდა.

ამას გარდა, სახალხო დამცველის აპარატის წერილებიდან შესაძლებელია პოლიციელთა ქცევის მსგავსი მოდელების განსაზღვრა. ხშირია ჰომოფობიური და ანტიევროპული სიძულვილის ენის გამოყენება, ჯგუფური ძალადობა, ხელებშეკრული პირების მიმართ ძალადობა, გაუპატიურების და მოკვლის მუქარა, მუქარისა და ძალადობის დროს გამოყენებულია მსგავსი ფრაზები. ძალადობის ამდენად სისტემური და მასშტაბური ხასიათიდან გამომდინარე, პირველივე შეტყობინებების მიღების შემდეგ საგამოძიებო ორგანოს უფლებამოსილ პირებს უნდა ევარაუდათ, რომ ქმედებები იყო არა დამნაშავის ინდივიდუალური გადამეტება, ძალადობის იზოლირებული აქტი, არამედ ხორციელდებოდა გაცემული ბრძანების საფუძველზე. მაგალითად, საგამოძიებო ორგანოსთვის ძალადობის სისტემური ხასიათის ერთ-ერთი აშკარა მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო არასათანადო მოპყრობისთვის მობილიზებული მიკროავტობუსები, რომლებზეც ძალადობის მსხვერპლებიც უთითებდნენ და რომლებიც იმგვარად იყო მოწყობილი, რომ შიგნით განთავსებულ პირებზე ადვილად ეძალადათ. შესაბამისად, ამ ინფორმაციის გაცნობის საფუძველზე ობიექტურ პირს უნდა ევარაუდა, რომ სისტემური და მასშტაბური ძალადობა წინასწარ დადგენილი გეგმით ხორციელდებოდა.

დანაშაულის სისტემურობაზე მიუთითებს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშიც, რომლის თანახმად, ყოველწლიურად იზრდება აქციების დაშლის დროს მონაწილეთა მიმართ ჩადენილი ძალადობის მასშტაბი. კერძოდ, „2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა 60%; ამასთანავე, ზამთრის აქციების დაშლის პირველ დღეებში - 2024 წლის 29 ნოემბრიდან - 2 დეკემბრის პერიოდში, მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე 79.5%, ხოლო 2025 წლის 2-3 თებერვლის შეხვედრებისას 25 პირიდან - 22, ე.ი. 88% აცხადებდა, რომ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა“.[428]

სახალხო დამცველი იმავე ანგარიშში აღნიშნავს, რომ შსს-ს წარმომადგენლების, განსაკუთრებით კი, გდდ-ს მიერ ჩადენილი ქმედებები, მათ შორის, წამებისა და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის მსგავსი გარემოებები არასათანადო მოპყრობის სისტემურობაზე მეტყველებს: „არასათანადო მოპყრობის, რომელიც მოიცავს წამებას, წამების მუქარას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, სისტემურობაზე მეტყველებს რამდენიმე გარემოება: რამდენიმე ათეული მსხვერპლი, რომელიც მათ მიმართ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის მსგავს მეთოდებზე, ხერხებსა და ფორმებზე მიუთითებს. მათი მონათხრობიდან იკვეთება გდდ-ს ქმედებებისთვის დამახასიათებელი ერთგვაროვანი ხელწერა. კერძოდ, დაკავებულები აღნიშნავდნენ დაკავებისას ძირს დაგდებას (მათ შორის, დარტყმით), დაგდებულის/წაქცეულის წრეში მოქცევა და დერეფნებში გატარება, რა დროსაც ჯგუფურად, ხელებით და ფეხებით მრავალჯერად დარტყმებს აყენებდნენ და მიკროავტობუსები, სადაც გრძელდებოდა სასტიკი ძალადობა, მიზანმიმართული დაზიანებების მიყენება სახისა და თავის არეში, რაც, ხშირ შემთხვევაში, მსხვერპლებს ვიზუალურადაც ემჩნეოდათ. ეს გარემოებები შეიძლება მიუთითებდეს, რომ არასათანადო მოპყრობის ერთნაირი მეთოდები წინასწარ იყო შემუშავებული“.[429]

ბუნებრივია, არ არის გამორიცხული კვალიფიკაციის შემდგომი შეცვლა, თუმცა მოცემულ ეტაპზე გამოძიება აშკარად არასრულფასოვანი კვალიფიკაციით მიმდინარეობს, რაც ართულებს სისტემური დანაშაულის მასშტაბისა და ინტენსივობის აღქმას.

8.4. დიდი რაოდენობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარების ილუზიის შექმნა

სავარაუდოდ, 2025 წლის მარტის ბოლოს სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა 2024 წლის საქმიანობის ანგარიში.[430] მასში წარმოდგენილია კრებითი მონაცემები. 2024 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეებში პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფატები შეფასებულია მანამდე სამსახურის Facebook

[428] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, 2025, 77.; იხ. /https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [11.02.2025].
[429] იქვე, 90.
[430] „სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ანგარიში არაუგვიანეს 31 მარტისა უნდა წარედგინოს საქართველოს პარლამენტს. აღსანიშნავია, რომ ანგარიში მხოლოდ სამსახურის ვებგვერდზე, ანგარიშების ველშია ხელმისაწვდომი. არც სოციალურ ქსელებში და არც სამსახურის ვებგვერდის სიახლეების ველში არ არის ინფორმაცია მითითებული ანგარიშის გამოქვეყნების შესახებ, რაც ქმნის სამსახურის მხრიდან საზოგადოებრივი გამოხმაურებისთვის თავის არიდების მცდელობას.

გვერდზე გავრცელებული განცხადების ფორმატში, რომლითაც 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში პოლიციელთა მიერ ჩადენილი ძალადობის საქმის გამოძიების შუალედური შედეგები ეცნობა საზოგადოებას.[431]

ანგარიშის თანახმად, გამოკითხულია 476 პირი, მათ შორის, 51 ჟურნალისტი და 130 სამართალდამცავი.[432] იმის გათვალისწინებით, რომ 4 დეკემბრის SIS 3 24 00022211 წერილის თანახმად, საგამოძიებო სამსახურს ამოცნობილი ჰყავდა 297 სავარაუდო მსხვერპლი და ეს რიცხვი მაღალი ალბათობით გაიზარდა, რადგან გამოძიება 10 დეკემბრის ჩათვლით განხორციელებულ ქმედებებს მოიცავს, სავარაუდოდ, გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი სავარაუდო მსხვერპლები არიან.

რაც შეეხება 130 სამართალდამცავს, არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელს არ ჰქონია სამართალდამცავების გამოკითხვის ოქმების შესწავლის შესაძლებლობა, თუმცა, ამ მხრივ, საყურადღებოა სახალხო დამცველის ანგარიში, სადაც მითითებულია: „პროტესტის მონაწილეთა ოფიციალური დამკავებელი პირები არ არიან ფაქტობრივად დამკავებელი პირები, რაც პოლიციელთა მხრიდან მტკიცებულების ფალსიფიკაციაზე შეიძლება მიანიშნებდეს. გამოკითხული დამკავებლად გაფორმებული პოლიციელები, როგორც წესი, მიუთითებენ, რომ დაინახეს კონკრეტული პირის მხრიდან სამართალდარღვევა, თუმცა, ამავე დროს, ხალხმრავლობასა და ხმაურზე მითითებით, ვერ ხედავდნენ ამავე მოქალაქეების მიმართ ჩადენილ არასათანადო მოპყრობას“.[433]

ანგარიშში სპეციალური საგამოძიებო სამსახური განმარტავს, რომ 85 პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი. აღსანიშნავია, რომ შესწავლილი საქმეებით, დგინდება, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლებს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ მათი ან მათი ადვოკატის მიმართვის საფუძველზე, ხოლო იმ პირებისთვის, რომლებსაც პროკურატურისთვის არ მიუმართავთ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების მოთხოვნით, პროკურატურას ამ დრომდე არ მიუნიჭებია სტატუსი.[434]

იმავე ანგარიშის თანახმად, სპეციალური საგამოძიებო სამსახური განმარტავს, რომ სამსახურში მიმდინარეობს 2000 საათზე მეტი მოცულობის ვიდეომასალის დათვალიერება. თუმცა სპეციალური საგამოძიებო სამსახური არც ანგარიშში და არც საჯარო განცხადებებში არ ახსენებს, რომ მიუხედავად მოთხოვნისა, საგამოძიებო სამსახურს არ გადმოეცა ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა სამსახურებიდან „რემონტის“, „დაზიანების“, ან „ტექნიკურ ხარვეზზე“ მითითების ან სხვა მიზეზების გამო. მეტიც, საქმის მასალების მიხედვით, საგამოძიებო სამსახურს თითქმის ორი თვე დასჭირდა, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ 112-იდან ვიდეოჩანაწერები მიეღო. თუმცა, ამ ვიდეოჩანაწერის მიწოდების თაობაზე გაგზავნილ თითოეულ წერილს აქვს დათქმა, რომ ჩანაწერი არასრულია. ამასთანავე, საგამოძიებო სამსახურმა მხოლოდ იმ დროითი შუალედის ვიდეოჩანაწერები მოითხოვა, როდესაც სამართალდამცავი ორგანოები სპეციალურ საშუალებებს იყენებდნენ. შესაბამისად, ისინი არ ასახავს სამართალდამცავთა გადაადგილებას, პოზიციებზე განლაგებას, ასევე, შესვენებისთვის გამოყოფილ ადგილებს, რასაც შეიძლება კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდეს კონკრეტული პირების გამოსავლენად, რომლებსაც სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს თითქმის მუდმივად ეკეთათ ნიღბები.

მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ სამხრე კამერების ჩანაწერებისა და პოლიციის შენობებიდან, ფაქტობრივად ვერ მოიპოვა ჩანაწერები, სპეციალური საგამოძიებო სამსახური 2024 წლის ანგარიშში მხოლოდ ზოგად კონტექსტში მიუთითებს სამხრე კამერებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.[435] ამავე ანგარიშიდან ირკვევა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური ანგარიშის მიზნებისთვის აღრიცხავს 112-იდან გადაცემული ვიდეოჩანაწერების მოცულობას, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელისთვის, ამ საკითხზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ფარგლებში, პასუხი არ გაუცია. სამხრე კამერების და სხვა ვიდეოჩანაწერების ფაქტობრივ არარსებობაზე მიუთითებს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშიც: „გამოძიებამ თითქმის ვერ მოიპოვა რელევანტური ვიდეოჩანაწერები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან თუ კერძო ობიექტიდან, ასევე პოლიციელების სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერები და ე.წ. რაციების აუდიოჩანაწერები, მათ შორის, დაუსაბუთებელი ან ურთიერთგამომრიცხავი განმარტებებით“.[436]

საყურადღებოა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სხვადასხვა წყაროში[437] მითითებული განსხვავებული მონაცემები. 2025 წლის 17 იანვრის განცხადებაში საუბარი შეეხებოდა 343 გამოკითხულ პირს, 52 დაზარალებულს

---

[431] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, 17.01.2024; იხ. https://www.facebook.com/photo?fbid=586832767309689&set=a.107516725241298 [11.02.2025].

[432] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, 66; იხ. https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=99 [30.04.2025].

[433] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, 79.

[434] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 66; იხ. https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=99 [30.04.2025].

[435] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 77, იხ. https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=99 [30.04.2025].

[436] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [11.02.2025].

[437] სპეციალური საგამოძიებო სამსახური, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, 17.01.2025; იხ. https://www.facebook.com/photo?fbid=586832767309689&set=a.107516725241298 [11.02.2025].

სპეციალური საგამოძიებო სამსახური, 2024 წლის საქმიანობის ანგარიში, 66; იხ. https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=99 [11.02.2025]. საქართველოს სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის 2025 წლის 21 მარტს წარდგენილი ანგარიში, 2025, 4 (1); იხ. https://rm.coe.int/comments-of-the-authorities-of-georgia-on-the-commissioner-s-memorandu/1680b4fc1d [30.03.2025].

და 1400 საათზე მეტი მოცულობის ვიდეოჩანაწერს. ანგარიშში, რომელიც, წესით, მხოლოდ 2024 წლის საქმიანობას უნდა ასახავდეს, გამოკითხულ პირთა, დაზარალებულთა და ვიდეოჩანაწერების საათების მოცულობა გაცილებით მაღალია 17 იანვრის მონაცემებთან შედარებით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის 2025 წლის 21 მარტის კომუნიკაციაში პროკურატურის მიერ მიწოდებული მონაცემები აღემატება როგორც ანგარიშში, ისე განცხადებაში მითითებულ მონაცემებს და, ამავე დროს, ანგარიშის მსგავსად, არ არის მითითებული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის თარიღი. ამგვარი მიდგომა კითხვებს აჩენს მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების რაოდენობის მიმართ და კიდევ ერთხელ ქმნის საგამოძიებო სამსახურის მხრიდან რიცხვებით მანიპულირების შთაბეჭდილებას.

8.5. საკვანძო მტკიცებულებების დაზიანების ან განადგურების შესაძლო შემთხვევებზე უმოქმედობა

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, მიმართვის მიუხედავად, არ გადმოეცა ვიდეოჩანაწერები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სამსახურის, მერიის უსაფრთხოების სამსახურის და საქართველოს პარლამენტის აპარატიდან.

- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის 18 დეკემბრის №SSG 1 24 00299602 წერილის თანახმად, ქ. თბილისში, 9 აპრილის ქუჩის №4-ში [პროტესტის ლოკაციის მიმდებარედ] მდებარე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციულ შენობაში მიმდინარე რემონტის გამო, გარე ფასადზე განთავსებული სამეთვალყურეო კამერებით არ მიმდინარეობს გარე პერიმეტრის ჩაწერა/მონიტორინგი;
- საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის 2024 წლის 16 დეკემბრის №7193/2-1/24 წერილის თანახმად, პარლამენტის აპარატს არ აქვს პარლამენტის გარე ფასადზე განთავსებული კამერების ჩანაწერები;
- საქართველოს სახელმწიფო სპეციალური დაცვის სახელმწიფო სამსახურის 2024 წლის 24 დეკემბრის №SSPS 7 24 000 53545 წერილის თანახმად, სპეციალური დაცვის სამსახურის შენობის ფასადზე, 9 აპრილის ქუჩის მხრიდან განთავსებული ვიდეოკამერები და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, დაზიანების გამო არ აწარმოებს ჩაწერას;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის 27 დეკემბრის №22-01243623386 წერილის თანახმად, გამოძიებისთვის რელევანტურ ერთ-ერთ ადგილზე 27 ნოემბრიდან იყო ხარვეზი და ვიდეოჩაწერა არ მიმდინარეობდა; 27 დეკემბრის №22- 01243623436 წერილით კი, იმავე სამსახურმა განმარტა, რომ სხვა ასევე რელევანტურ ადგილზე დაზიანდა ვიდეოკამერები და ჩანაწერები აღარ ინახებოდა. თუმცა არ დაუკონკრეტებია კამერების დაზიანების თარიღი და დაზიანებამდელი ჩანაწერების მდგომარეობა;
- ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 26 დეკემბრის N MIA 5 24 03928174 წერილის თანახმად, რომელიც პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელთა მხრიდან 60-ზე მეტი პირის დაკავებას ეხება, უფლებამოსილი პირი უთითებს, რომ დაკავებისას პოლიციელები არ ყოფილან აღჭურვილნი სამხრე კამერებით და მტკიცებულებების აუდიოფიქსაცია არც რაიმე სხვა მექანიზმით განუხორციელებიათ.

ამას გარდა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმეში ფაქტობრივად არ არის მოპოვებული სამხრე კამერების ჩანაწერები, თუმცა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ამის შესახებ ინფორმაცია არ აუსახავს თავის 2024 წლის ანგარიშში, ასევე, მოთხოვნის მიუხედავად, საჯარო ინფორმაცია არ მიუწოდებია არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ სამხრე კამერის ჩანაწერებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ 30 დღის განმავლობაში ინახავს,[438] საგამოძიებო ორგანოს ამ ეტაპისთვის უკვე მოპოვებული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია ყველა საქმისთვის რელევანტური ჩანაწერის შესახებ, ან უნდა მიემართა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსთვის მათი დაარქივების მოთხოვნით. საქმის მასალების შესწავლისას ამ საკითხის შემოწმება ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე უწყების ვიდეოკამერების ერთობლივად ხარვეზიანი მუშაობა/ფუნქციონირების შეწყვეტა, ქმნის ეჭვს მათი შეგნებულად დაზიანების ან მტკიცებულებების საგამოძიებო ორგანოსთვის განზრახ წარუდგენლობასთან დაკავშირებით. გადმოცემული საქმის მასალებიდან არ იკვეთება, მოიპოვა თუ არა საგამოძიებო ორგანომ დამატებითი მტკიცებულება ვიდეოჩანაწერების არარსებობის შესახებ. ასევე, რიგ შემთხვევებში ზოგადი პასუხების მიღებისას, მიმართა თუ არა ადრესატ სახელმწიფო ორგანოებს დამაზუსტებელი კითხვებით.

ცალკე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომუნიკაცია ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს უფროსის 2024 18 დეკემბრის N SSG 0 24 00299610 წერილის თანახმად, ხელის რადიოსადგურების [რაცია]

[438] შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2024 წლის 13 დეკემბრის N MIA 0 24 03789589 წერილი.

გამოყენებით გადაცემული შეტყობინებების ჩანაწერები 2024 წლის 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრამდე პერიოდში არ ინახება ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოში. ამ პერიოდში სისტემა ხარვეზით მუშაობდა და არ აწარმოებდა ხელის რადიოსადგურებით გადაცემული შეტყობინებების ჩაწერას.

ხელის რადიოსადგურების ჩანაწერები, მაღალი ალბათობით, საკვანძო მტკიცებულება უნდა ყოფილიყო როგორც მაღალი თანამდებობის პირების, ისე - ძალადობრივი ქმედებების უშუალო ამსრულებლების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასადგენად, რადგან სწორედ ხელის რადიოსადგურებით ხდებოდა შსს-ს დანაყოფებს შორის კომუნიკაცია და ბრძანებების გაცემა-მიღება.

ამ შემთხვევაშიც, გადმოცემული საქმის მასალებიდან არ ჩანს, მიიღო თუ არა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მოწოდებული ინფორმაციის გადასამოწმებლად ზომები, დაიბარა თუ არა გამოკითხვაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირები, მიმართა თუ არა პროკურატურას მტკიცებულებების შესაძლო განადგურების ფაქტთან დაკავშირებით, ჩატარდა თუ არა კომპიუტერული ექსპერტიზა. ასევე, საქმეში არ ფიგურირებს უფლებამოსილი პირების პატაკები სისტემის ხარვეზიანად მუშაობასთან დაკავშირებით. გამოძიებისთვის რელევანტურ პერიოდში ხელის რადიოსადგურების სისტემის გაუმართავი მოქმედება დროში ემთხვევა სხვა უწყებების ვიდეოსისტემების ხარვეზიან ფუნქციონირებას ან ფუნქციონირების შეწყვეტას, რაც კითხვებს ბადებს უწყებებიდან მოწოდებული ინფორმაციის ნამდვილობასთან დაკავშირებით და კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს სამართალდამცავი სექტორის კოორდინირებულ სისტემურ დანაშაულთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების განადგურება ან დაზიანება არ მიეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას, საქმის მასალებიდან არ ჩანს, მიმართა თუ არა საგამოძიებო ორგანომ პროკურატურას მტკიცებულებების შესაძლო განადგურების ფაქტზე გამოძიების დაწყების მიზნით. ამას გარდა, საქმის მასალებიდან ასევე არ იკვეთება, ისარგებლა თუ არა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 3-5 პუნქტებით მინიჭებული შესაძლებლობით არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით.

8.6. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ არასათანადოდ შესრულებული/შეუსრულებელი ზოგიერთი საგამოძიებო მოქმედება

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ რამდენიმე დამატებით გარემოებას, რომელიც მიუთითებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიზანია, გამოუძიებელი დარჩეს სამართალდამცავ ორგანოთა მიერ ჩადენილი სისტემური დანაშაულები.

8.6.1. მტკიცებულებათა განადგურება დანაშაულის ადგილზე

გამოძიების არასრულფასოვნებაზე მიუთითებს ცალკეული შემთხვევების არასრულფასოვნად შესწავლის და მათზე რეაგირების ფაქტები, როგორიცაა შემთხვევის ადგილის არდათვალიერება, საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაგვიანებით ამოღება, საჯაროდ გავრცელებული დანაშაულის ნიშნების შემცველი ინფორმაციის შესახებ გამოძიების არდაწყება მსხვერპლის უშუალო მიმართვის გარეშე.

ამასთანავე, ინდივიდუალურ შემთხვევებში მხოლოდ მცირე რაოდენობის პირველადი საგამოძიებო მოქმედებებია ჩატარებული და რიგი მოქმედებებისა, რომლებიც ცხელ კვალზე უნდა ჩატარებულიყო, გამოძიების დაწყებიდან 2 თვის შემდეგაც არ ჩაუტარებიათ. მეტიც, შსს-ის უწყებები მერიის დასუფთავების სამსახურთან ერთად, სპეციალური საშუალებების გამოყენებით რეცხავდნენ დანაშაულის ადგილს და ანადგურებდნენ საქმის გამოძიებისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებებს. მაგალითად, დაზარალებულების ცემისა და ძალადობის ადგილებიდან სისხლის ნიმუშების აღება, გასროლილი ცრემლსადენი გაზის ჭურვებისა და მასრების შეგროვება და მათზე ექსპერტიზის ჩატარება, მათ შორის, თითის ანაბეჭდების ამოღება. საგამოძიებო სამსახური არც ერთხელ არ გამოცხადებულა შემთხვევის ადგილზე ამ მტკიცებულებების შესაგროვებლად, მეტიც, შსს-სთვის არც კი მოუწოდებიათ, რომ მოეხდინათ დანაშაულის ჩადენის ადგილების პრეზერვაცია, მანიფესტაციის დაშლის შემდგომ.

8.6.2. უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა და პასუხისმგებელი პირები

2024 წლის 16 დეკემბრის N MIA 8 24 03804291 წერილით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდა შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №1006-ე ბრძანება „პოლიციის შეიარაღებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარების და გამოყენების“ წესის შესახებ და „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ 2015 წლის 30 დეკემბრის №1002 ბრძანებები. ბრძანებები სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს გადაეცა მისი მოთხოვნის პასუხად.

1002-ე ბრძანება ითვალისწინებს უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის შემუშავებას.[439] ამ გეგმის ერთ-ერთი კომპონენტია მანიფესტაციის მართვაზე პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი თანამდებობები. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, საგამოძიებო სამსახურს ეს სამოქმედო გეგმა არც კი გამოუთხოვია.

აქვე, აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს 31 დეკემბრის MIA 8 24 03973672 წერილი, რომელიც არასრულად პასუხობს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კითხვებს. წერილის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიყენა მხოლოდ შემდეგი სპეციალური საშუალებები: წყალსატყორცნი, ცრემლსადენი გაზი და ხელის წიწაკის სპრეი. სამინისტრო უარყოფს რეზინის ტყვიების გამოყენებას, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მტკიცებულება არსებობს რეზინის ტყვიების გამოყენებასთან დაკავშირებით. რეზინის ტყვიების გამოყენებაზე ინფორმაცია მედიითაც გავრცელდა.[440]

ამას გარდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხში არ არის მითითებული, თუ ვისი ბრძანებით გამოიყენებოდა ესა თუ ის საშუალება, ან თანადროულად გამოიყენებოდა თუ არა რამდენიმე საშუალება. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ამ საკითხზე დამატებითი კითხვებით არ მიუმართავს სამინისტროსთვის, საქმის მასალებით ასევე არ დგინდება, დაიბარა თუ არა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორი გამოსაკითხად.

ამ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშშიც, სადაც მითითებულია: „სახალხო დამცველის აპარატმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური საშუალებების გამოყენების თაობაზე დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართა. მათ შორის, აპარატი დაინტერესდა, რა სახისა და რა ოდენობის სპეციალური საშუალებების (ცრემლსადენი გაზი, ე.წ. წიწაკის სპრეი, არალეტალური იარაღი, ე.წ. რეზინის ტყვიები და სხვ.) გამოყენებას ითვალისწინებდა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა; რამდენმა თანამშრომელმა, რა დროს, რა ლოკაციაზე, რა სახეობის და რაოდენობის სპეციალური საშუალება გამოიყენა; გაიარა თუ არა შემოწმება/ექსპერტიზა კონკრეტულმა სპეციალურმა საშუალებამ, რა გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე; რა სახის და ტიპის ქიმიური ნივთიერებები გამოიყენეს და რა პროპორციით და სხვ. აპარატს ეს ინფორმაცია დღემდე არ მიუღია“.[441]

8.6.3. არანაირი საგამოძიებო მოქმედება მანიფესტაციების მართვაში ჩართული პირადი შემადგენლობის იდენტიფიცირებისთვის

შინაგან საქმეთა სამინისტრო 2024 წლის 31 დეკემბრის N MIA 6 24 03973670 წერილით განმარტავს, რომ განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის 2019 წლის 13 დეკემბრის №3348201 ბრძანებით დამტკიცებულია №14 დანართი „სპეციალური საშუალებების, აღჭურვილობის, სანივთე ქონების აღრიცხვისა და მიმაგრების წიგნი“, რომელშიც ხდება მოსამსახურეზე მიმაგრებული სპეციალური აღჭურვილობის კომპლექტის ერთჯერადად გატარება, ნომრის მიუთითებლად. სპეციალური საშუალებები განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტს რაოდენობრივად გადაეცემა. პასუხით დასტურდება, რომ სპეციალურად არის დადგენილი აღჭურვილობის მოსამსახურეზე გადაცემის იმგვარი წესი, რომ გართულდეს (ან რიგ შემთხვევებში შეუძლებელი გახდეს) მათი იდენტიფიცირება. ეს ინფორმაცია, ისევე როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ 2024 წლის გაზაფხულის აქციებზე დაწყებული გამოძიება, ნათელი ინდიკატორი იყო, რომ შსს ბოლომდე შეეცდებოდა დანაშაულის ჩამდენი პირებისთვის ხელის დაფარებას.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არცერთი ეფექტიანი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნებოდა მანიფესტაციების მართვაში ჩართული პირადი შემადგენლობის, შესაბამისი ჯგუფებისა და დანაყოფების, სპეციალისტების, ისევე როგორც მათი მეთაურების ამოცნობისკენ, ან განუხორციელებია. მაგალითად, არ მოუთხოვია პირადი შემადგენლობის სახელები და გვარები, თანამდებობები.

უცნობია, არის თუ არა გამოკითხული/დაკითხული რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც სამსახურებრივი პასუხისმგებლობა აკისრია მანიფესტაციების მართვაზე.

დამატებით, საყურადღებოა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ მიუღია ზომები გამოძიებისთვის ხელშეშლის ფაქტზე შესაბამისი პირებისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სხვა ხარვეზებს შორის, სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ „შინაგან საქმეთა სამინისტრო, გარკვეულ შემთხვევებში, უარს ამბობს ეთანამშრომლოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს კონკრეტული პირების ამოცნობაში. ამით, გამოძიებას, ხელი ეშლება ადამიანის უფლებათა დარღვევაზე პასუხისმგებელი პირების გამოვლენაში“.

---

[439] იხ. პარა. B.1.

[440] „ნეტგაზეთი“, „აქციაზე დაშავებულ ფოტოგრაფებს, სავარაუდოდ, რეზინის ტყვიები მოხვდათ“, 02.12.2024; იხ. https://netgazeti.ge/news/754360/ [11.02.2025].

[441] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, 92 იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [11.02.2025].

8.6.4. საჯაროდ იდენტიფიცირებული სავარაუდო დამნაშავე და ამ ფაქტების სრული უგულებელყოფა

2024 წლის 2 თებერვალს, აქციის დაშლისას, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვიდეოკამერების წინ ფიზიკურად იძალადა ერთ-ერთ დაკავებულზე.[442] კამერის ჩანაწერების მიღმა ამ ფაქტს ადასტურებს, თავად დაზარალებულის საჯარო ინტერვიუც.[443] ამ შემთხვევაზე ამ დრომდე არ არ გამოუკითხავთ ან/და ბრალი არ წაუყენებიათ ზვიად ხარაზიშვილისთვის. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ფაქტი 2024 წლის გაზაფხულის აქციების დროსაც გამოვლინდა. სამართალდამცავი ნიღბის გარეშე დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში ურტყამდა მოქალაქეს სახეში.[444] ეს ფაქტი აღიბეჭდა და გავრცელდა სოციალური ქსელის საშუალებითაც, საგამოძიებო სამსახურმა, ამ ფაქტს სპეციალური განცხადებაც კი მიუძღვნა, თუმცა ამ დრომდე არ გამოუძიებია.[445]

ამ პრობლემაზე მითითებულია სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიშშიც: „სამწუხაროდ, დღემდე, წლის განმავლობაში გამართული აქციების კონტექსტში, არცერთი სამართალდამცავის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, მაშინ როდესაც ძალადობის ორ ეპიზოდში, რომლებიც სხვადასხვა ვიდეოჩანაწერში იყო აღბეჭდილი, მოძალადე სამართალდამცავი პირები შეუნიღბავები იყვნენ და შესაძლებელი იყო მათი ამოცნობა. ამის საპირისპიროდ, საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირების რაოდენობამ რამდენიმე ასეულს მიაღწია“.[446]

8.6.5. პირადი აღჭურვილობისა და ტექნიკაზე საგამოძიებო მოქმედებების ჩაუტარებლობა

როგორც გადმოცემული მასალებიდან იკვეთება, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს არ ჩაუტარებია რაიმე საგამოძიებო მოქმედება სამართალდამცავი ორგანოების აღჭურვილობისა და ტექნიკის, ისევე როგორც ამ აღჭურვილობის საშუალებებით ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების გამოსავლენად. მაგალითისთვის, მსხვერპლების ნაამბობის თანახმად, მანიფესტაციების მონაწილეთა წამებისთვის გამოიყენებოდა მიკროავტობუსები, რომლებსაც არ ჰქონდა სავარძლები და ფანჯრები და სპეციალურად იყო მობილიზებული ფიზიკური ძალადობისა და წამებისათვის.

8.7. საქართველოს პროკურატურის არასათანადო საგამოძიებო ზედამხედველობა

სახელმწიფოს მასშტაბით ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულის გამოძიებას, იმის მიუხედავად, რომელი სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციაში ექცევა შესაბამისი დანაშაულის გამოძიება, ზედამხედველობს საქართველოს პროკურატურა.[447] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიებებს ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილი სპეციალური დეპარტამენტი.[448] მას შემდეგ, რაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დაიწყებს გამოძიებას, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის შესაბამისად, გამოძიებას ეცნობა ზემოთ ნახსენები დეპარტამენტის პროკურორი, რომლის ზედამხედველი პროკურორი ხდება ამავე დეპარტამენტის უფროსი.[449]

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაში ან თვითონ აწარმოოს წინასწარი გამოძიება სრული მოცულობით, მათ შორის, მისცეს სავალდებულო მითითება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს, გააუქმოს გამომძიებლის დადგენილება. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გამომძიებელი ვალდებულია

---

[442] „ნეტგაზეთი“ („ტვ პირველი“), „ზვიად ხარაზიშვილი (ხარება) დაკავების მომენტში მოქალაქეს წიხლს ურტყამს“, 02.02.2025; იხ. https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=1021389913360020&external_log_id=4437867b-5a1f-49da-a54c-4bcbf2f631da&q=%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A1 [11.02.2025].

[443] „რადიო თავისუფლება“, „2000 ლარით დააჯარიმეს კაცი, რომელიც ჰყვება, როგორ ჩაარტყა „ხარებამ“ წიხლი“, 04.02.2025; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33303099.html [11.02.2025].

[444] „ბათუმელები“, თბილისში, ლეონიძის ქუჩაზე, პოლიციის ავტობუსიდან ჩამოსულმა სამხედრო ფორმიანმა და ნიღბიანმა პირებმა მოქალაქე საკუთარი ავტომობილიდან გადმოიყვანეს და სცემეს, 11.05.2024; იხ. https://www.facebook.com/watch/?ref=search&v=2417960281747901&external_log_id=ddc81785-93e6-4893-bfef-54f295d60dac&q=%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%98%E1%83%A1 [11.02.2025].

[445] მაისის აქციების მიმდინარეობისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადამეტების ფაქტზე არცერთი პირი არ არის დასჯილი, ან თუნდა ბრალდებული.

[446] საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2024 წლის ანგარიში, 78; იხ. https://www.ombudsman.ge/res/docs/2025040121291438156.pdf [11.02.2025].

[447] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი.

[448] “საქართველოს გენერალური პროკურატურის დებულების დამტკიცების შესახებ” საქართველოს გენერალური პროკურორის 20219 წლის 29 ოქტომბრის, ბრძანება N4-ის მე-5 მუხლის “დ” ქვეპუნქტის მიხედვით, გენერალურ პროკურატურაში შექმნილია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი.

[449] საქმის მასალებით იკვეთება, რომ საგამოძიებო სამსახურში მიმდინარე გამოძიების პროკურორია ანრი არსენიშვილი, ხოლო ამ გამოძიების ზედამხედველი პროკურორი 2025 წლის 31 იანვრამდე იყო, ამავე დეპარტამენტის ხელმძღვანელი - ამირან გულუაშვილი. 2025 წლის 31 იანვარს ამირან გულუაშვილი დაწინაურდა გენერალური პროკურორის მოადგილედ დაინიშნა. საქართველოს პროკურატურა, ამირან გულაშვილი; იხ. https://pog.gov.ge/employee?team_id=76 [11.02.2025].

გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, ამასთანავე გამომძიებელი ვალდებულია სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შეასრულოს პროკურორის მითითება.

კანონმდებლობიდან გამომდინარე ნათლად იკვეთება, რომ, მართალია, გამოძიებას აწარმოებს სპეციალური საგამოძიებო სამსახური, თუმცა ამ გამოძიების მიმდინარეობაზე პროკურატურას შეუძლია ეფექტიანი ზეგავლენის მოხდენა, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური თვალსაზრისით. საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ იკვეთება არცერთი გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ საქართველოს პროკურატურამ გამოიყენა საკუთარი რომელიმე უფლებამოსილება გამოძიების გამოვლენილი ხარვეზების გამოსასწორებლად. რაც შეეხება გამოძიებაზე გავლენის მოხდენას ნეგატიური თვალსაზრისით, პროკურატურას არაერთი საპროცესო მექანიზმი აქვს, რომლითაც ბოროტად სარგებლობით, ეძლევა შესაძლებლობა განზრახ დააბრკოლოს გამომძიებელი. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შესასრულებლად სავალდებულო მითითება, გამომძიებლის დადგენილების გაუქმების უფლებამოსილება, ისევე როგორც იმგვარი საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარი, რომელიც სასამართლოს წინასწარ ან შემდგომ ნებართვას მოითხოვს. ასეთი შემთხვევების გამოსარიცხად, საქმის გამომძიებელი უფლებამოსილია პროკურატურის სავალდებულო მითითება გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. მეტიც, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსსა ან/და მის უფლებამოსილ მოადგილეს მინიჭებული აქვს უშუალოდ გენერალური პროკურატურისთვის წინადადებით მიმართვის შესაძლებლობა გამოძიების/დევნის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ გარკვეულ საკითხებზე.[450]

საქმის მასალებიდან არაფერი იკვეთება, რაც გამოძიების მიმდინარეობის თაობაზე საგამოძიებო სამსახურსა და პროკურატურას შორის შეუთანხმებლობაზე მიუთითებდა. ამასთანავე, ჩვენ, 2025 წლის 28 ნოემბერს, საჯარო ინფორმაციის სახით მოვითხოვეთ მონაცემები, საგამოძიებო სამსახურის უფროსის/მოადგილის მიერ პროკურატურისთვის გაგზავნილი დასაბუთებული წინადადების შესახებ. ამ საკითხზე ინფორმაცია ამ დრომდე არ მიგვიღია.

ერთიანობაში, საქმის მასალების თუნდაც ფრაგმენტული შესწავლით, კიდევ ერთხელ დასტურდება გაეროს ადამიანის უფლებათა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2025 წლის 28 იანვარს გაკეთებული შეფასება, რომლის თანახმად, გამოძიებას შედეგი არ გამოუღია და რომ არასათანადო მოპყრობის ინციდენტები არ იყო იზოლირებული და მიუთითებს ბრძანების ქვეშ მოქმედებაზე.[451]

საქმის მასალებით დგინდება, რომ ინციდენტების დიდი მოცულობა ხელოვნურად არის ერთი საქმის ფარგლებში გაერთიანებული, გამოძიება არასწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს, ჩატარებულია საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მხოლოდ მცირე ნაწილი და საგამოძიებო ორგანო ქმნის გამოძიების ეფექტიანობის ილუზიას.

უწყებებს შორის კორესპონდენციის შესწავლა აჩვენებს, რომ საკვანძო მნიშვნელობის მტკიცებულებათა ნაწილი არ არის მოპოვებული ან/და ეს მტკიცებულებები განადგურებულია. საგამოძიებო სამსახურის ყველა მოქმედება თუ უმოქმედობა მიუთითებს, რომ უწყების მიზანია არა დანაშაულების გამოძიება, არამედ გამოძიების პროცესის ილუზიის შექმნა. ამ ილუზიის შექმნას, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან ერთად საქართველოს გენერალური პროკურატურა ხელმძღვანელობს. მთლიანობაში ამ უწყებებს ეკისრებათ საკვანძო პასუხისმგებლობა სისტემური დანაშაულის დამგეგმავებისა და ამსრულებლებისთვის დაუსჯელობის გარანტიების შექმნაში.

9. საქართველოს პროკურატურის პასიური და აქტიური მხარდაჭერა სისტემურ დანაშაულს

საქართველოს პროკურატურა კონსტიტუციური ორგანოა. ძირითადი კანონის 65-ე მუხლის მიხედვით საქართველოს პროკურატურას მოეთხოვება დამოუკიდებლობა. დასახელებული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად იქმნება 15 წევრისაგან შემდგარი კოლეგიური ორგანო - საპროკურორო საბჭო. პროკურატურას ხელმძღვანელობს გენერალური პროკურორი, რომელსაც საპროკურორო საბჭოს წარდგინებით თანამდებობაზე ირჩევს პარლამენტი. კონსტიტუციური ჩანაწერის მიუხედავად, საქართველოს პროკურატურის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ყოველთვის ჩნდებოდა ფაქტებზე დაფუძნებული კითხვები. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა ევროკომისიის ერთ-ერთი საკვანძო მოთხოვნაა გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დასაწყებად.[452]

საქართველოს კონსტიტუცია არ განსაზღვრავს პროკურატურის კომპეტენციას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს პროკურატურას გააჩნია ეფექტიანი კონტროლი, როგორც გამოძიებაზე, ისე სისხლისსამართლებრივ დევნაზე, მათ შორის, იმ დანაშაულების გამოძიებასთან მიმართებით, რომელთა გამოძიება არ ექცევა პროკურატურის კომპეტენციაში. კერძოდ, საქართველოს პროკურატურა არის ცენტრალიზებული ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფოს მასშტაბით მიმდინარე ყველა გამოძიების საპროცესო ზედამხედველობას.

[450] "სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი.

[451] გაეროს ადამიანის უფლებათა ექსპერტები, „საქართველომ უნდა გამოიძიოს პოლიციის მიერ დემონსტრაციების დროს ძალის გამოყენება", 28 იანვარი, 2025, იხ. https://georgia.un.org/en/288324-georgia-must-investigate-use-force-police-during-demonstrations-experts [11.02.2025].

[452] EUROPEAN COMMISSION, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS, 2023 Communication on EU Enlargement Policy, 11.2023, 25; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/system/files/2023-11/COM_2023_690%20Communication%20on%20EU%20Enlargement%20Policy_and_Annex.pdf [11.02.2025].

ეს უფლებამოსილება გულისხმობს პროკურატურის დისკრეციულ უფლებამოსილებას გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და შეწყვეტაზე, კონკრეტული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მოითხოვს სასამართლოს ნებართვას, ვერ ჩატარდება პროკურორის ჩართულობის გარეშე.[453]

9.1. პროკურატურის საგამოძიებო კომპეტენციას მიკუთვნებული დანაშაულები

პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიეკუთვნება უმაღლესი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ შორის, შინაგან საქმეთა მინისტრის და მთავრობის სხვა წევრების, პრეზიდენტისა და პარლამენტის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულები. აგრეთვე, პროკურორების, მოსამართლეების, პოლიციელებისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების, მათ შორის, ხელმძღვანელი პირების მიერ ჩადენილი დანაშაულები. პროკურატურა ამ საქმეებს იძიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი არ განეკუთვნება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას.[454] თუმცა კანონი გამონაკლისს აწესებს და სამსახურის კომპეტენციას არ ავრცელებს გენერალურ პროკურორზე, შინაგან საქმეთა მინისტრსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე. შესაბამისად, ამ თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება განეკუთვნება პროკურატურის კომპეტენციას. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში ექცევა ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც, მართალია, სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებმა ჩაიდინეს, მაგრამ ქმედების შემადგენლობის მიხედვით არ განეკუთვნება კლასიკურ სამოხელეო დანაშაულებს, ან/და არ ხორციელდებოდა უშუალოდ ეფექტიანი კონტროლის ფარგლებში და არ ჰქონდათ ძალადობრივი ხასიათი, არამედ უკავშირდება ძალადობის ორგანიზებას, უკანონო ბრძანების გაცემას და სხვა უკანონო მითითების გაკეთებას სამსახურებრივი უფლებამოსილების გარეშე.

9.2. პროკურატურის არასათანადო რეაგირება

მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულების სისტემური და ორგანიზებული ხასიათისა და შსს სისტემის კოორდინაციის ხარისხი ვერ მიიღწეოდა შსს-ს პოლიტიკური თანამდებობის პირების - კურატორი მოადგილეებისა და თავად შსს მინისტრის გარეშე.

კონკრეტულად, ეს შეიძლება უკავშირდებოდეს უკანონო ბრძანების გაცემას, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და ძალადობის ორგანიზებას. ამასთანავე, საპოლიციო ძალების მიერ ჩადენილი დანაშაულების სისტემურობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, თუ იგი არ არის გამყარებული დაუსჯელობის გარანტიებით. ეს ნიშნები მიუთითებს დასახელებული თანამდებობის პირების სავარაუდო დანაშაულებზე.

გარდა ამისა, არსებობს არაერთი ფაქტი, რომელიც გამოკვეთს პოლიციის მაღალი თანამდებობის პირების მიერ მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ანგარიშსწორების გარკვეული ეპიზოდების ორგანიზებასა და ხელმძღვანელობას.[455] ამ დანაშაულების ბუნება, შესაძლოა, სცდებოდეს სამოხელეო დანაშაულის შემადგენლობას და იღებდეს ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ან სხვა ქმედების ნიშნებს.

დასახელებულ დანაშაულებზე რეაგირება პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება. თუმცა, სერიოზულ კითხვებს აჩენს, რამდენად ეფექტიანად იძიებს პროკურატურა მათ. პროკურატურას არ გაუვრცელებია ინფორმაცია, დაიწყო თუ არა გამოძიება უმაღლესი თანამდებობის პირების ჩართულობასთან, აგრეთვე სხვადასხვა სისტემური დანაშაულის ორგანიზებასთან დაკავშირებით. პროკურატურას საზოგადოებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია, განახორციელა თუ არა რაიმე საგამოძიებო მოქმედება გავრცელებულ ფაქტებთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ინფორმაცია პროკურატურას არც საჯარო ინფორმაციის სახით მოუწოდებია.[456]

ის, რომ არც პროაქტიულად გავრცელებული ინფორმაციით და არც საჯარო ინფორმაციის განცხადებაზე პასუხით, პროკურატურა არაფერს ამბობს მიმდინარე გამოძიებებთან დაკავშირებით, ბადებს დასაბუთებულ ეჭვს, რომ სისტემური ძალადობრივი დანაშაულები სათანადო რეაგირების გარეშე რჩება და სახელმწიფო არ არის კონცენტრირებული დამნაშავეების გამოვლენასა და დასჯაზე.

9.3. საქართველოს პროკურატურის აქტიური თანამონაწილეობა რეპრესიებში

მანიფესტაციებთან დაკავშირებული რეპრესიების განუყოფელი ნაწილია პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეები. 2024 წლის 28 ნოემბრის შემდეგ, ქვეყანაში მიმდინარე მანიფესტაციებთან დაკავშირებით 50-

[453] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხლი 33-ე, მუხლი 37-ე, მუხლი მე-100, მუხლი 106-ე, მუხლი 112-ე.

[454] "სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს ბრძანების №3 დანართის მე-2 პუნქტი.

[455] კავკასია ტვ, ნახეთ ვიდეო, რომელიც დიდი ალბათობით ადასტურებს, რომ საპროტესტო აქციებზე დაკავებულებს „მინივენებში" გდდ ფიზიკურად უსწორდება; 04.02.2025; იხ. https://www.facebook.com/watch/?v=2380173802317553&rdid=Kg2X2YHrT7eIgzAi [11.02.2025].

[456] საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა გაიგზავნა 28 იანვარს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 37-ე მუხლის მიხედვით, საჯარო ინფორმაცია პასუხი უნდა გაეცეს 10 დღის ვადაში.

ზე მეტი პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა.[457] ყველა მათგანი აქციის მონაწილეა და არცერთი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს წინასწარი პატიმრობის უსაფუძვლოდ მოთხოვნის მაღალი მაჩვენებელი. საქართველოს პროკურატურამ, მანიფესტაციების კონტექსტში დაკავებული თითქმის ყველა პირის მიმართ, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენება მოითხოვა. პატიმრობის მოთხოვნა სასამართლოებმა ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილეს.[458]

მანიფესტაციების კონტექსტში პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებში პროკურატურას საკვანძო ფუნქცია აქვს. 2024 წელს დაწყებულ პოლიტიკურად მოტივირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურის ქმედებებიდან გამომდინარე იკვეთება შემდეგი ტიპის გამოწვევები:

ა) სისხლის სამართლის კანონმდებლობის სელექციური/შერჩევითი გამოყენება ბრალის წარსადგენად და სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება;

ბ) სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების სრულად უგულებელყოფა, იმ ვითარებაში, სადაც შეუძლებელი იყო პოლიციელის გარჩევა სხვა პირებისგან;

გ) აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება სათანადო წინაპირობების გარეშე და ამით ბრალდებულთა უდანაშაულობის დამრღვევი პოლიტიკური პროპაგანდის წახალისება;

დ) სასამართლო პროცესების ხელოვნურად გაწელვა, რათა, საქართველოს V პრეზიდენტს ვერ მოეხერხებინა რეპრესირებული ადამიანების შეწყალება;[459]

ე) სამართალდამცავი ორგანოების/არაფორმალური ჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი მოქმედებების გამოუძიებლობა და გამოძიებაზე არასათანადო საპროცესო ზედამხედველობის განხორციელება;

ვ) პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლ ბრალდებულთა საქმეებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების, ისევე როგორც ნარკოტიკული საშუალებების ჩადების სავარაუდო ფაქტების უგულებელყოფა;[460]

ზ) 2025 წლიდან იკვეთება საპროცესო შეთანხმებებით ვაჭრობის ცხადი ნიშნები, პოლიტიკური/პარტიული ამოცანების მისაღწევად, მათ შორის, ფსიქოლოგიური ზეწოლა საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებულ დაკავებულებზე.[461]

მთლიანობაში, საქართველოს პროკურატურა საკვანძო როლს ასრულებს განგრძობადი რეპრესიების მხარდაჭერისა და დამნაშავე სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლებისთვის დაუსჯელობის გარანტიების შექმნის თვალსაზრისით.

10. სასამართლო კონტროლი: მართლმსაჯულება სისტემის სამსახურში

10.1. სასამართლოს სისტემის მდგომარეობა და არაფორმალური გავლენები

საქართველოში მართლმსაჯულების სისტემა კრიტიკული გამოწვევების წინაშე დგას. ბოლო ათწლეულში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, ქართული სასამართლო ფუნდამენტური გამოწვევების წინაშეა და ნდობის მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის.

2013 წლიდან გატარებული სასამართლო „რეფორმების ტალღები“ ინსტიტუციების შექმნისა და საკანონმდებლო მოწესრიგების მოჩვენებითი მცდელობა იყო. მმართველ პარტიას არ აღმოაჩნდა სისტემის დამოუკიდებლობის პოლიტიკური ნება. სისტემის მთავარი გამოწვევა კორპორატივიზმი და გავლენიანი ჯგუფია, რომელიც სისტემაში წლებია იკავებს მნიშვნელოვან მენეჯერულ თანამდებობებს, სადაც პერიოდულობით ერთმანეთს ენაცვლებიან. მართლმსაჯულების სისტემის მთავარი ადმინისტრირების ორგანო - იუსტიციის უმაღლესი საბჭო თავის ფართო უფლებამოსილებებს სისტემის გასაკონტროლებლად იყენებს. საბჭოა პასუხისმგებელი სასამართლო სისტემის დაკომპლექტებაზე, ახალი კადრების შედინებაზე. გადატვირთული სასამართლოების ფონზე, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის არასრულად ამოქმედებითა და მოსამართლეების არათანაბარი დატვირთულობით, მივლინებით, კოლეგია/პალატაში თვითნებური გადაყვანით და დისციპლინური მექანიზმებით, ის სრულად აკონტროლებს სისტემას.[462]

---

[457] იხ. ნაწილი 4.2.1, 4.2.2.

[458] იხ. ნაწილი 4.2.1, 4.2.2, 4.2.5

[459] იხ. ნაწილი 4.2.6

[460] პოლიტიკური საქმის პროკურორები სრულად უგულებელყოფენ ნეიტრალური მტკიცებულებების არარსებობას იმ ადამიანთა ჩხრეკის საქმეებში სადაც პოლიტიკურ პატიმრებს ბრალი ნარკოტიკული დანაშაულების გამო აქვთ წაყენებული. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, რეპრესიები სამოქალაქო პროტესტის მონაწილეების მიმართ ნარკოტიკული დანაშაულის გამოგონილი ბრალდებებით, 10.02.2025; იხ. https://transparency.ge/ge/post/represiebi-samokalako-protestis-monacileebis-mimart-narkotikuli-danashaulis-gamogonili [11.02.2025].

[461] 2025 წლის 10 თებერვალს ერთ-ერთი პოლიტიკური პატიმრის ოჯახმა გაავრცელა ცნობები, რომ ნიკოლოზ ჯავახიშვილთან შევიდა ადვოკატის სტატუსი მქონე პირი - დავით გამყრელიძე და შესთავაზა საპროცესო შეთანხმების დადება მესამე პირების დადანაშაულების სანაცვლოდ.

[462] მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები, თბილისი, 2023 წელი, იხ. http://www.coalition.ge/files/reporma_170x240_geo_3.pdf [11.02.2025].

ამის გათვალისწინებით, ევროპულმა კომისიამ სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (შემდგომში - „ვენეციის კომისია“) მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების დროებითი მექანიზმის საჭიროებაზე მიუთითა.[463] მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების რეკომენდაცია ასევე აისახა ევროკომისიის დოკუმენტშიც.[464] აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 5 აპრილს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა, გავლენიანი მოსამართლეების მიმართ, მნიშვნელოვან კორუფციაში ჩართულობის გამო, ქვეყანაში შესვლაზე პერსონალური შეზღუდვები დააწესა.[465] მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საჭიროება ევროკომისიამ 2024 წლის ანგარიშითაც დაადასტურა.[466]

ადგილობრივი და საერთაშორისო შეფასებებით, სასამართლო სისტემის საკვანძო გამოწვევად სახელდება მართლმსაჯულების სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენები, რაც მოხსენიებულია კლანურ მმართველობად,[467] კორპორატივიზმად[468] თუ კრონიზმად.[469] სასამართლოს სისტემაში არსებული საკვანძო გამოწვევები მძიმედ აისახა მანიფესტაციების კონტექსტში დაწყებული რეპრესიების მსხვერპლ ადამიანებზე.

10.2. სასამართლოს როლი ადმინისტრაციულ სამართლებრივ რეპრესიებში და მოსამართლეთა პასუხისმგებლობა

სასამართლოს როლი უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული, წამების, ძალადობისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ადამიანების საქმეების კონვეიერული წარმოებით და პოლიტიკური რეპრესიების მხარდაჭერით შემოიფარგლა. ეს ნათლად გამოვლინდა დაკავებული მანიფესტანტების წინააღმდეგ დასრულებულ ადმინისტრაციულ საქმეებში. მიმდინარე საქმეებიდან სასამართლომ ყველა მათგანზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა დაადასტურა. სისხლის სამართლის საქმეებზე ასევე ყველა შემთხვევაში იზიარებს პროკურატურის პოზიციებს პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგ შემთხვევაში კი, გამოიკვეთა სასამართლოსა და პროკურატურის მჭიდრო კოორდინაცია, რათა საქმის ხელოვნურად გაწელვით, პრეზიდენტს, რომელსაც ეწურებოდა უფლებამოსილების ვადა, ვერ მოესწრო ბრალდებულის შეწყალება.

საქმის განმხილველ თითოეულ მოსამართლეს ჰქონდა სრული სამართლებრივი შესაძლებლობა და ვალდებულება, საპოლიციო ძალების მიერ ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევების სასტიკი ფორმებისთვის მიეცა შესაბამისი შეფასება. ამის ნაცვლად, სასამართლო საპოლიციო ძალების მიერ დაწყებული რეპრესიების გაგრძელებად გადაიქცა. კანონი, რომლითაც მოსამართლეები ხელმძღვანელობენ, უსამართლო და ადამიანის ძირითად უფლებებთან შეუთავსებელიც რომ ყოფილიყო, ეს ვერ გამორიცხავს მათ ბრალს, ვინაიდან „საქართველოს კონსტიტუცია მოსამართლეს ანიჭებს კონსტიტუციური წარდგინების უფლებამოსილებას, რომლის საფუძველზეც, ის ვალდებულია, უარი თქვას ადამიანის ძირითად უფლებებთან შეუთავსებელი კანონის გამოყენებაზე და მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს“. არცერთ მოსამართლეს ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია.

აქედან გამომდინარე, თითოეული მოსამართლე, რომელიც დაკავებული მანიფესტანტების საქმეთა განხილვაში მონაწილეობს, პერსონალურად არის პასუხისმგებელი ადამიანის ძირითადი უფლებების სისტემურ დარღვევებზე. ამასთანავე, სასამართლოსა და პროკურატურას, ისევე, როგორც საპოლიციო ძალებს შორის განხილული მასშტაბის კოორდინაცია შეუძლებელი იქნებოდა მართლმსაჯულების ადმინისტრირების ორგანოსა (იუსტიციის უმაღლესი საბჭო) და მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის ჩართულობის გარეშე.

---

[463] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, 09.10.2023, პარ. 11; იხ. https://www.coe.int/en/web/venice-commission/-/CDL-AD(2023)006-e [11.02.2025].

[464] COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions 2023 Communication on EU Enlargement policy, 20-21.

[465]Public Designations of Mikheil Chinchaladze, Levan Murusidze, Irakli Shengelia, and Valerian Tsertsvadze, Due to Involvement in Significant Corruption, Press Statement, U.S. Department of State, 05.04.2023; იხ. https://2021-2025.state.gov/public-designations-of-mikheil-chinchaladze-levan-murusidze-irakli-shengelia-and-valerian-tsertsvadze-due-to-involvement-in-significant-corruption/ [11.02.2025].

[466] [466] EUROPEAN COMMISSION, COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF REGIONS, 2024 Communication on EU enlargement policy, 30.10.2024, 24; იხ. https://enlargement.ec.europa.eu/document/download/7b6ed47c-ecde-41a2-99ea-41683dc2d1bd_en?filename=Georgia%20Report%202024.pdf [11.02.2025].

[467] U.S Department of State, Georgia 2023 Human Rights Report, https://www.state.gov/wp-content/uploads/2024/03/528267-GEORGIA-2023-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf [11.02.2025].

[468] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), ON THE DECEMBER 2021 AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, 20.06.2022, პარ. 60; იხ. https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2022)010-e [11.02.2025].

[469] იქვე.

11. სახელმწიფო ტერორის საკანონმდებლო/პოლიტიკური მხარდაჭერა: რეპრესიული კანონმდებლობის კიდევ უფრო გაუარესება

სახელმწიფო ტერორისა და მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ მასობრივი ძალადობრივი დანაშაულების პარალელურად, „ქართული ოცნების“ წევრებით დაკომპლექტებული ერთპარტიული პარლამენტი და კაბინეტი საჯარო განცხადებებით, ისევე როგორც აქტიური ქმედებებით, მუდმივად მხარს უჭერენ და ახალისებენ საპოლიციო ძალების დანაშაულებს.

11.1. სამართალდამცავ ორგანოთა ძალადობის საჯარო წახალისება და საკონტროლო უფლებამოსილებების გამოუყენებლობა

2024 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, საპროტესტო აქციების ძალადობრივი გზით ჩახშობის ფაქტობრივად ყველა შემთხვევის შემდეგ, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრი საგანგებოდ, ბრიფინგებზე მადლობას უხდიდა შინაგან საქმეთა მინისტრს, საპოლიციო ძალებს და მუდმივად აღნიშნავდა, რომ პოლიცია „ამერიკულსა და ევროპულზე მაღალი სტანდარტით“ მოქმედებდა, ხოლო დემონსტრანტების ქმედებებს სახელმწიფოზე თავდასხმად აფასებდა.[470] ანალოგიურ განცხადებებს აკეთებდნენ „ქართული ოცნების“ სხვა თანამდებობის პირებიც.[471] 2025 წლის 12 იანვარს, პოლიციელზე თავდასხმის ბრალდებით ჟურნალისტ მზია ამაღლობელის დაპატიმრების შემდეგ, დე-ფაქტო მმართველი პარტიის საჯარო განცხადებებში კიდევ უფრო გაძლიერდა მოძალადე პოლიციელების გმირებად წარმოჩენის, ხოლო მათზე „თავდამსხმელების“ მიმართ - შეუწყნარებლობის რიტორიკა.[472]

ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისა და დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის გამო, 2024 წლის 19 დეკემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების სახაზინო დეპარტამენტმა გაავრცელა ინფორმაცია შინაგან საქმეთა მინისტრის, ვახტანგ გომელაურის და სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის, მირზა კეზევაძის დასანქცირებისა და მაგნიტსკის სიაში შეყვანის შესახებ.[473] ამავე დღეს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს 5 თანამდებობის პირი დაასანქცირა.[474] ამ ინფორმაციის გავრცელებიდან მეორე დღესვე, დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა ინიციატივა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ხელმძღვანელ პირს, მათ შორის, 2024 წლის 19 დეკემბერს აშშ-ისა და გაერთიანებული სამეფოს

---

[470] ირაკლი კობახიძის განცხადებები: INTERPRESSNEWS, ირაკლი კობახიძე - მომიტინგეების ძალადობის შედეგად, დაშავდა 32 პოლიციელი, საიდანაც 13-ს ქირურგიული ჩარევა დასჭირდა, ამ ძალადობის შედეგი იყო მშვიდობიანი მომიტინგეების, მათ შორის ჟურნალისტების დაზიანებაც, რაც უკიდურესად სამწუხაროა, 29.11.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/822269-irakli-kobaxize-momitingeebis-zaladobis-shedegad-dashavda-32-policieli-saidanac-13-s-kirurgiuli-chareva-daschirda-am-zaladobis-shedegi-iqo-mshvidobiani-momitingeebis-mat-shoris-zhurnalistebis-dazianebac-rac-ukiduresad-samcuxaroa [11.02.2025]. INTERPRESSNEWS, პრემიერი - არც კი მინდა წარმოვიდგინო რით დასრულდებოდა ეს მიტინგი, გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი ან გიორგი გახარია რომ ყოფილიყო - მკვლელობა ან ადამიანისთვის თვალების დათხრა იქნებოდა მინიმალური შედეგი, 30.11.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/822468-premieri-arc-ki-minda-carmovidgino-rit-dasruldeboda-es-mitingi-gushin-shinagan-sakmeta-ministri-vano-merabishvili-an-giorgi-gaxaria-rom-qopiliqo-mkvleloba-an-adamianistvis-tvalebis-datxra-ikneboda-minimaluri-shedegi [11.02.2025].
INTERPRESSNEWS, პრემიერი - მიუხედავად უმძიმესი სისტემური ძალადობისა, რომელსაც გუშინ ძალადობრივი დაჯგუფებები და მათი უცხოელი ინსტრუქტორები მიმართავდნენ, პოლიციამ ამერიკულსა და ევროპულზე მაღალი სტანდარტით იმოქმედა, 01.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/822669-premieri-miuxedavad-umzimesi-sistemuri-zaladobisa-romelsac-gushin-zaladobrivi-dajgupebebi-da-mati-ucxoeli-instruktorebi-mimartavdnen-policiam-amerikulsa-da-evropulze-magali-standartit-imokmeda [11.02.2025]. INTERPRESSNEWS, ირაკლი კობახიძე - მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს, მინისტრს, თითოეულ პოლიციელს, ისინი მოქმედებდნენ ამერიკულზე და ევროპულზე მაღალი სტანდარტით და მომავალშიც ასეთი სტანდარტით გაგრძელდება მოქმედება, 08.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/823951-irakli-kobaxize-minda-madloba-gadavuxado-shinagan-sakmeta-saministros-ministrs-titoeul-policiels-isini-mokmedebdnen-amerikulze-da-evropulze-magali-standartit-da-momavalshic-aseti-standartit-gagrzeldeba-mokmedeba [11.02.2025].

[471] „შალვა პაპუაშვილი. INTERPRESSNEWS, შალვა პაპუაშვილი - ვიხილეთ, რომ ზოგიერთი ევროპელი პოლიტიკოსი ძალადობას მშვიდობას ეძახის - ასეთი მშვიდობიანი აქცია ჰქონდეთ ყოველ დღე საკუთარ დედაქალაქებში, თუკი ეს არის მშვიდობა, 06.12.2924; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/823634-shalva-papuashvili-vixilet-rom-zogierti-evropeli-politikosi-zaladobas-mshvidobas-ezaxis-aseti-mshvidobiani-akcia-hkondet-qovel-dge-sakutar-dedakalakebshi-tuki-es-aris-mshvidoba [11.02.2925]. INTERPRESSNEWS, კახა კალაძე - როცა თავისთვის მდგარ პოლიციელთან მიდიხარ, ესვრი ქვებს, მძიმე საგნებს, ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებს, ამას ხომ ხვდებით რა რეაგირება მოჰყვება? რეაგირება მოქნეული და მოზომილი არ მინახავს, 06.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/823705-kaxa-kalaze-roca-tavistvis-mdgar-policieltan-midixar-esvri-kvebs-mzime-sagnebs-ec-molotovis-kokteilebs-amas-xom-xvdebit-ra-reagireba-mohqveba-reagireba-mokneuli-da-mozomili-ar-minaxavs [11.02.2025].

[472] რუსთავი 2, ირაკლი კობახიძე - ადამიანი როდესაც შეურაცხყოფს პოლიციელს, იქ უნდა იყოს მაქსიმალურად მკაცრი ზომები გამოყენებული, რათა სახელმწიფო იყოს დაცული, 30.01.2025; იხ. https://rustavi2.ge/ka/news/304842 [11.02.2025].
INTERPRESSNEWS , კახა კალაძე მზია ამაღლობელზე - ხომ დანაშაულია, როცა პოლიციელს ურტყამ ხელს? არ მახსოვს, არ მომისმენია და დარწმუნებული ვარ, არავის მოუსმენია თუნდაც სინანული, რომ გამოსულიყო და ეთქვა ადამიანურად: "შეცდომა დავუშვი და მაპატიეთ", 29.01.2025; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/828854-kaxa-kalaze-mzia-amaglobelze-xom-danashaulia-roca-policiels-urtqam-xels-ar-maxsovs-ar-momismenia-da-darcmunebuli-var-aravis-mousmenia-tundac-sinanuli-rom-gamosuliqo-da-etkva-adamianurad-shecdoma-davushvi-da-mapatiet [11.02.2025]. იმედი, მამუკა მდინარაძე მზია ამაღლობელზე: შიმშილს თუ არ დაანებებს ადამიანი თავს, სამწუხაროდ, ბოლოს ფატალური შედეგი დგება. ეს უნდათ და ამისკენ მოუწოდებენ მეთქი - ეს ყველაფერი ამოჭრეს და [დატოვეს] შიმშილი მთავრდება სიკვდილით. ეს არის სპეკულაცია, 04.02.2025; იხ. https://imedinews.ge/ge/politika/372460/mamuka-mdinaradze-mzia-amaglobelze-shimshils-tu-ar-daanebebs-adamiani-tavs-samtsukharod-bolos-pataluri-shedegi-dgeba-es-undat-da-amisken-moutsodeben-metqi--es-kvelaperi-amochres-da-datoves-shimshili-mtavrdeba-sikvdilit-es-aris-spekulatsia [11.02.2025].

[473] U.S. Department of the Treasury, Treasury Sanctions Georgian Ministry of Internal Affairs Officials for Brutality Against Protesters, Journalists, and Politicians, 19.12.2024; იხ. https://home.treasury.gov/news/press-releases/jy2759 [11.02.2025].

[474] UK Government, UK sanctions Georgian officials responsible for brutal crackdown on media and protestors, 19.12.2024; იხ. https://www.gov.uk/government/news/uk-sanctions-georgian-officials-responsible-for-brutal-crackdown-on-media-and-protestors [11.02.2025].

მიერ დასანქცირებულ ყველა პირს, აგრეთვე სხვა სახელმწიფოების მიერ დასანქცირებულთა სიაში მყოფ პოლიციელებს, ღირსების ორდენზე წარადგენდა.[475] ხოლო 2025 წლის 30 იანვარს, „ქართული ოცნების“ პრეზიდენტმა 11-ვე პირი ღირსების ორდენით დააჯილდოვა.[476]

ნიშანდობლივია, რომ სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის სრულად ჩავარდნისა და სამართალდამცავი ორგანოების საჯარო ძალადობის მიუხედავად ერთპარტიულ პარლამენტს არ გადაუდგამს არცერთი ნაბიჯი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული საკონტროლო მექანიზმების (მაგალითად, საგამოძიებო კომისია, ინტერპელაცია) ასამოქმედებლად. მეტიც, პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილების მქონე „ქართული ოცნების“ არცერთ დეპუტატს არ გამოუყენებია კითხვის დასმის უფლებამოსილებაც კი მანიფესტაციებისას სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ ქმედებებზე ინფორმაციის მისაღებად.[477]

11.2. რეპრესიული საკანონმდებლო პაკეტები

2024 წლის დეკემბრიდან „ქართული ოცნების“ პარლამენტი აქტიურად შეუდგა არსებული კანონმდებლობის გაუარესებას და საკანონმდებლო ცვლილებების გზით რეპრესიული იარაღების შექმნას, რომელიც შეკრების და გამოხატვის წინააღმდეგ იყო მიმართული და სრულად უგულებელყოფდა როგორც ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს, ისე დემოკრატიული საკანონმდებლო პროცესისთვის დამახასიათებელ მნიშვნელოვან ელემენტებს.

აღსანიშნავია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო სივრცის გაუარესება ავტორიტარული რეჟიმებისთვის დამახასიათებელი საკანონმდებლო ინიციატივებით ჯერ კიდევ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაიწყო, რისი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითიც არის რუსული სტილის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი (რუსული კანონი),[478] ჰომო/ტრანსფობიური, ცენზურის დამწესებელი კანონი („ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“) და მისი თანმდევი ცვლილებები.[479] აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდშიც, რუსულ კანონთან დაკავშირებული საკანონმდებლო პროცესი ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა.[480]

თუმცა 2024 წლის დეკემბრიდან ავტორიტარული საკანონმდებლო პროცესი უფრო ინტენსიურად და მასშტაბურად წარიმართა. ცვლილებები კანონმდებლობაში შედის დაჩქარებული წესით, ერთდროულად სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და სახელმწიფო, როგორც წესი, დაუყოვნებლივ იწყებს მის გამოყენებას პროტესტის მონაწილეთა ან მხარდამჭერთა წინააღმდეგ. ცალსახაა, რომ „ქართული ოცნება“ ბოროტად იყენებს კანონშემოქმედებით ძალაუფლებას, არადემოკრატიული საკანონმდებლო პროცესის გზით, ავტორიტარული რეჟიმის და პოლიციური ტერორისთვის ნორმატიული საფუძვლების შესაქმნელად/გასამყარებლად.

რეპრესიული ცვლილებები, ძირითადად ორ ტალღად განხორციელდა: **ცვლილებების პირველი ტალღა** „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მესამე მოსმენით 13 დეკემბერს მიიღო და შეეხებოდა, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონს და საჯარო სამსახურის შესახებ კანონს.[481] **ცვლილებების მეორე ტალღა** „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მესამე მოსმენით 6 თებერვალს მიიღო და შეეხებოდა, მათ შორის, ზემოთ ჩამოთვლილ სამივე კანონს და ასევე სისხლის სამართლის

---

[475] INTERPRESSNEWS, მთავრობა შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ხელმძღვანელ პირს, მათ შორის ვახტანგ გომელაურს, ზვიად ხარაზიშვილს, მილერი ლაგაზაურსა და მირზა კეზევაძეს ღირსების ორდენზე წარადგენს, 20.12.2024; იხ. https://www.interpressnews.ge/ka/article/825512-mtavroba-shinagan-sakmeta-saministros-11-xelmzgvanel-pirs-mat-shoris-vaxtang-gomelaurs-zviad-xarazishvils-mileri-lagazaursa-da-mirza-kezevazes-girsebis-ordenze-caradgens [11.02.2025].

[476] „ფორმულა“, პრეზიდენტად დასმულმა ყაველაშვილმა შსს-ს სანქცირებული მაღალჩინოსნები დააჯილდოვა, 30.01.2025; იხ. https://formulanews.ge/News/123125?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0VvgbnYVULxRRt2aqnEZumLY8nK_yBjVx_pNpln13a-j2Wuykh7pgL7Z8_aem_wFTDs9uWXOSR8n88XuF2pg [11.02.2025].

[477] ინფორმაცია მითითებულია 2025 წლის 5 თებერვლის მდგომარეობით. პარლამენტის წევრის კითხვის საკონტროლო ინსტრუმენტის გამოყენების პორტალი, https://www.parliament.ge/supervision/deputy-question [11.02.2025].

[478] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024; იხ. https://gyla.ge/files/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf [14.02.2024].

[479] საია, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დისკრიმინაციულ, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ ცვლილებებს ეხმაურება, 20.09.2024; იხ. https://gyla.ge/post/saqartvelos-akhalgazrda-iuristta-asociacia-diskriminaciul-adamianis-uflebebis-da-demokratiis-tsinaaghmdeg-mimartul-sakanonmdeblo-cvlilebebs-ekhmaureba [14.02.2024].

[480] საია, საქართველო: ადამიანის უფლებები რუსული კანონის პირისპირ ადამიანის უფლებათა მდგომარეობა უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონპროექტის რეინიციირებიდან 60 დღის განმავლობაში, 2024, https://gyla.ge/files/%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0.pdf [14.02.2024].

[481] საკანონმდებლო პაკეტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები; იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/29794 [14.03.2025].

კოდექსს.[482] ამასთანავე, ცვლილებები შევიდა კანონქვემდებარე აქტებში, რომლებიც შეეხება დიპლომატიური სამსახურის გავლის წესს[483] და საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალების ბლოკირებაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გავრცელებას.[484] გარდა ამისა, 5 თებერვალს „ქართულმა ოცნებამ" მედიის შესახებ კანონის მიღება დააანონსა.[485] აღნიშნული კანონპროექტი ჯერ არ დაინიციირებულა და მისი ტექსტი ცნობილი არ არის, თუმცა „ქართული ოცნების" მიერ კანონის შინაარსის შესახებ გაკეთებული განცხადებები აშკარად მიუთითებს ცენზურის და დაფინანსების წყაროებზე წვდომის დაუსაბუთებელი შეზღუდვის საფრთხეზე.

წინამდებარე თავში მიმოხილულია განხორციელებული რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები და „ქართული ოცნების" მიერ საკანონმდებლო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ტერორის რეჟიმის გამყარების მიზნით.

11.2.1. საკანონმდებლო პროცესი

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ქართული ოცნება" პარლამენტში 2024 წლის 26 ნოემბერს შეიკრიბა და მეთერთმეტე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ცნობას კენჭი უყარა.[486] 2024 წლის 4 დეკემბერს, თვითგამოცხადებულ პარლამენტში „ქართულმა ოცნებამ" ერთდროულად რამდენიმე კანონში დააინიციირა არადემოკრატიული და რეპრესიული შინაარსის ცვლილებები.[487] მათი განხილვა და მიღება ავტორებმა დაჩქარებული წესით მოითხოვეს. კანონპროექტის განმარტებით ბარათში, როგორც წესი, ახსნილი და დასაბუთებული უნდა იყოს ინიციატორის მიერ კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და მოთხოვნის საფუძვლები. იგი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რატომ ითხოვს ინიციატორი მის დაჩქარებულად განხილვას.[488] კანონპროექტების განმარტებითი ბარათები მხოლოდ რამდენიმე წინადადებიანი ინფორმაციით შემოიფარგლება, რაც დაჩქარებული წესით განხილვის მოთხოვნის დასაბუთების სტანდარტს ვერ შეესაბამება.[489] დასაბუთება არის ზოგადი და შაბლონური. იგი არ ასაბუთებს ინიციატივის დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობას. არ არის ახსნილი, რა ზიანი მიადგებოდა მართლწესრიგს თუ ადამიანის უფლებებს იმ შემთხვევაში, თუკი დაინიციირებული პროექტები ორდინალური წესით განიხილებოდა. ინიციატორებს უნდა დაედასტურებინათ, რა დაუძლეველი ინტერესი იყო, რისი მიღწევაც მხოლოდ კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი და ორდინალური წესით განხილვისას გამოუსწორებელი ზიანი მიადგებოდა. რეგლამენტის შესაბამისად, დაჩქარებული წესით კანონპროექტის განხილვის დროს შესაძლებელია სამივე მოსმენა ერთ სასესიო კვირაში გაიმართოს.[490] შესაბამისად, თვითგამოცხადებულ პარლამენტში კანონპროექტების მოსმენა პლენარულ სხდომებზე 11 დეკემბერს დაიწყო და 2024 წლის 13 დეკემბერს დასრულდა მათი მიღებით.[491] აღსანიშნავია, რომ პარლამენტში კომიტეტებსა და პლენარულ სხდომებს მხოლოდ „ქართული

---

[482] საკანონმდებლო პაკეტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები; იხ. https://info.parliament.ge/#law-drafting/30044, [14.03.2025]

[483] საია, „საია დიპლომატიური სამსახურის გავლის წესებში უკანონო და რეპრესიულ ცვლილებებს ეხმიანება", 31.01.2024; იხ. https://gyla.ge/post/diplomatiuri-samsaxuri-represiebi [14.02.2024].

[484] საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 იანვრის დადგენილება №28 „სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

[485] „რადიო თავისუფლება", „ქართული ოცნება" ახალ შემზღუდავ კანონებს აანონსებს მედიისა და არასამთავრობოების წინააღმდეგ, 05.02.2024; იხ. https://www.radiotavisupleba.ge/a/33304338.html [14.02.2025].

[486] საქართველოს პარლამენტი, საკანონმდებლო ორგანომ პარლამენტის 150 წევრის უფლებამოსილება ცნო, 25.11.2025; იხ. https://www.parliament.ge/media/news/sakanonmdeblo-organom-parlamentis-150-tsevris-uflebamosileba-tsno [21.02.2025].

[487] საია, „ქართული ოცნება" კანონმდებლობაში არადემოკრატიული და რეპრესიული ცვლილებების შეტანას ცდილობს, 12.12.2024; იხ. https://www.gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-gyla, [21.02.2025].

[488] „ნორმატიული აქტების შესახებ" ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ვ" ქვეპუნქტი.

[489] დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტში: *„საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი კანონპროექტის განხილვა უნდა მოხდეს დაჩქარებული წესით, რათა ცვლილების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს პიროტექნიკური ნაწარმის საქართველოში იმპორტის, ექსპორტის, წარმოების ან/და რეალიზაციის დროული რეგულირება. შესაბამისად, წინამდებარე კანონპროექტის განხილვაც უნდა მოხდეს დაჩქარებული წესით."*; დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტში: *„საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ძირითადი კანონპროექტის განხილვა უნდა მოხდეს დაჩქარებული წესით, შესაბამისად, წინამდებარე კანონპროექტის განხილვაც უნდა მოხდეს დაჩქარებული წესით."*; დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტში: *„კანონპროექტის განხილულ უნდა იქნეს დაჩქარებული წესით, რადგან მისი მიღების მიზანია სისხლის სამართლის კოდექსის ნორმის შესაბამისობის უზრუნველყოფა იმ ცვლილებასთან, რაც გათვალისწინებულია „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით, რომლის განხილვა უნდა მოხდეს დაჩქარებული წესით."*; დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტში: *„იმისათვის, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება 2024 წლის საშემოდგომო სესიის დასრულებამდე მოესწროს, აუცილებელია მისი დაჩქარებული წესით განხილვა. შესაბამისად, ინიციატორების მიერ მოთხოვნილია წარმოდგენილი კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა."*; დაჩქარებული წესით განხილვის დასაბუთება „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტში: *„მიზანშეწონილია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით, რათა მისი მიღება და ამოქმედება მოესწროს მიმდინარე წლის საშემოდგომო სესიაზე, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს 2025-2028 წლების სამთავრობო პროგრამით გათვალისწინებული მიზნების დროულ და განუხრელად შესრულებას."*.

[490] საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლი.

[491] „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", 04.12.2025; იხ. https://parliament.ge/legislation/29789 [11.02.2025]. „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, 04.12.2025; იხ. https://parliament.ge/legislation/29790 [11.02.2025]. ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ, 04.12.2025; იხ. https://parliament.ge/legislation/29793. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილების შეტანის შესახებ, 04.12.2025; იხ. https://parliament.ge/legislation/29784 [11.02.2025]. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე", 04.12.2025; იხ. https://parliament.ge/legislation/29794 [11.02.2025].

ოცნების“ წევრები ესწრებოდნენ. დეპუტატებს უმეტესად არ დაუსვამთ კითხვა, ასევე, არ გამოუთქვამთ მოსაზრება კანონპროექტებთან დაკავშირებით, მომხსენებლებს არც დასკვნითი სიტყვით უსარგებლიათ.[492]

თვითგამოცხადებული პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღებულ რეპრესიულ კანონებს 29 დეკემბერს ხელი მოაწერა ამავე პარლამენტის მიერ პრეზიდენტად არჩეულმა მიხეილ ყაველაშვილმა, რომლის ინაუგურაციაც 2024 წლის 29 დეკემბერს გაიმართა. ყაველაშვილის მიერ ხელმოწერილი კანონები იმავე დღეს საღამოს 10 საათის შემდეგ აიტვირთა „საქართველოს მაცნეს“ ოფიციალურ გვერდზე. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მიხედვით, ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე, რაც ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის გამოქვეყნების დღეს, 24 საათზე.[493]

მსგავსად, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებების პაკეტი 6 თებერვალს. ამ პაკეტის პირველი პლენარული მოსმენა წინა დღეს, 5 თებერვალს გაიმართა, ხოლო ცვლილებებს ხელი მიხეილ ყაველაშვილმა 7 თებერვალს მოაწერა.[494]

ზემოთ აღწერილი პროცესი მიუთითებს, რომ მექანიზმებს, რომლებიც, შესაძლოა, დემოკრატიულ სახელმწიფოებში მუშაობდეს, საქართველოში ძალაუფლების კონსოლიდაციისა და პოლიტიკური ოპონენტების დევნისთვის იყენებენ. ეს ეწინააღმდეგება თავად ამ მექანიზმების არსს და ძირს უთხრის, როგორც კანონშემოქმედებითი პროცესის სათანადო განხორციელებას, ისე დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპს.

11.2.2. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები

v. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

„ქართულმა ოცნებამ“ სხვა რეპრესიულ კანონებთან ერთად, 2024 წლის თებერვალში სისხლის სამართლის კანონმდებლობაში[495] ცვლილებები შეიტანა, რაც რეალურად სისხლის სამართლის მექანიზმების პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენების გაგრძელებაა.

11.3. გაზრდილი სანქციები და ახალი დამამძიმებელი გარემოებები

სასჯელები გამკაცრდა რიგ დანაშაულებთან მიმართებით და მათ ემატება დამამძიმებელი გარემოებები:

- **გამკაცრდა სასჯელის სახე და ზომა სსკ-ის 239[1] მუხლის პირველი ნაწილისთვის, რაც ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებას გულისხმობს** და სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გარდა შესაძლებელი ხდება 3 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.
- **გამკაცრდა სასჯელი სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილისთვის (რაც გულისხმობს წინააღმდეგობას, მუქარას ან ძალადობას საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ)** და ნაცვლად ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთისა, წესდება ორიდან ექვს წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამ დანაშაულის არაერთგზის ჩადენა დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა და სასჯელის ოდენობა თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან რვა წლამდე განისაზღვრება. შენიშვნის მიხედვით კი, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამავე (სსკ-ის 353-ე) მუხლით ან სსკ-ის 3531 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. საყურადღებოა, რომ **აღნიშნული ცვლილება პირველ ნაწილთან მიმართებით ცვლის დანაშაულის კატეგორიას და ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულიდან მას აქცევს მძიმე კატეგორიის დანაშაულად.**
- **353[1]-ე მუხლს - პოლიციელზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეზე ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენელზე ანდა საჯარო დაწესებულებაზე თავდასხმას, დაემატა მთელი რიგი დამამძიმებელი გარემოებები**: ჯგუფურად, არაერთგზის, არასრულწლოვანის თანდასწრებით, აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით. მოცემულ ნაწილში კანონმდებელმა გააფართოვა და არაგანჭვრეტადი გახადა, რა შეიძლება იყოს სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალება.

---

[492] იქვე. პროექტის განხილვის აუდიოჩანაწერები.
[493] ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[494] ამერიკის ხმა, მიხეილ ყაველაშვილმა პროტესტისა და გამოხატვის თავისუფლების შემზღუდავ ცვლილებებს ხელი მოაწერა, 07.02.2025; იხ. https://www.amerikiskhma.com/a/signed-amendments-restricting-freedom-of-protest-and-expression/7966506.html [13.02.2025].
[495] საია, კიდევ უფრო გამკაცრებული სისხლის სამართლის კანონმდებლობა, 10.02.2025; იხ. https://gyla.ge/post/kidev-uprogamkacrebuli-sisxliskanonmdebloba [14.02.2025].

11.4. ახალი დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა სრულიად ახალი შინაარსის დანაშაული სსკ-ის 353[2]-ე მუხლის სახით, რაც გულისხმობს - **საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირზე, პოლიტიკური თანამდებობის პირზე, სახელმწიფო მოსამსახურეზე, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებულ პირზე ან/და საჯარო მოსამსახურეზე თავდასხმას ან მის მიმართ სხვა ამგვარი ქმედების ჩადენას,** რომლისთვისაც სოლიდური სასჯელებია გათვალისწინებული.[496]

11.5. მაგისტრალების ბლოკირების კრიმინალიზება

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ცვლილებების შედეგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლს (ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება) და 330-ე მუხლს (სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება ტერორისტული მიზნით) დაემატა შენიშვნა, რომლითაც განისაზღვრა, რომ ამ მუხლების მიზნებისთვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

ამ ცვლილების მიღებამდე, 2025 წლის 2 თებერვალს, თბილისში, Tbilisi Mall-ის მიმდებარედ დაგეგმილი მასშტაბური დემონსტრაციის გამართვამდე ერთი დღით ადრე, პროტესტის ჩახშობის მიზნით, სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ოქტომბრის №361 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ხსენებული მუხლის მიზნებისთვის განისაზღვრა საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი. ამ ცვლილებებით მოხდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის კრიმინალიზება. ამასთანავე, სსკ-ის 222-ე მუხლში შენიშვნის არქონა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის ფარგლებში განსაზღვრავდა მუხლის მიზნებისათვის სტრატეგიული ან/და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნუსხაზე მითითებას, არ ყოფილა შემაფერხებელი საქართველოს პროკურატურისთვის, რომელმაც მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების საფუძველზე Tbilisi Mall-ის მიმდებარედ გამართულ აქციაზე დაკავებულ 8 პირს სსკ-ის 19-222-ე მუხლით წარუდგინა ბრალი.[497]

2 თებერვლისთვის შეკრების დაანონსების *პოსტ ფაქტუმ*, მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანით კრიმინალიზება ეწინააღმდეგება კანონის ხელმისაწვდომობის, განჭვრეტადობის და ზოგადი ბუნების შესახებ პრინციპებს.[498] მეტიც, მთავრობას დანაშაულის ახალი შემადგენლობის დადგენის უფლებამოსილება არ ჰქონდა.[499] ეს ცვლილება ასევე ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების არსს და, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას (იხ. 2.3. ქვეთავი, „v. ობიექტების ბლოკირების აკრძალვა“).

vi. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი პროტესტის მონაწილეთა წინააღმდეგ აქტიურად გამოიყენება. 2024 წლის დეკემბრიდან კანონში შევიდა ცვლილებები,[500] რომლებიც საპროტესტო გამოხატვასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე სანქციების არაპროპორციულ ზრდას, ახალი სამართალდარღვევების შემოღებას, დაკავების საფუძვლების და პირადი გასინჯვის წესს აუარესებს.

---

[496] მაგალითად, ზემოჩამოთვლილ პირებზე ძალადობის მუქარისთვის 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთაა განსაზღვრული. ეს ძალადობის მუქარა თუ არის არაერთგზის, ჯგუფურად, არასრულწლოვანის თანდასწრებით ან აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით მაშინ სასჯელი ორიდან ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთაა. ზემოჩამოთვლილ პირებზე თავდასხმას კანონმდებელი ოთხიდან შვიდ წლამდე სასჯელს უწესებს, ხოლო თუ რომელიმე დამამძიმებელი გარემოებაცაა სახეზე (არაერთგზის, ჯგუფურად, არასრულწლოვანის თანდასწრებით ან აფეთქებით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით) მაშინ სასჯელი კიდევ უფრო მკაცრია და ხუთიდან თორმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება.

[497] „პუბლიკა“, „თბილისი მოლთან" დაკავებულ 8 პირს სასამართლომ საპატიმრო გირაო შეუფარდა“, 05.02.2025; იხ. https://publika.ge/tbilisi-moltan-dakavebul-8-pirs-sasamartlom-sapatimro-girao-sheufarda/ [14.02.2025].

[498] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ავტომაგისტრალების გადაკეტვის კრიმინალიზების შესახებ „ქართული ოცნების” გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურია, 05.02.2024; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/avtomagistralebis-gadaketvis-kriminalizebis-shesakheb-kartuli-otsnebis-gadatsqvetileba-arakonstitutsiuria [14.02.2025].

[499] იქვე.

[500] საია, „რა ცვლილებები შევა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის მიზნით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში?“ 16.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/ra-tsvlilebebi-shedis-administraciul-samartaldargvevata-kodeqsshi [14.02.2024]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პროტესტების წინააღმდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების სისტემური ანალიზი, 27.12.2024; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/protestebis-tsinaaghmdeg-mighebuli-sakanonmdeblo-tsvlilebebis-sistemuri-analizi [14.02.2025]. საია, „ქართული ოცნება“ პროტესტის უფლების ბევრ ასპექტს სამართალდარღვევად აცხადებს - დაჩქარებული ცვლილებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში; 05.02.2025, იხ. https://gyla.ge/post/qartuli-ocneba-protestis-uflebis-bevr-aspeqts-zgudavs, [14.02.2025]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკული ანალიზი, 13.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsnebis-mier-dachkarebuli-tsesit-mighebuli-sakanonmdeblo-tsvlilebebis-kritikuli-analizi-1?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR30zIZ2OtCEOUaaa3_9cKSbu7Qci-NMm3TO5ojG-uW72sk2g1lGEGdj81g_aem__3RJfLjNxiQyLLgKWkepoQ [14.02.2025].

a. სანქციების ზრდა

2025 წლის თებერვლის ცვლილებებით 4-ჯერ, 60 დღემდე გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა (აქამდე ეს ვადა 15 დღე იყო).

სანქციების ზრდა, მათ შორის, 60-დღიანი პატიმრობის ვადა შეეხო არაერთ სამართლდარღვევას, რომლებიც პროტესტის გამოხატვასთანაა დაკავშირებული.

ჯერ კიდევ 2024 წლის დეკემბერში მნიშვნელოვნად გაიზარდა ჯარიმების ოდენობა **მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯებისთვის (150-ე მუხლი).**[501] ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის სანქცია 50 ლარი იყო, ხოლო 2024 წლის დეკემბრის ცვლილებებით ჯარიმის ოდენობა 1000 ლარამდე (20-ჯერ) გაიზარდა. აღნიშნული სამართალდარღვევა მოიცავს სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურ შესრულებას შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე, ასევე პლაკატების, ლოზუნგების, ბანერების განთავსებას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი და, შესაბამისად, შესაძლოა, საპროტესტო გამოხატვის გამო ადამიანთა ფინანსური დასჯისთვის იყოს გამოყენებული.

ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვისთვის (მუხლი 125, ნაწილი 6[1]) გათვალისწინებულ სანქციას დაემატა ახალი სანქცია: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერება.

2024 წლის დეკემბერში ჯარიმების ოდენობა რამდენჯერმე გაიზარდა **ვანდალიზმისთვისაც (მუხლი 166[2]),** ხოლო 2025 წლის თებერვალში ვანდალიზმისთვის სახდელდადებული პირის მიერ ამ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისთვის 12-ჯერ გაიზარდა ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა და 60 დღე გახდა. 2025 წლის თებერვლის ცვლილებებით ასევე **გაიზარდა წვრილმანი ხულიგნობისთვის (მუხლი 166),**[502] **პოლიციის კანონიერი მოთხოვნის მიმართ დაუმორჩილებლობის**[503] **და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის შეურაცხყოფისთვის**[504] **გათვალისწინებული სანქციები (მუხლი 173).**

ცვლილებები **შეეხო შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევას (მუხლი 174[1])**. 2024 წლის დეკემბრის ცვლილებების მიხედვით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 11[1] მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევასთან დაკავშირებული სანქციები.[505] ეს ნორმები უკავშირდება აკრძალულ ადგილებში აქციების და მანიფესტაციების ჩატარებას, აკრძალული მოწოდებების გაკეთებას, აკრძალული ნივთების ქონას და მონაწილეთა მცირე რაოდენობის მიუხედავად გზის გადაკეტვას. ასევე, 2025 წლის თებერვლის ცვლილებებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[1] მუხლს დაემატა შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის სახდელდადებული პირის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული ქმედების ჩადენის შემთხვევაზე არ ვრცელდება ამ კოდექსის 22-ე მუხლის მოქმედება, რომლის მიხედვითაც, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას.

ცვლილებებით **მაღალი სანქციები განისაზღვრა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წინასწარი გაფრთხილების ვალდებულების დარღვევისთვის (მუხლი 174[1], ნაწილი 1),** თუ შეკრება ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტრანსპორტის მოძრაობა გადაკეტილია შეკრებისგან ან მანიფესტაციისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.[506] გასათვალისწინებელია, რომ **შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შესულმა ცვლილებებმა გააფართოვა შეკრების ორგანიზატორის ცნება,** განმარტა იგი, როგორც „შეკრების ან

---

[502] 2025 წლის თებერვლის ცვლილებების შემდეგ, ეს სანქცია არის ჯარიმა 500 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღემდე ვადით. ძველი მოწესრიგებით, აღნიშნული სამართალდარღვევისთვის სანქცია იყო ჯარიმა 500 ლარიდან 1000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით.

[503] 2025 წლის თებერვლის ცვლილებების შემდეგ, დაუმორჩილებლობისთვის (173-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) სანქცია არის 2 000 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ჯარიმა ან **60 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობა**. ძველ რედაქციაში ეს სამართალდარღვევა 2000 ლარიდან 3000 ლარამდე ოდენობით ჯარიმას ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.

[504] ამ სამართალდარღვევისთვის (173-ე მუხლი) სანქციად განისაზღვრა 2 000 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღემდე ვადით. 2025 წლის თებერვლის ცვლილებებამდე არსებული მოწესრიგებით, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა) გათვალისწინებული იყო 173-ე მუხლის პირველი ნაწილით და, შესაბამისად, იმავე სანქციას მოიცავდა, რაც 22-ე სქოლიოშია მოცემული.

[505] 2024 წლის დეკემბრის ცვლილებებამდე სანქციები ითვალისწინებდა დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე. 2024 წლის დეკემბერში და 2025 წლის თებერვალში შესული ცვლილებების შედეგად, ჯარიმების ოდენობა 5 000 ლარი და ორგანიზატორის შემთხვევაში - 15 000 ლარია. ამ მუხლისთვის სახდელდადებული პირის მიერ ამ სამართალდარღვევის ჩადენისთვის სანქციად განისაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 20 დღემდე ვადით (ორგანიზატორის შემთხვევაში – დაჯარიმება 15 000 ლარიდან 20 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღიდან 60 დღემდე ვადით).

[506] დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო ორგანიზატორის შემთხვევაში - 5 000 ლარის ოდენობით.

მანიფესტაციის ინიციატორი, აგრეთვე პირი, რომელიც ხელმძღვანელობს ან/და სხვაგვარად ორგანიზებას უწევს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებას“. შესაბამისად, შესაძლოა, ორგანიზატორად მიიჩნიონ აქციის აქტიური მონაწილეც „ხელმძღვანელობის ან სხვაგვარი ორგანიზების გაწევის გამო“ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ორგანიზატორის პასუხისმგებლობას შეეხება, მასზეც გაავრცელონ.

b. ახალი სამართალდარღვევები

როგორც შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ისევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (174[1] მუხლში) ორ ეტაპად შეტანილი ცვლილებების მიხედვით, **სამართალდარღვევად განისაზღვრა შეკრებაზე ნიღბით ან სხვა საშუალებით სახის დაფარვა, ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალება, რომლის გამოყენებამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას, ისეთ შეკრებაში მონაწილეობა, რომელიც შსს-ს მოთხოვნის შედეგად უნდა შეწყვეტილიყო** და განისაზღვრა მაღალი სანქციები.

2024 წლის დეკემბერში მშობლის ან ბავშვის სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანის აღზრდისა და სწავლების ან მის მიმართ სხვა მოვალეობათა შეუსრულებლობას (მუხლი 172) დაემატა ამავე კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა **(სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობა).** აღსანიშნავია, რომ პოლიცია, როგორც წესი, სწორედ 173-ე მუხლს იყენებს დემონსტრანტების უსაფუძვლო დაკავებისას. ეს ნიშნავს, რომ არასრულწლოვანის ქმედებისთვის, შესაძლოა, მშობლებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა.

2025 წლის თებერვლის ცვლილებების მიხედვით, კოდექსს დაემატა ახალი სამართალდარღვევა (173[16] მუხლი) - საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის, პოლიტიკური თანამდებობის პირის, სახელმწიფო მოსამსახურის, სახელმწიფო მოსამსახურესთან გათანაბრებული პირის ან/და საჯარო მოსამსახურის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება, შეურაცხმყოფელი გადაკიდება ან/და სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ან საქმიანობასთან დაკავშირებით (გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევისა). აღნიშნული სამართალდარღვევა მაღალ სანქციებს[507] ითვალისწინებს, მათ შორის, 60 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას სამართალდარღვევისთვის სახდელდადებული პირის მიერ მისი განმეორებით ჩადენის შემთხვევაში.[508]

ეს სამართალდარღვევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, რადგან, გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ სხვებისთვის მისაღებ იდეებს, არამედ ისეთ გამოხატვასაც, რომელიც შეურაცხმყოფელი და შოკისმომგვრელია.[509] სახელმწიფოს წარმომადგენლები შეურაცხმყოფელი ენის მიმართ მაღალი დონის მიმღებლობას უნდა იჩენდნენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი ენა ძალადობის მყისიერ რისკს იწვევს.[510] ცალსახაა, რომ ცვლილება პოლიტიკური გამოხატვის ფორმების დასჯას და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კრიტიკას და მათ მიმართ მშვიდობიანი პროტესტის სხვადასხვა ფორმების დასჯას ემსახურება.

c. პრევენციული დაკავება

ამასთანავე, გაფართოვდა პირის დაკავების საფუძვლები, და, მათ შორის, დაემატა პრევენციული დაკავების საფუძველი, რაც მოიაზრებს სამართალდარღვევის ჩამდენი პირის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის პრევენციისთვის პირის დაკავების შესაძლებლობას (მუხლი 244).

---

[507] ამ სამართალდარღვევისთვის სანქციად განისაზღვრა დაჯარიმება 1 500 ლარიდან 4 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 45 დღემდე ვადით. ამ სამართალდარღვევისთვის სახდელდადებული პირის მიერ ამავე სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში - დაჯარიმება 2 500 ლარიდან 6 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციული პატიმრობა 5 დღიდან 60 დღემდე ვადით. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. ამ მუხლზე ვერ გავრცელდება კოდექსის 22-ე მუხლი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის სანაცვლოდ გათავისუფლდეს.

[508] გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარიდან 4000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 45 დღემდე ვადით. ამ სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით განსაზღვრული რომელიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა გამოიწვევს დაჯარიმებას 2500 ლარიდან 6 000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 5 დღიდან 60 დღემდე ვადით. ამასთანავე, ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით. ამ სამართალდარღვევაზე არ გავრცელდება კოდექსის 22-ე მუხლის მოქმედება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან სიტყვიერი შენიშვნის სანაცვლოდ გათავისუფლდეს.

[509] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, Savva Terentyev v. Russia, პარ. 61.

[510] იქვე, პარა. 77.

d. დამამძიმებელი გარემოებები

გაფართოვდა დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი და არსებულ ჩამონათვალს დაემატა შემდეგი დამამძიმებელი გარემოებები:

- სამართალდარღვევის ჩადენა ისეთი პირის მიერ, რომელსაც ამ კოდექსის შესაბამისად გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა;
- სამართალდარღვევის ჩადენა არასრულწლოვანის მიმართ ან თანდასწრებით;
- დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით;
- სამართალდარღვევის ჩადენა დაზარალებულის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის დამამძიმებელი გარემოებების ამგვარი გაფართოება კიდევ უფრო აშკარად აჩვენებს ამ კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის რეჟიმის არსებითად სისხლისსამართლებრივ ბუნებას, რომელიც სრულიად შეუსაბამოა მსუბუქი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის.[511]

e. ვადები

2025 წლის თებერვლის ცვლილებებით გაიზარდა ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები.[512]

გარკვეულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომლებიც სწორედ საპროტესტო გამოხატვას ეხება, იცვლება იმ ვადების გამოთვლის წესი, რომლის განმავლობაშიც პირი სახდელდადებულად მიიჩნევა. ამ სამართალდარღვევებისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შემთხვევაში პირი სახდელდაუდებლად ჩაითვლება ჯარიმის სრულად გადახდიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ. **ძველი რედაქციით, ერთწლიანი ვადა აითვლება არა ჯარიმის სრულად გადახდიდან, არამედ ჯარიმის დაკისრებიდან.** ეს ცვლილება შეეხო შემდეგ მუხლებს: 150-ე (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის დამახინჯება), 150^{2}-ე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება), 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა), 166^{2}-ე (ვანდალიზმი), 173-ე (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისთვის დაუმორჩილებლობა), 174^{1}-ე (შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა) მუხლები. ეს წესი გავრცელდება ასევე 173^{16}-ე მუხლზე, რომელიც კოდექსს სწორედ ამ ცვლილებების შედეგად დაემატა და ითვალისწინებს საქართველოს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის ან საჯარო მოსამსახურის სიტყვიერ შეურაცხყოფას ან სხვაგვარი შეურაცხმყოფელი ქმედების ჩადენას სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

f. პირადი გასინჯვის წესის გაუარესება

გაუარესდა პირადი გასინჯვის წესი, რაც ადამიანს დაცვის გარანტიების გარეშე ტოვებს (მუხლი 248, ნაწილი 2). პირადი გასინჯვის ახალი წესის მიხედვით, „პირადი გასინჯვა შეიძლება აწარმოოს საამისოდ უფლებამოსილმა პირმა, რომელიც გასასინჯი პირის სქესისაა. პირადი გასინჯვა შესაძლოა ჩატარდეს დამსწრის თანდასწრებით“. შესაბამისად, გასასინჯი პირი უფლებამოსილი აღარ არის, მოიწვიოს დამსწრე. ძველი რედაქციით, ამ უფლების შეზღუდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ გადაუდებელ შემთხვევებში, მტკიცებულებათა დაზიანების, განადგურების ან გადამალვის რეალური საფრთხის პირობებში.

ეს ცვლილება ცდილობს ფორმალური კანონიერების საფუძველი შეუქმნას აქამდე უკანონო პრაქტიკას, როდესაც მეტროსადგურებთან პოლიციელები ხვდებიან დემონსტრანტებს და უკანონოდ ჩხრეკენ მათ.[513]

---

[511] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკული ანალიზი, 13.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsnebis-mier-dachkarebuli-tsesit-mighebuli-sakanonmdeblo-tsvlilebebis-kritikuli-analizi-1?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR30zIZ2OtCEOUaaa3_9cKSbu7Qci-NMm3TO5ojG-uW72sk2g1lGEGdj81g_aem__3RJfLjNxiQyLLgKWkepoQ [14.02.2025].

[512] იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელი, რომლის საქმეც რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადია, შეიძლება დაედოს ამ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა, ხოლო როცა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა დენადია – მისი გამოვლენის დღიდან არაუგვიანეს 6 თვისა. ძველი რედაქციით ეს ვადა 4 თვე იყო.

[513] საია, მეტროსადგურებთან პოლიციელები ხვდებიან მოქალაქეებს და ართმევენ აირწინაღებს, ნიღბებს და სხვა ნივთებს, 05.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/chkhrekebi-metrosadgurebtan [05.12.2025].

g. მტკიცების ტვირთი და განსჯადობა

174[1]-ე მუხლი (შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევა) 2025 წლის თებერვლის ცვლილებებამდე მთლიანად სასამართლოს განსჯადი იყო. ახალი მოწესრიგებით კი, საგანგაშოა, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ნაწილი სასამართლოს, ხოლო ნაწილი შსს-ს განსჯადი იქნება.

შსს-ს განსჯადი იქნება 174[1]-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-5 და მე-7 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები. ეს სამართალდარღვევები მოიცავს შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ გაფრთხილების წესის დარღვევას, შეკრებებს აკრძალულ ადგილებში, შეკრებებზე აკრძალული მოწოდებების გაკეთებას, აქციაზე სახის დაფარვას და ლაზერის ქონას.

სასამართლოს განსჯადი იქნება 174[1]-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილები, რომლებიც გულისხმობს ამ მუხლით სახდელდადებული პირის მიერ ამავე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების განმეორებით ჩადენას, სასამართლოს შესასვლელის ბლოკირებას/შეკრება-მანიფესტაციას სასამართლოში ან მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას, და ისეთ შეკრებაში მონაწილეობას, რომელიც შსს-ს მოთხოვნის შედეგად უნდა შეწყვეტილიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ შსს აქციაზე მყოფი ადამიანების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს დაუსაბუთებლად იყენებს, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ისინი საპროტესტო აქციაში მონაწილეობდნენ, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მტკიცებულებები, რომლებიც პირის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე მიუთითებს, **ეს ნორმები კიდევ უფრო გააუარესებს აქციის მონაწილეთა მდგომარეობას. ეს ნორმები, ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმების არარსებობის პირობებში, აქციის მონაწილეთა მიმართ შსს-ს თვითნებობის კიდევ უფრო მაღალი ხარისხის გასამართლებლად იქნება გამოყენებული.**

კოდექსს ასევე დაემატა ნორმა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილების/საჯარიმო ქვითრის უკანონობის ან/და დაუსაბუთებლობის მტკიცების ტვირთი აკისრია აპელანტს. ეს, ზემოთ განხილულ ცვლილებასთან ერთობლიობაში, გამოიწვევს სასამართლოში მტკიცების ტვირთის პოტენციური სამართალდამრღვევისთვის დაკისრებას.

vii. შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ცვლილებები

შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში[514] 2024 წლის დეკემბერში და 2025 წლის თებერვალში შესული ცვლილებები ბლანკეტურად კრძალავს შეკრების მონაწილეების მიერ სახის დაფარვას, ასევე ზედმეტად აფართოებს ორგანიზატორის ცნებას და აწესებს შეკრებების უფლებით სარგებლობისთვის ახალ შეზღუდვებს.

a. ნიღბის გამოყენება და სახის დაფარვა

„შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონში 2024 წლის დეკემბერში შესული ცვლილებების მიხედვით, აიკრძალა შეკრებისას ლაზერული ან/და მკვეთრი გამოსხივების მქონე ისეთი საშუალების ქონა, რომლის გამოყენებამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა საქმიანობას. ასევე დაწესდა აქციის მონაწილეთათვის სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვის აკრძალვა (მუხლი 11).

ეს აკრძალვა ეწინააღმდეგება შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებების დაცვის სტანდარტებს.

ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის შეფასებით, ნიღბის ტარება დემონსტრაციაზე, შესაძლოა, ასევე ჩაითვალოს გამოხატვის ფორმად და ბლანკეტური აკრძალვა არღვევს ადამიანის უფლებებს.[515] ნიღბის ტარება, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სხვა ლეგიტიმურ მიზანთან, მაგალითად, ემსახურებოდეს შემდგომი ანგარიშსწორებისაგან თავდაცვას.[516] დემონსტრაციაზე ნიღბის ტარება არ უნდა იყოს აკრძალული, თუ არ არსებობს მყისიერი ძალადობის აშკარა მტკიცებულება.[517] პირს არ უნდა მოსთხოვონ, მოიხსნას ნიღაბი, თუ მისი ქცევა არ ქმნის სავარაუდო

[514] საია, შეკრებებზე ნიღბის ტარების აკრძალვით „ქართული ოცნება“ ცდილობს ადამიანები კიდევ უფრო დაუცველი გახადოს იმ ტერორის მიმართ, რომლის დამყარებაც ლეგიტიმური და მშვიდობიანი პროტესტის ჩასახშობად სურს, 17.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/nigbis-akrdzalva [14.02.2025]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, პროტესტების წინააღმდეგ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების სისტემური ანალიზი, 27.12.2024; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/protestebis-tsinaaghmdeg-mighebuli-sakanonmdeblo-tsvlilebebis-sistemuri-analizi [14.02.2025]. საია, რეპრესიული საკანონმდებლო ცვლილებები “შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ” კანონში მესამე მოსმენით მიიღეს, 07.02.2025; https://gyla.ge/post/represiuli-sakanonmdeblo-cvlilebebi-saias-shefaseba [14.02.2025]. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნების“ მიერ დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების კრიტიკული ანალიზი, 13.02.2025; იხ. https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsnebis-mier-dachkarebuli-tsesit-mighebuli-sakanonmdeblo-tsvlilebebis-kritikuli-analizi-1?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR30zIZ2OtCEOUaaa3_9cKSbu7Qci-NMm3TO5ojG-uW72sk2g1lGEGdj81g_aem__3RJfLjNxiQyLLgKWkepoQ [14.02.2025].

[515] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) OSCE OFFICE FOR DEMOCRATIC INSTITUTIONS AND HUMAN RIGHTS (OSCE/ODIHR) GUIDELINES ON FREEDOM OF PEACEFUL ASSEMBLY (3rd EDITION), CDL-AD(2019)017rev, 15 July 2020, par. 153.

[516] იქვე.

[517] იქვე.

დაკავების საფუძველს.[518] მსგავსი ბლანკეტური აკრძალვა შეუთავსებელია **ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს** პრაქტიკასთანაც.[519]

b. შეკრება/მანიფესტაციების ორგანიზატორის ცნება

2024 წლის თებერვლის ცვლილებებით შეკრების ან მანიფესტაციის *„ორგანიზატორად" ცხადდება არა მხოლოდ ინიციატორი, არამედ ნებისმიერი პირი, ვინც „ხელმძღვანელობს ან/და სხვაგვარად ორგანიზებას უწევს" შეკრებას*, ხოლო ***„პასუხისმგებელი პირი" შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი პირი, ვინც შეკრების პროცესში რაიმე სახის ორგანიზატორულ საქმიანობას ეწევა.*** ამგვარი განმარტება შესაძლოა გამოიყენონ აქციის აქტიური მონაწილეების წინააღმდეგ, რომლებიც სინამდვილეში ორგანიზატორები არ არიან.

c. გაფრთხილება სპონტანური შეკრება/მანიფესტაციის შემთხვევაში

კანონს დაემატა **სპონტანური შეკრება/მანიფესტაციის შემთხვევაში გონივრულ ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს გაფრთხილების ვალდებულება, თუ შეკრება/მანიფესტაცია ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებას იწვევს**. სპონტანური აქციის შემთხვევაში განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ, გონივრულ ვადაში, მას შემდეგ, რაც შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის პასუხისმგებელი პირისთვის ცნობილი გახდება სპონტანური შეკრების/მანიფესტაციის ორგანიზების/ჩატარების შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, ახალი ფორმულირება საშუალებას აძლევს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმომადგენლებს თვითნებურად განსაზღვრონ გაფრთხილების ფორმა და წესი.

შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცეში/შენობაში, მესაკუთრის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

2025 წლის თებერვლის ცვლილებებით, **აიკრძალა შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება დახურულ სივრცეში ან შენობაში იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე წინასწარ არ თანხმდება, ეს თანხმობა კი, წერილობითი ფორმით უნდა გაიცეს.**

პირველ რიგში, **ეს არის რეაქციული პასუხი უნივერსიტეტებში მიმდინარე პროტესტებზე, რისი აღკვეთაც „ქართულ ოცნებას" ამ აკრძალვით სურს.** მისთვის წინასწარვე ცნობილია, რომ საჯარო უნივერსიტეტების უმრავლესობა, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც ხშირად ასეთი შეკრებების მთავარი კერაა, სტუდენტებს არ მისცემს შეკრების უფლებას. იგივე შეიძლება ითქვას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტზეც, რომელიც 2024 წელს რეგიონში მიმდინარე პროტესტის ერთ-ერთი კერა იყო.

d. ობიექტების ბლოკირების აკრძალვა

ძველი რედაქციით **აკრძალული იყო მხოლოდ შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარებისას შენობების შესასვლელების, ავტომაგისტრალებისა და რკინიგზის ბლოკირება, თუმცა ახლა ამ სიას დაემატა ხიდების, გვირაბების, ესტაკადების, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იმგვარი სატრანსპორტო კვანძების ბლოკირებაც**, რომელთა შეფერხებაც მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნორმალურ ფუნქციონირებას ან/და მნიშვნელოვნად შეაფერხებს სატრანსპორტო ნაკადების გადაადგილებას.

ამ აკრძალვას განმარტებითი ბარათი ასაბუთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმით, „კუდრევიუსი და სხვები ლიეტუვის წინააღმდეგ", სადაც ფერმერებმა 48 საათზე მეტი ხნით გადაკეტეს ქვეყნის 3 ძირითადი მაგისტრალი, რამაც შეაფერხა ეკონომიკური აქტივობები.[520] ბარათი აღნიშნავს, რომ „ავტოსაგზაო მოძრაობისა და ცხოვრების ჩვეული რიტმის მიზანმიმართული შეფერხება და სხვა ქმედებების მნიშვნელოვნად დაზიანება არ არის ევროპული კონვენციით დაცული შეკრების თავისუფლების არსებითი ნაწილი". **მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განმარტება მანიპულაციურია, ვინაიდან ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საჯარო ადგილას ნებისმიერმა დემონსტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ჩვეულებრივი ცხოვრების გარკვეული დონის დარღვევა, მათ შორის, სატრანსპორტო მოძრაობის შეფერხებაც.** ამასთანავე, ამ საქმეში ევროსასამართლოს არსად უთქვამს, რომ ავტომატურად სისხლის სამართლებრივად დასჯადი უნდა იყოს ასეთი ქმედება ან, ასეთი აქცია ავტომატურად ექვემდებარება დაშლას. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებასაც, რომ ლიეტუვის ხელისუფლებამ 48 საათის განმავლობაში პატივი სცა შეკრების თავისუფლებას და არ დაშალა ძალის გამოყენებით დემონსტრანტები.[521] პარალელის სახით, შეგვიძლია მოვიყვანოთ სხვა საქმე, მაგალითად, „**გეილანი და სხვები**

[518] იქვე.
[519] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე, Ibragimova v. Russia.
[520] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 15 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე Kudrevičius and Others v. Lithuania.
[521] იქვე, პარ. 176-177.

თურქეთის წინააღმდეგ“.[522] ამ საქმეზე გადაწყვეტილება კუდრევიუსის საქმის შემდეგ არის მიღებული და იგი 2023 წლით თარიღდება. ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შეკრების თავისუფლების დარღვევა დაადგინა და ის სწორედ კუდრევიუსის საქმის სტანდარტთან შეაპირისპირა. **თურქეთის საქმეში დემონსტრანტები აქციას ერთ-ერთ მთავარ გზაზე მართავდნენ, პოლიციამ აქციის დაშლა დაიწყო მყისიერად, აქციის დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ და ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებიდან 20 წუთზე ნაკლებ დროში. მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტები პოლიციამ მანამდე რამდენჯერმე გააფრთხილა, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ყოველდღიური ცხოვრების შეფერხება არ იყო იმ ხარისხის, რომ პოლიციის მხრიდან სწრაფი ჩარევა გაემართლებინა.[5]**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტით, რომელიც, მათ შორის, კუდრევიუსის საქმეშია მოცემული:

- საჯარო სივრცეში გამართული ნებისმიერი დემონსტრაცია, შესაძლოა, გარკვეულ დონეზე იწვევდეს ჩვეულებრივი ცხოვრების რიტმის რღვევას, მათ შორის, მოძრაობის შეფერხებას;
- გზის გადაკეტვა, ჩვეულებრივი ცხოვრების და მოძრაობის შეფერხება უნდა გაანალიზდეს, არის თუ არა დემონსტრაციის თანმდევი ეფექტი;
- სამართალდამცავებმა უნდა გამოიჩინონ ტოლერანტობის გარკვეული დონე ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც აბსტრაქტულად განსაზღვრული არ შეიძლება იყოს და უნდა გაანალიზდეს საქმის კონკრეტული გარემოებები, განსაკუთრებით კი, „ჩვეულებრივი ცხოვრების წესის დარღვევის“ მოცულობა (მაგ., ასევე, რამდენად ფერხდება საგზაო მოძრაობა, არსებობს თუ არა შემოვლითი გზა და ა.შ.).

e. შეკრების ან მანიფესტაციის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ ჩატარება

ძველ რედაქციაში შეზღუდვა მხოლოდ ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიას ეხებოდა, ხოლო ახალ ვერსიაში ის თავად შენობაზეც ვრცელდება. რჩება 20 მეტრის მანძილზე შეზღუდვა, თუმცა ახლა რეგულაცია ეხება შენობასაც.

f. გადაადგილების დაბრკოლება

თუ ძველ რედაქციაში მხოლოდ ტრანსპორტის გადაადგილების ხელშეშლა იკრძალებოდა, ახალში ხალხის გადაადგილებაც დაემატა. ეს ცვლილება „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტ საშუალებას აძლევს, შეზღუდოს აქციები, რადგან „ხალხის გადაადგილების დაბრკოლება“ ბუნდოვანი ფორმულირებაა და ფართოდ ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა.

g. დროებითი კონსტრუქციის მოწყობის აკრძალვა

დაემატა ახალი ამკრძალავი რეგულაცია დროებითი კონსტრუქციების მოწყობის შესახებ. კერძოდ, ის იკრძალება, თუ ქმნის საფრთხეს, აფერხებს პოლიციის მუშაობას, აზიანებს ორგანიზაციების ფუნქციონირებას ან არ არის აუცილებელი შეკრების ჩასატარებლად.

ეს ცვლილება ბევრ სუბიექტურ კრიტერიუმს მოიცავს, რაც „ქართულ ოცნებას“ უფრო მეტი მანევრის საშუალებას აძლევს აქციების გასაკონტროლებლად და შესაზღუდად. „შეკრების ჩატარებას არ უკავშირდება“ - ბუნდოვანი ფორმულირებაა და შესაძლოა ნებისმიერი დროებითი ინფრასტრუქტურის აკრძალვის საფუძვლად იქცეს.

h. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით შეწყვეტილ პროტესტში მონაწილეობის აკრძალვა

შეკრებისა და მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებათ იმ შეკრებებში მონაწილეობა, რომლებიც შეწყდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით. ეს კი მოხდება იმ შემთხვევაში, თუ მონაწილეებმა მასობრივად დაარღვიეს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის, ლაზერული საშუალების ქონასთან და სახის ნიღბით ან სხვა საშუალებით დაფარვასთან დაკავშირებით.

i. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებების გაზრდა

*საკანონმდებლო ცვლილებებით **გაფართოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებები.***

შესაბამისად, ახალი მოწესრიგებით, ცვლილებების თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტრო (ნაცვლად მუნიციპალიტეტისა) უფლებამოსილია არ დაუშვას შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება, თუ არსებობს

[522] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 12 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Geylani and Others v. Türkiye, პარ. 124-126.

***პოლიციის მიერ შემოწმებული აშკარა მონაცემები**, რომელთა შესაბამისად, შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების შედეგად უშუალო საფრთხე ემუქრება კონსტიტუციურ წყობილებას, მოქალაქეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან თუ შეკრება და მანიფესტაცია არღვევს 2024 წლის 17 სექტემბერს მიღებული ჰომოფობური კანონის („ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი) მოთხოვნებს.*

***თუ ადრე ჩამოთვლილი უფლებამოსილება ეკუთვნოდა ადგილობრივი ხელისუფლების, კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოებს, ახლა ეს ფუნქცია სრულად გადადის შინაგან საქმეთა სამინისტროზე**.*

viii. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული ცვლილებები

2024 წლის დეკემბრიდან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებები[523] დაცვის გარანტიების გარეშე ტოვებს საჯარო მოხელეებს და საჯარო სამსახურის პოლიტიზების იარაღად გვევლინება (დეტალურად იხილეთ მე-5 თავი).

12. შეჯამება

2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ დაწყებული რეპრესიების ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებების სისტემურ დარღვევას პოლიტიკური ბუნება აქვს. კერძოდ, სამართალდამცავი, საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნის, ისევე როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოები კოორდინირებული მოქმედებებით ცდილობენ ქვეყანაში მიმდინარე პროტესტის ჩახშობას.

რეპრესიებს აღასრულებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებები. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი, თბილისის პოლიციის დეპარტამენტი, აჭარის პოლიციის დეპარტამენტი და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი. ხოლო შსს-ს სსიპ „საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112“ ბოროტად იყენებს საკუთარ ვიდეო-ანალიტიკურ შესაძლებლობებს რეპრესიების მხარდასაჭერად.

ადამიანების წამების, არაადამიანური მოპყრობისა და ფიზიკური ძალადობის ფაქტების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობს არაეფექტიანად, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურსა და საქართველოს პროკურატურას. ამ უწყებათა არაეფექტიანობა სამართალდამცავ უწყებათა წარმომადგენლების დაუსჯელობის მთავარი გარანტიაა.

სასამართლო ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას, მეტიც, იგი მიმდინარე რეპრესიების თანამონაწილეა. მანიფესტაციების კონტექსტში რეპრესირებული ადამიანებისთვის სამართლიანი სასამართლო ფაქტობრივად არ არსებობს.

მიმდინარე რეპრესიებზე პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“, რომელსაც ხელმძღვანელობს ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი. ეს პარტია 2024 წლის 26 ოქტომბრის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცივილიზებულ სახელმწიფოთა მიერ არაღიარებული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სრულად აკონტროლებს ერთპარტიულ პარლამენტს.

[523] საია, „საჯარო სამსახურის შესახებ კანონში დაჩქარებული წესით შეტანილი ცვლილებები მოხელეებზე ზეწოლის გაზრდას და საჯარო სამსახურის კიდევ უფრო მეტად პოლიტიზებას ემსახურება“, 16.12.2024; იხ. https://gyla.ge/post/sajaro-samsaxuris-shesaxebkanoni-cvlilebebi [14.02.2025].

დანართი 1: დაზარალებულების ინტერვიუები

ინტერვიუს ნომერი	სქესი		ასაკი
	მდედრობითი	მამრობითი	
V1	X		28
V2		X	24
V3	X		38
V4		X	33
V5		X	21
V6		X	17
V7		X	16
V8		X	34
V9		X	
V10		X	25
V11		X	36
V12		X	33
V13		X	22
V14		X	33
V15		X	28
V16		X	20
V17		X	35
V18		X	31
V19		X	27
V20		X	35
V21	X		36
V22		X	32
V23		X	31
V24	X		48
V25	X		49
V26		X	25
V27	X		31
V28	X		21
V29		X	54
V30		X	22
V31		X	34
V32		X	25
V33		X	34
V34		X	29
V35		X	45
V36		X	28
V37		X	33

V38		X	22
V39		X	42
V40	X		37
V41		X	20
V42		X	30
V43		X	32
V44		X	37
V45		X	29
V46	X		23
V47	X		43
V48	X		51
V49		X	37
V50	X		26
V51		X	32
V52		X	30
V53		X	25
V54		X	29
V55	X		25
V56		X	22
V57		X	28
V58		X	25
V59		X	32
V60		X	25
V61		X	37
V62		X	33
V63		X	34
V64		X	21
V65		X	35
V66		X	33
V67		X	47
V68		X	33
V69		X	31
V70		X	25
V71		X	22
V72		X	24
V73		X	39
V74		X	27
V75		X	24
V76		X	24
V77		X	34
V78		X	24
V79		X	19
V80		X	17
V81		X	17
V82		X	28
V83		X	34

V84		X	34
V85		X	44
V86		X	23
V87		X	33
V88	X		34
V89		X	38
V90	X		23
V91		X	36
V92		X	34
V93	X		35
V94		X	36
V95	X		26
V96		X	26
V97		X	25
V98	X		27
V99		X	28
V100		X	34
V101		X	28
V102		X	26
V103		X	48
V104		X	52
V105		X	33
V106		X	33
V107		X	26
V108		X	49
V109		X	47
V110		X	20
V111		X	29
V112		X	33
V113		X	44
V114		X	33
V115		X	20
V116		X	32
V117		X	23

დანართი 2: საჯარო ინფორმაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ ვ-04/10-25 28. 01. 2025 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სასამართლოს მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

Უ-04/02-25
07.02.25

თბილისის საქალაქო სასამართლო

№1-0412/798 04.02.2025 წელი

ქალბატონ თამარ ონიანს,
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისი, ჯ. კახიძეს N15

ქალბატონო თამარ,

2025 წლის 30 იანვრის განცხადების (რეგ.№გ-04/10-25) პასუხად გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით/სახის ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და საჯარო მონაცემთა ბაზაში განთავსება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება. ამასთან, ინფორმაციის მოცულობის გამო, მოთხოვნილი სახით მათი მოძიება/დამუშავება საჭიროებს საკმაოდ დიდ დროსა და სასამართლოს რესურსს, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პატივისცემით,
ავთანდილ წამალაშვილი

უფროსი კონსულტანტი
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, N64 ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli N64 Tel/Fax. (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.court.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/11-25 28.01. 2025 წ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სასამართლოს მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

უ-04/05-25
14.02.25

რუსთავის საქალაქო სასამართლო

საქართველო, ქ.რუსთავი, პოსტანძალაძის ქ. № 6; ტელ: კანცელარიის მისაღები: 0341 24 08 07;

№ 188/ბ

07 თებერვალი 2025 წ.

ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქN15;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორს,
ქალბატონ თამარ ონიანს

ქალბატონო თამარ,

2025 წლის 30 იანვარს რუსთავის საქალაქო სასამართლოში შემოსული თქვენი განცხადების (რეგისტრაციის N1537) პასუხად განგიმარტავთ, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია თქვენს მიერ მითითებული კრიტერიუმებით რუსთავის საქალაქო სასამართლოში არ მუშავდება. ამ მონაცემების დამუშავება და მოწოდება მიგვაჩნია შეუძლებლად ვინაიდან, აღნიშნული ინფორმაციის გაცემა მოითხოვს როგორც მოსამართლეთა წარმოებაში არსებული და დასრულებული, ასევე სასამართლოს არქივში არსებული საქმეების დამუშავებას, რაც თავის მხრივ მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს და სასამართლოს რესურსს, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც რუსთავის საქალაქო სასამართლოში არსებული მწირი საკადრო რესურსებით (კერძოდ საყურადღებოა აღინიშნოს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნის 2 საშტატო ერთეული არის ვაკანტური, ხოლო მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხებისა და მოსამართლის სხდომის მდივნით უზრუნველყოფის მიზნით კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტს დავალებული აქვს სხდომის მდივნის ფუნქციები) შეუძლებელია თქვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება, ვინაიდან, აღნიშნულის მოძიება როგორც ზემოთ განგიმარტეთ, მოითხოვს დიდ დროს და სასამართლოს რესურსს, რაც გამოიწვევს სასამართლოს პარალიზებას.

ამდენად, რუსთავის საქალაქო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანაახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ზემდგომ თანამდებობის პირთან.

პატივისცემით,
მაია იასეშვილი
მ. იასეშვილი
რუსთავის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ g-04/12-25 28.01. 2025 წ.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სასამართლოს მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

ჟ-04/06-25
14.02.25

ზუგდიდის რაიონული სასამართლო
Zugdidi District Court

ქ. ზუგდიდი, რ.ლაღიძის ქ. №12, ☎: 22- 36-62

№ 53

5 თებერვალი, 2025 წელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ადამიანის უფლებათა დაცვის პროგრამის დირექტორს
ქალბატონ თამარ ონიანს
ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ.N15

30.01.2025 წლის Nგ-04/12-25 განცხადების პასუხად, სადაც მოთხოვნილია სტატისტიკური ინფორმაცია 2024 წლის (სრულად) და 2025 წლის იანვარში (ჩაშლილად თვეებისა და სისხლის სამართლის მუხლების მიხედვით) გაცნობებთ, რომ მოთხოვნილი სახით ინფორმაციის დამუშავებას ზუგდიდის რაიონული სასამართლო არ ახორციელებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოკლებული ვართ თქვენი განცხადების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ თანამდებობის პირთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ.№12).

პატივისცემით,

ნინო ჩემინავა
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/13-25 28.01. 2025 წ.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სასამართლოს მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/14-25 28.01. 2025 წ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ სასამართლოს მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

Უ-04/03-25
12.02.25.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო

ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11, ☎: 23 46 02 ფაქსი: (0431) 23 46 05 e-mail: kutaisicity@court.ge

N 260-1.

10 თებერვალი, 2025 წელი

ქალბატონ თამარ ონიანს
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორს
მის: ქ.თბილისი, ჯ.კახიძის ქუჩა N15

ქალბატონო თამარ,

(თქვენი 28.01.2025წლის №g-04/14-25 (შემოსვლის თარიღი 30.01.2025 წლის №1534) განცხადების საფუძველზე)

გაცნობებთ, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ მონაცემების დამუშავება ხდება დადგენილ სტატისტიკურ ფორმებში, რომლებშიც ცალკე არ აღირიცხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა. შესაბამისად, მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავაკმაყოფილოთ თქვენი მოთხოვნა, ვინაიდან, სტატისტიკური მონაცემების არარსებობის პირობებში, მოთხოვილი ინფორმაციის მოძიება, საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე, საჭიროებს დროისა და სასამართლოს რესურსის საგანგებოდ ამ მიზნით მობილიზებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად განგიმარტავთ, რომ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვ. კუპრაძის ქ. # 11)

პატივისცემით,
ეკატერინე აბესაძე
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის
უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/15-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს პროკურატურის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოს პროკურატურის მიერ **2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში** სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით)

2024 წლის 28 ნოემბრის შემდგომ ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს **2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით** პერიოდს:

2. დაიწყო თუ არა გამოძიება ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ან/და სხვა მუხლით, საქმეზე, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მუხლის ან/და დანაშაულის ჩამდენი პირის თანამდებობის გამო ექცევა საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

ქვემდებარეობაში? ასეთის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოს გამოძიების ეტაპი;

3. აქედან, რამდენი პირის მიმართ იქნა წარდგენილი ბრალი (გთხოვთ, მიუთითოთ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი და ბრალდებული პირის თანამდებობა);

4. გთხოვთ მოგვაწოდოთ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხული/დაკითხული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩამონათვალი;

5. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში რამდენ პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი?

6. დაზარალებულად ცნობა მოხდა პროკურატურის ინიციატივით, თუ სავარაუდო მსხვერპლის/მისი წარმომადგენლის მომართვის საფუძველზე?

7. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმეების ფარგლებში რამდენი დასაბუთებული წინადადებით მოგმართათ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილმა პირმა და რა საკითხთან დაკავშირებით?

8. მიღებული დასაბუთებული წინადადებებიდან რამდენი დაკმაყოფილდა სრულად, ნაწილობრივ, არ დაკმაყოფილდა?

9. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით დაწყებულ სისხლის სამართლის რამდენ საქმეზე შეცვალეთ კვალიფიკაცია? გთხოვთ, მიუთითოთ საწყისი და საბოლოო კვალიფიკაცია.

10. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე რამდენჯერ მიმართეთ სასამართლოს შუამდგომლობით, რა საკითხებთან დაკავშირებით და რამდენი შუამდგომლობა დაკმაყოფილდა?

11. რამდენი განცხადება მიიღეთ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 28 იანვრის ჩათვლით უკანონო დაკავების ფაქტებზე, რაც დაკავშირებულია მოქალაქეების მხრიდან შეკრების (მანიფესტაციის) და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან და როგორი იყო პროკურატურის რეაგირება?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge;

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

Y-04/10-25
25.02.25

საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia

0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge; www.pog.gov.ge

KARR1345895031225

№13/10883

21 / თებერვალი / 2025 წ.

,,საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის" ადამიანის უფლებების
პროგრამის დირექტორს
ქალბატონ თამარ ონიანს

ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. N15

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2025 წლის 28 იანვარის N9-04/15-25 (რეგისტრაციის №01/13-7507) განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2024 წელს და 2025 წლის იანვარში, საქართველოს პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სულ გადაიგზავნა 136 შეტყობინება, კერძოდ, 2024 წლის იანვარში - 11; თებერვალში - 10; მარტში - 15; აპრილში - 13; მაისში - 9; ივნისში - 5; ივლისში - 7; აგვისტში - 8; სექტემბერში - 11; ოქტომბერში - 11; ნოემბერში - 11; დეკემბერში - 13, ხოლო 2025 წლის იანვარში - 12.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით დროის პერიოდში, საპროტესტო აქციების მონაწილეთა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, შესაბამისი მომართვების საფუძველზე, დაზარალებულად ცნობილია 84 პირი.

2024 წლის 29 ნოემბერს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის № 199291124001 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2024 წლის 04 დეკემბერს, მოცემულ საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და დღეის მდგომარეობით საქმეზე გამოძიება გრძელდება ძალადობის მუქარით, ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ფაქტებზე, დანაშაულები გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტითა და ამავე კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ასევე, 2024 წლის 7 დეკემბერს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის № 199071224001 საქმეზე, ტელეკომპანია ,,ტვ პირველის" ჟურნალისტის - მაკა ჩიხლაძისა და ამავე ტელეკომპანიის ოპერატორის - გიორგი შეწირულისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, ჩადენილი ძალადობის მუქარით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. 2024 წლის 13 დეკემბერს, მოცემულ საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია და დღეის მდგომარეობით საქმეზე გამოძიება გრძელდება ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, ჩადენილი ძალადობის მუქარით, ასევე ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად

მძიმე დაზიანებისა და სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით აშკარად და ჯგუფურად დაუფლების ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით, ამავე კოდექსის 118-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 178-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით დროის პერიოდში, საპროტესტო აქციების მონაწილეთა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებთან დაკავშირებით დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოს წინაშე დაყენებულ იქნა 239 შუამდგომლობა. აღნიშნული შუამდგომლობები შეეხებოდა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, ინფორმაციის გამოთხოვა, მოწმის სახით გამოკითხვა) ჩასატარებლად ნებართვების მიღებასა და გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკა, ამოღება, ინფორმაციის გამოთხოვა) კანონიერად ცნობას. ყველა შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

ამავე პერიოდში, საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტში შემოვიდა 13 განცხადება სავარაუდოდ უკანონო დაკავების ფაქტებზე მითითებით. ყველა განცხადება დაერთო სისხლის სამართლის № 199291124001 საქმეს, ასევე მოხდა 12 პირის დაზარალებულად ცნობა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბრაკლი ჩილინგარაშვილი

საქართველოს გენერალური პროკურატურა
OFFICE OF THE PROSECUTOR GENERAL OF GEORGIA
PROSECUTION SERVICE OF GEORGIA
ასლი
დედანთან სწორია
TRUE COPY
OF THE ORIGINAL

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/16-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს პროკურატურის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ **2023 წლის 7-9 მარტს,** ქ. თბილისში რუსთაველის გამზირსა და საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციებთან, **აგრეთვე 2024 წელს აპრილსა და მაისში** ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით)? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად ცალ-ცალკე 2023 წლის საპროტესტო აქციებისა

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

და 2024 წლის საპროტესტო აქციების შესახებ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. გთხოვთ მიუთითოთ თითოეული საქმის მიმდინარეობის ეტაპი;

2. რამდენი პირის მიმართ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება? (აღკვეთის ღონისძიების სახეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით);

3. რამდენი პირის მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა? (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით);

4. რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს სასამართლოში საქმის არსებითი განხილვა? (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით);

5. რამდენი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი ან/და გამამართლებელი განაჩენი? (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

Უ-04/09-25
25.02.25

საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia

0114 ქ.თბილისი, გორგასლის ქუჩა №24 ტელ: 2 405 344; 2 405 345
ელ.ფოსტა: kancelaria@pog.gov.ge; www.pog.gov.ge

KARR1321562906725

№13/10882

21 / თებერვალი / 2025 წ.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაციის" ადამიანის უფლებების
პროგრამის დირექტორს
ქალბატონ თამარ ონიანს

ქ. თბილისი, ჯ. კახიძის ქ. N15

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2025 წლის 28 იანვრის Nგ-04/16-25 (რეგისტრაციის №01/13-7522) განცხადების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით, სისხლისსამართლებრივი დევნა მიმდინარეობდა 6 პირის მიმართ. აღნიშნულთაგან 1 პირს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353^1 მეორე ნაწილით, ასევე, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, ხოლო დანარჩენ 5 პირს ბრალად ედებოდათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, ასევე, 353^1 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა და მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო გირაო. სისხლისსამართლებრივი დევნა არცერთი მათგანის მიმართ არ შეწყვეტილა და ამ ეტაპზე ყველა მათგანის მიმართ დამდგარია გამამტყუნებელი განაჩენი.

რაც შეეხება 2024 წლის აპრილსა და მაისში მიმდინარე აქციებს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353^1 მუხლის პირველი ნაწილით, 187-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და ყველა მათგანს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა. ამ ეტაპზე ყველა შემთხვევაში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

ამასთან, გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 222-ე მუხლის მე-2 წაწილის „ა" ქვეპუნქტით და 226-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით და მითითებულ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე დაწყებული არ არის.

პატივისცემით,

ELECTRONICALLY CERTIFIED
TRUE COPY OF THE ORIGINAL
PROSECUTION SERVICE OF GEORGIA
OFFICE OF THE PROSECUTOR GENERAL OF GEORGIA
ასლი
დედანთან სწორია

ხელმოწერილია
შტამპადასმულია
ელექტრონულად

საერთაშორისო ურთიერთობებისა და
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

ნინა ჩილინგარაშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/17-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ:

1. საქართველოს სახალხო დამცველის მიერ 2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

2. აქედან, რამდენი შეტყობინება უკავშირდებოდა 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე პროტესტს? (გთხოვთ ინფორმაცია მოგვაწოდთ ჩაშლილად, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@ewla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

. საქართველოს
სახალხო დამცველის აპარატი
OFFICE OF PUBLIC DEFENDER
OF GEORGIA

ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

13 თებერვალი 2025 წ.

KA000034033033325

№ **25/1280**

ა (აიპ) საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ქალბატონ თამარ ონიანს
ტელ.: 591 400 009
ელ_ფოსტა: evidence@gyla.ge

ქალბატონო თამარ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში 2025 წლის 30 იანვარს შემოსული თქვენი N1014/25 (აპარატში რეგისტრაციის ნომერი) წერილის პასუხად გაცნობებთ რომ, თქვენს მიერ წერილის პირველი პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია შესაბამისი ფორმით არ მუშავდება აპარატში. მცდელობის მიუხედავად, თქვენი მოთხოვნის საფუძველზე დამუშავებაც რთული აღმოჩნდა, შესაბამისად მოკლებულები ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ეს ინფორმაცია.
რაც შეეხება მეორე საკითხს, გაცნობებთ, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან დღემდე სახალხო დამცველის აპარატს ჯამში იდენტიფიცირებული აქვს 282 სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტი, რაზეც ჯამში 35 წერილი გაიგზავნა სპეციალური საგამოძიებო სამსახურში (თითოეული გაგზავნილი წერილი შეიცავს მრავალი ფაქტის აღწერას). სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების საერთო რაოდენობიდან 81 შემთხვევა მედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე დაიდენტიფიცირდა.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს სახალხო დამცველის
აპარატის საჯარო ინფორმაციისა და
პერსონალურ მონაცემების გაცემაზე
პასუხისმგებელი პირი

დავით მანაგაძე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/18-25 28.01. 2025 წ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

1. 2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ შემოსული შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეების მიხედვით). მათგან, რამდენი შეტყობინება შემოვიდა სახელმწიფო უწყებების მხრიდან (გთხოვთ, ჩაშალოთ სახელმწიფო უწყებების სტატისტიკა)?

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდისთვის მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

2. მიღებული შეტყობინების რაოდენობა, რაც დაკავშირებულია შეკრების (მანიფესტაციის) ან/და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან - გთხოვთ, ინფორმაციის მოწოდებისას მონაცემები დაყოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

   - შეტყობინების მიღების წყარო და რაოდენობა;
   - მიღებული შეტყობინებების საერთო რაოდენობა;
   - სავარაუდო მსხვერპლების რაოდენობა;
   - ქმედების განხორციელების ადგილი (რაოდენობა).

3. შეკრების (მანიფესტაციის) ან/და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული შეტყობინებებიდან რამდენი დაერთო 28 ნოემბრამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და რა მიზეზით?

4. აღნიშნულ პერიოდში მიღებული, შეკრების (მანიფესტაციის) ან/და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებული შეტყობინებების ფარგლებში დაწყებული სისხლის სამართლის საქმიდან მოხდა თუ არა სხვა საქმის გამოყოფა? მოხდა თუ არა საქმეების გაერთიანება? გთხოვთ, დადებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითოთ სისხლის სამართლის საქმის საწყისი და საბოლოო მუხლები, ასევე გამოყოფის/გაერთიანების მიზეზები.

5. მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით რამდენ ხანში შედგა პირველი კომუნიკაცია სავარაუდო მსხვერპლსა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილ პირს შორის?

6. ამავე პერიოდში რამდენი პირი მოინახულეთ დროებითი მოთავსების იზოლატორში? (მიუთითეთ როგორც ჯამური რაოდენობა, ისე - რაოდენობა იზოლატორების მიხედვით). ერთ პირთან დაკავშირებით იზოლატორიდან რამდენიმე შეტყობინების მიღების შემთხვევაში, გთხოვთ, დააკონკრეტოთ, მოხდა პირის რამდენჯერმე დაკავება, თუ მეორე შეტყობინება გამოგეგზავნათ ადმინისტრაციული პატიმრობით დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისას.

7. რამდენ პირს დაენიშნა სამედიცინო ექსპერტიზა პირადი წარდგენით? რამდენ პირთან დაკავშირებით ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზა მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და რა მიზეზით? შეტყობინების მიღებიდან რა ვადაში ჩატარდა სამედიცინო ექსპერტიზა?

8. შეკრება-მანიფესტაციებთან ან/და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, რამდენი პირი გამოიკითხა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ?

9. სამართალდამცავი ორგანოების რამდენი წარმომადგენელი გამოიკითხა ნებაყოფლობით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის შესაბამისად. მათგან, რამდენი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი?

10. აღნიშნულ პერიოდში, შეკრება-მანიფესტაციებთან ან/და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებულ საქმეებზე, სამართალდამცავი ორგანოების რამდენი წარმომადგენელი დაიკითხა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 114-ე მუხლის შესაბამისად. მათგან, რამდენი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი?

11. გამოიკითხა თუ არა ამ დროისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული, სამართალდამცავების მიერ განხორციელებულ ძალადობის გამო? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რომელი სტრუქტურული ხელმძღვანელები/მოადგილეები გამოიკითხა.

12. პროტესტის მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ შესაძლო ძალადობაში მონაწილე რამდენი პოლიციელის უფლებამოსილების შეჩერება მოხდა ამ დროისთვის?

13. რამდენ პირს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით, საპროტესტო აქციებთან/გამოხატვასთან დაკავშირებით საქმეებზე და რა მუხლით?

14. რამდენ საქმეზე მიმდინარეობს ამჟამად გამოძიება, რომელიც უკავშირდება 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა მიმართ ძალადობას? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც მიმდინარეობს გამოძიება თითოეული საქმისა და პირის მიმართ); გთხოვთ, მიუთითოთ თითოეულ საქმეზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის (ზედამხედველი პროკურორის) სახელი, გვარი და თანამდებობა.

15. საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, რამდენ საქმეზე და რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება წამების ან/და წამების მუქარის მუხლით (სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 და 144^2 მუხლები)? მათგან, რამდენ პირს წარედგინა ბრალი ამ მუხლებით?

16. რამდენ საქმეზე შეიცვალა კვალიფიკაცია? გთხოვთ, მიუთითოთ სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების და შეცვლის შემდგომი კვალიფიკაციები. ასევე, გთხოვთ, მიუთითოთ კვალიფიკაციის შეცვლა მოხდა სავარაუდო მსხვერპლის/მისი წარმომადგენლის შუამდგომლობის, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის

უფლებამოსილი პირის, თუ ზედამხედველი პროკურორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

17. გთხოვთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია, თითოეული საქმის ფარგლებში რამდენი მსხვერპლის მიმართ ჩადენილ ქმედებაზე მიმდინარეობს გამოძიება?

18. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფლებამოსილი პირის ინიციატივით, მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით?

19. რა ეტაპზეა მიმდინარე გამოძიებები, მათ შორის, რამდენი პირის მიმართ არის აღძრული სისხლისსამართლებრივი დევნა (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით); მათგან, სამართალდამცავი უწყების რამდენ წარმომადგენელს წარედგინა ბრალი (სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მითითებით)?

20. რამდენი პირის მიმართ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება (აღკვეთის ღონისძიების სახეების და თარიღების მითითებით)?

21. რამდენი პირის მიმართ დასრულდა ან/და შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა (საბოლოო შედეგის მითითებით).

22. დემონსტრანტებისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით მიმართა თუ არა სამსახურის უფლებამოსილმა პირმა ზედამხედველ პროკურორს დასაბუთებული წინადადებით? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ დააკონკრეტოთ წინადადებების რაოდენობა, საკითხი და შედეგი?

23. სავარაუდო ძალადობის (მათ შორის ფსიქოლოგიური ძალადობის) ფაქტებზე მიღებული შეტყობინებიდან რამდენი გადაუგზავნეთ სხვა უწყებას. გთხოვთ მიუთითოთ უწყებები და შეტყობინებების სხვა უწყებებისთვის გადაგზავნის მიზეზი.

24. მიღებულ შეტყობინებებთან დაკავშირებით რამდენჯერ და შეტყობინების მიღებიდან რა ვადაში მიმართა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს (მათ შორის „112"-ს სამხრე კამერების, გარე განათების ბოძებზე არსებული სამეთვალყურეო კამერების, პოლიციის განყოფილებების შიდა და გარე პერიმეტრის, იზოლატორის) ვიდეო ჩანაწერების დაარქივების ან/და ამოღების მოთხოვნით. რამდენი მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, ნაწილობრივ ან არ დაკმაყოფილდა?

25. რომელ სხვა (სახელმწიფო, კერძო) უწყებებს მიმართეთ აქციის მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეოკამერების ჩანაწერების გამოთხოვის მიზნით? მათგან რომელმა უწყებებმა მოგაწოდეს აღნიშნული მასალები? იმ შემთხვევაში თუ რომელიმე უწყებამ არ მოგაწოდათ ვიდეო მასალები - რა მიზეზით?

26. გამოითხოვეთ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული შეკრების/მანიფესტაციის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმები?

27. ზემოაღნიშნული სამოქმედო გეგმის საფუძველზე, დააიდენტიფიცირეთ თუ არა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირი/პირები და სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები?

28. მოითხოვეთ თუ არა, რომ ცალკეულმა სამართალდამცავებმა წარმოადგინონ ოფიციალური ანგარიშები გამოყენებული ძალის მასშტაბის შესახებ?

29. მოითხოვეთ თუ არა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს აქციების დარბევაში ჩართულ პირთა აღჭურვა საიდენტიფიკაციო მონაცემებით? თუ კი - როდის?

30. რა ზომები მიიღეთ იმის დასადგენად, თუ რატომ არ იქნა მიღებული სიფრთხილის ზომები სამართალდამცავთა ძალის გამოყენების თავიდან აცილების ან მინიმუმამდე შემცირების მიზნით?

31. გამოიკვლიეთ რამდენად ხდებოდა ან რამდენად ეფექტიანად ხდებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წინასწარი გაფრთხილებების ვალდებულების განხორციელება დემონსტრაციის დაშლამდე? თუ კი, რა ზომები მიიღეთ ან რა ზომებს იღებთ აღნიშნულის გამოსაკვლევად?

32. აკეთებთ/აკეთებდით აქციების განმავლობაში პირდაპირი ტრანსლირების დროს ინციდენტების აღრიცხვას?

33. გამოიკვლიეთ სამართალდამცავთა რაზმების როტაციის ვადები, ფორმები და მათ მიერ ინდივიდუალური ძალის გამოყენება?

34. შეზღუდეთ პოტენციური დამნაშავეების წრე არალეტალური იარაღისა და სპეციალური საშუალებების ნებადართული გამოყენების ჩანაწერების მიხედვით? აღნიშნულის შემთხვევაში, ჩაატარეთ მათ მიმართ საგამოძიებო მოქმედებები?

35. რამდენი შუამდგომლობა იქნა წარდგენილი სასამართლოში საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების თაობაზე (საგამოძოებო მოქმედებების სახეების მიხედვით); მათგან რამდენი შუამდგომლობა იყო წინასწარი ნებართვის და რამდენი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების შესახებ?

36. რამდენი პირის მიმართ დაინიშნა ჰაბიტოსკოპიური, ფონოსკოპიური (ხმის) ექსპერტიზა, ფოტოთი ან პირადი ამოცნობა?

37. რამდენი პოლიციელის ტელეფონის დათვალიერება/ტელეფონზე კომპიუტერული ექსპერტიზა დაინიშნა?

38. რამდენჯერ მიმართა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პროკურატურას კერძო საკუთრების, მფლობელობის ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მზღუდავი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოსადმი მიმართვის მოთხოვნით.

39. დემონსტრანტებისა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების ეფექტიანი და შედეგიანი გამოძიებისათვის სხვა რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეთ?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/19-25 28.01. 2025 წ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირსა და საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციებთან, აგრეთვე 2024 წელს აპრილსა და მაისში ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში გამართულ აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების შესახებ, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი საქმე აღიძრა და რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობდა ან მიმდინარეობს გამოძიება? გთხოვთ მიუთითოთ გამოძიების დაწყების საფუძვლად არსებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლები თითოეული საქმისა და პირის მიმართ. (გთხოვთ, ცალ-ცალკე გამოყოთ 2023 წლის საპროტესტო აქციებსა და 2024 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებები);

2. რა ეტაპზეა მიმდინარე გამოძიებები, მათ შორის, რამდენი პირის მიმართ და სისხლის სამართლის კოდექსის რომელი მუხლებით აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა? (გთხოვთ, ცალ-ცალკე გამოყოთ 2023 წლის საპროტესტო აქციებსა და 2024 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებები);

3. რამდენი საქმე შეწყდა ბრალის წარდგენის გარეშე ან/და ბრალის წარდგენის შემდგომ? (გთხოვთ, ცალ-ცალკე გამოყოთ 2023 წლის საპროტესტო აქციებსა და 2024 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით აღძრული საქმეები);

4. რამდენი საქმე დასრულდა (საქმის საბოლოო შედეგის მითითებით);

5. საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენი თანამშრომელი გამოიკითხა ან/და დაიკითხა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე? (გთხოვთ, ცალ-ცალკე გამოყოთ 2023 წლის საპროტესტო აქციებსა და 2024 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებების ფარგლებში განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებები);

6. რამდენი შუამდგომლობა იქნა წარდგენილი სასამართლოში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ (ჩაშლილი საგამოძოებო მოქმედებების სახეების მიხედვით)? მათგან რამდენი შუამდგომლობა იყო წინასწარი ნებართვის და რამდენი გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული მოქმედების შესახებ?

7. რამდენი პირის მიმართ იქნა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება (გთხოვთ ჩაშალოთ აღკვეთის ღონისძიების სახისა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/20-25 28.01. 2025 წ.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

დოკუმენტირების მიზნებისთვის, აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია, რომელიც მოიცავს **2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდს:**

1. მედიის რამდენ წარმომადგენელს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი?
2. რამდენ საქმეზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით და რა ეტაპზეა საქმეები?
3. გარდა სსკ 154-ე მუხლისა, რამდენ ისეთ საქმეზე დაიწყო გამოძიება სხვა კვალიფიკაციით, სადაც დაზარალებული მედიის წარმომადგენელია?
4. შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენი წარმომადგენელი დაიდენტიფირდა, რომელმაც სავარაუდოდ ჩაიდინა სსკ 154-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული?

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

5. რამდენ შემთხვევაში უთითებს მსხვერპლი (იმის მიუხედავად, აქვს თუ არა დაზარალებულის სტატუსი), რომ დაზიანდა საპოლიციო ძალების წარმომადგენლის მხრიდან მის მიერ აქციაზე პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს?

6. რამდენ შემთხვევაში გამოკვეთა სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა არაფორმალური დაჯგუფებების მხრიდან (ფიზიკური პირების) მედიის წარმომადგენლებზე ძალადობის ფაქტები და მიმდინარეობს თუ არა გამოძიება? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ, დააზუსტოთ კვალიფიკაცია.

7. არაფორმალური დაჯგუფებების/ფიზიკური პირების მიერ ჩადენილი დანაშაულისა და სპეციალურის საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მედიის რამდენ წარმომადგენელს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი?

8. მოხდა თუ არა არაფორმალური დაჯგუფებების წარმომადგენლების/ფიზიკური პირების იდენტიფიცირება იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც ისინი მონაწილეობდნენ მედიის წარმომადგენლების მიმართ მიზანმიმართულ თავდასხმებში და რა სახის საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა მათთან მიმართებაში?

9. წარედგინა თუ არა ვინმეს ბრალი მედიის წარმომადგენლის მიმართ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით? (გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია წარდგენილი ბრალისა და ბრალდებულზე ინფორმაციის დაკონკრეტებით)

10. ჩატარდა თუ არა იმ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების გამოკითხვა, რომლებიც არაფორმალური დაჯგუფებების / ფიზიკური პირების მხრიდან მედიაზე თავდასხმის დროს იმყოფებოდნენ დანაშაულის ადგილას?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

სპეციალური საგამოძიებო სამსახური
Special Investigation Service

SIS 0 25 00002598

10/02/2025

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორს
თამარ ონიანს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2025 წლის 28 იანვრის Nგ-04/18-25, Nგ-04/20-25, Nგ-04/19-25, წერილების პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში, საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში ორ სისხლის სამართლის (№199080323001 და №199210323001) საქმეზე მიმდინარეობს, მათ შორის, სისხლის სამართლის №199080323001 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტებისა და ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის პირველი გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, ხოლო სისხლის სამართლის №199210323001 საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ 2 საქმეზე გამოიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს ათეულობით თანამშრომელი. აღნიშნულ საქმეებზე გამოძიება არ შეწყვეტილა და სისხლისსამართლებრივი დევნა ამ ეტაპზე არ დაწყებულა.

2024 აპრილსა და მაისში საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაიწყო სისხლის სამართლის სისხლის სამართლის №199160424002 საქმეზე, საქართველოს

ყაზბეგის გამზ. №42-42ა, 0186, თბილისი, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2121401
ცხელი ხაზი: 199
ელფოსტა: office@sis.gov.ge

42-42a, Al. Kazbegi Ave., 0186, Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2121401
Hotline: 199
E-mail: office@sis.gov.ge

სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში, საპროტესტო აქციების მონაწილეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, ჟურნალისტური საქმიანობის უკანონო ხელშეშლის ფაქტზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის N199071224001 საქმეზე, რომელზეც დაზარალებულად ცნობილია 3 პირი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის მეორე ნაწილით, 154-ე მუხლის მეორე ნაწილით და 178-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით. აღნიშნულ საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

ამასთან, ამავე პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის სპეციალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის აღმოსავლეთ საქართველოს I სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №199291124001 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე და ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეს დაზარალებულად ცნობილია 81 პირი, მათ შორის მედიის 30 წარმომადგენელი.

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, თითოეულ შემოსულ შეტყობინებაზე სწრაფი სამართლებრივი რეაგირება მოახდინა. გამოძიების დაწყებიდან დღემდე გამოკითხულია 416 პირი, მათ შორის 50 ჟურნალისტი.

აქციაზე დაშავებული 231 პირის მიმართ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაინიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

სამსახური დეტალურად სწავლობს საპროტესტო აქციის გამართვის ადგილსა და მიმდებარე ქუჩებზე დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერების, ასევე სხვა წყაროებიდან მოპოვებულ ჩანაწერებს, რომელთა ჯამური ხანგრძლივობა 2000 საათს აღემატება.

მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ამოღებული იქნა 63 პირის ტანსაცმელი, რომელზეც ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები დაინიშნა.

დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან მიმდინარეობს აქციაზე დაკავებულ პირთა ადმინისტრაციული სამართალწარმოების მასალების გამოთხოვა და შესწავლა.

ასევე, მიმდინარეობს საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებასა და დაშავებულ მოქალაქეთა დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავების გამოკითხვები. ამ ეტაპზე გამოკითხულია 77 სამართალდამცავი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, საქართველოს პროკურატურის მიერ, დაზარალებულის სტატუსი უკვე 81 პირს მიენიჭა.

სამსახური აქციაზე დაშავებული მოქალაქეების უფლებების დასაცავად კანონით გათვალისწინებულ ყველა საშუალებას იყენებს, ამ მიზნით თითოეულ მათგანს უტარდება სამედიცინო ექსპერტიზა, მათი დაზიანების დოკუმენტირებისთვის კლინიკებიდან ხდება სამედიცინო დოკუმენტების გამოთხოვა, გამოძიება სწავლობს გამოკითხვაში მათ მიერ დაფიქსირებულ ყველა გარემოებას. თითოეულ პირს და მათ უფლებადამცველებს სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომის და გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა, მაქსიმალურად ინფორმირებული არიან მიმდინარე გამოძიების პროცესის თაობაზე.

რაც შეეხება რეგიონებს, სამსახურის სპეციალურ საქმეთა გამოძიების დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №199130125002 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან საპროტესტო აქციის მონაწილეთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ძალადობით გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება შემოვიდა 9 პირზე. 8 პირისაგან მიღებული იქნა ინფორმაცია დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით, ხოლო ერთმა პირმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე. ამავე საქმეში გამოძიება მიმდინარეობს „გაზეთი ბათუმელების“ დირექტორისა და დამფუძნებლის მზია ამაღლობელის მიმართ 2025 წლის 12 იანვარს დაკავებისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტზე.

აქციაზე დაშავებული 5 პირის მიმართ, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

მტკიცებულებათა შეგროვების მიზნით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, ამოღებული იქნა ერთი პირის ტანსაცმელი, რომელზეც ბიოლოგიური და ტრასოლოგიური ექსპერტიზები დაინიშნა.

აღნიშნულ საქმეზე გამოიკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს 10 თანამშრომელი (მათ შორის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი).

სისხლის სამართლის საქმეზე ამ ეტაპზე დაზარალებულად ცნობილი არ არის არცერთი პირი.

აქვე გაცნობებთ, რომ თითოეულ პირს და მათ უფლებადამცველებს ეძლევა სისხლის სამართლის საქმის მასალებთან წვდომის და გაცნობის შესაძლებლობა.

პატივისცემით,

კაპანაძე ნუცა

სპეციალური საგამოძიებო სამსახური / იურიდიული
დეპარტამენტი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. ხახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/38-25 26.02.2025

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის SIS 0 25 00002598 წერილით გვეცნობა, რომ No199080323001 სიხლის სამართლის ფარგლებში გამოკითხულია 77 სამართალდამცავი. გთხოვთ გვაცნობოთ, აღნიშული სამართალდამცველებიდან რამდენი მათგანი არის შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტანტის თანაშრომელი? რამდენი მათგანია შსს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი?

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

რამდენი მათგანია შსს ტერიტორიული ორგანოს - თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი?

2. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის SIS 0 25 00002598 წერილით პასუხი არ არის გაცემული საჯარო ინფორმაციის რამდენიმე მოთხოვნაზე. გთხოვთ განმარტოთ, საჯარო ინფორმაციის განცხადების შესაბამის კითხვებზე პასუხის გაუცემლობის სამართლებრივი საფუძველი.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.



თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/21-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, თბილისში, საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე რომელი აქტიური სპეციალური საშუალებები იქნა გამოყენებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ თარიღების მიხედვით.
2. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში, საპროტესტო აქციების კონტექსტში რომელი აქტიური სპეციალური საშუალებები იქნა გამოყენებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ თარიღების მიხედვით.

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

3. რა თანმიმდევრობით იქნა გამოყენებული აღნიშნული აქტიური სპეციალური საშუალებები? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ თარიღებისა და ქალაქების მიხედვით.

4. შინაგან საქმეთა სამინისტროს რომელი დანაყოფები მონაწილეობდნენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან საპროტესტო აქციების დაშლასთან დაკავშირებულ საპოლიციო ღონისძიებებში და ჯამურად სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი რამდენი სამართალდამცავი იყო ჩართული ამ ღონისძიებებში?

5. სპეციალური საშუალებების მოსალოდნელი გამოყენების შესახებ რომელ საათზე იწყებოდა და რა პერიოდულობით ჟღერდებოდა გაფრთხილება ტექნიკური საშუალებებით? აქციის მონაწილეთა წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, რა დრო ეძლეოდათ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე აქციაზე შეკრებილ ადამიანებს დასაშლელად? რა მარშრუტი იყო განკუთვნილი აქციის მონაწილეებისთვის შეკრების ტერიტორიის დასატოვებლად? (გთხოვთ, მონაცემები მოგვაწოდოთ ჩაშლილად: დღეებისა და ქალაქების მიხედვით).

6. ვინ ხელმძღვანელობდა 2024 წლის 28 ნოემბრიდან (2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამეს, 29-30 ნოემბრის ღამეს, 30 ნოემბრის-1 დეკემბრის ღამეს, 1-2 დეკემბრის ღამეს, 2024 წლის 2-3 დეკემბრის ღამეს, 3-4 დეკემბრის ღამეს, 6-7 დეკემბრის ღამეს), თბილისში რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დასაშლელად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ საპოლიციო ღონისძიებებს?

7. რა ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო 2024 წლის 28 ნოემბრიდან (2024 წლის 28-29 ნოემბრის ღამეს, 29-30 ნოემბრის ღამეს, 30 ნოემბრის-1 დეკემბრის ღამეს, 1-2 დეკემბრის ღამეს, 2024 წლის 2-3 დეკემბრის ღამეს, 3-4 დეკემბრის ღამეს, 6-7 დეკემბრის ღამეს) განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ქალაქების მიხედვით.

8. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში, რომელ თარიღებში იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო წყლის ჭავლს, რომელშიც ქიმიური ნივთიერება იყო შერეული?

9. რა ქიმიური ნივთიერება იყო შერეული წყლის ჭავლში აღნიშნულ თარიღებში და რა კონცენტრაციით?

10. რამდენი სამართალდამცავი დაშავდა საპროტესტო აქციების ფარგლებში? რა სახისა და ჯანმრთელობის რომელი ხარისხის დაზიანებები მიიღეს მათ? (გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული დღის, ქალაქის, შესაბამისი დანაყოფის მიხედვით და ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის და ხასიათის მითითებით).

11. არსებობს თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროში რაიმე სახელმძღვანელო წესები, რომელიც განსაზღვრავს რა ფორმით და კონცენტრაციით უნდა მოხდეს წყლის ჭავლში აღნიშნული ქიმიური ნივთიერების შერევა? ასეთი სახელმძღვანელო დოკუმენტის/წესების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ იგი.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/22-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2024 წელს (სრულად) და 2025 წლის იანვარში სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).
2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის მიერ 2024 წელს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).
3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2024 წელს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დანაშაულის შესახებ გაგზავნილი შეტყობინებების სტატისტიკა (ჩაშლილი თვეებისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით).

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/23-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2023 წლის 7-9 მარტს, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირსა და საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციების, აგრეთვე 2024 წელს აპრილსა და მაისში ქ. თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე აქციების ფარგლებში გამოყენებულ საპოლიციო მოქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენი თანამშრომლის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება?

2. აქედან, რამდენი თანამშრომლის მიმართ დადგინდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და რამდენის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა (გთხოვთ, ჩაშალოთ პასუხისმგებლობის ზომის სახეების მიხედვით)?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ g-04/24-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია

1. 2023 წლის 7-9 მარტს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებით მოამზადეთ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული შეკრების/მანიფესტაციის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა? რომელი თარიღებისთვის მომზადდა აღნიშნული გეგმა?

2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2023 წლის 7-9 მარტს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართული შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმ(ებ)ის რეკვიზიტები - გეგმის მიღების თარიღი, ნომერი და იმ უფლებამოსილი პირის სახელი/გვარი და თანამდებობის დასახელება, რომელმაც დაამტკიცა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2023 წლის 7-9 მარტს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართული შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმ(ებ)ის აღსრულებაში ჩართული უწყებების (მათ შორის, ტერიტორიული/სტრუქტურული ერთეულების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების) სრული ჩამონათვალი.

4. 2023 წლის 7-9 მარტს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე და საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართული შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული თითოეული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვინ განისაზღვრა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფ ხელმძღვანელ პირად/პირებად და სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამისი პასუხისმგებელ პირად/პირებად?

5. 2024 წლის აპრილსა და მაისში ქ. თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციებთან დაკავშირებით მოამზადეთ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული შეკრების/მანიფესტაციის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა? რომელი თარიღებისთვის მომზადდა აღნიშნული გეგმა?

6. 2024 წლის აპრილსა და მაისში ქ. თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული ყველა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმის რეკვიზიტები - გეგმის მიღების თარიღი, ნომერი და იმ უფლებამოსილი პირის სახელი/გვარი და თანამდებობის დასახელება, რომელმაც დაამტკიცა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

7. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2024 წლის აპრილსა და მაისში ქ. თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმების აღსრულებაში ჩართული უწყებების (მათ შორის, ტერიტორიული/სტრუქტურული ერთეულების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების) სრული ჩამონათვალი.

8. 2024 წლის აპრილსა და მაისში ქ. თბილისში მიმდინარე შეკრება-მანიფესტაციებისთვის შემუშავებული თითოეული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვინ განისაზღვრა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფ ხელმძღვანელ პირად/პირებად და სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამის პასუხისმგებელ პირად/პირებად?

9. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით მოამზადეთ თუ არა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N1002 ბრძანებით განსაზღვრული შეკრების/მანიფესტაციის უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა? რომელი თარიღებისთვის მომზადდა აღნიშნული გეგმა?

10. გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმ(ებ)ის რეკვიზიტები - გეგმის მიღების თარიღი, ნომერი და იმ უფლებამოსილი პირის სახელი/გვარი და თანამდებობის დასახელება, რომელმაც დაამტკიცა უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

11. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით შემუშავებული ყველა სამოქმედო გეგმის აღსრულებაში ჩართული უწყებების (მათ შორის, ტერიტორიული/სტრუქტურული ერთეულების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების) სრული ჩამონათვალი

12. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით შემუშავებული თითოეული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ვინ განისაზღვრა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფ ხელმძღვანელ პირად/პირებად და სპეციალური ღონისძიების ჩატარებაზე შესაბამის პასუხისმგებელ პირად/პირებად?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ g-04/25-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, რამდენი ადამიანის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოება შეკრება-მანიფესტაციების დროს გამოვლენილი შესაძლო სამართალდარღვევების ფაქტებზე? გთხოვთ, მიუთითეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი/პუნქტი. გთხოვთ ინფორმაცია დააჯგუფოთ ქალაქისა და რეგიონის მიხედვით.

2. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, რამდენი არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართალწარმოება შეკრება-მანიფესტაციების დროს გამოვლენილი შესაძლო სამართალდარღვევების ფაქტებზე? გთხოვთ, მიუთითეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევავათა კოდექსის

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

შესაბამისი მუხლი/პუნქტი. გთხოვთ ინფორმაცია დააჯგუფოთ ქალაქისა და რეგიონის მიხედვით.

3. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, ჯამში რამდენი ადამიანის ადმინისტრაციული დაკავება განხორციელდა შეკრება-მანიფესტაციების კონტექსტში? მათგან რამდენი იყო არასრულწლოვანი? გთხოვთ, მიუთითეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლი/პუნქტი. გთხოვთ, ინფორმაცია ჩაშალოთ ქალაქისა და რეგიონის მიხედვით.

4. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით დაკავებულთაგან, რამდენი პირი გათავისუფლდა ხელწერილის საფუძველზე? გთხოვთ ასევე მიუთითეთ, რამდენი პირი იყო დაკავებული 24 საათამდე ვადით და რამდენთან მიმართებით იქნა გამოყენებული დაკავების კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა.

5. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით დაკავებულ პირთაგან, რამდენი იქნა გადაყვანილი ქ. თბილისის დროებითი მოთავსების იზოლატორებში და რამდენი იქნა გადაყვანილი რეგიონებში არსებულ დროებითი მოთავსების იზოლატორებში?

6. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით დაკავებული პირების განაწილება სქესის მიხედვით.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/26-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში მიმდინარე აქციების ფარგლებში გამოყენებულ საპოლიციო მოქმედებებთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენი თანამშრომლის მიმართ დაიწყო დისციპლინური წარმოება?

2. აქედან, რამდენი თანამშრომლის მიმართ დადგინდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და რამდენის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინური

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

პასუხისმგებლობის ზომა (გთხოვთ ჩაშალოთ პასუხისმგებლობის ზომის სახეების მიხედვით)?

3. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე პერიოდში მიმდინარე საპროტესტო აქციებზე დემონსტრანტებსა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით:

3.1. მოითხოვეთ თუ არა, რომ ცალკეულმა სამართალდამცავებმა წარმოადგინონ ოფიციალური ანგარიშები გამოყენებული ძალის მასშტაბის შესახებ?

3.2. ჩაატარეთ მოვლენების ყოვლისმომცველი სისტემური ანალიზი? რა ღონისძიებები გატარდა აღნიშნული ანალიზისთვის? მათ შორის, აკეთებს / აკეთებდა თუ არა აქციების განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ინციდენტების აღრიცხვას პირდაპირი ტრანსლირების დროს?

3.3. გამოიკვლიეთ სამართალდამცავთა რაზმების როტაციის ვადები, ფორმები და მათ მიერ ინდივიდუალური ძალის გამოყენება?

3.4. შეზღუდეთ პოტენციური დამნაშავეების ნრე არალეტალური იარაღისა და საბრძოლო მასალის ნებადართული გამოყენების ჩანაწერების მიხედვით? აღნიშნულის შემთხვევაში, მათ მიმართ ჩაატარდა საგამოძიებო მოქმედებები?

3.5. დემონსტრანტებისა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტების ეფექტიანი და შედეგიანი გამოძიებისათვის სხვა რა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეთ?

3.6. დემონსტრანტებისა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, მიმართეთ თუ არა საქართველოს პროკურატურას რომელიმე სამართალდამცავის ბრალის წარდგენის შესახებ?

3.7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყო აქციების დაშლაში ჩართულ პირთა საიდენტიფიკაციო მონაცემებით აღჭურვა? თუ კი - როდის?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/27-25 28.01. 2025 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით შეკრება-მანიფესტაციის დროს დაკავებულ და დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ რამდენ პირს აღენიშნებოდა დაზიანებები?

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

2. აქედან, რამდენ პირთან დაკავშირებით მიმართეთ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს და ინფორმაციის მიღებიდან რა ვადაში?

3. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით შეკრება-მანიფესტაციის დროს დაკავებულ რამდენი პირის შემთხვევაში, განაცხადა უარი იზოლატორის ექიმმა პირის იზოლატორში განთავსებაზე, დაზიანებების სიმძიმის გამო?

4. რამდენი ადმინისტრაციულ-სახდელდადებული (ადმინისტრაციულ-პატიმრობა შეფარდებული) პირი მოთავსდა იზოლატორში დაზიანებებით?

5. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, რამდენი პირი გადაიყვანა პოლიციამ სამედიცინო დაწესებულებაში საპროტესტო აქციიდან? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

6. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, საპროტესტო აქციაში მონაწილე რამდენი პირი გადაიყვანა პოლიციამ სამედიცინო დაწესებულებაში პოლიციის განყოფილებიდან და რამდენი - დროებითი მოთავსების იზოლატორიდან? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ გ-04/28-25 28.01. 2025 წ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, რამდენი პირი გადაიყვანა პოლიციამ სამედიცინო დაწესებულებაში საპროტესტო აქციიდან?

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), ნამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

2. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით, საპროტესტო აქციაში მონაწილე რამდენი პირი გადაიყვანა პოლიციამ სამედიცინო დაწესებულებაში პოლიციის განყოფილებიდან და რამდენი - დროებითი მოთავსების იზოლატორიდან? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

3. 2024 წლის 28 ნოემბრიდან, 2024 წლის 28 იანვრის ჩათვლით საპროტესტო აქციაზე ან საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით განხორციელებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად დაშავებულმა რამდენმა პირმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას თვითდინებით? აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

4. აქედან, რამდენმა პირმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებას საპროტესტო აქციაზე საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების გამო? გთხოვთ, აღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ ჩაშლილად, თითოეული თარიღისთვის.

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

Უ-04/07-25
21.02.25

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

19 თებერვალი 2025

MOH 8 25 00192450

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორს

ქალბატონ თამარ ონიანს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2025 წლის 30 იანვრის №97981 წერილი, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე მიმდინარე აქციებიდან, იზოლატორებიდან და პოლიციის განყოფილებებიდან სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანილი პირების შესახებ.

სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, პოლიციის მიერ რამდენი პირის გადაყვანა მოხდა სამედიცინო დაწესებულებაში საპროტესტო აქციიდან, თუმცა შეგვიძლია გაცნობოთ, რომ სამინისტროს სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბრიგადებმა, აქციებიდან სამედიცინო დაწესებულებებში, 207 პირი გადაიყვანა.

ასევე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობა, მოგაწოდოთ ინფორმაცია პოლიციის მიერ, დროებითი მოთავსების იზოლატორებიდან და პოლიციის განყოფილებიდან, სამედიცინო დაწესებულებებში გადაყვანილი აქციის მონაწილეების რაოდენობის შესახებ, თუმცა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შეგვიძლია გაცნობოთ, რომ 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრამდე პერიოდში, სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ბრიგადების მიერ პოლიციის განყოფილებიდან გადაყვანილია 18 პირი, ხოლო დროებითი დაკავების იზოლატორიდან -16 პირი.

აქვე გაცნობებთ, რომ ინფორმაციას სამედიცინო დაწესებულებებში თვითდინებით (მათ შორის ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების გამო) მისული აქციის მონაწილეების შესახებ სამინისტრო არ ფლობს.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი
ანა დარახველიძე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA
LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS
დადასტურებულია
სწორია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ჯ. კახიძის ქ. #15, თბილისი, საქართველო, 0102; ტელ: (995 32) 295 23 53;
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53;
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

№ 3-04/29-25 28.01. 2025 წ.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

განცხადება

(საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე)

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები[1] ახორციელებენ 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების მონაწილეთა/მხარდამჭერთა მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა და უფლებადარღვევების დოკუმენტირებას.

აღნიშნული დოკუმენტირების მიზნებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რა ქიმიურ ნივთიერებებს იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში? გთხოვთ, ინფორმაცია მოგვაწოდოთ თარიღების მიხედვით.

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), სამოქალაქო იდეა (Civic Idea), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სოციალური სამართლიანობის ცენტრი (SJC), ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), უფლებადამცველთა გაერთიანება - ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRD), უფლებები საქართველო (RG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი (GCRT).

2. 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში, რომელ თარიღებში იყენებდა შინაგან საქმეთა სამინისტრო წყლის ჭავლს, რომელშიც ქიმიური ნივთიერება იყო შერეული?

3. რა ქიმიური ნივთიერება იყო შერეული წყლის ჭავლში აღნიშნულ თარიღებში და რა კონცენტრაციით?

4. არსებობს თუ არა რაიმე სახელმძღვანელო წესები, რომელიც განსაზღვრავს რა ფორმით და კონცენტრაციით უნდა მოხდეს წყლის ჭავლში აღნიშნული ქიმიური ნივთიერების შერევა? ასეთი სახელმძღვანელო დოკუმენტის/წესების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ იგი.

5. არსებობს თუ არა რაიმე სახელმძღვანელო წესები სამედიცინო დაწესებულებების და სამედიცინო მუშაკებისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ნივთიერებებით დაზარალებული პირისთვის გადაუდებელი დახმარების გაწევა და შემდგომი მკურნალობა?

6. იყვნენ თუ არა სამედიცინო დაწესებულებები ინფორმირებული გამოყენებული ქიმიური საშუალებების შემადგენლობის და მისი შესაძლო ეფექტების შესახებ? თუ კი, როდის და რა ფორმით მოხდა მათი ინფორმირება.

7. თქვენმა სამინისტრომ პროაქტიულად გამოითხოვა თუ არა გამოყენებული ქიმიური საშუალებების შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან? დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდის? მიეწოდა ინფორმაცია თუ არა სამინისტროს და რა მასშტაბით?

გთხოვთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფორმით, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: Evidence@gyla.ge.

თამარ ონიანი

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორი

საკონტაქტო პირი: თამაზ კირტავა [redacted]

Უ-04/08-25
21.02.25

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აკაკი წერეთლის გამზ. N144
0119 თბილისი, საქართველო
1505 ; (+995 32) 2510011
info@moh.gov.ge

19 თებერვალი 2025

MOH 7 25 00192431

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის

ადამიანის უფლებების პროგრამის დირექტორს

ქალბატონ თამარ ონიანს

ქალბატონო თამარ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2025 წლის 30 იანვრის №98067 წერილი, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28. იანვრამდე მიმდინარე აქციების შესახებ.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო არ ფლობს ინფორმაციას 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით განხორციელებული საპოლიციო ღონისძიებების ფარგლებში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ.

ასევე, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ ინფორმაცია, 2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 28 იანვრის ჩათვლით პერიოდში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თუ რომელ თარიღებში იქნა გამოყენებული სპეციალური საშუალება - წყლის ჭავლი.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული სპეციალური საშულება - წყლის ჭავლი შეიცავდა თუ არა საერთოდ რაიმე სახის ქიმურ ნივთიერებას ან რა კონცენტრაციით, სამინისტრო არ ფლობს. აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართეთ შესაბამის უწყებას.

„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის თანახმად, პოლიციელის მიერ გამოყენებად სპეციალურ საშუალება - წყლის ჭავლში, რაიმე სახის ქიმიური ნივთიერების შერევის ფორმა ან კონცენტრაციის ნორმა, სამინისტროს მიერ ნორმატიული აქტით არ არის დარეგულირებული.

როგორც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის, ასევე სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო პერსონალი გადაუდებელი მდგომარეობების მართვისას ხელმძღვანელობს საქაართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოცაილური დაცვის მინისტრის 2010 წლის 24 დეკემბრის №275/ო ბრძანებით დამტკიცებული გაიდლაინით - „გავრცელებული გადაუდებელი მდგომარეობის მართვა ზოგად საექიმო პრაქტიკაში", გაიდლაინი მოიცავს ისეთი სხვადასხვა გადაუდებელი მდგომარეობის და სიმპტომების მქონე პაციენტთა მართვას და მკურნალობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სასუნთქი გზების და რეცეპტორების გაღიზიანებით, ინტოქსიკაციით (სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებებით, პიროტექნიკის აფეთქების შედეგად გამოფრქვეული ნივთიერებებით, ალკოჰოლით და ა.შ), ფიზიკური დაზიანებით და სხვა.

მიმდინარე პროცესების შესახებ სამედიცინო დაწესებულების პერსონალი ინფორმირებული იყო მედია საშულებების და სასწრაფო სამედიცინო დახმარების

ბრიგადების მიერ, დამატებითი ინფორმაციის მიწოდების საჭიროება არ დამდგარა, ვინაიდან პაციენტთა მკურნალობა მიმდინარეობდა სიმპტომურად, დადგენილი გაიდლაინის საფუძველზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, აქციების დროს გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვა არ მომხდარა, საჭიროების არ არსებობის გამო.

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამმართველოს უფროსი, მეორადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი
ანა დარახველიძე

ELECTRONICALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES OF GEORGIA
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS
დევნილთა სამინისტრო

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად